როინ მეცხრეველი

და მოვიდეს პარანგნი...

(ისტორიულ-ფილოლოგიური ნარკვევები)

თბილისი „მეცნიერება" 1988

63.3(2Г)
ბ 596

ამ კრებულში თავმოყრილია ნარკვევები, რომლებშიც გაშუქებულია საქართველოს ისტორიის მრავალი საინტერესო საკითხი, წარმოჩენილია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თავდადებული სწრაფვა ქართული კულტურისა და მეცნიერების წინსვლისათვის. ზოგიერთი ნარკვევი ცალკეული სტატიის სახით ადრე იყო გამოქვეყნებული პრესაში.

4702017200—69
ე ———————— 026—88
ბ 604(03)—88

© გამომცემლობა „მეცნიერება“



აკაკი წერეთელი და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება

(მასალები)

ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარების საქმეში, ჩვენი წარსულის ძეგლების შესწავლა-გადარჩენასა და საერთოდ მე-20 საუკუნის პირველი ოცდაათწლეულის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომელიც 1907 წელს დაარსდა ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით. აღნიშნულ საზოგადოებაში გაერთიანდნენ იმ დროის ყველაზე გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები საქართველოს ყველა კუთხიდან. თუ ზერელედ გადავავლებთ თვალს საზოგადოების წევრთა სიას 1909 წლის 1 იანვრისათვის (სრული სია დაბეჭდილია საზოგადოების მიერ გამოცემული კრებულის „ძველი საქართველოს" I ტომში), თვალნათლივ დავინახავთ, რომ ექვთიმე თაყაიშვილს გსარში უდგანან: დავით კარიჭაშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, კიტა აბაშიძე, იუსტ. აბულაძე, სერგო გორგაძე, კალისტრატე ცინცაძე, პოლიევქტოს კარბელაშვილი, მოსე ჯანაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, ნიკო მარი, პეტრე მელიქიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, იოსებ ოცხელი, ზაქარია ფალიაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, თედო ჟორდანია და მრავალი სხვა (სულ 456 კაცი).

საზოგადოების მუშაობაში იმთავითვე აქტიურად ჩაებნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები: ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, ვასილ ბარნოვი, ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, დავით კლდიაშვილი, ნიკო ლომოური და სხვ.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ თავის პირველ საპატიო წევრად (ასეთი შემდგომში

სულ სამი იყო) 1908 წლის 5 დეკემბერს აირჩია აკაკი წერეთელი[1]. ეს აკაკის საყოველთაო იუბილეს დღეებში მოხდა. ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმი გაუმართა სასიქადულო პოეტს. ეს საყოველთაო ეროვნული ზეიმი იყო. საქართველო ამ ზეიმში თავისი პოტენციური ძალის დემონსტრირებას ახდენდა, ილიას მოკვლისთვისაც ასწორებდა ანგარიშს. ქართველი ხალხი აჩვენებდა, რომ მიუხედავად პოლიტიკური და ეკონომიკური სიდუხჭირისა მაინც მზად იყო ებრძოლა ეროვნული მწერლობის, ენისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

მთელმა საქართველომ იზეიმა აკაკის იუბილე. ქართველი ხალხის სიხარული გაიზიარეს ყველა ჩაგრული მოძმე ერების პროგრესულმა წარმომადგენლებმა. ამიტომ სრულიად არ ყოფილა შემთხვევითი, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ დიდი მგოსანი თავის საპატიო წევრად აირჩია. საზოგადოება სომ სწორედ იმ საქმეს ემსახურებოდა, რასაც აკაკიმ მთელი სიცოცხლე ანაცვალა. აი როგორი ადრესით მიმართა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ აკაკი წერეთელს:

„დ ი დ ე ბ უ ლ ო მ გ ო ს ა ნ ო!

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება წრფელის გულით გილოცავს შენი ბრწყინვალე მოღვაწეობის ნახევარი საუკუნის შესრულებას.

ჩვენს ისტორიას, ჩვენს ეთნოგრაფიას, ჩვენს ენას დიდი ამაგი დასდო შენმა ზეგარდმოცხებულმა ნიჭმა;

შენის მადლიანი კალმის მეოხებით ჩვენი ენა დღეს წმინდაა და მსუბუქი, ტკბილია და მომხიბლავი;

შენის ძლიერის პოეტური ნიჭით შენ შეიგენი, თუ რა ულეველი ზღვაა პოეზიისა ხალხური სიტყვიერება, და შეუდექი მისი მარგალიტების გამოქვეყნებას;

შენის საისტორიო პოემებით და დრამებით შეაყვარე ქართველ ერს მისი მივიწყებული წარსული;

---

1 იხ. არაჩვეულებრივი საზოგადო კრების ოქმი № 18, ძველი საქართველო, I. თბ., 1909, გვ. 45. მანამდე ა. წერეთელი საზოგადოების სამდვ·ღი წევრი იყო (1907 წ 8 ნოემბრიდან).

ამ წარსულის სიყვარულმა მოამზადა ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა თვით ჩვენი ნორჩი „საზოგადოება“.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება დიდად აფასებს ამ ოვალსაჩინო ღვაწლს, — და, ნიშნად მადლობისა და პატივისცემისა, ერთხმად აგირჩია თავის საპატიო წევრად.

გისურვებთ, მგოსანო, სანგრძლივ სიცოცხლეს, რომ შენმა მადლიანმა ჩანგმა კიდევ დიდხანს იუღეროს სამშობლო პოეზიის დიდებულ ტაძარში უწინდებურის აღტაცებით და მომხიბლავის მშვენიერებით!

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების

თავმჯდომარე — ე. თაყაიშვილი
საბჭოს წევრები — ს. კაკაბაძე
ს. ჯანაშვილი
ალ. სარაჯიშვილი
ი. აბულაძე
მდივანი — ს. გორგაძე[1].

აკაკი წერეთელი უდიდესი პატივისცემითა და მოწიწებით ეკიდებოდა და დიდად აფასებდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობას და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გვერდით აყენებდა მას. ეს ნათლად გამოჩნდა მისი დანაბარებითაც, როცა მგოსანმა თავისი ქონება ამ ორ საზოგადოებას უანდერძა, იგივე ანდერძით ლიტერატურული მემკვიდრეობა (ნაწარმოებთა გამოცემის უფლება) საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადაეცა (უნდა შექმნილიყო ხალხური სიტყვიერების ფონდი და მოგვარებულიყო გამოცემა). აი ერთი ადგილი აკაკი წერეთლის მიერ 1912 წლის 7 ნოემბერს გაცემული (ქუთაისის ნოტარიუსის დამოწმებული) ანდერძიდან: „მე თავადი აკაკი როსტომის ძე წერეთელი, რომელიც ვარ სრულ ჭკუასა და მტკიცე მეხსიერებაზე, საჭიროდ ვთვლი სიკვდილის შემდეგ დავტოვო შემდეგი ანდერძი... სამოსახლო ადგილს შენობებით და კარის ეკლესიით სოფელ სხვიტორში, შორაპნის მაზრაში, საკუთრებად ვუტოვებ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ აქ გაიხსნას დედათა სკოლა ჩემი სახელობისა; ვე-

[1] ძველი საქართველო, I, გვ. 45-46. ადრესის პირები (შავი) დაცულია გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურულ მუზეუმში და საქართველოს ხელოვნების მუზეუმში (ყ. 347, საქ.

ნახსა და დანარჩენს ჩემს მამულს ვუტოვებ საკუთრებად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ქართული ზღაპრებისა, არაკებისა და საერთოდ ზეპირ თქმულებათა შესაკრებად და გამოსაცემად. უფლება ჩემი ნაწერების გამოცემისა უნდა მიეცეს ზემოხსენებულ საეთნოგრაფიო საზოგადოებას აღნიშნულ მიზნისათვის...“[1].

აკაკი წერეთელი ერთი პერიოდი უაღრესად ხელმოკლედ ცხოვრობდა. იგი სწორად იძულებული იყო მამულიც კი დაეგირავებინა. იყო პერიოდი, მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, როცა ცოლშვილი უსახსრობას შესჩიოდა პეტროგრადიდან და დახმარებას სთხოვდა, თითონ კი საშუალება არ ჰქონდა, ფული ვერ ეშოვნა უკიდურესად გაჭირვებული ოჯახის დასახმარებლად[2].

მთავრობამ ძალზე გაურთულა პენსიის საქმეც. ამ მხრივ მეტად საინტერესოა აკაკის სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა ქუთაისში ბანკის კრებაზე. მოთმინებიდან გამოსული პოეტი ყვება: „...1889-ში ერთს ბანკის დირექტორთაგანს ირწევდენ; კრება ერთხმად ჩემზე შეჩერდა. მაგრამ მე მივიღე ეს არჩევანი და არ დავთანხმდი. „ბატონებო — მოვახსენე მაშინ კრებას — თქვენი სურვილისა და პრძანების ურჩი არა ვარ, მაგრამ მაქვს მიზეზი, რისთვისაც ვერ ვკიდებ ხელს მაგ თანამდებობას. რომ ვსთქვა, რომ, ვერ ავასრულებ-მეთქი, ეს ტყუილი იქნება და არც თქვენ დამიჯერებთ. არ მინდა რომ ორი ნესვი ერთ ხელში დავიჭირო. მე უკვე მაქვს საქმე, რომლითაც გემსახურებით და, ახლა რომ სხვა საქმე ვიკისრო, უნდა იმ ჩემ საქმეს ხელი ავიღო. მართალია მატერიალურად ჩემი საქმე არას მაძლევს და ბანკის დირექტორობა კი უზრუნველჰყოფს ჩემს გაჭირვებას, მაგრამ მე კი მაინც ვერ გავსცვლი პირველს მეორეში და როგორც დღემდი, ორმოცი წლის განმავლობაში, უსასყიდლოდ მიმსახურნია თქვენთვის აწიც ისე გემსახურებით!“ ერთ მონაწილეს დავით მიქელაძეს კრებისათვის მიუმართავს: „ნუ შევუშლით ხელს!. გვემსახუროს ისე როგორც დღემდი უმსახურნია, მაგრამ ჩვენც მაგისი სალიტერატურო შრომა დავაფასოთ და ამიერიდან მაინც უზრუნ-

---

1 აკაკის ანდერძი, ა. წერეთელი, თხზულებათა ტ. XIV თბ., 1961, გვ. 589

2 ე. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, თბ., 1965, გვ. 496-497. ამ მხრივ ნიშანდობლივია ა. წერეთლის კერძო წერილები, რომლებიც თხზულებათა XV ტომში დაიბეჭდა 1963 წ. გ. აბზიანიძის წინასიტყვაობითა და რედაქციით.

ველვყოთ, რომ გაჭირვება სულს არ უშლიდეს. დირექტორის ჯამაირი, 1500 მ. დავუნიშნოთ მთელს მის სიცოცხლეში პენსიადო!". ეს რჩევა კრებამ ერთხმად მიიღო და აკაკისთვის პენსია დაუნიშნავთ. მიელი ხალხი აღტაცებით შეგებებია ამ განაჩენს — კეთილად მოუხსენებია არა მხოლოდ ადგილობრივ ვაზეთებს, არამედ სატასტო გაზეთებსაც კი (ასე გასინჯეთ „ნოვოე ვრემიამაც" აღფრთოვანებული წერილი მიუძღვნა). მაშინდელი ბანკის გამგეობა სამინისტროს შეეკითხა: კანონიერია ეს პენსია თუ არაო. სამინისტრომ დადებითად უპასუხა. აკაკი ასე აგრძელებს სიტყვას: „თვე რომ გავიდა, მივედი და მოვთხოვე ჩემი წილხვედრი პენსია. მაგრამ გამგეობამ მიპასუხა: ვერ მოგცემთ. ამიტომ, რომ პენსია წლიურად დაგენიშნა და არა თვიურად — წლამდი მოიცადეო! მოვიცადე. რაღა გზა მქონდა? წლის ბოლოს რომ მივედი, მითხრეს, რომ შენი პენსია შენმა მოვალემ წაიღოო. ესეც ავიტანე. ვიფიქრე, მეტი მოვალე აღარავინ მყავს და შემდეგ იყოს, რა გაეწყობა-მეთქი, მაგრამ მეორე წელიწადს, რომ მივედი, იგივე მითხრეს: მოვალემ წაიღოო. მაშინ კი სამსჯავრომდი მივიდა საქმე. მსაჯულმა განისილა საქმე. უკანონოდ სცნო და მიუბრუნდა მმართველობის წარმომადგენელს: ეს დიდი უკანონობა ჩაგიდენიათ, რომ, ვიღაც ყალბი ვექსილის მქონისათვის მიგიციათ ფულიო. კანონით არა თუ ყალბს, სამდვილ მოვალესაც არ მიეცემოდაო!". აკაკი უამბობს კრებას, რომ ამის მერე საერთოდ მომისპეს პენსია და 13 წელიწადი აღარ მოუციათო. „სწორედ რომ დავიტანჯე, — ჰყვება აკაკი, — და ის პენსია ხაფანგათ გადამექცა. — მაშინ მივმართე, მთავრობისაგან დანიშნულ თავჯდომარეს:

— რა მიზეზია რომ პენსიას, ერთხელვე დაკანონებულს და სამინისტროსგანაც ნებადართულს, ამდენი ხანია არ მაძლევთ.

— ფულები არ არის!

— სხვებს რომ ყველას აძლევთ?!

— ეგ ჩვენი საქმეა...

— მაშ მე რა ვქნა?!..

— იჩივლეთ სამსჯავროში!

— სამსჯავროში ჩივილს, არც ჩემსა თავსა ვკადრებ და არც კრებას.

— მაშ ბრძანდებოდით მანგრე და იცადეთ!

— ერთი საქმე მაინც მიყავით: თქვენი მიზეზით, მე მაგ ბანკში

დაგირავებული მაქვს მამული და იმის სარჩენელი მაინც შეიტანეთ ხოლმე.

— ეგ წესდებაში არ ყავიწერიაო და ცივად გამშორდა".

მართლაც აკაკის დაგირავებულ მამულს იმდენი ვადასახადი დაადვეს, რომ მგოსანს მისი გასტუმრების საშუალება არ ჰქონდა და კიდევაც დანიშნეს გასასყიდათ.

„მაშინ მიეხვდი, თუ რად არ უნდოდათ სიცოცხლეში პენსიის მიცემა, როცორც მოხუცებულისას მოელოდნენ ჩემს სიკვდილსა და იტყოდნენ: ჩვენ მზად ვიყავით, რომ ერიად მოგვეცა, მაგრამ მოკვდა, და აღარ გვაცალაო!.. ბრალს პირ-აქეთ დამდებდენ. აი ესეები რომ გავითვალისწინე და მეტი გზა აღარ დამრჩა რა, კრებაზე შევიტანე თხოვნა: არ მინდა თქვენი პენსია, რომელსაც მაინც არ მაძლევთ და ჩემს მამულს მაინც ნუ მიყიდით-თქო! მაშინ მე მძიმე ავად ვიყავ, კრებას არ დავსწრებივარ. არ ვიცი, როგორ გადასცა გამგეობამ კრებას ჩემი თხოვნა.. მაგრამ შედეგი ის მოპყვა,რომ მამული დამიბრუნეს, მაგრამ იმ დღიდან კი პენსია მომისხნეს და წინამდელიც, რაც მერგებოდა, აღარ მომცეს... არავითარი საჩუქარი ან მოწყალება თქვენგან არ მითხოვია და არცა გთხოვთ! მე მხოლოდ გთხოვთ იმას, რომ ის, რაც 1889 წელში კრებამ მომანიჭა და სამინისტრომაც ნება დართო ის მოიყვანოთ სისრულეში და რაც მერგება მომცეთ. ან თუ გეძნელებათ ის მაინც გამოაშკარავდეს, რომ ჩემი პენსია ყოფილა „ენუქას ანდერძი", ესე იგი ცარიელი სიტყვა და არა საქმე[1]."

ეს დოკუმენტი იმიტომ მოვიტანეთ, რომ საზი გავუსვათ აკაკი წერეთლის მატერიალურ მდგომარეობას და ყურადღება გავამახვილოთ მისი „საზოგადოებისადმი" საანდერძევის რეალურ მნიშვნელობაზე. საზოგადოდ აკაკის ანდერძი ფრიად დიდი მოვლენა იყო და ერთხელ კიდევ მივგვანიშნებს დიდი პოეტის დამოკიდებულებაზე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან. როცა აკაკის წაუკითხავს „ძველი საქართველოს" პირველ და მეორე ტომებში დაბეჭდილი ხალხური ლექსები და ზღაპრები, აღფრთოვანებულა, უსაზღვროდ გახარებულა. სიკვდილის წინა დღეებში დიდი მგოს-

---

[1] ეს სიტყვა აკაკის ხელით დაწერილი (ბოლოში ხელმოწერით „აკაკი") დაცულია ქუთაისის ისტორიულ არქივში. მცირე შესწორებით დაბეჭდილია ა. წერეთლის თხზულებათა მეთოთხმეტე ტომში (თბ., 1961, გვ. 470-473); აკაკიმ იმდროინდელი ბანკების ბიუროკრატიული და უგუნო ხელმძღვანელები მკაცრად გაამათრახა თავის წერილში „მე და ჩემი პენსია".

სისთაის ე. თაყაიშვილს მესამე ტომიც მიუწოდებია. აქ ხალხური სიტყვიერების დიდძალი მასალაა მოთავსებული. მომაკვდავ პოეტს ლექსების წაკითხვა მოუთხოვია, შემდეგ კი უთქვამს: „ქართველი ერი არ გაქრება, თუ მისი სასალხო პოეზია არ დაიკარგაო". რეალურად კი ნაანდერძევის ერთი ნაწილი ტვირთად დააწვა საზოგადოებას. სულ მალე აკაკის გარდაცვალებიდან 1915 წლის 6 ივლისს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოება შეკითხვით მიმართავს ნაფიც ვექილს ილია ზურაბიშვილს საზოგადოების დამოკიდებულების შესახებ ნაანდერძევთან:

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების" საბჭო უმორჩილესად გთხოვსთ, მიიღოთ შრომა, მოიწვიოთ რამოდენიმე იურისტი და ევიბოძოთ, რამდენადაც კი შესაძლო იქნება მოკლე დროში, წერილობითი დასკვნა შემდეგი საკითხის შესახებ: ჩვენმა საზოგადოებამ რომ ახლავე ჩაიბაროს აკაკი წერეთლის მიერ ნაანდერძევი ადგილ-მამული (რასაკვირველია, უკეთუ მისი ცოლშვილი ნაანდერძევ უფლებაზე უარს განაცხადებს) და შემდეგ აღმოჩნდეს, რომ აკაკის ვალები აღემატება ამ ადგილ-მამულის ღირებულებას, ასეთს შემთხვევაში „საზოგადოება" მოვალეობის წინაშე პასუხს აგებს მარტო ნაანდერძევით (მამულითა და ნაწერების შემოსავლით), თუ თავისი საკუთარის თანხებითაც, როგორც მემკვიდრე განსვენებულის მგოსნისა?

საზოგადოების თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი

მდივანი ს. კორკაძე"[1].

პასუხმაც არ დააყოვნა. 8 ივლისს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეს მიუვიდა ასეთი პასუხი:

„პატივი გვაქვს მოგახსენოთ პასუხად თქვენს შეკითხვაზედ, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება უნდა ჩაითვალოს ჩვეულებრივ მემკვიდრედ და ამიტომ პასუხისმგებელი იქნება ყველა ვალებისა, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს.

რა თქმა უნდა, ასეთი პასუხისმგებლობა გაუჩნდება საზოგადოებას იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრეობას მიიღებს.

ვექილები: ივანე ზურაბიშვილი
გრ. რცხილაძე
ირ. გუნცაძე".

1 საქ. ხელ. მუზეუმის ფონდი, ყ. 251, საქ. 24. (მითითება პირობითია).

პრასლაც განსვენებული მგოსნის შაშულების ნაწილი და ლიტერატურული მემკვიდრეობა (გამოცემის უფლებით) საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ერგო. აკაკის ანდერძის იურიდიულ დასაბუთებას იმთავითვე ყურადღება მიაქცია ექვთიმე თაყაიშვილმა, კავშირი დაამყარა მგოსნის უკანასკნელი სების აღმსრულებლებთან: კოტე აბდუშელიშვილთან, იაკობ ფანცხავასთან, ივანე ელიაშვილთან და გრიგოლ დიასამიძესთან. მისივე დავალებით და საზოგადოებისაგან მატერიალური სელისგამართვით (სათანადო თანხა იქნა გაღებული) კოტე აბდუშელიშვილმა მოლაპარაკება გამართა ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარესთან სოლომონ მიქელაძესთან აკაკის ანდერძის საბოლოოდ დასამტკიცებლად. ამის შემდეგ კი 1915 წლის 19 ივნისს საგანგებო თხოვნით მიმართა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. აი, ეს დოკუმენტიც:

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას
განსვენებულის მგოსნის თ-დ. აკაკი როსტომის ძის
წერეთლის ანდერძის აღმასრულებელის კონსტანტინე
იოსების ძის აბდუშელიშვილის

თ ხ ო ვ ნ ა

ამასთან ერთად წარმოგიდგენთ დამტკიცებულ ანდერძის პირს. უმორჩილესად გთხოვთ კეთილინებოთ და დანიშნოთ ერთი თქვენი საზოგადოების წარმომადგენელი, რომელიც უნდა მობრძანდეს დაბა საჩხერეში განსვენებული მგოსნის აკაკის დანატოვარ ოჯახში და დაწვრილებით გამოარკვიოს ყოველივე, თუ რა უანდერძა თქვენ საზოგადოებას განსვენებულმა მგოსანმა, რა არის შემოსავალი ნაანდერძევი ქონების და რა იქნება საჭირო ხარჯი მის მოვლა-შენახვისათვის, აგრეთვე უმორჩილესად გთხოვთ, კეთილ ინებოთ და მიბოძოთ ის ხარჯი, რაც მე ნაღდ ფულით დამეხარჯა მისვლა-მოსვლაში (მხოლოდ ანდერძის დამტკიცების დროს) საბუთების გამოტანაში და ღერბის ხარჯში.

კონსტანტინე იოსების ძე აბდუშელიშვილი“.[1]

---

1 საქ. ხელ. ეუზეუმის ფონდი ყ. 251, საქ. 24.

საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ არ გაითვალისწინა კ. აბდუშელიშვილის თხოვნა თანხის გაღების თაობაზე, რადგან საბოლოოდ აკაკი წერეთლის უძრავი ქონების მემკვიდრედ საზოგადოება იურიდიულად ჯერ კიდევ არ იყო გაფორმებული. როგორც ჩანს, ეს ცოტა გვიან მოხდა.[1] 1915 წლის 20 სექტემბერს საზოგადოების კრებამ (იხ, ოქმი №105) საგანგებოდ განიხილა აკაკის ანდერძის საკითხი. ე. თაყაიშვილმა კრებას აცნობა, რომ ანდერძი დამტკიცდა. ამასთან მამულს ბანკის ვალი დარჩა 700 მანეთი, გადასახდელი იყო ანდერძის დამტკიცების სარჯები, მამულის სხვადასხვა გადასახადი და კერძო ვალები, სულ 4000 მანეთამდე. მანვე გააცნო კრებას საბჭოს 7 სექტემბრის გადაწყვეტილება (ოქმი № 121, მუხლი № 4): „მემკვიდრეობა მიღებულ იქნას და მფლობელობაში შევიდეთ, როცა დროებითი მემკვიდრენი უარს იტყვიან თავის მემკვიდრეობაზე. ამ თავით გაწეული იქნას სარჯები აკაკის ფონდიდან, სახელდობრ აკაკის მსახურის ვალის (200 მან.) გადასახდელად, სახელმწიფო გადასასადები და ანდერძის დამტკიცების სარჯები". კრებამ დაამტკიცა ეს გადაწყვეტილება. თანაც საბჭოს დაავალა შემუშავება ფორმისა, რომლის მიხედვითაც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან ერთად საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მფლობელობაში შესვლას განსაზღვრავდა. ნაანდერძევის მიღებასთან დაკავშირებული სარჯები უნდა გაწეულიყო აკაკის ფონდიდან სესხის სახით. აკაკი წერეთლის უკანასკნელი ნების აღმსრულებლებიც შეუდგნენ საქმის საბოლოოდ მოწესრიგებას, რადგან რიგი საკითხებისა ჯერ კიდევ მოსაგვარებელი იყო. სულ მალე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მიიღო წერილი, სადაც ანდერძთან დაკავშირებული და აუცილებლად მოსაგვარებელი საკითხები იყო მოცემული:

„1915 წლის 4 მკათათვეს შევიკრიბენით მგოსან აკაკი წერეთლის უკანასკნელი ნების აღმსრულებელნი გ. დიასამიძე, ი. ფანცხავა, კ. აბდუშელიშვილი და ი. ელიაშვილი და დავადგინეთ შემდეგი: 1. აკაკის ანდერძი უკვე დამტკიცებულია ქუთაისის საოლქო სასამართლოსაგან და ანდერძის პირი ჩაბარებული აქვთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა და ქართ. საის-

---

1 იხ. ე. თაყაიშვილი, აკაკის ანდერძის გამო, კრებ. „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი". თბ., 1966, გვ. 205-207.

ტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებათა გამგეობებს. 2. ეთხოვოს აკაკის პირდაპირ მემკვიდრეთ კნ. ნატალია პეტრეს ასულს და თ-დ. ალექსი აკაკის ძე წერეთლებს დაუთმონ თავისი უფლება სიცოცხლეში სარგებლობისა აკაკისაგან ნაანდერძევ უძრავ ქონებათა ზემოხსენებულ საზოგადოებათ, რათა წ. კ. საზოგადოება ამ თავითვე შეუდგეს შკოლის დაარსების ზრუნვას. 3. წერა-კითხვის საზოგადოებისათვის ნაანდერძევ სახლსა და ეზოსთან ერთს მთლიანს შეადგენს ზედ-მიბმული ვენახი და სახნავი მიწა. ეს უკანასკნელი ნაკვეთი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მომავალ შკოლისთვის. ამიტომ ეთხოვოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას უსასყიდლოდ დაუთმოს ეს ნაკვეთი წ. კ. საზოგადოებას. 4. აკაკის უკვე გამოქვეყნებულს კერძო ანდერძში აღნუსხულია მისი მოვალეების სია და ვალის რაოდენობა და მასთან სურვილი გარდაცვალებულისა ეს ვალი გადახდილ იქმნას მემკვიდრეთაგან. ამ სანად აკაკის მამულის შემოსავალი ფრიად მცირეა. ამ შემოსავლით ვალების გასტუმრება შეუძლებელია. ამიტომ ეთხოვოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას იკისროს ამ ვალების დაუყოვნებლივ გადახდა. ვალის რაოდენობა უდრის 2. 180 მანეთს. 5. აკაკის გარდაცვალების შემდეგ თბილისის სახაზინო ბანკში აღმოჩნდა ასი იუმნის ვექსილი კოტე აბდუშელიშვილის, რომლის ბადალიც აკაკის მიერ ხელმოწერილი, აღმოჩნდა კოტე აბდუშელიშვილთან. ეს ვალიც დაუყოვნებლივ გადასახდელია. ეთხოვოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ამ ვალის გასტუმრებაც. 6. დროებითი მემკვიდრენი, აკაკის ცოლშვილი, არც უვლიან და არც სარგებლობენ მამულით. ხოლო მამულის მოვლა-პატრონობა ჩვენს მიერ დავალებული აქვს კოტე აბდუშელიშვილს, რომელიც დღიდან აკაკის გარდაცვალებისა ეწევა მიმდინარე ხარჯებს. ეთხოვოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გაუძღვეს ამ ხარჯებსაც დღიდან აკაკის გარდაცვალებისა, ვიდრე ნაანდერძევის განაწილებამდე საეთნოგრაფიო და საისტ. საზოგადოებისა და წ. კ. საზოგადოების შორის, თუ კი დროებითი მემკვიდრენი უარს გაუცხადებენ თვის უფლებაზე. 7. მიენდოს ივანე ელიაშვილს აცნობოს დროებით მემკვიდრეებს ეს დადგენილებანი მით უმეტეს, რომ ეს დადგენილებანი დამყარებულია კნ. ნატალია და თ-დ. ალექსი წერეთლების მიერ გამოთქმულ სურვილზე თავისი უფლების უარყოფის შესახებ. 8. ყველა აქ მოხსენებული დადგენილებანი გამომდინარეობენ აუ-

ცილებლობისაგან და მათი სისრულეში მოყვანა ევალება საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, როგორადაც აკაკის მთელ ნაანდერძევ ღირებულებათა ნამდვილ მემკვიდრეს. ხოლო თუ ეს დადგენილებანი შეუსრულებელი დარჩებიან, იმ შემთხვევაში ჩვენ, ნების აღმსრულებელნი, ყოველივე პასუხის მგებლობაზე ხელს ვიღებთ იმ მხრივ, თუ საიდანმე სახიფათო რამ გამოუჩნდა ნაანდერძევ ღირებულებას. 9. ამ დადგენილებათა პირის გაგზავნა წერა-კითხვისა და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებათა გამგეობათადმი მიენდოს ივანე ელიაშვილს. 10. ეთხოვოს ზემოხსენებულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ზემოაღნიშნულ მუხლების პასუხი ნების აღმსრულებელთ აცნობოს ივანე სპირიდონის ძე ელიაშვილის სახელზე არა უგვიანეს ერთის თვისა ამ ოქმის პირის მიღებიდან.

ნების აღმსრულებელნი:
კოტე აბდუშელიშვილი
იაკობ ფანცხავა
ივანე ელიაშვილი
გრიგოლ დიასამიძე[1]".

კოტე აბდუშელიშვილი შემდგომშიც აგრძელებდა ზრუნვას აკაკი წერეთლის მიერ ნაანდერძევი უძრავი ქონების საზოგადოებისათვის გადაცემისათვის. საქმე ისაა, რომ განსვენებული მგოსნისაგან ნაანდერძევი ტყიანი ადგილი, სახელდობ „საფალავანდიშვილო" აკაკის სიცოცხლეში ოჯარით ჰქონდა მიცემული საზღვარგარეთულ კომპანიას (დ. დიტრიხს). ნოტარიალური პირობა ხის მოჭრას ითვალისწინებდა მხოლოდ. ხელშეკრულების ვადა 1918 წლის 11 თებერვალს გავიდა. ამ პირობით მოიჯარადრეს უფლება ჰქონდა ვადის გასვლიდან 3 თვის განმავლობაში დაემთავრებინა ყოველგვარი საქმიანობა (გაეტანა დამზადებული მასალა, დაეშალა შენობები, გაეყვანა მანქანები და სხვ.). სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ კ. აბდუშელიშვილი ადგილობრივ კომისართან ერთად ეწვია მამულს („საფალავანდიშვილოს") და მოიჯარადრის წარმომადგენელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შესრულება მოსთხოვა. უკანასკნელმა მსოფლიო ომისგან გამოწვეული დაბრკოლებები მოიმიზეზა და ითხოვა ვადის გაგრძელება რამოდენიმე თვით.

---

1 ხელ. მუზეუმის ფონდი, ყ. 251, საქ. 24.

აკაკის ნების აღმსრულებელმა არ მისცა თანხმობა ამ მოთხოვნაზე და კეთილსაიმედო პირთა თანდასწრებით შეუდგა ქონების აღწერას და სრული სურათი აცნობა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას 1918 წლის 29 მაისს (წერილი დაცულია საქ. ხელ. მუზეუმის ფონდში, ყ. 251, საქ. 24).

ვიდრე აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოცემაზე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების უფლებებსა და მოღვაწეობას შევეხებოდეთ, გვინდა შევჩერდეთ ერთ მომენტზე — იმ დიდ მწუხარებაზე, რომელიც მთელ ქართველ ხალხთან ერთად საზოგადოების წევრებმაც გამოხატეს დიდი მგოსნის გარდაცვალების გამო. 1915 წლის 27 იანვარს შეიკრიბა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობდა ე. თაყაიშვილი; დაესწრნენ: დ. კარიჭაშვილი, დ. კილოსანიძე, ი. აბულაძე, შ. ქარუმიძე, კ.კეკელიძე, ი.სონღულაშვილი და ს. გორგაძე (მდივანი). თავმჯდომარემ გააცნობა განცხადება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების საპატიო წევრი, დიდებული პოეტი, თავადი აკაკი როსტომის ძე წერეთელი და საჭიროა ჯეროვანი პატივი ვცეთ მის სსოვნასო. საბჭომ დაადგინა, რომ სანამ საგანგებო კრება მოსდებოდეს, იმის თაობაზე, თუ როგორ აღინიშნოს განსვენებულის დაუფასებელი ღვაწლი სამშობლოს წინაშე, ჯერჯერობით: ა) 28 იანვარს ვადახდილი იქნას პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსასვენებლად და მთელი საბჭო დაესწროს მის დასაფლავებას; ბ) იმ კომისიაში, რომელიც შეიმუშავებს და დაიცავს დასაფლავების წესრიგს, საზოგადოების წარმომადგენლობა დაევალოს საზოგადოების საბჭოს წევრს შალვა ქარუმიძეს; გ) გადაიდოს ოცდაათი თუმანი ფული იმ ფონდისათვის, რომელიც შედგება ჩვენ საზოგადოებასთან სახალხო სიტყვიერების გამოსაცემად, როგორც აწ განსვენებულის სურვილი იყო, გვირგვინის სამაგიეროდ გაღებული თანხიდან; დ) ეთხოვოს საზოგადოების დამფუძნებელ წევრს გრიგოლ ნიკოლოზის ძე დიასამიძეს და საბჭოს წევრს აუსტინე აბულაძეს დაესწრონ საზოგადოების სახელით განსვენებულის გვამის გადმოსვენებას საჩხერიდან (იხ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საბჭოს სხდომის ოქმი № 106, 1915 წ. 27 იანვარი).

მეტად საგულისხმოა დიდი მგოსნის დანაბარები, მისთვის განკუთვნილი ევირგვინების თანხა ხალხური სიტყვიერების გამოცემას მოხმარებოდა. „გთხოვთ დამასაფლავოთ უბრალოდ უგვირგვი-

ნოდ. გვირგვინის მსურველს ვთხოვ, გვირგვინის ფასი გადასცეს... საეთნოგრაფიო საზოგადოებას!"[1] ანდერძი აღსრულებულ იქნა. მთელმა საქართველომ მუსლმოყრით გააცილა აკაკი თავის უკანასკნელ გზაზე. დაკრძალვას ასი ათასზე მეტი კაცი დაესწრო. მსგავსი პროცესია არ ენახა საქართველოს დედაქალაქს. დიდი მგოსნის კუბოს წინ მიუძღოდა ერთადერთი, სადა ღა უბრალო გვირგვინი, რომელსაც საქართველოს სულიერი მეუფის საკადრისი წარწერა ჰქონდა: „აკაკის — საქართველო".

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დიდი დამოკიდებულება უკვდავი მგოსნისადმი კარგად გაღმოსცა ექვთიმე თაყაიშვილმა, აკაკის გარდაცვალებიდან ორმოცი დღის აღსანიშნავ პანაშვიდზე:

„...საქართველო გლოვობს თავის საუკეთესო შვილს. ყველას სურს სიტყვით თუ კალმით გამოსატოს მისი ღვაწლი სამშობლოსადმი, გაგვითვალისწინოს მისი სამსახური, სევსებით დაგვიხატოს მისი სურათი. მაგრამ ამაოდ! ყველა გრძნობს, რომ ვერ უთქვამს ის, რისი თქმაც უნდოდა; ოდნავადაც ვერ დაუხატავს ის რისიც დასატვა სურდა. ხოლო, როდესაც ჩვენი მგოსნის სასელს ვასსენებთ ხოლმე, მის სპეტაკ სასელთან ერთად თვალწინ გვეშლება დიდებული სურათი... ამ სურათში ჩაქსოვილია მთელი საქართველოს ნახევარი საუკუნის ისტორია, მისი თვითშეგნების განვითარება, ერთობის ქადაგება, მამულის სიყვარული, საუცხოო პოეზია და დიდებული ენა. საუცხოოა ეს სურათი, რომელსაც ყველა გრძნობს, ყველას თვალწინ უძევს, მაგრამ არავის ძალუძს სიტყვით გადმოგვცეს, კალმით დაგვიხატოს. ასეთია საიდუმლოება სალხის სულმნათისა, ხოლო ორი რამ თვალსაჩინოდ სჭარბობს ამ სურათში: სიმშვენიერე პოეზიისა და სიკეკლუცე ენისა...

აკაკის სწორედ ჯავრად ჩაჰყვა სამარეში, ვაი თუ ქართული ზეპირსიტყვაობა დაიკარგოსო. რომ ეს არ მოხდეს ამიტომ ჩვენს საზოგადოებას ანდერძით დაგვიტოვა ამის შესახებ ზრუნვა და თავისი ავლადიდება ამ საქმის განსასორციელებლად გვიანდერძა, როგორც ჩვენს საზოგადოებას, ისე მთელ ქართველ ერს ვალად აქვს პირნათლად შეასრულოს ეს ანდერძი".

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ

---

[1] აკაკის ანდერძი, ა. წერეთელი, თხზ. ტ. XIV, გვ 590.

დიდი გულმოდგინებით მოპკიდა სელი აკაკის ანდერძის შესრულებას. 1915 წლის 25 თებერვალს საგანგებო სხდომა მიეძღვნა აღნიშნულ საკითხს. ექვთიმე თაყაიშვილი ვრცლად შეეხო აკაკი წერეთლის უკანასკნელ სურვილს სალსური სიტყვიერების მასალების შესაკრებად, შესასწავლად და დასაბეჭდად განსაკუთრებული თანხის დაარსებისა და თვით მისი თხზულებების გამოცემის შესახებ. კრებამ დაადგინა, რომ ყველა ღონე იხმაროს ქართული სალხური სიტყვიერების ფონდის ვასაძლიერებლად და გამოცემის უზრუნველსაყოფად. ეს თანხა იმღენად უნდა გაზრდილიყო, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ყოველგვარი ხარჯის დაფარვა იმ დიდი შრომის გასაწევად, რომელიც სალხური სიტყვიერების მასალების შეკრების, შესწავლისა და გამოქვეყნებისათვის იყო საჭირო. საზოგადოების კრებამ დიდი ყურადღება დაუთმო აკაკი წერეთლის თხზულებათა ჯეროვანი გამოცემის საქმეს. მიიჩნიეს, რომ აკაკის თხზულებათა გამოცემას ორი უმთავრესი მიზანი უნდა ჰქონდეს: მგოსნის შემოქმედების პოპულარიზაცია, მისი ნაწარმოებების ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის მიწოდება და გარკვეული შემოსავლის მიღება, რომლითაც გაძლიერდებოდა სალსური ზეპირსიტყვიერების ფონდი. გამოცემა ორგვარი უნდა ყოფილიყო: ერთი — სალხისათვის მისაწვდომი, იაფფასიანი; მეორე — სამეცნიერო. დაადგინეს, რომ მიმართონ სალხს ვისაც რაიმე სელსაწერი მოეპოვებოდა, საზოგადოებისათვის მოეწოდებინათ, ამასთან აკაკისთან ახლომყოფებს სთხოვდნენ მოეცათ მოგონებანი მგოსანზე, თუ რა ვითარებაში იწერებოდა და ვისდამი იყო მიძღვნილი ცალკეული ლექსები.

აი, ამგვარი თხოვნით მიმართა ქართველ საზოგადოებას საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საპჭომ გაზეთ „სახალხო ფურცლის“ საშუალებით:

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო უმორჩილესად სთხოვს განსვენებულის მგოსნის აკაკი როსტომის ძის წერეთლის ნათესავ-ნაცნობებსა და მისი ხსოვნის პატივისმცემელთ მოაწოდონ „საზოგადოებას“ მუზეუმში დასაცველად განსვენებულის მგოსნის ყოველგვარი მიწერ-მოწერა, მისი ნაქონი ნივთი, კერძო ალბომებში მოთავსებული მისი ლექსები ან კერძო პირთათვის შედგენილი ეპიტაფიები (საფლავის ქვაზე წასაწერი), აგრეთვე ყოველგვარი ცნობა, რომელიც მგოსნის ბიოგრაფიის (ცხოვრების აღწერის) შესადგენად გამოდგება, და დასასრულ ვისაც მოე-

პოვება ცნობები იმის შესახებ თუ მგოსნის რომელი ნაწარმოებები როდის და რა შემთხვევის გამო (ან რომელი პირის შესახებ) არის დაწერილი და სად არის დაბეჭდილი. ამ მასალას საბჭო დაიცავს საზოგადოების მუზეუმში აკაკის სახელობის მომავალი დარბაზისათვის, ხოლო მის ნაწილს გამოიყენებს ასლავე განსვენებულის მგოსნის თხზულებათა გამოცემისათვის.

ვსთხოვთ სხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს ეს წერილი გადაბეჭდონ თავის გამოცემებში".

ამას გარდა საზოგადოების კრებამ შეარჩია რამდენიმე ქართველი მიღვაწე, რომელთაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ აკაკისთან (კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ნიკოლაძე, დავით ბაქრაძე, სერგო ბასტაძე, პეტრე წულუკიძე, ნიკო ლომოური, იონა მეუნარგია, სოფრომ მგალობლიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ნინო ორბელიანი, ტასო მაჩაბელი, კოტე ყიფიანი, ვასო აბაშიძე, დავით მიქელაძე, გრიგოლ დიასამიძე, ვასტანგ ღამბაშიძე, ივანე ელიაშვილი, კონსტანტინე აბდუშელიშვილი, სოსიკო მერკვილაძე და სხვ.), და პირადად სთხოვა მათ მგოსნის შესახებ მათ ხელთ არსებული მასალების მოწოდება.

გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმის ფონდში (2468-ბ) დაცულია საზოგადოების მიმართვა (დათარიღებულია 1915 წლის 30 აპრილით) იოსებ (სოსიკო) მერკვილაძისადმი (ანალოგიური ბარათები დაეგზავნათ სხვა პირებსაც):

„ბ-ნს იოსებ მერკვილაძეს
მ ო წ ყ ა ლ ე ო ხ ე ლ მ წ ი ფ ე ო!

საქართველოს სიამაყის, განსვენებულის მგოსნის აკაკი როსტომის ძის წერეთლის ანდერძის თანახმად, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო უკვე შეუდგა განსვენებულის თხზულებათა გამოცემის თადარიგს. ამასთანავე საბჭო აგროვებს ყოველგვარ ნივთს, რომელიც აკაკის საკუთრებას შეადგენდა, აკაკის წერილებს ნაცნობ-ნათესავთადმი და მეგობრებისადმი და ამათს წერილებს აკაკისადმი, მგოსნის თხზულებათა ავტოგრაფებს და ყოველგვარს ცნობას, რომელიც მგოსნის ბიოგრაფიისათვის გამოდგება. თხზულებათა გამოცემისათვის დიდი მნიშვნელობა ექმნება ცნობას თუ როდის, რა შემთხვევის გამო, დაუწერია მგოსანს ესა თუ ის ლექსი ან სტატია, მოთხრობა ან პოემა, ან კიდევ რომელ

თანამედროვე პირი ჰყავს ავტორს ნაგულისხმევი ამა თუ იმ ნაწარმოებში.

გაუწყებთ რა ამას, საზოგადოების საბჭო მოგმართავსთ თქვენ, როგორც განსვენებულის მგოსნის გულითადს მეგობარს და დაახლოებულს პირს, და გთხოვსთ მოგვაწოდოთ იქვენი მოგონებანი განსვენებულის შესახებ, აგრეთვე თუ რამ მისი ნაწერი ან კერძო წერილი და ნაქონი ნიუთი მოგებოვებათ. თქვენც დაგვეთანხმებით, რომ უკეთუ ასეთი მასალები ამ მოკლე დროში არ იქნა შეკრებილი, რაც დრო გავა, ითანდათან გაიფანტება, დავიწყებას მიეცემა და სამუდამოდ დაიკარგება. ყოველი ნიუთი, წერილი ან ავტოგრაფი, რომელთაც „საზოგადოებას" მოაწვდით, დაცულ იქნება საზოგადოების მუზეუმში აკაკის სახელობის მომავლის დარბაზისათვის.

საზოგადოების თავმჯდომარე — ს. ყაყაიშვილი
მდივანი — ს. გორგაძე"

საგულისხმოა, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების იმავე 1915 წლის 25 თებერვლის კრებაზე ს. ჯორგაძემ წაიკითხა მოხსენება „აკაკი წერეთელი და ჩვენი სალხური პოეზია". მოხსენებელმა მოკლედ გააცნო დამსწრე საზოგადოებას დიდი მგოსნის აზრი სალხური პოეზიის შესახებ; ნათლად აჩვენა, რომ ა. წერეთელი ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინათ შეუდგა სალხური სიტყვიერების შეკრებას, ხოლო ოცდიდე წლის წინ კიდეც დაიწყო მისი ბეჭდვა თავის „კრებულში". მომხსენებელმა წარმოადგინა პოეტის მიერ შეკრებილი სალხური სიტყვიერების ნიმუშები და ცხადჰყო ის აზრი, რომ ქართული სალხური პოეზია როგორც ფორმის სიმშვენიერით და გრძნობის სიძლიერე-სიფაქიზით, ისე ენის მუსიკალობით ისე განვითარებულა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პირველსარისხოვანი პოეტების ქმნილებებსაც კი უსწრებს წინ. ამიტომ სრულიად არ იყო გასაკვირი, რომ აკაკი წერეთელმა ესოდენ დიდი ყურადღება მიაქცია სალხურ შემოქმედებას. იგი ხმამაღლა აცხადებს, რომ „უმაღლეს წერტილამდე იყო აყვანილი ჩვენი სასალხო პოეზია". იგი „უტყუარი სარკეა გადასული ცხოვრებისა და ისტორიის მტკიცე საძირკველიაო" („კრებული", 1897, № 1, გვ. 72).

აკაკი წერეთლის წლისთავზე ექვთიმე თაყაიშვილმა დამსწრეთ გააცნო საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ გაწეული დიდი მუშაობა განსვენებული მგოსნის ანდერძის აღსრულები-

სათვის: გვირგვინების ნაცვლად, თანახმად გასვენებულის სურვილისა, დაარსდა სახალხო პოეზიის ფონდი, რომლისთვისაც დღემდის შეგროვდა ხუთმეტი ათას მანეთზე ცოტა მეტი... დაიბეჭდა და ცალკე წიგნად გამოვა... ყველა ის ლექსები, იგავ-არაკები, სიმღერები, სიტყვის მასალანი, რომელიც ჩვენი საზოგადოების გამოცემაში იბეჭდებოდა, ცალკე გამოვა აგრეთვე იქვე დაბეჭდილი ხალხური ზღაპრები"... ექვთიმემ აღნიშნა, რომ საზოგადოების მიერ არჩეული კომისია შეუდგა აკაკის საწარმოებთა გამოცემას და „გამოსცემს ჯეროვნად, როდესაც დღევანდელი პირობები შეიცვლება, ე.ი. როდესაც შესაძლებელი იქნება ქაღალდის შოვნა და ბეჭდვის მოწყობა". ამასთან დაამატა, რომ ამ კერძო ანდერძის გარდა ქართველ ერს დიდმა მგოსანმა უფრო დიდი ანდერძი დაუტოვა. ესაა... თვითგანწირული ზრუნვა ქართველი ერის კეთილდღეობისათვის, მისდამი სიყვარული, მისდამი თავგანწირვა, მისი კულტურის დაცვა, ტერიტორიის შერჩენა, ენის და ლიტერატურის განვითარება, ეროვნული თვითშეგნება, დემოკრატიული მისწრაფება და თავისუფლების მოპოვება".[1] მართლაც დიდი და მნიშვნელოვანი დანაბარებია. ეს აკაკისთან ერთად დიდი ილიას აზრიც იყო. ეს იყო სწრაფვა ნიკო ნიკოლაძის, დიმიტრი ყიფიანის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვა მამულიშვილებისა.

რიცა დადგა საკითხი განსვენებული აკაკი წერეთლის საფლავის შემაგრების, გამშვენებისა და მოვლა-პატრონობის შესახებ, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ქმედითი მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში. საზოგადოების კრებამ საგანგებოდ იმსჯელა ამ საკითხზე 1916 წლის 20 თებერვალს. ე. თაყაიშვილმა სხდომას მოახსენა, რომ ა. წერეთლის საფლავი უსერსულ ალაგას იყო მოთავსებული, ისეთი კლდის ძირში, რომელსაც არავითარი სიმაგრე არა აქვს და ყოველი ნიაღვრის დროს იშლება. ამის გამო მგოსნის საფლავი მუდამ განსაცდელშია, გაწმენდა და ხშირი მოვლა სჭირდებოდა. ჯერ კიდევ 1916 წლის ზაფხულში საზოგადოების წევრმა იოსებ მერკვილაძემ საბჭოს სთხოვა გაეღო სარჯები კლდის გასამაგრებლად და საფლავის გასამშვენიერებლად. საბჭო დათანხმდა თანხის გაღებას თანაც გამოჰყო კომისია ი. მერკვილაძის, ირ. სონღულაშვი-

---

[1] ე. თაყაიშვილის პირადი არქივი საქ. № 1107. იხ. აგრეთვე ა. სუბგულაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1977, გვ. 148-152.

ლისა და ნ. კალანდაძის შემადგენლობით. ამის შემდეგ ი. მერკვილაძემ ახალი მოსსენებითი ბარათი წარუდგინა საბჭოს, სადაც ხარჯების სავარაუდო რაოდენობას 2400 მანეთით განსაზღვრავდა. საზოგადოების საბჭომ ასეთი დიდი თანხის გაღება კრების დაუკითხავად ვერ გაბედა. თანსა უნდა გაცემულიყო აკაკის ფონდიდან (სხვა თავისუფალი თანსა საზოგადოებას არ გააჩნდა), რომლის პირდაპირი დანიშნულება სალსური სიტყვიერების შეკრება და გამოცემა იყო. ამას გარდა საბჭო არ იყო დარწმუნებული ამ სარჯის გაწევის შემდეგ საბოლოოდ ეშველებოდა თუ არა საქმეს. ზოგიერთმა ის აზრიც კი გამოთქვა, რომ დიდი მოსანი გადაესვენებინათ უფრო მტკიცე და ბუნების სტიქიისაგან უზრუნველყოფილ განსასვენებელ ადგილზე იქვე მთაწმინდაზე ან დიდუბის „ქართულ პანთეონში“. ცხარე კამათის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აკაკის ცხედარი იქვე უნდა დარჩენილიყო და გაემაგრებინათ საფლავი. გამოიყო კომისია (კ. ცინცაძე, ნ. თალაკვაძე. გრ. დიასამიძე, ი. მერკვილაძე, ი. ზედგინიძე, შ. ქარუმიძე, სვ. კლდიაშვილი, ლ. დიასამიძე, ა. კალგინი, გ. ქურდიანი, ივ. ყიფშიძე), რომელსაც დაევალა საკითხის შესწავლა და წინადადების წარმოდგენა (იხ. საზოგადოების წლიური კრების ოქმი №118). ამის შემდეგ, როგორც ჩანს, საზოგადოებამ ქმედითი მონაწილეობა მიიღო მთაწმინდაზე ა. წერეთლის საფლავის გამაგრება-გამშვენიერებასა და მოვლა-პატრონობაში.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ დიდი ამაგი დასდო აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოსაცემად მომზადების საქმეს. საზოგადოების საბჭომ 1915 წლის 9 მაისს ოქმი № 113) დაამტკიცა აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემის დაწვრილებითი გეგმის შემმუშავებელი კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: ს. გორგაძე, ი. ყიფშიძე, დ. კილასონიძე, ირ. სონღულაშვილი და გ. ქიქოძე. კომისიის საქმიანობა ექვთიმე თაყაიშვილის შეუნელებელი ყურადღებით იყო მოსილი. 1915 წლის 24 ივნისისათვის კომისიამ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს წარუდგინა თავისი წინადადება სათანადო დასკვნით.

ეს გამოცემა უნდა ყოფილიყო პირველი სრული, ყველასთვის (როგორც ჩვეულებრივი მკითხველისათვის, ისე მკვლევართათვის) გამოსადეგი, ყველასათვის (როგორც მდიდართა, ისე ხელმოკლეთათვის) ხელმისაწვდომი და იმავე დროს საისტორიო და საეთნო-

გრაფიო საზოგადოებისათვის ნივთიერად ხელსაყრელი გამოცემა. მის შემოსავალს, აკაკისავე ანდერძის თანახმად, უნდა გაეზარდა ხალხური სიტყვიერების ფონდი. ამიტომ ეს გამოცემა არ უნდა ყოფილიყო მდიდრული და მხატვრულ-სურათებიანი. ერთადერთი სამკაული, რომელიც ამ გამოცემის ყოველ ტომს დასჭირდება, იქნებოდა გარეკანისა და პირველი გვერდის (ტექსტის დასაწყისში) ორნამენტი; ამას გარდა კომისიას სასურველად მიაჩნდა პატარა ორნამენტი (საბოლოო) ყოველი ტომის ბოლოში, ტექსტის დასასრულს მოთავსებულიყო. სამკაული უნდა ყოფილიყო ქართული ხასიათისა. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით გამოცემაში უნდა შეეტანათ როგორც ქართული, ისე რუსული (როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი), როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული (მიწერ-მოწერითურთ); ყოველი ნაწარმოები უნდა დაბეჭდილიყო მთლიანად. ნაწარმოების ტექსტიდან ცალკე ნაწყვეტის ამოღება და დაბეჭდვა არ უნდა მომხდარიყო. გამოცემაში აკაკის თხზულებათა ტექსტი უნდა დადგენილიყო და ორთოგრაფიულად შესწორებულიყო (უკიდურეს შემთხვევებში) უმეტესად თვით ავტორისავე უკანასკნელი დროის ავტოგრაფების მიხედვით. ყოველი ნაწარმოების შესახებ (როცა კი შესაძლოა) უნდა მოცემულიყო ცნობა, თუ სად და როდის არის დაწერილი ან დაბეჭდილი, ან რომელი პირისა და შემთხვევის გამოა შედგენილი ესა თუ ის ნაწარმოები (ეს ცნობები უნდა მოთავსებულიყო ტომის ბოლოში).

მთელი გამოსაცემი მასალა უნდა დალაგებულიყო შემდეგ ჯგუფებად: ა) ლექსები; ბ) იგავ-არაკები; გ) პოემები და გალექსილი ზღაპარ-ლეგენდები; დ) სცენები და დრამატიული ნაწერები (როგორც გალექსილნი, ისე გაულექსავნი); ე) მოთხრობები და ზღაპრები; ვ) წვრილ-წვრილი ამბები და ნაკვესები; ზ) პუბლიცისტური ხასიათის ნაწერები („ცხელ-ცხელი ამბები", „ნადუღი" და მისთანანი); კრიტიკული წერილები და საბიბლიოგრაფიო შენიშვნანი; თ) სიტყვები; ი) კერძო წერილები და საზოგადოდ აკაკის მიწერ-მოწერა; კ) რუსული ნაწერები. ყოველი ჯგუფის ნაწერები ტომებში უნდა დაწყობილიყო ქრონოლოგიურ რიგზე (მათი დაწერისა და დაბეჭდვის თარიღის მიხედვით).

პირველ ტომში ლექსების წინ უნდა მოთავსებულიყო აკაკის „ჩემი თავგადასავალი", შემდეგ კი ლექსები ქრონოლოგიური რიგით.

ტომს უნდა დართვოდა აკაკის, მისი მშობლების, დის, ცოლ-შვილისა და მამა-პაპეული კარმიდამოს სურათები.

კომისიამ წარმოადგინა დეტალური წინადადებები ქაღალდის, შრიფტების, ფორმატის, ბეჭდვის წესისა და საბიბლიოგრაფიო ცნობების შესახებ. გამოცემას (პროექტით გათვალისწინებული ქაღალდისა და შრიფტის მიხედვით 20 ტომამდე უნდა ყოფილიყო) ბოლოს ცალკე დამატებად უნდა დართვოდა სრული ანბანური საძიებელი. მოცემული იყო სრული სარჯთაღრიცხვა.[1]

ამგვარი სასით აკაკის თხზულებათა გამოცემა, რასაკვირველია, მისასალმებელი იყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო ამ საქმის განსორციელება გაჭირდა. ამევარი ვრცელი (სრული) გამოცემა იმდროისათვის ვითარების სირთულისა და უსახსრობის გამო ვერ განხორციელდებოდა. 1917 წლის 12 იანვრის აკაკის თხზულებათა გამოცემის გეგმის შემმუშავებელი კომისია კვლავ შეიკრიბა. სხდომას დაესწრნენ ს. გორგაძე, გ. ქიქოძე და დ. ყიფშიძე. ამ კომისიას საბჭოსაგან დავალებული ჰქონდა აკაკის თხზულებათა გამოცემის ადრე შემუშავებული დაწვრილებითი გეგმის გამარტივება. კომისიის შემადგენლობაში მყოფი პავლე ინგოროყვა მოუცლელობის ვამო ვერ დაესწრო სხდომას, თავისი აზრი კი — წერილობით წარმოადგინა. ვფიქრობთ მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს სელოვნების მუზეუმში დაცული (ყ. 876, საქ. 27) ეს წერილი:

„დიდად პატივცემულო ბ-ნო სერგო![2]

სწორედ დღეს საღამოს დანიშნულია წერა-კითხვის საზოგადოების საგამომცემლო სექციის კრება, რომელზედაც უნდა განისილონ ჩემ მიერ შედგენილი გეოგრაფიული ლექსიკონი. ამ კრებაზე ჩემი წაუსვლელობა ყოვლად მოუსერხებელი იქნება და ძალიან ვწუხვარ — რომ თქვენი კომისიის სხდომას ვერ დავესწრები. მაინცა და მაინც შეხედულებას აკაკის გამოცემის შესახებ დათიკო[3] გაგაცნობსთ. მოკლედ—ჩემი აზრი ასეთია: გამოცემა უნდა იყოს სრული და უსათუოდ კრიტიკული. ჰონორარის გულისათვის საქმეს ნუ შეეაფერხებთ.

თქვენი პავლე ინგოროყვა“.

---

1 კომისიის ასვარიში დაცულია ხელ. მუზეუმის ფონდში, ყ. 847, საქ. № 27.

2 მიმართავს ს. გორგაძეს.

3 მსედველობაშია დავით ყიფშიძე.

კომისიამ გაითვალისწინა საზოგადოების საბჭოს მითითებები, ის საშუალებები, რაც აღნიშნული საქმის განხორციელებისათვის საბჭოს გააჩნდა და ასეთი დადგენილება მიიღო:

„1. ამჟამად გადაიდოს აკაკის თხზულებათა სრული გამოცემა და მის ნაცვლად გამოიცეს მხოლოდ რჩეული ნაწერები.

2. გამოცემა უსათუოდ უნდა იყოს კრიტიკული.

3. სპეციალისტ-მკვლევართათვის ამ გამოცემას ცალკე დამატებად დაერთოს აკაკის სრული ბიბლიოგრაფია"[1].

კომისია თვლიდა, რომ ასეთი გამოცემა შესამჩნევად შეამცირებდა გამომცემლობის ხარჯებს. ამჯერად შეთავაზებულ შემთხვევაში მთელი გამოცემა 5-6 ტომით განისაზღვრებოდა (ნაცვლად 20 ტომისა). ეს მკითხველისთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა, რადგან ამ ტომების ფასი 20 მანეთს არ აღემატებოდა, ნაცვლად წინანდელი 60 მანეთისა.

კომისიის სხდომის ოქმში ცალკეა შეტანილი (დაფიქსირებული) კერძო აზრი დ. ყიფშიძისა, რომელსაც სასურველად მიაჩნია დაიბეჭდოს აკაკის ის ნაწერები, რომლებიც მანამდე გამოქვეყნებული იყო.

როცა ცალკეული თხზულებების გამოცემაზე მიდგა ჯერი, აღმოჩნდა, რომ აკაკი წერეთელს მთელ რიგ ნაწარმოებებზე გამოცემის უფლება გაყიდული ჰქონდა. ჩვენს ხელთ არის საგანგებოდ ნოტარიალურად დამოწმებული ხელშეკრულების პირი, რომელიც გვაუწყებს, რომ ისტორიული რომანი „ბაში-აჩუკი", ისტორიული პოემები „ნათელა", „კიკოლას ნაამბობი" და „ბაგრატ დიდი" აკაკი წერეთელმა სამუდამოდ გამოცემის უფლებით მიჰყიდა იოსებ მერკვილაძეს. «... За продажу эту я князь Церетели выговорил себе одну тысячу пятьсот рублей, которые сполна и получил и за сим к нему Иосифу Мерквиладзе и преемникам его переходит право издания и продажи оказанных произведений навсегда»[2].

ეს ხელშეკრულება 1913 წლის აპრილშია გაფორმებული. ი. მერკვილაძე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი იყო და, როგორც ჩანს, აკაკის გარდაცვალების შემდეგ, მისი ანდერძის განხორციელებას (საზოგადოების მიერ ა. წერეთლის თხზულებათა

---

1 ხელ. მუზეუმის ფონდი, ფ. 876, საქ. 27.

2 იქვე, ხელშეკრულების პირი დაცულია იგივე ფონდში.

გამოცემისა და ხალხური სიტყვიერების ფონდის შექმნის შესახებ) მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს. მან თავისი მზადყოფნა, უსასყიდლოთ დაეთმო გამოსაცემად აკაკის თხზულებები საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის გამოსაცემად, წერილობით გამოხატა. აი ი. მერკვილაძის განცხადება (დაცულია ხელ. მუზეუმის ფონდში, ყ. 876, საქ. № 27). ე. თაყაიშვილისადმი:

„ქართული ეთნოგრაფიული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს ბ. ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილს

ამავე საზოგადოების მუდმივი წევრის იოსებ ნიკოლოზის ძის მერკვილაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

განსვენებული ჩვენი სასიქადულო და უკვდავი მგოსნის აკაკის ანდერძით მისი ნაწარმოების საავტორო უფლება გადადის ქართული ეთნოგრაფიული საზოგადოების ხელში. ამის გამო და აგრეთვე ასაცილებლად ყოველგვარი გაუგებრობისა ან მითქმა-მოთქმისა მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს გაცნობოთ თქვენ როგორც ხსენებული საზოგადოების თავმჯდომარეს და წარმომადგენელს შემდეგი:

განსვენებული აკაკისგან ნოტარიუსთან დადებული ხელშეკრულობით შეძენილი მაქვს სრულ და სამუდამო საკუთრებათ ოთხი მისი ნაწარმოები სახელდობრ:

1. ისტორიული მოთხრობა „ბაში-აჩუკი“ და ისტორიული პოემები 2) „ნათელა“ 3) „კიკოლას ნაამბობი“ და 4) „ბაგრატ დიდი“, გარდა ამისა მისვანვე შინაური ბარათით შეძენილი მაქვს ერთი გამოცემის უფლება ისტორიული დრამის „პატარა კახი“. ეს ბარათი მოცემულია 1913 წ. 7 აპრილს. გაცნობებთ რა ზემოხსენებულს, პატივი მაქვს გაგიცხადოთ, რომ მე ვისარგებლებ კანონიერი უფლებებით და გთხოვთ იქონიოთ ეს ჩემი განცხადება მხედველობაში.

აქვე დავსძენ: როცა საზოგადოება შეუდგება აკაკის ნაწერების ტომებათ სრულს აკადემიურ გამოცემას, მე ჩემი მხრით სავალდებულოთ მივიჩნევ არ შევუშალო ხელი ასეთ სასარგებლო საქმეს აკაკის რომელიმე ნაწარმოების გამოკლებით და „საზოგადოებას“ უსასყიდლოდ ნებას დავრთამ მოათავსოს იმ გამოცემაში ჩემ მიერ შეძენილი თხზულებებიც სხვა მის ნაწერებთან ერთად მხოლოდ იმ

პირობით რომ ეს თხზულებები არ იქნეს გამოცემული ცალკე ტომათ, ან თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ამასთანავე წარმოგიდგენთ ზემოხსენებული საბუთების ასლებს.

1) ტფ. ნოტარიუსის მიტკევიჩის მიერ შემოწმებული ხელ-შეკრულებისა 1913 წლის 9 აპრილს (რუსულ ენაზე) და 2) ჩემ მიერ შემოწმებულს შინაური ბარათის ასლს (7 აპრილი 1913 წლისა).

უღრმესის პატივისცემით საზოგადოების მუდმივი წევრი
იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძე“.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება იწყებს ზრუნვას აკაკი წერეთლის თხზულებათა შეძლებისდაგვარად (ძირითად გამარტივებული გეგმით) გამოცემისათვის. გამომცემლად შერჩეული იქნა „თ. მთავრიშვილის ამხანაგობა“. ამ ამხანაგობის წარმომადგენლის თომა აბრამის ძე მთავრიშვილის მიერ წამოყენებული პირობები აკმაყოფილებდა საზოგადოებას. 1919 წლის 2 აგვისტოს აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემის შესახებ გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება (საზოგადოების სახელით ხელს აწერდა მისი თავჯდომარე ე. თაყაიშვილი) უთმობდა დიდი მგოსნის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოცემის უფლებას „თ. მთავრიშვილის ამხანაგობას“ — შემდეგ პირობებით: გამოცემა უნდა განხორციელებულიყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით; გამომცემელს უნდა ეკისრა ყოველგვარი შრომა და (სარედაქციო, კორექტურა და სხვ.) ხარჯი; გამომცემელს უფლება ეძლეოდა გამოეცა ცალკე წიგნებად (ბროშურებად) აკაკის ყოველი ნაწარმოები, რომელსაც თვითონ მოისურვებდა, გარდა იმ თხზულებებისა, რომელთა გამოცემის უფლება თვით საზოგადოებას არ ჰქონდა; გამომცემელს უფლება ეძლეოდა განეხორციელებინა გამოცემა ხელშეკრულების დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში; საზოგადოებას უფლება არ ჰქონდა „მთავრიშვილის ამხანაგობის“ მიერ გამოცემული აკაკის თხზულება, ორი წლის განმავლობაში დღიდან მისი დაბეჭდვისა, თვითონ გამოეცა, ან სხვისთვის გადაეცა გამოსაცემად; თითოეული წიგნის ტირაჟი უნდა ყოფილიყო არა უმეტეს 5000-ისა. გამოცემულ ცალთა რაოდენობა ყოველთვის გამომცემელს უნდა ეცნობებინა საზოგადოების საბჭოსათვის; საზოგადოე-

ბას უნდა მისცემოდა ყოველ დაბეჭდილ ცალზე ნომინალური ფასის 15%. ამასთან გამომცემელს უფლება არ ჰქონდა წიგნის ნომინალური ფასი გაედიდებინა (გამოცემის შემდეგ) საზოგადოების საბჭოსთან შეუთანხმებლად; გამომცემელს კუთვნილი თანხა უნდა ჩაებარებინა საზოგადოების საბჭოსათვის ერთი წლის განმავლობაში დღიდან წიგნის გასაყიდად გამოსვლისა; საზოგადოება იტოვებდა უფლებას აკაკის თხზულებები გამოეცა ტომებად, როცა მოისურვებდა.

ასე დაიწყო დიდი საქმიანობა აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოსაცემად. 1919-20 წწ. ქართველმა მკითხველმა მიიღო ცალცალკე წიგნებად გამოცემული „თორნიკე ერისთავი“, „პატარა კახი“, „თამარ-ცბიერი“ და „გამზრდელი“. აქედან ჩაეყარა საფუძველი ამ დიდ საქმეს. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ოცნებას — განხორციელებულიყო აკაკის თხზულებათა სრული და კრიტიკული გამოცემა — ფრთები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეესხა. საზოგადოების მიერ გაწეული დიდი საქმიანობა იყო საფუძველი,რომელსაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დიდი მგოსნის თხზულებათა გამოცემის მეცნიერულ რელსებზე დაყენების საქმეში.

დასასრულს, გვისდა აღვნიშნოთ, რომ დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან დააახლოვა ამ უკანასკნელის ფრიად მნიშვნელოვანმა კონკრეტულმა და სასარგებლო ეროვნულმა საქმიანობამ და ისტორიისა და ხალხური შემოქმედების დიდმა სიყვარულმა. საზოგადოებაც ფართოდ უღებდა კარს საქართველოს გამოჩენილ მოღვაწეებს, რომელთა გვირგვინიც თვით მისი საპატიო წევრი საქართველოს უგვირგვინო მეფე აკაკი წერეთელი იყო.

„დამმარხეთ საქართველოში...“

მასალები მიხეილ საბინინის ცხოვრებიდან

1900 წლის 13 მაისს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ მოკრძალებულ ადგილს უთმობდა განცხადებას, რომ „მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი გამომცემელი „საქართველოს სამოთხისა“, „საქართველოს დიდებისა“ და სხვა ისტორიულ თხზულებათა საქართველოს შესახებ მიხეილ (გობრონ) საბინინი.“

მიხეილ საბინინი ფილტვების ანთებით გარდაიცვალა 1900 წლის 10 მაისს, მოსკოვში, დაიკრძალა იქვე.

მიხეილ საბინინის გარდაცვალებას მწუხარებით შეხვდნენ საქართველოში. 15, 16 და 17 მაისს შუამთის მონასტერში პანაშვიდი გადაუხდიათ მისი სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი იქნა გადახდილი აგრეთვე თეთრი წმ. გიორგის მონასტერში (კახეთში). 27 მაისს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსს კირიონს გადაუხდია წირვა და პანაშვიდი („ცნობის ფურცელი“, 1900 წ., 27 მაისი, № 1136).

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე იგი თავისი ძმის მდგომარეობის შესახებ დავით კარიჭაშვილს სწერდა:

«...Сердечно уважаемый и любимейший Давид Григорьевич!

...Болею и очень серьезно — но прежде сделалась со мною нервная горячка, чуть не отправился к праотцам и немного лучше и хочу совсем забыться и все позабыть и всю рукопись свою выслать Вам в библиотеку, довольно проработал и пусть докончат лучше другие, не завидую никому — на здоровье. Молю Вас, передайте всем мой поклон — целую Вас — и желаю Вам здоровья и благословения неба.

Уважающий Вас сердечно, Ваш всепокорнейший слуга грешный всеми обиженный Михаил Павлович Сабинин.

Москва, 16 февр. 1898 г.»

ეს „ცოდვილი" და „ყველასაგან დაჭაბნილი" პიროვნება გახლდათ საქართველოს სიძველეებისა და ეკლესიის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი[2], ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების რუსულ ენაზე მთარგმნელი და გამომმზეურებელი[3], „საქართველოს სამოთხის" შემდგენელი და დამსურათებელ-გამომცემელი[4] და სხვა მრავალი სასიკეთო საქმის შემოქმედი მიხეილ (გობრონ) საბინინი.

მიხეილ საბინინი დაიბადა 1845 წელს. მისი მამა პავლე საბინინი ტვერის ეპარქიის მღვდელი იყო. იგი შემდეგში საქართველოში დასახლებულა და ცოლიც ქართველი — მირზიაშვილის ქალი — ჰყოლია. მიხეილს ოჯახში ქართული აღზრდა მიუღია. მას წარმატებით დაუმთავრებია თბილისის კლასიკური გიმნაზია. გიმნაზიაში სწავლის პერიოდშივე მიუქცევია ყურადღება საქართველოს სასულიერო ისტორიისათვის. მ. საბინინს შეუსწავლია საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაცული ქართული ხელნაწერები, დაინტერესებულა ხატებით, წმინდანთა საფლავებით, ჩაუწერია სხვადასხვა თქმულება-გადმოცემანი, გიმნაზიის წლებში წაუკითხავს პლატონ იოსელიანის შრომები და გასცნობია მის მიერ გამოცემული ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს.

მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლების პეტერბურგი მოწინავე რუსული კულტურის ჭეშმარიტი ცენტრი იყო და დაინტერესებულ, სწავლამოწყურებულ ახალგაზრდას ბევრი რამის მიღება შეეძლო. მიხეილ საბინინი იმთავითვე დაუახლოვდა პეტერბურგის მიტროპოლიტს ისიდორე ნიკოლსკისა (1844 წ. 12.XI-დან — 1858 წლის 1. III-მდე საქართველოს ეგზარქოსი იყო) და იოანე გრიგორის ძე გრუზინსკის. იოანე გრიგოლის ძე ქართველი სახელმწიფო მოღვაწის, განმანათლებელ-ენციკლოპედისტის, მწერლის, მეცნიერისა და ლექსიკოგრაფის იოანე ბატონიშვილის (ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის შვილი) შვილიშვილი იყო. მას ქართული ხელნაწერების მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა და მიხეილი შეუზღუდავად სარგებლობდა ამ სიკეთით.

მ. საბინინი პეტერბურგში გაეცნო გამოჩენილ ქართველოლოგებს — მ. ბროსესა და დ. ჩუბინაშვილს. მათთან ურთიერთობამ და კონსულტაციებმა კი მნიშვნელოვნად განაპირობეს ახალგაზრდა მეცნიერის წარმატება.[5]

1871-73 წლებში მ. საბინინმა გამოსცა საქართველოს ეკლესიის წმინდანთა სრული აღწერილობა (სამი წიგნი), რომელიც უძღვნა

რუსეთის იმპერატორის მემკვიდრის, დიდი მთავრის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის სწავლას.

პეტერბურგის სასულიერო აკადემია მიხეილმა 1875 წელს დაამთავრა. აქვე მიიღო ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი — თხზულებისათვის „საქართველოს ეკლესიის ისტორია VI საუკუნის ბოლომდე". აქედან მოყოლებული მეტად ნაყოფიერი იყო მიხეილ საბინინის მოღვაწეობა საქართველოსა და რუსეთში. მისი დიდი ღვაწლი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თანამედროვეებს. ნიშანდობლივია, რომ 1899 წელს (მ. საბინინის სიცოცხლეშივე) გამოცემული „ენციკლოპედიურ ლექსიკონის XXVIII ტომში საგანგებო სტატიაა მ. საბინინის შესახებ. აი ისიც:

«САБИНИН (Михаил Павлович, Геброн) — историк грузинской церкви, по происхождению грузин. По окончании Тифлисской гимназии, поступил вольнослушателем в СПб духовную академию и получил степень кандидата за сочинение: «История грузинской церкви до конца VI в.» (СПб., 1877). Еще ранее, в 1871 г., он издал «Полное жизнеописание святых грузинской церкви до конца VI в.». Оба сочинения писаны по грузинским первоисточникам, почему излагают предмет с гораздо большею подробностью, чем предшествовавшие ему издатели, напр., Иоселиани. Главный и наиболее ценный труд С.: «Древние акты грузинской церкви», извлеченные из рукописей и на грузинском языке, с русским переводом С., изданные академией наук».[6]

ერთი შეხედვით, თითქოს აღიარებულმა მიხეილ საბინინმა ; ცხოვრების ურთულესი გზა განვლო. როგორც მისი პირადი წერილებიდან ირკვევა, მეცნიერს არაერთი დაბრკოლება გადაეღობა წინ, როგორც იმდროინდელი ქართული საზოგადოების მტრულად განწყობილი ნაწილისაგან, ასევე რუსეთის მოწინავე წრეების ზოგიერთი მესვეურისაგანაც. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა მისეილ საბინინის წერილი ზაქარია ჭიჭინაძისადმი:

„ძმაო ზაქარიავ!

...მე დედისაგან საშინელი გოდების წიგნი მივიღე. ფრიად გაჭირვებული არის. მეც ეხლა მეჭირება. არ ვიცი რა ვქმნა. ერთიორი წიგნი[7] გაუყიდე, თუ ღმერთი გწამს და ფული ჩააბარე. და აგრეთვე წმ. ნინოს ხატი ორ-ორ აბაზად მიეცი; მთხოვნელნი იქნებიან, ხელი გამიმართე მამაშვილობას. ძმაო ზაქარია, თუ ვინდა

პორტრეტის ფული ჩააბარე დედას და მომწერე. მე აქ გავაკეთებ და გამოგიგზავნი, რომელიც დაგჭირდება...

რუსები მქეჯნიან, რომ მათი — ქართველების მხარე გიჭირავსო და ქართველები, ვითა რუსების აგენტი არისო. არ ვიცი ვის რა ვუყავი... ორივე პირთა ფრიად შეამაწუხეს"[8]

სინამდვილეში მიხეილ საბინინი განასახიერებდა ამ ორი ხალხის — რუსებისა და ქართველების ურღვევ ძმობას, იგი ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი იყო და პირუთვნელად ემსახურებოდა ამ საქმეს.

მის ნაღვაწს, ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის მიერ სელის გამართვასთან ერთად, ზოგიერთი რომ გარკვეული შურით შეხვდა და ყოველგვარად სელს უშლიდნენ მეცნიერს, ნათლად ჩანს „საქართველოს სამოთხის" წინასიტყვაობიდან, რომელიც მიხეილ საბინინის მიერაა დაწერილი. აქ ჩვენ ვიგებთ, რომ მასალების შეკრება მეცნიერს თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის წლებში დაუწყია. „იქვე შეუდეგ მე ამ ფრიად ძნელსა და შეუძლებელსა საქმეს; ამისთჳს ადრევე შეუდეგ ჩუენის ეკლესიებისა და მონასტრების მოხილვასა და არა რაჲ განეპარებოდა თუალთა ჩემთა, რაცა შეეხებოდა ჩემს სურვილსა და აზრსა — მრავალი დარჩომილი კითილი ვნახე. მრავალი სიწმინდე მივილოცე, მრავალი პატიოსანი ქართუელი პირი ვნახე, ვისწავლე და ვირგე მათგანდა რომელთა კეთილად მოვიხსენ მარად და აგრეთვე მრავალ უკეთურს და მეძავს და გარყვნილ გონებით კაცს შევხვდი.

— მგელნი ტყავთა შინა ცხუართასა, — რომელთა ვერიდები მარად და რომელნი მამულთ მოყუარეობით, მოღუაწეობით ჩუენის საცოდავი ეკლესიისათჳს და ყოველისფრივ მსახურებით იქებენ თავთა თჳსთა — სიტყვით ძლიერნი, მოქმედებით მცირენი".[9]

შვიდი წელი მოუნდა მ. საბინინი მასალების შეგროვებას და, როგორც თვითონ აღნიშნავს, აქამდე (ე. ი. 1882 წლამდე) უნდა გამოეცა, მაგრამ „ზემო თქმულნი პირნი, საქართველოს მემუშაკენი იყვნენ ღამაბრკოლებელნი ჩემნი, აღმიტყინეს სასულიერო და სამოქალაქო მთავრობა, ყოვლის ღონისძიებით ცდილობდნენ, რათა დამიხშონ ყუელგან კარი, ყოვლითა უწესოებით შემამკეს, რამეთუ თვით არარაჲ კეთილი მიუძღვით, გარდა მანქანებისა. მცბიერობისა და ცბიალაობისა და რომელთა ზომიძულეს ცუდათ, ამით შემ-

კულნი და მოქარგულნი იყინი ვითარ ცაქვი, ყოვლის ღონისძიებით ცდილობდნენ, რათა დაებრკოლებინათ წმიდა და ღუთის საყუარელი საქმე ესე...“[10]

მ. საბინინმა „საქართველოს სამოთხის“ გამოცემით ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ძველი ქართული მწერლობის შესწავლა-კვლევას. ეს იყო ქართული სასულიერო-მწერლობის ფაქტობრივად სრულყოფილი კრებული, რომლის მსგავსი მანამდე არ იცოდა ქართულმა საზოგადოებამ. კარგად ესმოდა თვით მ. საბინინსაც, რომ „...არა სადა იპოების ასრე ერცელი და შეკაზმული მშუენიერითა მხატვრობებითა, ვითარ წიგნი ესე“.[11] კრებულში შეტანილი მასალები მეცნიერს მიუკვლევია პეტერბურგის საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიისა და საზოგადო საწიგნობელებში. ძვირფასი ხელნაწერები, როგორც აღნიშნავდა მ. საბინინი, „დარჩომილნი ბატონიშვილთაგან, — რომელიმე მათგანი მერვე, მეცხრე, მეათე და ჩამომავალთა საუკუნეთა არიან. აგრეთვე პარიჟის სამეფო საწიგნობელისაგან — მოსკოვის ღავით ბატონიშვილისა და რუმინცევის საწიანობელთა სელნაწერთა წიგნთაგან...[12] აქ. მ. საბინინი გაცნობია არსენ იყალთოელის სელნაწერებს, კათალიკოსების: ვასილ, ბესარიონისა და ანტონ პირველის შრომებს. იგი აღნიშნავს, რომ შესაძლებელი იყო ამ კათალიკოსთა შრომების ცალ-ცალკე დაბეჭდვა, მაგრამ გამეორებას მოვერიდე და არც ჩემს მიზანს შეადგენდაო („ჩემს პროგრამაში არა იყო ცალ-ცალკის შრომის დაბეჭდვა“).[13]

„საქართველოს სამოთხეში“ მ. საბინინმა შეიტანა ქართული ისტორიული ლიტერატურის ორმოცდაათი უძვირფასესი ძეგლი (მოთხრობა მიძინებისა ყ-დ წმიდისა ღუთის მშობლისა, ანდრია მოციქულის ქადაგება, წამება წმ. მთავარმოწამისა გიორგისი, ცხოვრება წმ. ნინოსი, ცხოვრება იოანე ზედაზნელისა, ცხოვრება და წამება წმ. მოწამისა კონსტანტინე მთავრისა, ცხოვრება ღირსი მამის ილარიონ ქართველისა, ანდერძი გიორგი მთაწმინდელისა, ცხოვრება წმ. დიდებულისა, მეფისა დავით III აღმაშენებლისა, ანდერძი წმ. მეფისა დავითისა და გალობა სინანულისა მისივე, სიტყვისგება ბერისა ეფთვიმე გრძელისა, სოსთენის მიმართ სომხეთ მოძღუარისა და სხვ.) და გარკვეული ქრონოლოგიური პრინციპით დაალაგა. ამასთან, თითოეული თხზულების შეტანა, მეცნიერის აზრით, მიზნისპრივი დანიშნულებით იყო განპირობებული „ღუთისმშობლის მიძინებისა, — ამისათვის ვითარმედ ჩუენი ეკლე-

სია წილხდომილია ყოვლად უბიწოჲსა და მარადის ქალწულისა დედოფლისა მარიამისა, მოთხრობა ანდრია მოციქულისა, რამეთუ მან სანატრელმან, პირუელად ჰქადაგა სიტყუა ღუთისა ქუეყანასა ჩუენსა. მოთხრობა წმ. გიორგისა, რამეთუ დიდი გიორგი, ახლო ნათესავი იყო წმ. ნინოსი...[14] და ა. შ.

საზგასმულია, რომ ეს დიდი წიგნი, რომელიც 650-მდე გვერდს შეიცავს და ფორმატიც საკმაოდ შთამბეჭდავი აქვს, ერთ საუკუნეზე მეტი სნის წინ დაისტამბა და, ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ რთული იქნებოდა მისი პოლიგრაფიულად ესოდენ მაღალ დონეზე შესრულება. „მსატვრობები, — წერს მ. საბინინი, — ზოგიერთი გადმოვიღე წმ. სუეტის ცხოვლის კედლიდგან, ზოგნი მრავალმთის დანგრეულის მონასტრების კედლებიდგან, ზოგი მიბოძა კნიაზმან გრიგორი გრიგორის ძემ გაგარინმან — და ზოგიერთი ბატონიშვილის ხელნაწერთაგან და სხვ“[15]. სურათები არ იყო იმ დონეზე შესრულებული, რომ წიგნში შეტანილიყო, ამიტომ მ. საბინინის სამხატვრო აკადემიის სხვადასხვა მხატვრისათვის მიუმართავს და მასალა „სრულუქმნია“. დიდი გაჭირვებით შეუდგენია და გამოუცია წიგნი მეცნიერს. ხელისშეწყობის ნაცვლად ბევრ წინააღმდეგობასა და დაბრკოლებას შეხვედრია. მ. საბინინი შეძრწუნებული წერს: „დიდი ჭირი და იწროება ვნახე მე ამ წიგნის შედგენასა შინა და უმეტეს დაბეჭდვასა შინა, ვერ აღურიცხამ ყოველთა, ვითარ კაცი შევძრწუნდი და ლამის სასოწარკვეთილებას არ მივეცი თავი ჩემი — არა ვინ მყუანდა ქართუელთაგან შემწედ და გულ დამწველ, არამედ მრავალნი მტრად და მომძიმულეს ცუდად“.[16] მაგრამ ჭეშმარიტი მოღვაწე და საქართველოს ისტორიულ წარსულზე, მის კულტურაზე უსაზღვროდ შეყვარებული და მის შესწავლაზე დღენიადაგ მზრუნველი მიხეილ საბინინი თავს იმით იმშვიდებდა, რომ კარგად ესმოდა „საქართველოს სამოთხის“ გამოცემის ფასი და მნიშვნელობა („რათა არა წაირყუნას წმ. ენა ჩუენი და წმ. მამათა მოხსენებული და აღჭურვილი სულიერითა გონებითა და ტრფიალებითა, რათა არა დაგვკარგოდა საქართველოთი წმიდათა ცხოვრება“)[17].

მართლაც, დღეს საკამათო აღარ არის ის დიდი მნიშვნელობა, რაც მ. საბინინმა ქართული წერილობითი წყაროების შეკრებითა და მათი გამოცემით გააკეთა. იმთავითვე დადებითად შეაფასეს ეს მოვლენა მოწინავე ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებმა.

«Могу смело сказать, что книга эта со временем может

занять самое почетное место как по своему содержанию, так и по своей аккуратности в издании» — ასე წერდა „საქართველოს სამოთხის“ შესახებ დავით ჩუბინაშვილი. მაგრამ გამოჩნდნენ ავის მთქმელებიც. სასულიერო ცენზორმა მ. ხელიძემ, რომელიც, როგორც ჩანს, სასულიერო ისტორიის ცოდნით არ გამოირჩეოდა, უარყოფითი შეფასება მისცა წიგნს და დაასკვნა:

«Так как подстрочные замечания в книге почти на каждом шагу содержат слова и выражения резкие и оскорбительные для нынешних Грузин и Армян... книга эта не может быть рекомендована для приобретения духовенством грузинского экзархата, в настоящем ее виде».
(„შრომა“, 1882, № 47).

აღნიშნულ შეფასებას 1882 წლის 1 დეკემბერს მოჰყვა გაზეთ „შრომაში“ ფელეტონი (ეს ციტატი, სწორედ ამ ფელეტონიდან გვაქვს მოტანილი), რომელსაც ხელს აწერდა „მგზავრი კაცი“. ავტორი „საქართველოს სამოთხის“ გამოცემას უდიდესი მნიშვნელობის ფაქტად მიიჩნევდა. „ჩვენს სასულიერო ლიტერატურას გაესკვნა საძირკველი; ჩვენს სამღვდელოებას, რომლისთვისაც, საქართველოში სტამბის გახსნის შემდეგ, ორი კალამი არ მოსმულა ქართულად, დღეს გაუჩნდა საკითხავი წიგნი, საიდანაც მას შეუძლია აიღოს ცოცხალი მაგალითი ღვთისა და კაცთმოყვარეობის, მოყვასთათვის თავგანწირულობისა და ათას ნაირის სხვა კეთილზნეობისა“[18].

ავტორი ამათრახებს რეცენზენტს, ააშკარავებს მ. ხელიძის უსუსურ ბრალდებებს და დაასკვნის, ისეთი ვერაფერი ვნახეთ, რომ წიგნს ღირსებას ართმევდეს და სასულიერო წესდებისათვის სათაკილო იყოს; „მგზავრი კაცი“ სრულიად მართებულად მიიჩნევს წიგნში აღწერილი საქართველოს მონასტრების მდგომარეობას და თვითონაც უმატებს: მრავალი ჩვენი მონასტერი, სადაც სარწმუნოება წმინდად უნდა იყოს დაცულ-შენახული, „ვირების ქართად“ გადაიქცნენო. „ეს ნამდვილი ჭეშმარიტებაა. ამას არც ერთი ქართველი უღირს შეურაცხებად არ მიიღებს, არამედ პირიქით აღიარებს, რომ იმგვარი სიწმინდენი, როგორც დავით აღმაშენებლის სამარხი, დღეს ოთხფეხთა ქართად შექმნილი და ამ ქართის კარებად დარუბანდის კარებია, რომელნიც ჩვენი მკლავძალის ნაშთად უნდა ითვლებოდეს“.[19] ფელეტონის ავტორი მ. ხელიძეს უკიჟინებს, რომ თუ იგი ქართველთა პატიოსნებასა და სარწმუნოებას იცავს „ერთჯერ მაინც გაირჯებოდა და ორიოდე წიგნაკს შეადგენდა საქართველოს ეკლე-

სიის შესახებ!.. ზოგიერთი სხოლიო სომსებს შეეხება და შეეხება იმდენად, რამდენადაც ჩვენი სარწმუნოება მათისგან განირჩევა...

აგრე ბატ. რეცენზენტო, სხოლიოები დაგიწურავთ და წიგნის ღირსება, შინაარსი და მნიშვნელობა ლუკმა ღომივით გადაგიყლაპავსთ".[20]

მეტად საგულისხმოა გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნებული დიმიტრი ჯანაშვილის რეცენზია „საქართველოს სამოთხის" შესახებ. ეს წერილი გაზეთის 1882 წლის 24 (№ 245), 25 (№ 246) და 26 (№ 247) ნოემბრის ნომრებში გამოქვეყნდა. ავტორი წუხილით აღნიშნავს, რომ ქართული საერო და საეკლესიო მატიანენი სხვადასხვა მონასტრებისა და ეკლესიების წიგნთსაცავებშია გაბნეული, არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც — რუსეთში, საფრანგეთში, რომში. არის შემთხვევები, როცა ქართული ხელნაწერები ლონდონის, თეირანისა თუ სტამბოლის ბაზრებზე იყიდება.

დიმ. ჯანაშვილი დაუდევრობად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ქართველობაში არ მოიპოვება ისეთი პირი, რომელმაც საქართველოს ეკლესიის ისტორია ზედმიწევნით იცოდეს და შეშფოთებულია იმის გამო, რომ მ. საბინინის „საქართველოს სამოთხე" არც ერთ მღვდელს იმ დროისათვის არ გამოუწერია. ამის მიზეზად კორესპონდენციის ავტორი სამღვდელოების მოშლილობას მიიჩნევს: „ახლანდელ სამღვდელოებას, დაუდევრობისა გამო, აღარა აქვს ისეთი სასოება, ღვთისმოყვარეობა და გულითადი სურვილი გაავრცელოს სალხში წმიდათა მამათა ცხოვრებიდან მაგალითები სათნო ცხოვრებისა... ის იქამდე გულგრილია თავის მოძალეობაზე, რომ იშვიათად იპოვით მღვდელს, რომელმაც იცოდეს ზედმიწევნით წმ. ნინოს ცხოვრება მაინც„[21]

დიმ. ჯანაშვილი „საქარველოს სამოთხის" ავტორის დიდ დამსახურებად თვლის, რომ მან პირველმა მოძებნა და შეკრიბა „ქვეყნის პირზე მოფენილი ხელთნაწერები". ავტორს ესმის ის სირთულე,

რაც ასე დიდი წიგნის გამოცემასთან არის დაკავშირებული: „წიგნი ...სიდიდითარის ორი სახარებისოდენა. ამოდენა წიგნის გამოცემაზე მ. საბინინს ისრეთი ბეჯითი მეცადინეობა გაუწევია, რომ ის სრულიად უნაკლულოდ არის დასტამბული. სხვაარა იყოს რა, მარტო მისი გარეგანი შეხედულების სილვა მეტისმეტად სასიამოვნოა.

ჭეშმარიტად, რომ ის დიდს ძვირფასს საუნჯეს შეადგენს ჩვენს ისტორიულ ლიტერატურას".[22]

დიმ. ჯანაშვილი „საქართველოს სამოთხეს" თავისი მნიშვნელობით „ქართლის ცხოვრებას" უტოლებს. მისი აზრით, პირველი ავსებს მეორეს. აქ ისეთი ახალი ცნობებია, რომელიც სხვაგან არსად მოიპოვება; ნათქვამია საღმრთო და საეკლესიო წიგნების მთარგმნელებზე, ევსტატი ეპისკოპოსის მოსვლაზე ანტიოქიიდან საქართველოში, წმ. ნინოს თხოვნით (გვ. 96), ქართველთა უსწავლელობასა და დაუდევრობაზე (გვ. 104-105), ქიზიყის დედოფალ სუჯიზე, რომელიც წმ. ნინომ გამოგზავნა ქიზიყიდან მირიან მეფისთვის კახეთის გაქრისტიანების მისალოცად. რუისის ეკლესიაზე, რომლის ეპისკოპოსი და ეპარქია თამარ მეფის დედის ბურდუხანის მზრუნველობაში იყო (გვ. 111), ათონის მთაზე მონასტრების აშენებაზე, იქაური ბერების მოღვაწეობაზე, გიორგი მთაწმინდელის ბაასზე ანტიოქიის პატრიარქთან საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ (გვ. 338-488) და სხვ.[23]

დიმ. ჯანაშვილი განცვიფრებულია იმათი მოქმედებით, ვინც „საქართველოს სამოთხის" გავრცელებას ეწინააღმდეგებოდა იმ მიზეზით, რომ თითქოს მ. საბინინს ხელნაწერები გადაწერისას დაემახინჯებინოს. იგი ასაბუთებს აღნიშნული აზრის უსაფუძვლობას, საზს უსვამს, რომ საბინინის წიგნი ძლიერ სინდისიერად არის შედგენილი და გამოცემული და რომ მ. საბინინი ღრმა მადლობის ღირსია ასეთი შესამჩნევი განძის შეკრების, შედგენისა და გამოცემისათვის. ნიშანდობლივია, რომ წერილი ასეთი განცხადებით მთავრდება: „ფასი წიგნისა გამოწერით 17 მანეთია".

თვით მ. საბინინისათვის არსებითი იყო „საქართველოს სამოთხი"-ს გაყიდვის საკითხი. ეს მის მომავალთან, სასიცოცხლო პრობლემებთან იყო დაკავშირებული. მეცნიერი 1882 წლის 18 დეკემბერს ზაქარია ჭიჭინაძეს სწერდა:

„საყვარელო ძმაო ზაქარიავ!

დიდი სანია შენგან არა რაი ამბავი მაქვს. მოგილოცავ წმ. დღესასწაულთა. აი ძმაო მე ჩემი წიგნი გავათავე და ახლა შენზედაცა არის დამოკიდებული მისი გაყიდვა. ამ წიგნსა 17 მანეთადა ვყიდი და ამას გარდა ყოველი მყიდველი შემდეგ დაბეჭდისა უფასოდ მიი-

ღებს „მზამეტყველებას" კათალ. ანტონ პირველისა და მოთხრობა-სა კათალ. ანტონ პირველისა. სრულიად მზადა მაქვს მაგრამ უფუ-ლობის გამოთ ისე მიწყვიან და გასყიდულის ფულით მინდა ქაღალ-დი ვიყიდო და სტამბის ფასი მივცე. აბა თუ შეგიძლიან შემეწიე ეხ-ლა. ერთს წიგნს უფასოდ მიიღებ, თუ ათიოდენის ფულსა შეჰკრი-ბამ და ფოჩტით გამომიგზავნი...

შენი ძმა და მეგობარი მიხაილ საბინინი".

სამწუხაროდ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მიხეილ საბინინსა და მის კრებულს ბევრი მტერი გამოუჩნდა, „საქართველოს სამოთ-ხეს" ბოიკოტი გამოუცხადეს და წიგნი არ იყიდებოდა. სასოწარკვე-თილი მ. საბინინი ზ. ჭიჭინაძეს სწერს: ტფილისიდგან მომივიდა ფრიად უსიამოვნო წერილი, ვითომ ჩემი წიგნები სრულიად არ იყი-დება და ამის გარდა გამოგზავნის ვალი 130 მანეთიც არ იციან სა-იდან აიღონო. გულნაკლული მეცნიერი შემწეობას ითხოვს და თან მწარედ განიცდის მისი შრომის დაუფასებლობას. „...სრულიად არ მეგონა, რომ მე ამ უბედურებას შევემთხვეოდი, თორემ სამსახურ-ში შევიდოდი და გარდა ჩემი თავისა არა მეცოდინებოდა რა. ქუა-ქუაზედაც ნუ იქმნებოდა. განა ჩემზედ მეტი ქართველები არავინ არიან — რატომ ისინი არა ფიქრობენ თავიანთ სამშობლოსათვის"[24] აქ მეტად საგულისხმოა, რომ მიხეილ საბინინი თავს ქართველად სთვლიდა („...ჩემზედ მეტი ქართულები არავინ არიან"), ამასთან იგი ჭეშმარიტი ქართველი პატრიოტი იყო.

როგორც ჩანს, საზოგადოების ერთი (განსაკუთრებით სასულიე-რო) ნაწილისაგან მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებულ მიხეილ საბინინს თანაუგრძნობდა გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღ-ვაწე, ისტორიკოსი და მწერალი ზაქარია ჭიჭინაძე. ამიტომ სრუ-ლიად ბუნებრივია, რომ მეცნიერის გულისტკივილით დაწერილი ბევრი ბარათის ადრესატი სწორედ ზ. ჭიჭინაძეა. მას მისწერა მ. საბინინმა, რომ შევიტყე ჩემს მტრებს უთქვამთ „თუ საბინინი აქ ჩამოვა უთუოდ მოვკლამთო. თუ მომკლამენ დიდი რამეს არ წაი-ღებენ? მე კი სასუფევლის მეკერძოეს გამხდიან"[25]

საერთოდ მ. საბინინის კეთილი საქმეებისადმი უდიერი დამო-კიდებულება მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ოცწლეულის გადაგვარე-ბული სამღვდელოებიდან მოდიოდა. სამღვდელოების გავლენა კი ქვეყანაში დიდი იყო და მისი ამგვარი პოზიცია არც იმ დროის ზოგიერთი სამოქალაქო პირისათვის იყო უცხო.

1897 წლის 25 ივლისს „ცნობის ფურცელი“ (№ 264) საზოგადოებას აუწყებდა სამწუხრო შემთხვევის შესახებ; „გუშინ შუადღისას ერევნის მოედანზე გ. ყ-მა მოქმედებით შეურაცხყო ცნობილი მისეილ საბინინი, რაღაც მიზეზის გამო. საქმე სწარმოებს“.

ორიოდე დღის შემდეგ, 29 ივლისს იგივე გაზეთმა (№268) დაბეჭდა მისეილ საბინინის წერილი მისი შეურაცხყოფის გამო. საქმე ასე იყო. 24 ივლისს თამამშევის ქარვასლიდან გამოსული მ. საბინინი განოვის ქუჩაზე მიდიოდა. უცებ მას შემოესმა ვიღაც „ჩერკესკიანი“ პირისაგან ძახილი: „ეი, დაგლეჯილო მღვდელო, აქ მოდი საჩქაროდ!“ მ. საბინინმა ყური არ ათხოვა და გზა განაგრძო. მას ვიღაცამ ხელი სტაცა და სასტიკი ხმით შეჰყვირა: „შენ არ გესმის ჩემი ხმა, რატომ არ მოხველ, რომ გეძახოდი!“ შეშინებულმა მ. საბინინმა ანაზდად მიუგო — „უკაცრავად, მე თქვენ არ გიცნობთ, გთხოვთ თავი დამანებოთო“. მომხდურმა მთელი ძალით სილა გააწნა. მ. საბინინს ლურჯი სათვალე ჩაემტვრა და შუშის ნამსხვრევმა ცხვირი გაუჭრა. იგი საშველად პოლიციის „უპრავლენიაში“ შევარდა, მაგრამ იქ არავინ დახვდა. შემდეგ ერთ ოკოლოდოჩნიკთან მიირბინა და შემწეობა სთხოვა. მან მშვიდად უპასუხა: შეგიძლიათ იჩივლოთო. მ. საბინინის შეურაცხმყოფელი მილიციის პრაპორშჩიკი გიორგი დავითის ძე ყაზბეგი იყო. ეს სახელი და გვარი მანამდე სრულიად უცნობი იყო მ. საბინინისათვის. იგი მწუხარებით წერდა: „მე ოცდაშვიდი წელი ვემსახურები საქართველოს და ბრწყინვალე კარიერი, რომელიც მეძლეოდა ხელში ამას შევწირე და ამათა ყოველთათვის გარდა უბედურობისა და შეურაცხმყოფობისა არა რა მოვიღე... ამ... შემთხვევამ მარცხენა თვალი სრულიად წამიხდინა და ბნელი წყალი მომგვარა... რაკი მე ბატონს ყაზბეგს არ ვიცნობ და არც სადმე მინახავს, არ მჭონია შემთხვევა ლაპარაკისა, ჩემიხ აზრით, ესენი არ არიან დამნაშავენი ამ ჩემის უბედურობისა, არამედ სხვა ვინმე უნდა იყოს მდომი ჩემი შეურაცხმყოფობისა...“

მ. საბინინის ეჭვი არ უნდა იყოს მოკლებული საღ აზრს. იმდროინდელი სინამდვილე, რეალური საზოგადოებრივი ვითარება იძლეოდა ამგვარი ფიქრის საფუძველს. ამ მხრივ ნიშანდობლივია გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა პოზიცია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის სამღვდელოების გადაგვარებული ნაწილის მიმართ. გაკვრით შევეხებით აკაკი წერეთლის ლექსს „ფარისეველი“, რომე-

ლიც 1862 წელს პეტერბურგში დაიწერა. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ 1886 წელს ეს ლექსი პოეტს გადაუწერია, სათაური დაუნიშნავს და ქვეშ მიუწერია „ვუძღვნი მ. საბინინს.[26]

ლექსში „ფარისეველი“ მკაცრადაა გამათრახებული და სააშკარაოზე გამოტანილი მაშინდელი სამღვდელოების ფარისევლური ქცევები:

„შესდეთ ფარისეველსა,
ღოცვითა ღამის მთეველსა,
ცხადად ბორიტის დამგმობსა,
ზუმად კი ცოდვის მდეველსა“.

ფარისევლები „წამის-წამ“ უფალს ახსენებენ და ამ თვალთმაქცობით ატყუებენ საზოგადოებას.

„მე და ეგ ვიცნობთ ერთმანეთს!
ეგ ბომ მუშტებით იმტვრევს მკერდს,
არ იცით, ბომ თქვენც გატყუებთ
და ეცრუება თვითონ ღმერთს?..
ვიცანი გაიძვერა მე,
და მისთვის მიწყრება თურმე,
უღმერთობას მიტომ ეწამობს
და მეძახის „რუსეთუმე!“

ამ ლექსის მიძღვნით მიხეილ საბინინს შინაგანად თანაგრძნობა გამოუცხადა დიდმა მგოსანმა და ეს ერთგვარი გამხნევება იყო მეცნიერისა.

საგულისხმოა, რომ „ფარისეველს“ მნიშვნელოვანი გამოხმაურება ჰქონია საზოგადოებაში. თვით აკაკი იგონებს: „როცა ეს ლექსი დავწერე, კერძოდ მხედველობაში არავინ მყოლია!.. საზოგადო ტიპი იყო, ყველამ კი ექვთიმე წერეთელს მიაწერა. მე იმ ექვთიმეს ვიცნობდი და კარგის მხრითაც. სხვებს იმას ვამჯობინებდი, მაგრამ იმ შემცდარმა აზრმა ისე მტკიცედ გაიდგა საზოგადოებაში ბიჯი, რომ თვით ექვთიმემაც დაიჯერა და სამდურავი მოგვივიდა. ახლა როდესაც ნახევარმა საუკუნემ გაიარა და ისიც განსვენებულია, აღვიარებ, რომ ეს ლექსი ექვთიმეს არ შეეხება. საზოგადო იყო. იმ დროში, რაც უნდა დაწერილიყო საზოგადო ტიპად, გამოჩნდებოდნენ მისთანები, რომ თავის-თავზე იღებდნენ, ატყდებოდა ერთი ვაი-უშველებელი და ჩამოვარდებოდა ხოლმე სამარადისო მტრობა. ჩემი

მტრებიც თანდათან მრავლდებოდნენ, მაგრამ ქალებისა და ბავშვების სიყვარული მიბრუნებდა გულს".[27]

მისეილ საბინინი დიდად აფასებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობას. მან 1898 წელს საზოგადოებას შესწირა ივანე ბატონიშვილისაგან ნაბოძები რიგი ხელნაწერები. საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია მ. საბინინის წერილი, რომელშიც იგი უმორჩილესად სთხოვს საზოგადოებას, რომ მისგან გადაცემული „წერილები" დაიცვან, თან დასძენს: „ეს წერილები ბატონიშვილის ივანესაგან მქონდა ნაბოძები და აქმომამდე ვინახავდი — და ამის პირი გადავიწერე ჩემს ავტობიოგრაფიას შინა — დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიისათვის".[28]

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადაუწყვეტია მისეილ საბინინისაგან შეეძინა „საქართველოს სამოთხეში" დაბეჭდილი ილუსტრაციების კლიშეები 600 მანეთად. მეცნიერს 25 სურათის კლიშე გადაურჩევია. ამის შესახებ იგი დავით კარიჭაშვილს სწერს:

«...Из числа сих досок сколько рисунков в вышеназванной книге я выбрал самые сложные и просил Юргансона, имеющего здесь известную нотную фабрику — на всю Россию— сделать мне по три оттиска — чтобы доказать и представить Вам, что доски вполне сохранились и невредимы — коих присылаю Вам, для обозрения, прилагая при сем и бумаги Юргансона в доказательство. — Цены этого очень дороги — и не стоит у него заказывать, лучше я Вам дам адрес в гор. Лейпциге в Германии, где сделают гораздо дешевле — именно та фирма, которая их и гравировала — и получите без всяких пошлин — только надо показать их таможенному чиновнику — или заявить в это правление, что доски для... России... ...Мне жаль их продавать, но что делать, когда я вынужден... Сделайте милость порешите поскорее дело и дайте мне знать хоть телеграммой. Я немедленно вышлю их наложенным платежом... и будет приложена бумага, в коей будет сказано, что я представляю полное право и свободу эксплуатировать их и отказываюсь от издания сих досок навсегда. Пожалуйста, ускорьте решение сего дела — и поставьте меня в известность, вот и адрес мой, для письма. Москва Угол Большой Никитской и Брюссовского переулка д. Вельтищевской номера Горшковой М. П. Сабинину»[29].

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგა-

დებამ აღნიშნული კლიშეების თაობაზე მ. საბინინს საგანგებო წერილი გაუგზავნა.

„ბ-ნს საბინინს
მოწყალეო ხელმწიფევ
მიხეილ პავლეს ძევ!

№ 92
29 აპრილს 1898 წ.

თქვენის წერილისა გამო 10 აპრილითაგან 1898 წ., წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების გამგეობამ დაადგინა გეთხოვოსთ თქვენ და დიმიტრი ალექსანდრეს ძე ფავლენიშვილს, რათა გაშინჯოთ ერთად ყველა კლიშეები, ასწეროთ საფუძვლიანად და ისე ჩააბაროთ ტრანსპორტის კომპანიას ფასდადებით გამოსაგზავნად, ხოლო შემოწმებული აღწერა კლიშეებისა ცალკე გამოუგზავნოთ გამგეობას. ასეთი შემოწმება და აღწერა საჭიროა იმისათვის, რომ თუ ვინიცობაა გზაში გაფუჭდეს კლიშეები, გამგეობას ჰქონდეს უფლება მოსთხოვოს ზარალი ტრანსპორტის კომპანიას.

ამის შესახებ ცალკე წერილი ეგზავნება ფავლენიშვილსაც.

ამას გარდა საჭიროა გამოუგზავნოთ გამგეობას ნოტარიული პირობა. როგორც უკვე მოგეხსენებათ, რომ თქვენ ამისათვის არ გამოსცემთ ამ სურათებს და უკეთუ გამოსცემთ, ჯარიმას გადაუხდით საზოგადოებას სამოცს თუმანს. იმდენივე ჯარიმა უნდა მისცეთ საზოგადოებას, უკეთუ აღმოჩნდება, რომ თქვენ უკვე დაბეჭდილი გაქვსთ ეს სურათები და გასყიდით მათ.

როდესაც შემოწმებული აღწერა კლიშეებისა და ეს ნოტარიული პირობა მოუვა გამგეობას, მაშინ გადაიხდის იგი კლიშეების ფასს".[30]

აღნიშნულ კლიშეების შემოწმების თაობაზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას დ. ფავლენიშვილისთვისაც მიუმართავს, რაზეც მას წერილობითი პასუხი მიუცია საზოგადოებისათვის.

«25 V-1889 № 85/20 мая 1898 г. Москва
В Правление общества распространения грамотности среди грузинского населения.

Милостивые Государи!

Данное Вами мне от 29 пр./м. поручение мною, к сожалению, в исполнение не приведено.

Дело в том, что, так как я не специалист и приглашенное в качестве эксперта лицо (один из служащих в топо-литографии, которая исполняет заказы Д. З. Сараджева) отка-

залась дать какое-либо заключение по поводу клише. Сабининым было предложено отправить их без наложенного платежа и экспертизу предоставить Вам. Выработав (словесно) совместно с Сабининым обязательство его, которое, по-моему, вполне гарантировало Общество, я немедленно отправил по Вашему адресу от имени Сабинина через Российское Общество 1 ящик клише (25 шт.) и ждал обязательства Сабинина, чтоб выслать Вам вместе с ним и квитанцию. Обязательство было доставлено мне 15 с.-м., но текст его расходился на столько с выработанным с вами, как я сказал выше, что принять его я счел себя не в праве и квитанцию на отправленный Вам ящик клише выдал Сабинину.

Сабинин, говорю с его слов, квитанцию и это обязательство перешлет свящ. Кончоеву, которому и поручает покончить с Вами дело, причем, если обязательство будет Вами признано неудовлетворительным, клише будут ими вытребованы обратно.

Считаю нужным добавить, что вышесказанный эксперт заявил, что едва ли в Москве найдется лицо, которое согласилось бы дать свое заключение по поводу стальных клише, так как таковые здесь не делаются.

На всякий случай прилагаю обязательство, которое должен был дать Сабинин.

С совершенным к Вам почтением
кн. Дм. Павленов[31]».

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია მ. საბინინის ვალდებულება „საქართველოს სამოთხის“ ილუსტრატორთა კლიშეებზე საავტორო უფლებათა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის გადაცემის შესახებ:

19/V-1898 г.

«Я, нижеподписавшийся, продав Обществу распространения грамотности среди грузинского народа, двадцать пять стальных клише, лицевых изображений святых грузинской церкви — за шестьсот рублей. С этих клише сделано только одно издание, которое приложено было моему труду «Рай грузинской церкви» и других оттисков мною не сделано никаких изображений их не было и нет.

Вместе с клише я передаю названному Обществу свои авторские права и привилегии — и оно вправе эксплуатировать по своему усмотрению, как найдет для себя удобным и

полезным, так как не намерен снова издавать эти клише; в случае, если Общество где-нибудь найдет в продаже или альбомом или отдельными оттисками воспроизведенные с них клише, сделанные с моей стороны, то я обязуюсь отвечать сему Обществу законною ответственностию. КАНДИДАТ МИХАИЛ ПАВЛОВИЧ САБИНИН.

Я, нижеподписавшийся, удостоверяю, что предстоящая подпись на сем признана передо мною, Яковом Андреевичем Калашниковым Московским Нотариусом, имеющим контору Тверской части на Воскресенской площади в доме Корзинкина, сделанною собственноручно кандидатом Михайлом Павловичем Сабининым, живущим в Москве, Тверской части 2 уч. в доме Вельтищевой, неизвестной мною лично, представивший удостоверение своей личности паспортную книжку, выданную ему из Управления Тифлисского полицмейстера 15 мая 1897 года за № 1205, 1898 года мая 19 дня по реестру № 1065.

Нотариус Я. Калашников»[32].

როგორც ირკვევა, კლიშეების სრულფასოვნებაში ეჭვი შეუტანიათ და გარკვეული პრეტენზიები გამოუთქვამთ, რის გამოც ძალზე აღშფოთებულა მიხეილ საბინინი. მის წერილებში დ. კარიჭაშვილისადმი აშკარად ჩანს დიდი გულისწყრომა. იგი შემწყრალი იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან გამოყოფილ რწმუნებულის დ. ფავლენიშვილის (დიმიტრი ალექსანდრეს ძე ფავლენიშვილს დავალებული ჰქონდა კლიშეების გასინჯვა და აღწერა. ასევე სათანადო დასკვნის მიცემა მათი შეძენის მიზანშეწონილობის შესახებ[33]) მიმართაც, რომელიც, მეცნიერის აზრით, ხელს უშლიდა საქმეს.

დაცულია დავით ფავლენიშვილის ერთი საინტერესო წერილი დ. კარიჭაშვილისადმი:

„ძმაო დათიკო!

საბინინმა საქმე გამიჭირა, მოსვენებას არ მაძლევს, თუ ღმერთი გწამთ, პასუხი მოეცით რამ, ან კლიშეები დაუბრუნეთ და მომაშორეთ.

შენი დ. ფავლენიშვილი.“[34]

საბოლოოდ მ. საბინინისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის ურთიერთობა მოგვარებული იქნა. გამგეობამ შეიძინა ყველა კლიშე და დათქმული საფასურიც გაიღო".[35]

მისეილ საბინინმა ჯერ კიდევ 1889 წელს შესწირა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავს სურათი „დიდება საქართველოს ეკლესიისა".[36] არაერთ კულტურულ დაწესებულებას შესწირა „საქართველოს სამოთხეც". ამის შესახებ ცნობები დაცულია მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ოცწლეულის პრესის ფურცლებზე. გაზეთმა „ივერიამ" 1889 წლის 18 მაისს (№102) მოათავსა კავკავის ქართული სკოლის ხაზინადარის ილარიონ გიორგის ძე ბაქრაძის მადლობის წერილი: „ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ბ-ნ მიხეილ პავლეს ძე საბინინს, რომელმაც შესწირა კავკავის ქართულ სკოლის წიგნთსაცავს თავისი „სამოთხე" („მწყემსი", 1886 წლის №19) მკითხველს აწვდის ცნობას, რომ მ. საბინინმა საიმპერატორო საზოგადოების წიგნთსაცავს შესწირა XI-XII საუკუნეების „მშვენივრად მორთული და დაწერილი ქართული სასარება შესანიშნავი მინიატურებით". გაზეთი აქვე სვამს შეკითხვას: „საინტერესოა შეიტყოს კაცმა თუ საიდან მოიპოვა მ. საბინინმა ეს ძველი და ჩვენი ისტორიისათვის შესანიშნავი ნაშთი?"

მ. საბინინი ყველგან კრებდა საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებულ მასალას. მას ერთი მეწვრილმანისგან შეუძენია სიგელ-გუჯრები, სამეფო განჩინება, საეკლესიო გადაწყვეტილება და სხვა მასალები საქართველოში კათოლიკობის გავრცელების, ანტონ კათალიკოსის, ზაქარია გაბაშვილის და სხვ. შესახებ. ამ მასალათა მფლობელი თავის დროზე პლატონ იოსელიანი ყოფილა. მისი სიკვდილის შემდეგ კი ზემოხსენებულ მეწვრილმანეს ჩავარდნია ხელთ.[37]

მიხეილ საბინინის სახელთან არის დაკავშირებული ბოდბის ტაძრის განახლება და მასთან რუსი და ქართველი მონაზვნებისათვის დედათა მონასტრის დაარსება. მან ფული შეაგროვა და სთხოვა საქართველოს ეგზარქოსს პალადის და უწმინდეს სინოდს ნება დაერთოთ ბოდბეში დედათა მონასტრის დაარსებისა და მასთან სახელსაქმო სკოლის გახსნისა.[38] გაზეთი „მწყემსი" ამგვარ წამოწყებას გარკვეული პესიმიზმით შეხვდა: „ღმერთმა კეთილი ჰქნას, მაგრამ ჩვენ ძალიან ეჭვი გვაქვს, რომ ამ კეთილი საქმისათვის მ. სა-

ბინინს იმდენი ფულები ჰქონდეს შეკრებილი, რომ ამ ფულით შეშეიძლებოდეს მონასტრის და სკოლის დაარსება".[39] მ. საბინინის დიდი მოქალაქეობრივი ვაჟკაცობა სწორედ ისაა, რომ მან ყველა წამოწყებული საქმე, მიუხედავად მრავალმხრივი წინაღააღმდეგობისა, ბოლომდე მიიყვანა. ასე მოხდა ზემოხსენებული საქმის მიმართაც. ამის შესახებ წერდნენ „ნოვოე ვრემია" და „ივერია".

„მწყემსი" (1888 წლის № 5) აუწყებდა მკითხველს: „რუსული გაზეთი" „ნოვოე ვრემია" იუწყება, რომ მ. საბინინის თხოვნა შეუწყნარებია უწმ. სინოდს. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, მ. საბინინმა სთხოვა უწმ. სინოდს ნებართვა, რომ სიღნაღის მაზრაში დაარსებული ყოფილიყო დედათა მონასტერი რუს და ქართველ მონაზონებისათვის და ამ მონასტერთან სახელსაქმო სკოლა ამ მაზრის მკვიდრთა ღარიბ ყმაწვილებისათვის. უწმიდეს სინოდს ნება მიუცია, რომ ამ საქმისათვის მოიკრიბოს შეწირულებანი". გაზეთი აქაც ხაზგასმული პესიმიზმით სვდება ამ გადაწყვეტილებას და დასძენს: „ღმერთმა ჰქნას, რომ ეს შეწირულებანი მოხმარებული იყოს დანიშნულებისამებრ".

მიხეილ საბინინის მცდელობით შეგროვდა ბოდბის ტაძრის კუთვნილი დიდძალი ძვირფასი ნივთები, რომლებიც სიონის წინ იქნა გამოფენილი. შემდეგ, წესისამებრ, ისინი აკურთხეს და დაუბრუნეს ძველ ადრესატს. ტაძრის სამრეკლოს გუმბათი დაედგა და დაუბრუნდა ცხრამეტფუთიანი ჯვარი. მოწესრიგდა წმ. ნინოს საფლავი და გალამაზდა ეზო, რომელიც ადრე პირუტყვის საძოვრად იყო გადაქცეული. ყოველივე ამის აღსანიშნავად დიდი დღესასწაული გაიმართა, რომელსაც დიდძალი ხალხი დასწრებია. დამსწრეთა შორის იმდროინდელი პრესა მოიხსენიებს: „მაზრის მმართველს თავისი ქვეშევრდომებით, მაზრისავე მსაჯულს, ადგილობრივი პროკურორითა და თანამშრომლებით".

მიხეილ საბინინის წვლილი საყოველთაოდ იქნა აღიარებული.

ცალკე უნდა აღინიშნოს მ. საბინინის მიერ გაწეული შრომა გარეჯის მონასტრის მოვლა-მოწესრიგებისათვის. მონასტერში ჩაიტანა შეწირული ფულით პეტერბურგსა და მოსკოვში შეძენილი ძვირფასი ნივთები, რომელთა შორის გამოირჩეოდა ამერიკული ნიგვზის მოოქრული და მომინანქრებული კანკელი, დავით გარეჯელის საფლავის საფარი-შესამოსელი, ჯვრები, სხვადასხვა საეკლესიო ჭურჭელი, საღებავი და სხვ. მას გაუთხრია წმ. დოდოს საფლავი, რო-

მელიც უყურადღებოდ ყოფილა მიტოვებული და გადაუსვენებია დავითის მონასტერში. მ. საბინინის ამგვარ მოქმედებას საზოგადოების ერთი ნაწილის უკმაყოფილება გამოუწვევია. ივანე ბერძენოვი „დროებაში“ აღშფოთებული წერდა: „არ ვიცი, რაოდენათ უნდა იყოს გასაოცებელი ამგვარი საქმე ყველასთვის... ვინც მივა წმიდის გრძნობით მამა დავითის საფლავის თაყვანისსაცემლად და ერთბაშად დაინახავს იქვე წმ. დოდოს კუბოს!“[40]

ორიოდე კვირის შემდეგ იგივე „დროებამ“ დაბეჭდა მ. საბინინის პასუხი, რომელშიც მეცნიერის რისხვა გამოსჭვივის არა მარტო ი. ბერძენოვის, არამედ ყველა უმადურის მიმართ. საერთოდ დიდი ტაქტის მ. საბინინი „პასუხში“ დაუფარავად წერს: „ყველაზე უწინარეს მიიღეთ ჩემგან მცირე დარიგება და შეითვისეთ, რომ ვინც კი ვიცით რაოდენიმე ჯღაბნა, წარა-მარათ როდი უნდა დავიწყოთ მარჯვნივ და მარცხნივ ლაპარაკი“.[41] თქვენ ფრიად ყმაწვილურად მოიქეცითო — მიმართავს მ. საბინინი და ასაბუთებს წმ. დოდოს ძვლების გადასვენების აუცილებლობას, „მაშ ისიც უნდა დაკარგულიყო, როგორც დაიკარგნენ საფლავნი წმიდათა გარეჰსჯისათა ლუკიანესი, პავლესი, თეოდოსესი, არსენისა, იოანესი, შიო-ახლისა და სხვათა“[42]. მეცნიერი მოაგონებს, რომ გარეჯის მონასტერში არსებული ერთადერთი ეგზემპლარი წიგნისა „ჯვარშემოსილი“, „ვითარცა მპარავმა წარმოიღეთ სხვათ წიგნთა თანა უდაბნოდგან... და იარმუკებში ჰყიდით ხოლმე. ამის გამო არამც თუ საუკუნოდ დავკარგეთ წმ. გარეჰსჯელთა საფლავნი, არამედ მათი ხსენებაც“.[43]

მ. საბინინი მთელი სიმკაცრით ამხელს იმდროინდელი ქართული საზოგადოების ერთი ნაწილის დაუდევრობას, თვით უმოქმედებას და სხვისი ხელის შეშლისაკენ სწრაფვას.

„...მიკიტხანებს, ცირკებს, კალუჩის ბალებს, მუშტაიდებს და მისის თანმხლებს მტილებს რაღა გადაურჩა? განა თვით წინამძღვრები არა ცდილობენ მონასტრების მოსპობასა?.. ვინ გააუქმა წმ. შიოს ლავრა? ვინ გააუქმა წმ. სტეფან ხირსელის მონასტერი? ვინა ჰსპობს ქვათახევის მონასტერს?“ — ასეთი ბრალდებით მიმართავს მეცნიერი საზოგადოებას. არ შეიძლება მ. საბინინის საქმიანობაში არ დავინახოთ მისი სულიერი სიახლოვე „თერგდალეულებთან“, კერძოდ ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან.

მიხეილ საბინინი მოსკოვში გარდაიცვალა და იქვე დაიკრძალა. მისი ოცნება იყო საქართველოში დაკრძალულიყო, გარეჯის მო-

ნასტერში. მისი მუდარა „დამმარხეთ საქართველოშიო" აუსრულებელი დარჩა. 1904 წლის 27 ოქტომბერს მღვდელ-მონაზონი ტარასი „ივერიაში" წერდა საქართველოს ისტორიისათვის მოსკოვის დიდი მნიშვნელობის შესახებ და გულისტკივილით აღნიშნავდა: „საბინინის უპატრონოდ და ობლად დარჩენილი საფლავი ვნახე და ტირილი მომივიდა... ჭეშმარიტად ეკუთვნოდა იმ კაცს, სურვილისამებრ მისისა, ჰღირსებოდა... მონასტერში (გარეჯის მონასტერია მხედველობაში, რ. მ.) სამი არშინი ცივი დედამიწა. მაგრამ ვინ არის, სად არის, რომ დღეს უფასებდნენ ადამიანს ან საქმეს ან შრომას".

წარმოშობით რუსი მიხეილ (გობრონ) პავლეს ძე საბინინი ჭეშმარიტად დიდი ქართული საქმეების შემოქმედი იყო. იგი, მიუხედავად წინააღმდეგობებისა და მრავალი სირთულისა, შეუპოვრად იკვლევდა საქართველოს ეკლესიის ისტორიას, კრებდა და აქვეყნებდა პირველწყაროებს, რომელთაც დღესაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ისტორიისათვის. მეცნიერის ღვაწლის შესახებ დაბეჭდილია ცალკეული სტატიები (ქ. ცხადაძე ვ. გურგენიძე), მაგრამ იგი, ვითარცა საქართველოსათვის დამაშვრალი, მეტს იმსახურებს. მიხეილ საბინინის ცხოვრება და მოღვაწეობა უთუოდ მონოგრაფიული შესწავლის საგანი უნდა გახდეს.

შენიშვნები:

1. სცსსა, ფონ. 481, აღწ. I, საქ. 600, ფუნ. 1.

2. Г. (М) Сабинин (Ивериец), История Грузинской церкви до конца VI века, СПб., 1877.

3. Полное жизнеописание святых грузинской церкви, составил с грузинских подлинников Ивериец Михаил Сабинин, СП(б)., 1873.

4. საქართველოს სამოთხე, სრული აღწერა ღვაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ, პეტერბურგი, ჩყპბ (1882) წელსა.

5. ქ. ცხადაძე, „შუშანიკის წამების" პირველი გამოცემის ისტორიიდან, კრებ., შუშანიკის წამება, თბ., 1978, გვ. 170.

6. Энциклопедический словарь, издатели: Ф. А. Брокгауз (Лейпциг), И. А. Ефрон (С.-Петербург), т. XXVIII, С.-Петербург, 1899, стр. 14.

7. მხედველობაშია „საქართველოს სამოთხე", რომლის გაყიდვასაც ითხოვს მ. საბინინი.

8. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმის არქივი, ფონდი 5144-6.

9. საქართველოს სამოთხე, წინასიტყვაობა, გვ. ა-ბ.

10. საქართველოს სამოთხე, გვ. ბ.

11. იქვე.

12. იქვე.

13. იქვე, გვ. გ.

14. საქართველოს სამოთხე, გვ. დ.

15. იქვე გვ. გ.

16. საქართველოს სამოთხე, გვ. ე.

17. იქვე, გვ. ე.

18. პატარა კაცი, საეკლესიო თხზულება ჩვენში და მისი რეცენზენტი, გაზ. „შრომა", 1882. 1 დეკემბერი, № 47.

19. იქვე.

20. იქვე.

21. „დროება", 1882 წ., № 245.

22. „დროება", 1882 წ., № 246.

23. „დროება", 1882 წ., № 247.

24. მ. საბინინის წერილი ზ. ჭიჭინაძისადმი (1883 წ. 1 მაისი), გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმის არქივი, ფონდი 5145-6.

25. ე. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმის არქივი, ფონდი 5147-6.

26. ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა — მუზეუმის კატალოგი I, თბ., 1977, გვ. 269.

27. ბაკაი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად, ტ. I, თბ., 1940, გვ. 858.

28. სცსსა, ფონ. 481, აღწ. I, საქ. 368.

29. მ. საბინინის წერილი დავით კარიჭაშვილისადმი (1898 წ. 3 მარტი). სცსსა, ფონ. 481, აღწ. I, საქ. 600.

30. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წერილი მ. საბინინისადმი (1898 წ. 29 აპრილი).

სცსსა, ფონ. 491, აღწ. I, საქ. 600 ფურც. 4.

31. სცსსა, ფონ. 481, აღწ. I, საქ. 600, ფურც. 7.

32. სცსსა, ფონ. 481, აღწ. I, საქ. 600, ფურ. 12.

33. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წერილი დ. ა. ფაღვენიშვილისადმი (1898 წ. 29 აპრილი), სცსსა, ფონ. 481, აღწ. I, საქ. 600, ფურც. 8.

34. სცსსა, ფონ. 481, აღწ. I, საქ. 600, ფურც. 21.

35. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წერილი (1898 წ. 19 სექტემბერი) მ. საბინინისადმი, სცსსა, ფონ. 481, აღწ. I, საქ. 600, ფურ. 24.

36. „ივერია", 1889, 23 დეკემბერი, № 279.

37. „ივერია", 1888, 22 სექტემბერი, № 198.

38. „მწყემსი", 1888, № 3

39. იქვე.

40. „დროება", 1881, 10 ივნისი № 118.

41. „დროება", 1881, 27 ივნისი № 133.

42. იქვე.

43. იქვე.

მასალები

მკითხველს ვთავაზობთ სსრ კავშირის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიულ არქივში (ქ. ლენინგრადი) დაცულ მასალებს, რომლებიც გარკვეულ შუქს ჰფენენ მიხეილ საბინინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ЦГИА СССР, фонд № 796, опись № 155, дело № 899

Его Превосходительству,
Господину исправляющему должность Обер-прокурора Святейшего Правительствующего Синода
Юрию Васильевичу Толстому.[1]

Михаила Сабинина
Прошение

Окончив неудовлетворительно курс наук в Тифлисской классической гимназии, в 1869 г. по совету Его Высокопреосвященства Митрополита Исидора[2] поступил в С.-Петербургскую Духовную Академию, избрав церковно-историческое отделение, прослушав в ней слишком четыре года; но на получение какой-нибудь степени, по данному мне в гимназии свидетельству я не имею никакого права, по сему обращался в С.-Петербургскую Духовную Семинарию, допустить меня до испытания и затем выдать мне следуемый аттестат, но Семинария в лице своего Ректора отказала мне в просимом, на том основании, что она, Семинария, на подобный случай не имеет никаких правил, по сему честь имею Ваше Превосходительство обратиться к Вам с моею всепокорнейшею просьбою, дозволить мне сдать экзамен в упомянутой Семинарии, для получения аттестата, допускающего меня к испытанию в С.-Петербургской Духовной Академии.

Вашего Превосходительства всепокорнейший слуга
Михаил Сабинин.

С.-Петербург
10 июня 1874 года.

адрес.
С-П-б. Троицкое подворье.

12 июня доложено
и приказано дозволить держать экзамены.

1874 года июня 12 дня. По указу ЕГО ИМПЕРАТОРСКОГО ВЕЛИЧЕСТВА, Святейший Правительствующий Синод слушали прошение Михаила Сабинина, в коем объясняя, что, прослушав в течении более 4-х лет лекции в Петербургской духовной Академии по церковно-историческому отделению, он, Сабинин, может быть допущен к испытанию в Академии на ученую степень не иначе, как по представлении установленного аттестата об удовлетворительном знании курса наук семинарии или классической гимназии о дозволении ему сдать экзамен в Петербургской духовной Семинарии, для получения аттестата, который предоставлял бы ему право быть допущенным к испытанию на ученую степень в Академии. К прошению приложено свидетельство, выданное из Тифлисской классической гимназии от 12 июля 1869 г., № 503, из коего видно, что Сабинин в 1868 г. при окончательном испытании учеником VII класса Тифлисской гимназии подвергался испытанию совместно с нами, но испытания не выдержал.

ПРИКАЗАЛИ: Разрешить (дозволить) Правлению С.-Петербургской духовной Семинарии допустить Михаила Сабинина к сдаче испытаний по всем предметам семинарского курса и, по испытании, если Сабинин окажется того достойным, выдать ему установленный аттестат в знании предметов семинарского курса. О вышеизложенном дать знать Преосвященному Митрополиту Исидору указом, а для объявления просителю, по месту жительства его в С.-Петербург (Троицкое подворье), сообщить в Канцелярию Обер-прокурора Святейшего Синода выписку из настоящего определения, с приложением свидетельства, выданного Сабинину из Тифлисской классической гимназии, за № 503, для возвращения по принадлежности. Подлинное определение за подписанием членов святейшего Синода к исполнению пропущено 26 июня 1874 года.

Протоколист.

Исполнено 28 июня 1874 г.

Указ Преосвящ. Митрополиту Исидору за № 1828.

Выписка в Канцелярии Обер-прокурора за № 894 с приложением.

ЦГИА СССР ФОНД № 796, ОПИСЬ № 158, ДЕЛО № 835.

Копия.

1877 года сентября 16 дня. По указу ЕГО ИМПЕРАТОРСКОГО ВЕЛИЧЕСТВА,[3] Святейший Правительствующий Синод слушали предложение Господина Исправляющего должность Синодального Обер-Прокурора, от 24 минувшего августа за № 3075, следующего содержания: Известный Государыне Императрице[4] своими неутомимыми трудами по исследованию древних актов Грузинской Православной церкви, Михаил Сабинин, издав составленную им историю этой церкви до конца VI века, ходатайствует о Всемилостивейшем дозволении посвятить этот труд Августейшему Имени ее Величества. Секретарь Государыни Императрицы, Тайный Советник Мориц, сообщая о сем, препроводил экземпляр означенного сочинения на усмотрение и заключение Господина Исправляющего должность Синодального Обер-Прокурора.

ПРИКАЗАЛИ: Предоставить Господину Исправляющему должность Синодального Обер-Прокурора уведомить Секретаря Ее Величества Государыни Императрицы, Тайного Советника Морица, что со стороны Святейшего Синода не встречается препятствий к посвящению Августейшему Имени Ее Величества составленной Михаилом Сабининым истории Грузинской Православной Церкви до конца VI века. Для исполнения чего и передать в Канцелярию Обер-Прокурора из сего определения выписку.

Подлинное определение подписано Членами Святейшего Синода и к исполнению пропущено сентября 18 дня 1877 года.

Протоколист

Исполнено 30 сентября 1877 г.

Выписка в Канцелярию Обер-Прокурора за № 1353.

ЦГИА СССР ФОНД № 497, ОПИСЬ № 49, ДЕЛО № 89.

Копия

Получено 20 апреля 1879 г.

Его Сиятельству,
Господину Обер-Прокурору Святейшего Синода
Графу Димитрию Андреевичу Толстому.[5]

Кандидата С.-Петербургской
Духовной Академии Михаила Сабинина
прошение.

Напечатав более 57 листов актов св. грузинской церкви, на сбор которых я посвятил лучшую часть моей жизни, не имея в настоящее время более средств окончить предпринятый мною труд, осмеливаюсь прибегнуть к просвященному содействию Вашего Сиятельства и покорнейше просить Вас: не изволите ли Ваше Сиятельство признать возможным исходатайствовать мне какое-либо денежное пособие из суммы Святейшего Синода.

Представляемые при сем отпечатанные листы и гравюры к ним, исполненные в г. Лейпциге, наглядно могут свидетельствовать пред Вашим Сиятельством о достоинствах и полезности моего труда, не только для Грузии, но и для России. Текст предлагается в сто печатных листов, рисунков же всего сорок, на гравирование каждого рисунка с печатью 122 рубля и готовы только 7 изображений святых основателей Иверской церкви. Упомянутая книга будет издана в двух томах, второй том заключает перевод на русский язык.

Остаюсь в ожидании милостивого внимания Вашего Сиятельства всепокорнейший слуга грузин Кандидат Михаил Сабинин.

С.-Петербург
18 апреля 1879 года

Адрес имею.
Гончарная д. 26, кв. 53

Его превосх. А. А. Ростовцеву

Милостивый Государь Александр Александрович!

В посольстве отношения Вашего Превосх. от 18 минувшего апреля за № 326 с возвращением приложенного при оном, поданного Его Императорскому Высочеству Государю Великому Князю Николаю Николаевичу Старшему прошения кандидата С.-Петербургской Д. Академии Михаила Сабинина, об оказании ему из суммы Св. Синода пособия для продолжения издания исторических актов Грузинской церкви, имею честь уведомить Вас, М. Г., что по неимевшим в распоряжении Св. Синода свободных сумм, на счет которых мог-

ла бы быть отнесена выдача Сабинину просимого им пособия, не представляется возможности к удовлетворению настоящего ходатайства просителя.

Примите и проч ...

(п.) Граф Дмитрий Толстой
Верно:

ЦГИА СССР ФОНД № 472, ОПИСЬ № 38, ДЕЛО № 51

Г. Президенту Импер. Академии Наук.[6]

Кандидат богословия СПб. Духовной Академии Михаил Сабинин, при всеподданнейшем прошении подносит Государю. Императору I. Евангелие VIII века. 2. Евангелие с Апостолом X в., с собственноручными надписями на полях св. Давида III[7] Царь всей Грузии + 1125 г., зятя греческого Императора Алексея Комнена[8]. 3. Евангелие XIV в. с собственноручными надписями под конец каждой Евангелия великого патриарха Грузии Доментия + 1548. 4 и 5 две серебряно-вызолоченных пластинки, изображающие Св. распятие, составлявшие некогда части большого складного походного креста, найденных им вместе с этим евангелием XIII века в раскопках одной высокой скалы, где некогда спасались иноки и христиане от нашествия варваров в Грузию.

По Выс. повелению и препроводить при сем означенные предметы к Вашему Сиятельству покорнейше прося предать таковые на усмотрение Импер. Академии Наук и о заключении оной меня уведомить.

Г. Обер-Прокурору Св. Синода

Имею честь препроводить по принадлежности, к Вашему Высокопр. всеподданнейшую просьбу Кандидата богословия СПб. Духовной Академии Михаила Сабинина о пожаловании ему пособия на издание изготовленных им к печатанию прилагаемых при сем рисунка. Слава Грузинской церкви и книге на грузинском языке, считаю долгом присовокупить, что упоминаемые в оной три книги и два серебряных вызолоченных изображения Христа Спасителя и Святых, по Высоч. повелению, переданы на рассмотрение Импер. Академии Наук.

Копия с донесения, представленного Академии Наук с Членом-корреспондентом Действительным Статским Советником Бакрадзе[9] о грузинских древностях кандидата богословия Сабинина.

Императорская Академия Наук препроводила копии для рассмотрения следующих грузинских древностей № 1 пергаментное четвероевангелие в 16 документах, с тремя полуизгладившимися рисунками евангелистов (Марка, Луки и Иоанна); № 2 — пергаментный манускрипт, в 8-ю долю листа с евангелием и апостолом, расположенными в принятом церковью порядке еженедельных чтений; № 3 — пергаментное четвероевангелие, в 4 д. листа, сильно поврежденное и заключающее в себе два грубых изображения евангелистов Марка и Иоанна; № 4 — серебряно-вызолоченную пластинку с выпуклыми изображениями св. Распятия и семи поясных святых вверху и по сторонам и с надписью под распятием; 5—такую же пластинку с выпуклыми же изображениями Распятия, Божией Матери и Иоанна Богослова по сторонам и двумя поясными ангелами сверх Распятия.

Обе пластинки грубой работы и как будто составляют произведение одного и того же мастера. Надпись на пластинке № 4. судя по палеографическому характеру письма, XV—XVII вв. В надписи говорится: «Я убогий и многогрешный сахлтухуцес Иван сделал его. Святые Сорок (Мучеников) будьте мне ходат ...» Иван неизвестен.

Евангелие с апостолом № 2 доставлено было, как мне известно и как показывает на стр. 128 заметка 34 от 15 февраля 1880 г., в Тифлис, из церкви Божьей Матери в сел. Метехи в Горийском уезде. Заметка на стр. 834 показывает, что оно принадлежало церкви Б. М. Виолимской в сел. Кавтисхеви, близ Метехи. По приписке его: «Да помилует Бог царя царей господина Давида», много раз повторяемой на полях манускрипта до стр. 560, трудно судить, которого из царей под именем Давида следует разуметь. Их было несколько, и я нахожу, что манускрипт никак не древнее XIII в. Это подтверждает и единственный во всем манускрипте лист бумаги, который писан одним почерком пергаментных листов и который не мог появиться ранее XIII в.; в этом только столетии встречаются грузинские манускрипты на бумаге, напр., четвероевангелие Пархальского Монастыря, в Чороxском бассейне, всецело писанное на такой же бумаге, как бумага

настоящего манускрипта, и ныне принадлежащее одной из армяно-католических церквей в Артвине, Батумской области. Есть и другие приписки, сделанные как и приписка о царе Давиде, рукою самого переписчика, но не разъясняющая времени появления манускрипта и не имеющая никакого значения, за исключением разве двух (см. стр. 747, 786), в которых главный из переписчиков, которых было несколько, некто Зосиме, сын деканоза или протоиерея называет себя уроженцем селения Вале, — Вале лежит близ Ахалциха — из чего можно, пожалуй, заключить, что манускрипт переписывался в округе, известном до XVI в. под именем Самцхе. На последнем листе (стр. 880), приписка алфавитом мхедрули XVII в. в стихах, хвалить переписчика за прекрасный почерк и витиеватый (?) язык.

რუსებსა და ქართველებს შორის გარკვეული ურთიერთობა შემდგომ სანაშიც იყო და, როგორც ჩანს, მეთორმეტე საუკუნის დასაწყისიდან უფრო გაიზარდა. აქ ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ მეჩვიდმეტე საუკუნის ერთ ცნობას, რომელიც დაცულია ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოსის შვილის პავლე ალეპოელის (მას ეკუთვნის „საქართველოს აღწერილობა“, რომელიც სათანადო კომენტარებითა და გამოკვლევით გამოსცა ნ. ასათიანმა) თხზულებაში, რუსეთის (სადაც ხანგრძლივი დროის მანძილზე იმყოფებოდნენ მაკარიოსი და პავლე) სამეფო ადმინისტრაციის დავალებით პავლე ალეპოელს შეუსრულებია „საქართველოს აღწერილობა“ და საიდუმლო საგანგიოსთვის მიუწოდებია. „აღწერილობაში“ არა მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოზეა ლაპარაკი, არამედ მისი წარსულიცაა მოცემული. კერძოდ, როცა გელათის საეპისკოპოსოზეა ლაპარაკი, აღნიშნულია: „...Монастырь чудный и красный... Такого монастыря и такой церкви не есть ни одно подобно им... Создал Давид царь грузинский, яго же пишут ветхие книги, сю обитель. Егда нечестивый хотема пленити Грузию и тогда царь Давид приде в Русию и поклонился и вопросы помощи и давали ему великую силу и пошел изгна нечестивых от мести своего и свободи от них». ვფიქრობთ, სამართლიანად არის გამოთქმული მოსაზრება (ნ. ასათიანი), რომ ამ ცნობაში შეიძლება იგულისხმებოდეს დავით აღმაშენებელსა (1089-1125 წწ). და ვლადიმერ მონომახს (1113-1125 წწ.) შორის პოლიტიკური

ურთიერთობის გარკვეული აღნუსხვა და დაკავშირებული იყოს საქართველოში ყივჩაყთა გადმოსახლებასთან. სავარაუდოა, რომ პავლე ალეპოელის ცნობა ემყარებოდა რაიმე გადმოცემას ან ჩვენამდე მიუღწეველ რომელიმე წერილობით წყაროს. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ პავლე ალეპოელის ცნობა ავტორის დროის გარსშია გახვეული. კერძოდ ისეა დახატული ვითარება, როგორც მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი, როცა საქართველოს მეფეები რუსეთის სამეფო კარისაგან მართლაც ითხოვდნენ დახმარებას. პავლე ალეპოელის ცნობას უპირველესად ის მნიშვნელობა აქვს, რომ მასში დადასტურებულია დავით აღმაშენებლის დროს საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის ფაქტი.

საყოველთაოდ ცნობილია დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოში ყივჩაყთა გადმოსახლების დიდმნიშვნელოვანი ფაქტი. საქართველოს მეფემ ყივჩაყთა ორმოციათასი ოჯახი გადმოასახლა საქართველოში, მიწაზე დასვა (ყივჩაყები მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ), ფეოდალურ უღელში შეაბა (დაავალდებულა, რომ თითოეულ ოჯახს თითო მოლაშქრე მიეცა სახელმწიფოსათვის) და მათ ბაზაზე მუდმივი არმია შექმნა. ეს ყივჩაყთა ის ტომი იყო, რომელიც რუსეთის მთავრისაგან შევიწროებული კავკასიონის ჩრდილო კალთებზე იყო მომდგარი (ათრაქა შარაღანის ძის მეთაურობით) და სრულებითაც არ ჩანს გასაკვირი, რომ დავით აღმაშენებელს რუსეთის მთავართან კეთილმეზობლური დამოკიდებულების შენარჩუნების მიზნით, საქმის კურსში ჩაეყენებინა ვლადიმერ მონომახი. 1113 წლიდან ვლადიმერ მონომახმა შეძლო კიევის სამთავროს გაერთიანება, რამაც ყივჩაყთა მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა (იგი ადრეც ებრძოდა ყივჩაყებს). 1116 წელს იაროპოლკი შეიჭრა ყივჩაყეთში, აიკლო ქალაქები და დიდი ნადავლით გაბრუნდა. მის მიერ დევნილი ყივჩაყების საქართველოში გადმოსახლების შესახებ (ყივჩაყთა საქართველოში გადმოსახლების უშუალო მიზეზებზე) შექმნილია სათანადო ლიტერატურა და ამჯერად აქ აღარ შევჩერდებით.

ამ რამოდენიმე წლის წინ ირანის ხელნაწერთა ფონდებში მაგალი თოდუამ მიაკვლია და შემდეგ (1979 წ.) გამოაქვეყნა (თარგმანითურთ და სათანადო მეცნიერული კომენტარით) კიდეც XII-XVIII საუკუნეების ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა მიმოწერა მახლობელი აღმოსავლეთის სულთნებთან. ამ მიმოწერაში

საყურადღებოა ქართველ მეფეთა ტიტულატურები, რომლითაც მათ მუსლიმანი მფლობელები მოიხსენიებენ. აი ზოგიერთი მათგანი. „აბხაზის პატრონად“ სახელდებულ მეფე დავითისადმი გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „...ქრისტეს მოწაფეთა გვირგვინისა; ტახტთა და გვირგვინთა მემკვიდრეობით მპყრობელისა; აღმოსავლეთისა და დასავლეთის სტეფანოსისა, ქრისტეს სარწმუნოების მცველისა; აბსაზის, შაქის, ალანისა რუსიის მეფეთა მეფისა“ და ა. შ. იგივე ადრესატისადმი სხვა წერილში ვკითხულობთ: „...აბხაზის მეფეთა მეფის; რუმისა და რუსიის მარზბანის; ქრისტეს სარწმუნოების შემწის (დღეგრძელიმც ჰყოს ალლაჰმა მეუფება მისი და მარადი ჰყოს სამეფო მისი)...“ ან კიდევ „...ქვეყანათა მფარველი: გურჯის; აბსაზის, ალანის, შაქისა და საზარის მეფეთა მეფე...“ ამთავითვე შევნიშნავთ, რომ პირველ ორ შემთხვევაში „აბხაზი“ ნიშნავს სრულიად (აღმოსავლეთ და დასავლეთ) საქართველოს. ეს აღმოსავლეთის სხვა ავტორებთანაც კარგად ჩანს. მაგალითად ხაყანი შარვანი (XII ს.) გვამცნობს, რომ „აბსაზს მოსახლე გავხდი და ქართულად მოლაპარაკეო“ (ციტატს ვიმოწმებთ მ. თოდუას წიგნიდან „ქართულ-სპარსული ეტიუდები, III, 1979, გვ. 33). მესამე წერილში აბსაზი და გურჯი ერთადაა ნახსენები ე. ი. აბხაზი არ არის ნახმარი სრულიად საქართველოს მნიშვნელობით (სავარაუდებელია იგი დასავლეთ საქართველოს გულისხმობდეს). არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ წერილების ადრესატი დავით აღმაშენებელია (მ. თოდუა მიიჩნევს, რომ წერილები მიმართულია ლაშა გიორგისადმი). ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს წერილების ადრესატის რუსის „მეფეთ მეფედ“, ან რუსის „მარზბანად“, ან კიდევ საზარის „მეფეთა მეფედ“ მოხსენიება. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, აქ „ხაზარი“ ჩანს „რუსის“ ბადალი. ამის დადგენა ქართული წყაროებითაც შეიძლება. ხაზარეთის ყოფილი ტერიტორია თამარის პირველი ისტორიკოსის („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) მიერ რუსეთად არის მიჩნეული. „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ნუსხებში (დადიანისეული, მაჩაბლისეული, ფალავანდიშვილისეული და სხვ.) იქ სადაც ხაზარეთზეა ლაპარაკი, არშიაზე პირდაპირ წერია: „ხაზარეთი რუსეთიაო“. (იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 11) ისიც ნიშანდობლივია, რომ მ. თოდუას მიერ გამოქვეყნებულ წერილებში თუ ხაზარი და ყივჩაყია დასახელებული, რუსი ნახსენები არ არის, ან პირიქით.

სხვადასხვა ისტორიკოსთა (ბ. ზახოდერი, ა. კოვალევსკი, ვ. ბარ-

ტოლდი, ა. შასმატოვი, ვ. მინორსკი, ნ. ხანიკოვი, ა. ნოვოსელცევი და სხვ.) მოსაზრებათა გათვალისწინებით მუსლიმანურ წყაროებში (ხაყანი, ნეზამი და სხვ.) დაყრდნობით მართებული ჩანს მ. თოდუას დასკვნები, რომ რუსი არამარტო დღევანდელი რუსეთის ჩრდილო ნაწილს ეწოდებოდა, არამედ იმიერკავკასიაში დაფუძნებულ გარკვეულ ერთეულსაც (რუსთა ერთ გარკვეულ შტოს) აღნიშნავდა და ამავე მნიშვნელობით იყო ნასმარი ეს ტერმინი ქართველი ადრესატებისადმი გამოგზავნილ წერილებში. ეს რუსი მოწყვეტილი იყო პირვანდელ საცხოვრისს და ჩრდილოეთიდან უშუალოდ ემეზობლებოდა მაშინდელ საქართველოს. როგორც ჩანს, ეს ერთეული ბაგრატიონთა სამეფო სახლის ვავლენის ქვეშ მოქცეულა მეთორმეტე საუკუნეში, რაც თავის მხრივ ქართველ მეფეთა ტიტულატურაშიც ასახულა. დავით აღმაშენებელს („მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“) ემორჩილებოდა „ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და სელმწიფენი ოვსეთისა და ყივჩაყეთისანი, სომხეთისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი“ (ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 360. აქ მოხსენებული „ფრანგეთის“ რაობა დღემდე არ არის საბოლოოდ გარკვეული. იქნებ სწორი იყო ლ. მელიქსეთბეგი, რომელიც „ფრანგეთის“ ნაცვლად „ვარანგეთს“ კითხულობდა); მისი სამეფო გადაჭიმული იყო „ნიკოფსიდგან დარუბანდამდისა ზღუდმდე და ოვსეთიდგან სოერად და არეეაწადმდე“. გიორგი მესამემაც „ოვსთა და ყივჩაყთა რაოდენი ათასი კაცი უბრძანის, მოვიდიან. ეგრევე შარვანის სახლი“. თამარსაც მორჩილებენ „ოვსნი და ყივჩაყნი“.

ამასთან მეთორმეტე საუკუნის მთელ სიგრძეზე ჩანს დარუბანდის საამიროს ვასალური დამოკიდებულება საქართველოსთან. საქართველოს მეფისა და დარუბანდის ამირას ურთიერთობა სიუზერენისა და ვასალის ურთიერთობაა. ბასილი ეზოსმოძღვარი ხმამაღლა აცხადებს თამარის შესახებ: „და წამებს ამას ყოველი მახლობელი სამეფო გარეშემო ქართლისა, თუ რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ სცა სამეფო თვისი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თვისად კუალად აგნა და რაოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა. და ამისი მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს

და მტერთაგან უზრუნველობასა“ (ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 147). რაკიდან გაზვიადებულ არ იყოს ეს ცნობა ჩამოთვლილი „სახლების“ ვასალური დამოკიდებულება საქართველოსთან აშკარაა. სრულიად კანონზომიერია ამიერკავკასიის მოხსენიება დავით ნარინის სამეფო ტიტულშიც: „სახელითა ღმრთისაითა დავითისგან ბაგრატუნიანისა, რუსუდანის ძისა, ნებითა ღმრთისაითა, აფხაზთა, ქართველთა, რანთა კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა საქართველოისა და ჩრდილოეთისა ფლობით მპყრობელისა“ (შეკუვალობის განახლების სიგელი დავით ნარინისა ხეფინისხეველთა და წაქველთადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 72).

რუსთა და ქართველთა ურთიერთობაში მეტად ნიშანდობლივი მოვლენა იყო დინასტიური ქორწინებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა რუსეთის მთავრებს, ან მათი ოჯახის წევრებსა და საქართველოს მეფეებს ან ბაგრატიანთა სამეფო საგვარეულოს სხვა წარმომადგენლებს შორის. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოს ფეოდალური მონარქიისა და კიევის სამთავროს ურთიერთდამოკიდებულება მეთორმეტე საუკუნის შუა ხანებში. ეხება რა 1153 წელს მომხდარ მოვლენებს იპატის მატიანე გადმოგვცემს, რომ შემოდგომაზე კიევის მთავარმა იზიასლავ მსტისლავის ძემ გაგზავნა თავისი ვაჟი მსტისლავი სადედინაცვლოს შესასვედრად: «Послал бо бяше Изяслав по другую жену себе во Обезы» (Полное собраше русскихъ летописей, т. VIII, СПб., 1856, с. 60). როგორც ჩანს, საცოლეს იზიასლავ მსტისლავის ძე საქართველოდან (რუსულ მატიანეებში საქართველო „ობეზის“ ან „ავერ“ (ივერ)-ის სახელითაა ცნობილი) ელოდება. 1154 წლის ქვეშ იპატის მატიანე აზუსტებს, რომ იზიასლავმა ცოლად შეირთო საქართველოს მეფის ასული (цареву дшерь) და კიევში იქორწინა მასზე. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ ისტორიკოსებს. ერთნი (პ. ბუტკოვი და სხვ.) ამ მოვლენას ქართველი მეფის ასულის (იგი უნდა ყოფილიყო დავით აღმაშენებლის ან დემეტრე პირველის ასული) შორსგასმენილი სილამაზით ხსნიან, მეორენი (ი. ციხაძე და სხვ.) პოლიტიკურ შინაარსს დებენ ამ ქორწინებაში. მართებული, რა თქმა უნდა, მეორეთა მოსაზრებაა. აქ უნდა გავითვალისწინოთ მეთორმეტე საუკუნის კიევის რუსეთის საშინაო

და საგარეო მდგომარეობა. ამ პერიოდში მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობს სამთავროებს შორის. ქვეყნის ცენტრალისტურ ძალებს კიევის სამთავრო უდგას სათავეში. გაერთიანებისათვის ბრძოლაში კიევი თანდათან იმცროზა პოლიტიკურად და ეკონომიურადაც ქვეითდება. მის ადგილს თანდათან (მეცამეტე საუკუნის დამდეგიდან მთლიანად) იკავებს ვლადიმერ-სუზდალის სამთავრო. ასეთ პირობებში მყოფი კიევის მთავრისათვის, ბუნებრივია, ხელსაყრელი იყო ძლიერი საქართველოს მონარქიასთან დაკავშირება და ამ მიზნით დინასტიური ქორწინება. ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია ის მოსაზრებაც, რომლის მისედვითაც კიევის მთავარი საეკლესიო საკითხის გადაწყვეტას ერიმორწმუნე საქართველოსთან და მის ავტოკეფალურ ეკლესიასთან მჭიდრო კავშირში ხედავდა (ო. ჟუჟუნაძე). გარკვეულ ეტაპზე კიევის რუსეთისა და საქართველოს ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე ერთი რიგისა იყო (მაგ. ბიზანტიის იმპერიის ბატონკაცური პრეტენზიების წინააღმდეგ ბრძოლა და სხვ) და მათი მოკავშირეობა სრულიად კანონზომიერი იყო. სხვადასხვა სახელმწიფოების სამეფო დინასტიებთან დამოყვრება უცხო არ ყოფილა XI-XII სს. ბავარატიონთა სამეფო საგვარეულოსათვის. არც კიევის სამთავრო ისევდა უკან საჭირო პოლიტიკური საფუძველის მქონე ქორწინებებიდან (იზიასლავის ერთი და ცოლად ჰყავდა უნგრეთის მეფეს, ძმისწული პოლონეთში იყო გათხოვილი, ჩეხეთის მთავრის ქალიშვილი მისი ძმის სვიატოპოლკის ცოლი იყო).

ერთი სიტყვით, კიევის მთავრისა და საქართველოს მეფის ასულის ქორწინება შორსგამიზნული დიპლომატიური ნაბიჯი იყო და ამ ორი პოლიტიკური ერთეულის, რუსი და ქართველი ხალხების კეთილ ურთიერთდამოკიდებულებაზე მიუთითებს.

სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია თამარ მეფისა და იური ანდრიას ძის ქორწინებას. ეს დინასტიური დამოყვრება საქართველოში მიმდინარე მეფესა და სეპარატიზმის მომხრე დიდგვაროვან ფეოდალებს შორის ხშირად შინაკლასობრივ ბრძოლებს გადაეხლართა.

დიდგვარიანების მიმართ წარმოებულ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკას ზურგს უმაგრებდა სამეფო კარის მომხრე ფეოდალთა დიდი არმია, მაგრამ ამასთანავე იყვნენ რიგი ფეოდალებისა, რომლებიც თავისი უფლებების გაზრდა-გაფართოებაზე ფიქრობდნენ. ამ მიზნის მისაღწევად ისინი არავითარ ხერხსა და ძალას არ

იშურებდნენ და მაშინ, როცა საქართველოს მეფექალის თამარის სასლობის საკითხი ღიღა, აშკარა გახდა ის მწვავე ბრძოლა, რომელიც დიდგვარიან ფეოდალთა სხვადასხვა დასებს შორის არსებობდა. ამჯერად ეს ბრძოლა თითოეული ამ ღასისათვის თამარის ქმრად სასურველი კანდიდატის მოძებნას გადაეჯაჭვა. ეს გზა, ბუნებრივია, საქართველოს სამეფო კარზე გავლენის გაზრდის რეალურ შანსად ისახებოდა. „შეიყარნეს შემჭირნენი და ზრახვა ყვეს ძებნა წაღმართისა და მოყვანა ქმრისა". „ისტორიათა და აზმათა" ავტორისაგან განსხვავებით, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი" გვაუწყებს, რომ „აღივსებოდა რა კრება (საეკლესიო კრების დასრულებაზეა ლაპარაკი — რ. მ.), შემოვიდეს ყოველნი სპასალარნი და ერისთავნი სამეფოსანი და მოახსენეს მამათა, რათა ზოგად იღუწონ შემოყვანებად სიძისა თამარისთჳს". ე. ი. თამარის სახლობის საკითხს საეკლესიო კრების მონაწილეებთან ერთად იხილავენ „ყოველნი სპასალარნი და ერისთავნი სამეფოსანი". ამ დარბაზობის ღროს წინადადებანი ალბათ არაერთი იქნებოდა, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც იქცევს ქართლისა და თბილისის ამირას აბულასანის მიერ წამოყენებული მოსაზრება, თამარისათვის რუსი უფლისწულის ანდრია ბოგოლიუბსკის შვილის იურის (იგივე გიორგის) შერთვის შესახებ: „მე ვიცი შვილი ხელმწიფისა ანდრია დიდისა რუსთ მთავრისა, რომელსა მონებენ სამასნი მთავარნი რუსთანი. და იგი, მცირე დარჩომილი მამისაგან, ექსორია-ქმნით დევნილი გარდმოიხუეწა ბიძისა, სავალათად (იგულისხმება ვსევოლოდი — რ. მ.) სახელწოდებულისაგან და არს იგი ყივჩაღთა მეფისა სევინჯისა ქალაქსა".

ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისადმი მიძღვნილ დარბაზობაზე (დარბაზის სხდომაზე) აბულასანის გამოსვლა შემოსვევითი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ დროისათვის (დაახლოებით 1185 წ. დამლევი) მას ალბათ ჰქონდა ასეთი უფლება, ე. ი. აბულასანი სამეფო დარბაზის სრულუფლებიანი და თანაც გავლენიანი წევრი იყო.

ახლა განვიხილოთ თუ რატომ შეჩერდა დარბაზის წევრთა უმრავლესობა აბულასანის წინადადებაზე. იყო თუ არა წინასწარ შეშადებული ეს წინადადება და რამ განაპირობა სწორედ რუს უფლისწულზე გეზის აღება.

გიორგი (იური) უფლისწული როსტოვ-სუზდალის დიდი მთავ-

რის (თამარის პირველი ისტორიკოსი მას „ანდრია დიდი რუს-მთავარის" სახით იხსენიებს) ანდრიას შვილია. მის შესახებ ცნობებს რუსული მატიანეები ძალზე ძუნწად იძლევიან. ნოვგოროდელი მემატიანე წერს: «В лето 6680 (1172 г. — Р. М.) Приде Новугороду князь Гюрги Андреевиц»[1] ე. ი. ანდრიას 1172 წელს თავისი შვილი გიორგი (იური) ნოვგოროდის მთავრად გაუგზავნია რიურიკის ნაცვლად. იურის ჩასვლამდე კი 1171 წლიდან ნოვგოროდში ანდრიას ხელდასხმით პოსადნიკი მჯდარა. ეს იპატის მონასტრის ნუსხიდანაც დასტურდება: «В ту же зиму выйде Рюрик из Новагорода; потомъ же Новогородцы послашася ко Андрею князю в Суждаль, и вда им детя свое Юрья и прияша и с честью».

მიუხედავად ცნობების სიმცირისა, იმ დასკვნის გაკეთება მაინც შეიძლება, რომ იური სხვადასხვა მიზეზების გამო (აქ შეიძლება მისი მცირე წლოვანებაც არ არის ბოლოსარისხოვანი მომენტი) ძალზედ შეზღუდული იყო. მთავრის დანიშნულებად იმ დროის ნოვგოროდში ძირითადად ლაშქრის ხელმძღვანელობა ითვლებოდა, სხვა საქმეების გამგებლობა უმეტესწილად პოსადნიკისა და ვეჩეს ხელში იყო.

იური ანდრიას ძეს, მემატიანეების ცნობით, ლაშქრობებშიაც მიუღია მონაწილეობა, მაგრამ აქ მისი ხელმძღვანელობა-სარდლობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ფაქტიურად კი ლაშქრის თავკაცებად მხვილი ბოიარები ჩანან. «И посла (Андрей Боголюбский. — Р. М.) на нъ сына своего Юрья с Новогородци и с Ростовци и с Суздалци и инех князей 20 с полкы своими, воеводство же поручи Борису жидиславичу...» «И посла с ними сына своего Юрья и Бориса Жидиславича воеводою».

ანდრია ბოლოგიუბსკის გარდაცვალების შემდეგ ნოვგოროდის სამთავროში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. როსტოვ-სუზდალის სამთავროში შექმნილი შინაური აშლილობა თავის მხრივ განაპირობებდა იურის ნოვგოროდიდან გაძევების აუცილებლობას და, მართლაც, 1175 წელს «В лето 6683. Выведоша из Новагорода князя Гюргия...»

1176-77 წლებში ანდრია ბოგოლიუბსკის ძმამ ვსევოლოდმა (ქართული წყაროებით სალავათი) მთლიანად დაიპყრო ანდრიას სამფლობელო და თავის უფლებებში მოცილე აღარავინ გააჩერა სუზდალის სამთავროში. ამ მოქმედების შემდეგ იყო თვით იური უფ-

ლისწულის ექსორიაქმნა მისი სამთავროდან. ეს უკანასკნელი ამის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩნდა და შემდგომში რუსი ისტორიკოსებისათვის მისი ბედი ქართული წყაროებიდან გახდა ცნობილი.

ქართველ დიდვაჭართა მიერ ყივჩაყეთში აღმოჩენილი რუსი უფლისწული საქართველოს დიდგვარიან ფეოდალთა ერთი ნაწილისა და მოქალაქეთა ზედაფენისათვის მისაღები უნდა ყოფილიყო, რადგან მდგომარეობა ნოვგოროდის მთავრისა, რომლის უფლებები შეზღუდული იყო და „ვეჩეს“ ემორჩილებოდა (აქ მსხვილი ვაჭრები და ფეოდალები იყვნენ ძირითადად), სავსებით შეესაბამებოდა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლთა ინტერესებს. ამის გარდა, ბუნებრივია, დარბაზის წევრებისთვის მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ იური ანდრიას ძე დიდგვარიანი ფეოდალი, „ხელმწიფის შვილი,“ ქრისტიანი იყო, თანაც მართლმადიდებელი. ამ მხარემ საკითხის გადაჭრაში ალბათ არსებითი როლი ითამაშა. თუმცა დიდებულებს, როცა ისინი უპირატესობას იურის კანდიდატურას აძლევდნენ, ამ დებულებით არ უნდა ეხელმძღვანელათ. მათთვის უფრო საინტერესო იყო ის გარემოება (გარდა ზემოთთქმულისა), რომ იური გადმოხვეწილი იყო, ექსორიაქმნილი, და თავისი დასაყრდენი ძალებიც საქართველოს სამეფოს მაღალ წრეებში უნდა ეძებნა. ეს კი დიდებულთა გარკვეულ ნაწილს უქმნიდა შანსს ახალ ვითარებაში თავის გამოჩენისა და გავლენის სფეროთა გაფართოებისათვის.

იური ანდრიას ძე, რომელიც იმ ხანად ყივჩაყეთში იმყოფებოდა, საქართველოს, კერძოდ, თბილისის დიდვაჭრებისათვის, კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი. არ არის გამორიცხული, რომ მისი თამარისათვის ქმრად შერთვის საკითხზე რაიმე წინასწარი მოლაპარაკებაც ყოფილიყო გამართული იურისთან. ამას გვაფიქრებინებს, ჯერ ერთი ის გარემოება, რომ აბულასანმა ასე თამამად, საკმაოდ კატეგორიული ფორმით დააყენა ეს საკითხი დარბაზის სხდომაზე, სადაც საზი გაუსვა რომ „მე ვიცი შვილი ხელმწიფისა“ და სხვ. ე. ი. თავის საკუთარ ცოდნაზე („მე ვიცი“) ააგო მის მიერ გაკეთებული განცხადება. საფიქრებელია, რომ მას იურისაგან უკვე გარკვეული დასტურიც ჰქონდა მიღებული. მეორე — თვით სასიძოს ასეთი სწრაფი, ვადაზე ადრე ჩამოყვანა ზანქან ზორაბებელის მიერ („მსწრაფლ მისრულმან ცვალებითა ჰუნეთათა, წარმოიყვანა და მოიყვანა უწი-

ნარე პაემნითა მოყმე სასეკლუცი, სრული ანაგებითა და მჭვრეტთაგან საჩენი ეუარისშეილად“) სწორედ ზემოთქმულს (იური უფლისწულის ამ საკითხის ირგვლივ საქმის კურსში ყოფნას) ადასტურებს. თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვით „პატრიარქმან, დიდებულმან, ვაზირთა და სპათა — მოასხენეს თამარს, და მათგან ნებადაურთავი განამზადეს ქორწილი“. აქ ჩამოთვლილ საეკლესიო (მიქაელ პატრიარქი ორივე ისტორიკოსს უფლისწულის მოწვევას მომხრედ ჰყავთ გამოყვანილი; არც ის იყო შემთხვევითი, რომ დარბაზი აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად საეკლესიო კრების შემდგომ, ამ კრების მონაწილეთა საერო პირებით შევსების შემდეგ შეიკრიბა) თუ საერო პირებისა და, უფრო მეტიც, წრეების პოზიცია გარკვეულია.

იური უფლისწულის საქართველოში ჩამოყვანა და თამარ მეფის ქმრად ხელდასხმა ქვეყნის მმართველი სოციალური წრეების გარკვეული, საკმაოდ მნიშვნელოვანი ჯგუფის გეგმით იყო ხორცშესხმული და მათ კლასობრივ ინტერესებს შეესაბამებოდა. ბუნებრივია, სხვადასხვა სოციალური წრეების წარმომადგენლები თავისებურად ფიქრობდნენ ამ ახალი იარაღის (იური ანდრიას ძე) საკუთარი კლასობრივი ინტერესებისათვის გამოყენებას (ეს აშკარად გამოჩნდა იური ანდრიას ძის გაძევებისას და ქართველ დიდებულთა ერთი ნაწილის დახმარებით მისივე აჯანყების დროსაც).

ამგვარად, რუს-ქართველთა ურთიერთობის პირველ ეტაპზე ამ ორი ხალხის დამოკიდებულებას რამდენადმე (სხვა ფაქტორებთან ერთად) კლასობრივი ინტერესებიც განსაზღვრავდა.

რუსი და ქართველი ხალხების ბედი შემთხვევაში ძალზე გავდა ერთმანეთს. ორივენი მედგრად იქნევდნენ ხმალს მომხდური მტრის წინააღმდეგ და იცავდნენ თავის თვითმყოფადობას, ეროვნულობას, დამოუკიდებლობას, ერთმორწმუნე და მეგობარი ხალხების გულმა ერთმანეთი საძმოდ მონახა; მტკიცე ძმობამ კი დიდი გამარჯვებები მოიტანა.

ერთი სიტყვით, უცილობელი ფაქტია, რომ რუსი და ქართველი ხალხები, რუსეთი და საქართველო ათეული საუკუნეების წინ იცნობდნენ ერთმანეთს და მნიშვნელოვანი ურთიერთობაც ჰქონდათ; ურთიერთობა, რომელიც შემდგომში მათი დაახლოების და მტკიცედ შეკავშირების საწინდარი გახდა.



ქართული საბჭოთა ენციკლოპედია

გასრულდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის თორმეტტომეულის — პირველი ქართული ეროვნული უნივერსალური ენციკლოპედიის გამოცემა. ენციკლოპედია, ყველა სხვა კულტურულ მიღწევებთან ერთად, ჩვენი ერის მაღალგანვითარებულობისა და ინტელექტუალური ძლიერების, ახალი თვალსათელი მაჩვენებელია. იგი ერთხელ კიდევ სათლად აღასტურებს ჩვენი პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის კურსის ცხოვრებაში გატარებას. ის ერები, რომელთაც ტრადიციულად ენციკლოპედიის გამოცემის დიდი წარსული აქვთ, ეროვნული უნივერსიტეტების გვერდით განისილავენ მის მნიშვნელობას. ამიერიდან საქართველოც იმ ქვეყანათა რიცხვშია, რომელთაც ეროვნულ უნივერსიტეტთან ერთად ეროვნული უნივერსალური უნციკლოპედიაც გააჩნია. რაც შეეხება ტრადიციულობას, ამ მხრივაც შეიძლება ბევრი ითქვას. მართალია ბოლოდრომდე ენციკლოპედია არ იყო შექმნილი, მაგრამ ლექსიკოლოგიური შრომა დიდი იყო გაწეული და ძველთაგანვე არსებულა საქართველოში სხვადასხვა სასის ლექსიკოლოგიური თუ ენციკლოპედიური ლიტერატურა. ყოველივე ამანაც მთელ რიგ სხვა ფაქტორებთან ერთად, გასადა შესაძლებელი ის მიღწევები, რაც ენციკლოპედიურ საქმიანობაში დღესდღეობით მოიპოვება.

ორიოდე სიტყვით შევჩერდეთ ჩვენში ენციკლოპედიურ-ლექსიკოლოგიური ცოდნის წარსულზე (უფრო ვრცლად იხ. სიტყვის კონა ანუ ცოდნის სალარო, მნათობი, 1974, №9).

* * *

„მე სულხან-საბა ორპელიანსა, ჭაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა. რამეთუ ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებათა უჩინო

ქინაღი იყო, რომელსაც მეხუთე ვახტანგ მეფემან ქართულად „სიტყვის კონა“ უწოდა“. ავტორი ამ სიტყვებისა, გამოჩენილი ქართველი ლექსიკოგრაფი და საზოგადო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი, ამ ორი საუკუნის წინ ჩიოდა, რომ „ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარა იპოებოდა“. რაკი საბას დროს ასეთი ლექსიკონი აღარ არსებობდა, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ძნელბედობის ჟამს დაიკარგა და ველარ მოაღწია. მართლაც, თუ გავადევნებთ თვალს ქართული ლიტერატურის განვითარებას, ყურადღებას იქცევს ძველი ქართული ლიტერატურის სიმდიდრე ნაირფეროვანი ჟანრებითა და მეცნიერული დარგებით. უძველესი დროიდან შეიქმნა ბიბლიოლოგია, ჰიმნოგრაფია და აგიოგრაფია. შემდგომში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ისტორიოგრაფიას, პოლემიკას, კანონიკასა და ფილოსოფიას. ეს თავისთავად მოასწავებდა ქართველ მწიგნობართა ზოგადი თუ სპეციალური აზრის სიფართოვეს. ლიტერატურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგების სიმრავლემ თავის მხრივ განაპირობა აუცილებელი არსებობა ისეთი დამსმარე მეცნიერული დარგებისა, რომლებიც მოწოდებულნი იქნებოდნენ მიეცათ მკითხველისათვის ნათელი წარმოდგენა მათთვის უცნობ სხვადასხვა სამეცნიერო ცნებებზე.

საისტორიო, ფილოსოფიურ-თეოლოგიური და საერო-მხატვრული მწერლობის განსაკუთრებული აყვავება ხდება XI-XIII საუკუნეებში. ეს არის პერიოდი, როცა სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ გამოჩენილი მწერლები და მეცნიერები: გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, ლეონტი მროველი, იოანე შავთელი, შოთა რუსთაველი, ჩასრუხაძე და სხვ. კულტურულ ასპარეზზე ასეთი დიდი მოღვაწეების გამოსვლამ ახალი ძვრები მოიტანა, ხელი შეუწყო ქვეყნის კულტურულ პროგრესს. შეიქმნა ლიტერატურული სკოლები, დაიწერა სასწავლო სახელმძღვანელოები, შემუშავებულ იქნა თარგმანისა და კომენტარების შედგენის მეთოდები, ფილოსოფიური სტილი და ტერმინები, დაწესებული იქნა სახოტბო და ეპიკური პოეზიის ნორმები. ხსენებულმა მოღვაწეებმა ახალი ჰუმანური იდეები დაუდვეს საფუძვლად თავიანთ საქმიანობას და მათმა შემოქმედებამ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია.

ქართული მწერლობისა და მეცნიერების ამ აყვავების პერიოდში ახალი მოთაგონებით, ცხოველი ძალით დაიწყო ფილოლოგიურ-

ენათმეცნიერული კვლევა, უდიდეს როლს ამ მხრივ ასრულებენ ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის სალიტერატურო სკოლები, რომლებიც სხვა მნიშვნელოვან საქმიანობასთან ერთად ლექსიკოლოგიურ მუშაობასაც ეწევიან. ამ პერიოდის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ თუ საისტორიო აგიოგრაფიულ თხზულებებს თან ერთვოდა ენციკლოპედიური ხასიათის განმარტებები, სადაც მკითხველი იგებდა, როგორც უცხოური ცნებების, ტერმინების, ასევე საკუთარ, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა მნიშვნელობებს. ამგვარი განმარტება-კომენტარები საკმაოდ უხვად გვხვდება ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის შრომებში. ამ მხრივ საინტერესოა კონსტანტინე (ევანტე) დიაკონის (IX) ს. მიერ ბერძნულიდან თარგმნილი თხზულება: „სიტყვა ექსორიობით აღმოყვანებისათვის სხეულისა წმინდისა ნიკიფორესსა“, რომელსაც ერთვის ისტორიული და მითოლოგიური სახელების კომენტარები. აღსანიშნავია ასევე ეფრემ მცირის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი „ზღაპრობანი ელენთანი“, რომელშიც შეკრებილია ძველი ბერძნული მითოლოგიური სახელები და ბერძენ ფილოსოფოსთა ნააზრევი და განმარტებანი, რომელიც ნათელ წარმოდგენას აძლევს მკითხველებს მითოლოგიურ მოვლენებსა და ფილოსოფიურ ცნებებზე.

ქართული ენციკლოპედიური ცოდნის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი არსენ იყალთოელის ფილოსოფიურ-თეოლოგიური შრომების კრებულმა „დოღმატიკონმა“ იოანე პეტრიწის „პროკლე დიადოხოსის კავშირთა კომენტარებმა.“ ფილოსოფიურ-ლოგიკურ თხზულებათა ქართულმა თარგმანებმა. შემორჩენილია თარგმნილ ლექსიკონთა ფრაგმენტები. მაგალითად, „წმიდათა და ღმრთივ სულიერთა წიგნთაგან ღმერთ-შემოსილთა მამათა მიერ გამოკრებული ებრაელთა ენისა სახელები რაოდენიმე თარგმანებაი ლექსიკონისაი“ (ილ. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები III, 1936, გვ. 267). აქ 121 უცხო სიტყვაა განმარტებული. სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად მართებული ვარაუდია გამოთქმული, რომ ამგვარი ლექსიკონები სხვაც იქნებოდა ქართულ ენაზე. ზოგი ცნობით, სამეფო ბიბლიოთეკაში ყოფილა სხვადასხვა ლექსიკონები, რომლებშიც შეიძლებოდა ამა თუ იმ სადავო სიტყვის მნიშვნელობის გაგება. (სულხან-საბა ორბელიანი, III, ი. ლოლაშვილის რედაქციით, 1963, გვ. 305-306).

ქართული საენათმეცნიერო-ლექსიკოლოგიური საქმიანობა ახალ აღმავლობას განიცდის სულხან-საბა ორბელიანის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლით. ეს ფაქტობრივად ახალი ეტაპის დასაწყისი იყო. სულხან-საბა ორბელიანმა გიგანტური შრომა გასწია თავისი „ქართული ლექსიკონის“ შესაქმნელად: „რომელნიცა ძნელნი სიტყვანი არა ვიცოდით, ღრმათა წიგნებთა შინავპოე. და რომელიმე სხვათა ენათა შევამოწმე და გამოწვლილვით რომელნიცა ვპოე, ადვილად თან მოვაწერე, რომელსნიცა ვერა ვპოე, საცილობელი არ დავწერე“. ს. ს. ორბელიანს გამოუყენებია ბერძნული, ლათინური, არაბული, სომხური და რუსული ლიტერატურა („გარნა რაოდენ ძალა-მეძღა, ვეცადე ელენთა, ლათინთა, სომხურთა, რუსთა და არაბთა წიგნებისაგან და მით გადმოვიღე“). მეცნიერს დიდი ამოცანა დაუსახავს თავისი შრომისათვის იგი უნდა ყოფილიყო იმ ლექსიკონის შემცველი, რომელიც აღრე ჰქონიათ ქართველებს და ჟამთა ძნელბედობის გამო დაკარგულიყო; ამ ნაშრომით უნდა შეესწავლათ“ „ენა ქართული, შესრულებული და გავრცელებული ფარნავაზ ქართველთა პირველისა მეფისა მიერ“.

სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ ენციკლოპედიური ხასიათის განმარტებითი ლექსიკონია. მასში, გარდა წმინდა ენობრივი საკითხებისა, განმარტებულია მნიშვნელოვანი საენციკლოპედიო მასალაც, მეცნიერული ცნობები გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და საკუთარი სახელები, უცხო სიტყვები და გამოთქმები და სხვ. სულხან-საბას კარგად ესმოდა, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომის შექმნა და სამზეოზე გამოტანა ბევრ დაბრკოლებასთან იქნებოდა დაკავშირებული. გამოჩნდებოდნენ ალბათ ისეთნიც, რომელნიც გაპკილავდნენ მეცნიერების ნაღვაწს. შემთხვევითი არ არის რომ თვით საბაც ვარაუდობდა ამგვარ შეხვედრას მისი ლექსიკონისადმი „მათ თუცა წერილი უყვარან, მრავალნი სხვანი წერილნი არიან საღვთონი და საერონი, და რომელიც ენებოსთ იგი იკითხნენ“.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონმა უდიდესი როლი ითამაშა ქართული ენციკლოპედიური ცოდნის განვითარებაში. საკითხების სიმრავლემ და სიფართოვემ, ჭეშმარიტმა ენციკლოპედიურობამ ეს პრწყინვალე ნაშრომი დღემდე მნიშვნელოვან სამაგიდო წიგნად აქცია.

XVIII-XIX საუკუნეებში ლექსიკოლოგიური მუშაობა კლავ

გრძელდება. გამოჩნდნენ მწიგნობარნი, რომლებიც ავრცობენ და აზუსტებენ „ქართულ ლექსიკონს“. ამ მხრივ აღსანიშნავია ცნობილი პოეტისა და მწიგნობარის დავით რექტორის საქმიანობა, რომელმაც XVIII საუკუნის მიწურულს გადაწერა „ქართული ლექსიკონი“ და შეავსო ახალი, ენციკლოპედიური მნიშვნელობის მასალით (ვ. ბერიძე, დავით რექტორი ლექსიკოგრაფის საბა ორბელიანის გამგრძელებელი, თსუ შრომები, 1,1936, გვ. 310-332). მეტად მნიშვნელოვანია იოანე ბატონიშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონი“, რომლის შემდგენელი, როგორც გამოკვლეულია, საბა ორბელიანის ნაშრომს ემყარება; თან ავსებს მას ახალი ლექსიკური მასალით, იძლევა ცალკეული სიტყვობრივი ერთეულების მკაფიო გრამატიკულ დახასიათებასა და მეცნიერულად დასაბუთებულ განმარტებას. (ა. ღლონტი, ფილოლოგიური ნარკვევები, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, 1955 გვ. 286). ყოველივე ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში ძველთაგანვე ყოფილა ენციკლოპედიური ნაშრომების შედგენის სერიოზული ცდები.

XIX საუკუნის დასაწყისში იქმნება ფრიად მნიშვნელოვანი ენციკლოპედიური ნაშრომი იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“. უპირველესად ყოვლისა, ეს ძეგლი ბრწყინვალე ლიტერატურული ნაშრომია. ამასთან, ეს არის დიალოგის ფორმით დაწერილი ენციკლოპედიური სიტყვარი. „კალმასობაში“ წარმოდგენილია მაშინდელი ცოდნის თითქმის ყველა დარგი: ისტორია, ფილოსოფია, საღმრთო რჯული, ლიტერატურათმცოდნეობა, ბუნებისმეტყველება, მედიცინა და სხვ. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ 1823 წელს პეტერბურგში ქართულად გამოქვეყნდა „ენციკლოპედია ანუ შეკრებილება ზნეობითთა სწავლათა ჰაზრთანი, და განსჯანი სსვათა და სხვათა ნივთთათვის. დათხზული და აღსხმული ანბანთა ზედა და ფრანციცულისა წერილთაგან რუსულსა ზედა გარდმოღებული კოლლეუსკის ასსესორის იოანე პრიკლონსკის მიერ. ხოლო რუსულისა ენისაგან ქართულსა ზედა ითარგმნა ტიტულარნი სოვეტნიკის გიორგი ჩუგუნოვის მიერ“.

XIX საუკუნის მიწურულს ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ივანე როსტომაშვილმა გამოაქვეყნა ოთხი წიგნი: „სალარო ცოდნისა. რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი“ აღნიშნულ ოთხ წიგნში მოცემულია მასალები მხოლოდ ა-დან გ-მდე. ეს დიდი საქმე ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი.

ცხოვრების წინსვლა, მეცნიერების დონის ამაღლება და კულტურის განვითარება ჩვენი საუკუნის დასაწყისში ახალი ძალით აყენებს ენციკლოპედიის გამოცემის საკითხს. სწორედ ამ სამოცდაათიოდე წლის წინ ქართველმა პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეებმა მოიწადინეს ენციკლოპედიის გამოცემა. ამ საქმეს სათავეში ედგნენ რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში მოღვაწე სწავლულები: ალექსანდრე ცაგარელი, ვასილ პეტრიაშვილი და ალექსანდრე ხახანაშვილი. „საქართველოს ენციკლოპედიის“ გამოსაცემად შეიქმნა ამხანაგობა „ცისკარი“, რომლის გამგეობაში შევიდნენ: ი. გოგებაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, პ. გოთუა, პ. თუმანიშვილი, კ. თუმანიშვილი და ი. მაჭავარიანი. მოწვეულ თანამშრომელთა შორის იყვნენ ცნობილი მოღვაწეები ზ. ავალიშვილი, ე. თაყაიშვილი, მ. თამარაშვილი, ეპისკოპოსი კირიონი, ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, მ. ჯანაშვილი, პ. მელიქიშვილი და სხვ. შედგენილი იქნა საკმაოდ ორიგინალური პროგრამაც, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს იმდროინდელი ქართული მეცნიერების განვითარების დონეზე. მაშინდელმა პირობებმა საშუალება არ მისცეს ჩვენს სახელოვან სწავლულებს და მათ თანამოაზრეებს ენციკლოპედიის გამოცემის პატრიოტული საქმე განეხორციელებინათ.

ისე როგორც მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგის განვითარება, ლექსიკოლოგიური მუშაობის აღორძინებაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება. 1927 წელს გამოდის იუსტინე აბულაძის „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ სალიტერატურო, საპოლიტიკო, სატექნიკო, უცხო სიტყვათა და ტერმინთა ჩართვით (ნაწ.I). უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო პარტიისა და მთავრობის მიერ სათანადო გადაწყვეტილებათა მიღება ამიერკავკასიის ენციკლოპედიის გამოცემის შესახებ. ამას მოჰყვა საკავშირო კპ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წლის 25 სექტემბრის დადგენილება, რომლის მისედვითაც გადაწყდა ცალ-ცალკე ყოფილიყო გამოცემული ენციკლოპედიები, ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოჰყო „ქართული საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის“ სარედაქციო კოლეგია. მთავარ რედაქტორად დამტკიცებული იქნა მალაქია ტოროშელიძე, სწავლულ მდივნად სიმონ ყაუხჩიშვილი, კოლეგიის შემადგენლობაში შევიდნენ:

ნიკო მარი, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, გიორგი ხაჭაპურიძე, სანდრო ეული, ერმილე ბედია, სილიბისტრო თოდრია და სხვ. სარედაქციო მუშაობის დაწყებისას პირველ რიგში ჩამოყალიბდა სიტყვანის განყოფილება, რომელსაც სხვადასხვა სპეციალისტების დახმარებით 1933 წლისათვის მოუმზადებია 50.000 სიტყვისაგან შემღვარი სიტყვანი. ამის შემდეგ, რედაქციას დაუწყია სტატიების მომზადება პირველ სამ ასოზე (ა,ბ,გ,), 1933 წლის ბოლოს, რედაქციას შეუწყვეტია სამ ასოზე სტატიების მომზადება და დაუწყია ა-ზე დაწერილი სტატიების დამუშავება-მონტაჟი. ეს სამუშაო, როგორც ჩანს, საკმაოდ ინტენსიურად ჩატარდა და 1934 წლის პირველ თვეებში „ანის“ ტომი გაუმზადებიათ დასაბეჭდად. სტატიების დამუშავება-მომზადების პარალელურად ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგია მუშაობდა გეოგრაფიული რუკების შედგენის მეტად შრომატევად საქმეზე. მნიშვნელოვანი საქმე იყო ქართულად გეოგრაფიული ნომენკლატურის დადგენაც. 1934 წელს უკვე მზად იყო დასაბეჭდად პირველი ტომის სტატიები, მაგრამ იმის გამო, რომ ბეჭდვისათვის საჭირო ქაღალდით უზრუნველყოფა ვერ მოხერხდა, შეუძლებელი გახდა მასალის გადაცემა სტამბაში. ქაღალდი მიუღიათ მხოლოდ 1934 წლის აპრილში, ისიც 3 ტონა, ნაცვლად პირველი ტომისათვის საჭირო 18 ტონისა. ბეჭდვის შეფერხებამ რედაქცია იძულებული გახადა შეენელებინა მუშაობა. გარკვეული შეფერხება იყო რუკების ბეჭდვის საქმეშიც. საბეჭდი ქაღალდი რედაქციას მხოლოდ 1935 წლის გაზაფხულზე მიუღია. ამის შემდეგ დაუწყიათ მასალის აწყობა (1935 წლის ზაფხული). აქ როგორც ირკვევა, თავი იჩინა იმ სირთულემ, რომ ენციკლოპედიის წყობა სდებოდა პეტიტით. მანამდე საქართველოში არ ყოფილა შემთხვევა, რომ მთელი წიგნი პეტიტით დაბეჭდილიყო და ბუნებრივია, სტამბას არ ექნებოდა შრიფტის სრული კომპლექტი. ამიტომ რამდენიმე თვე ახალი შრიფტის ჩამოსხმას დასჭირდა. 1936 წლის სექტემბრისათვის უკვე აწყობილი იყო 17 თაბახის ოდენობის მასალა, აქედან 11 თაბახი დაუბეჭდავთ კიდეც მთელი ტირაჟის ოდენობით. მუშაობის შემდგომი გაგრძელება შეუძლებელი გახდა სხვადასხვა მიზეზების გამო. საჭირო იყო მთელი მასალის ხელახალი საფუძვლიანი გადამუშავება და გასინჯვა. ენციკლოპედიაზე მუშაობას გარკვეულად შეუშალა ხელი ეროვნულ მსოფლიო ომმაც.

დღემდე შემორჩა მთელი რიგი მასალებისა, რომლებიც განკუთ-

ვნილი იყო ენციკლოპედიაში შესატანად. აგრეთვე მაკეტის სახით დაბეჭდილი რამდენიმე თაბახი. ქსე-ს სამეცნიერო რედაქციამ დიდი სიამოვნებით გამოიყენა საარქივო მასალა და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ფურცლებზე მკითხველს მიაწოდა ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, სიმონ ჯანაშიასა და სხვა აწ განსვენებულ ქართველ გამოჩენილ მოღვაწეთა წერილები, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ მეცნიერული ღირებულება.

* * *

ენციკლოპედიის გამოცემის სირთულის შესახებ არაერთგზის აღნიშნულა. ენციკლოპედიურ-ლექსიკოლოგიური საქმიანობა ქვის კოდვასთანაც კია შედარებული. ფრანგი ჰუმანისტი ჟოზეფ ჟიუსტ სკალიგერი (1540-1609.) ჯერ კიდევ XVI საუკუნის მეორე ნახევარში წერდა:

„თუ მისჯიდი აქვს ვისმეს მტანჯველი შრომა
და ელოდება ბეჭავს ტანჯვა-წყალება,
ნუ დაავალებ მქადაგის უოოსი კვეთას,
ნურც მაღაროში მაგნის ძნელ მოპოვებას...
დეე, შეაგენოს მან ლექსიკონი და ეს შრომა
ყველა სასის ტანჯვა-წამებას გაუტოლდება“.

გარკვეული სიძნელე-სირთულეები ჩანს ქართულ ლექსიკოლოგთა მოღვაწეობაშიც. არ არის შემთხვევითი სულხან-საბა ორბელიანის სიტყვები: „ამა წიგნთა შინა არიან სახელნი კეთილნი და ბოროტნი, საქებელნი და საძაგებელნი, უბადონი და ცუდნი. არა თუ კაცთევისათვის აღმიწერია, რათა საქირდლად იპყრათ, არამედ ენისა სისრულისათვის აღვსწერე“.

სწორედ მრავალგვარ სირთულე-სიძნელეთა გამო ვერ მოხერხდა ჩვენში ბოლო დრომდე ენციკლოპედიის გამოცემა. დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდგომ ჩატარებულმა გრანდიოზულმა აღმშენებლობითმა საქმიანობამ, საბჭოთა ქვეყნის წინაშე დასმულმა ინტელექტუალური ფრონტის გაზრდა-გაფართოების აუცილებლობამ

კავკასიის დაარსების დღის წესრიგში ეროვნული ენციკლოპედიების გამოცემის საკითხი. 1965 წელს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება მოკავშირე რესპუბლიკებში ენციკლოპედიების გამოცემის შესახებ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამის დადგენილებაში ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემის შესახებ კონკრეტულადაა ჩამოყალიბებული ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის წინაშე მდგარი ამოცანები, რომ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია უნდა იყოს სისტემატიზირებული კრებული, სოციალურ-ეკონომიკური, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური ცოდნისა. იგი უნდა იყოს უნივერსალური ცნობარი, რომელიც გააშუქებს ადამიანის ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის ყველა სფეროს; ყოველივე ამასთან ერთად, ქართულმა საბჭოთა ენციკლოპედიამ უნდა ასახოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის დარგში, ქართველი ხალხის ისტორიული წარსული და მისი აწმყო.

ენციკლოპედია, ბუნებრივია, თავისი დანიშნულებით შორს სცილდება საცნობარო ლიტერატურის ჩარჩოებს. იგი უფრო მასშტაბური და მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის გამოცემაა. პოლიტიკური იმიტომ, რომ მან უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მეცნიერების ყველა დარგის შესახებ და ამასთან ერთად მკვეთრად უნდა იყოს გამოკვეთილი ჩვენი მსოფლმხედველობა, ორთოდოქსალური მარქსისტულ-ლენინური პოზიციები. ერთი სიტყვით, პოლიტიკური თვალსაზრისით უზადო უნდა იყოს. ეს მომენტი არსებითია იმიტომაც, რომ, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გატარებული მარქსიზმ-ლენინიზმის მტკიცე პრინციპებიდან გამომდინარე საერთაშორისო მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, ის მნიშვნელოვანი მსოფლიო მასშტაბის აქციები, რასაც პარტია და მთავრობა ამ უკანასკნელ პერიოდში ატარებს, ისეთ სოლიდურ გამოცემას, როგორც ეროვნული ენციკლოპედიაა, მეტად დიდ მოთხოვნებს უყენებს. უპირველესი ამოცანაა ქართული საბჭოთა ენციკლოპედია იყოს ეპოქის მოთხოვნათა სიმაღლეზე.

როგორც ვხედავთ, მეტად რთული ამოცანა დაისახა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის (მთავარი სარედაქციო კოლეგია, რედაქტორები, ავტორები) წინაშე. დადგა საკითხები, რომლებიც უკავშირდება მეცნიერული ცოდნის

ზოგადსაკაცობრიო სისტემაში ამ გამოცემის სპეციფიკური როლისა და ადგილის პოვნასა და განსაზღვრას და მსოფლიო კულტურის მიღწეულ დონესთან მათი მიმართების გარკვევას. ეს თავის მხრივ ზომიერების გრძნობის აუცილებლობასთან ერთად მოითხოვს იმ მიჯნის მტკიცედ დაცვასაც, სადაც ერთიანდება ეროვნული, რეგიონალური და ინტერნაციონალური წარსული და თანამედროვეობა, აღწერა და ანალიზი, პარტიულობა და ობიექტურობა, ისტორიული და ლოგიკური, ძირითადი და არაძირითადი პოლიტიკა, მეცნიერება, იდეოლოგია და კულტურა.

ენციკლოპედია მეცნიერული, კულტურული, ზნეობრივი და პოლიტიკური შემეცნებაა ეპოქისა; ამასთან არა საერთოდ, არამედ კონკრეტულად გამოცემის თანადროული ეპოქისა. ამიტომ მან ადამიანთა საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების თანამედროვე დონის ძირითადი შეძენების გადმოცემა უნდა შეუთანხმოს ისტორიული პროცესის სხვადასხვა ეტაპზე კაცობრიობის მიღწევათა გადმოცემას.

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია მაღალ მეცნიერულ-მეთოდურ და პოლიტიკურ დონეზეა გამოცემული. იგი არ ჩამოუვარდება თანამედროვე ენციკლოპედიურ სტანდარტებს. ამდენად თვით გამომცემელ კოლექტივზე კეთილი მადლიერების სიტყვის თქმა არ უნდა დავიშუროთ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მთელი კოლექტივი: ათი დარგობრივი და ოთხი ფუნქციური რედაქცია, რედაქტორები, რედაქციათა ხელმძღვანელები, კორექტორები, სხვა რგოლები მაღალკვალიფიციურ მტკიცე კოლექტივს წარმოადგენენ და ჭეშმარიტად შესწევთ უნარი რესპუბლიკაში ენციკლოპედიურ-ლექსიკოლოგიური ლიტერატურის გამოცემა მთლიანად იდონ თავს.

აქვე არ შეიძლება მადლიერებით არ ვახსენოთ პოლიგრაფისტები, რომელთაც ფაქტობრივად მოუხდათ მათთვის სრულიად უჩვეულო (შრიფტის გარნიტური, მაკეტი, ფორმატი, ფორმათა სიმრავლე, ბეჭდვის სპეციფიკა, ტირაჟი და სხვ.) წიგნზე მუშაობა; წიგნზე, რომლის მსგავსი, მისი ყველა პარამეტრისა და კომპონენტის გათვალისწინებით, ადრე ჩვენში არ გამოცემულა.

ენციკლოპედიის გამოცემას დიდი ამაგი დასდო მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ, რომლის შემადგენლობაში გამოჩენილი ქარ-

თველი მეცნიერები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები, ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწეები იყვნენ. ცალკე უნდა აღინიშნოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ინსტიტუტებისა და უმაღლესი სკოლების კათედრათა აქტიური მონაწილეობა ენციკლოპედიის გამოცემაში.

ყოველი ტომის გამოსვლა ფართოდ აღინიშნებოდა პრესაში, ამდენად მათზე საგანგებო შეჩერების აუცილებლობა ამჯერად აღარ არის. თორმეტტომეულის თერთმეტი ტომი, როგორც წესი ანბანურ პრინციპზეა შედგენილი; სპეციალურ ტომში „საქართველოს სსრ“ (ორ წიგნად ქართულ და რუსულ ენებზე) თემატურადაა მასალა განლაგებული (ეს ფაქტობრივად პირველი ქართული ენციკლოპედიური გამოცემაა, რომელშიც თავმოყრილი და სისტემატიზებულია ძირითადი ცნობები საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შესახებ).

...გამოცემა ძნელად და რთულად ხორციელდებოდა. გზადაგზა სდებოდა ტერმინოლოგიის დადგენა, ენციკლოპედიურ გამოცემასთან დაკავშირებული მრავალი საკითხის მოგვარება. რა თქმა უნდა, პირველი ტომი განსაკუთრებით ძნელად „დაიბადა“. ბუნებრივია, სიხარულიც განსაკუთრებული იყო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია თავისი მაღალი მეცნიერული დონით, ინფორმაციულობით, ილუსტრაციებით, ლაკონური სტილით გვერდით დაუდგა სხვა პირველხარისხოვან ენციკლოპედიურ გამოცემებს. ეს ფაქტი ოფიციალურადაც აღინიშნა — ქსე-ს I ტომი წიგნის ხელოვნების საერთაშორისო კონკურსზე პირველი პრემიით დაჯილდოვდა...

პირველი ტომის დედანი სტამბაში 1973 წლის 30 აპრილს გაიგზავნა, სასიგნალო ცალი კი მხოლოდ 1975 წლის 15 ოქტომბერს იქნა მიღებული. იმხანად ერევანში გაიმართა ენციკლოპედისტთა თათბირი და ძღვნად ქსე-ს ტომი იქნა ჩატანილი. აკადემიკოსმა ვიქტორ ამბარცუმიანმა, რომელიც მაშინ სომხეთის საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი იყო, (პირველი ტომის გამოცემის შემდეგ მან ამ თანამდებობაზე უარი თქვა და საზოგადოებრივ საწყისებზე დარჩა სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარედ) ვერ დამალა თავისი აღფრთოვანება. იგი სხდომაზე დაგვიანებით მოვიდა, ისარგებლა მასპინძლის უფლებით, სხდომის მსვლელობა შეაჩერა, ქართული ენციკლოპედია მაღლა შემართა და მისი გამოცემა მიულო-

ცა ქართველ კოლეგებს. (ვ. ამბრაცუმიანი თბილისშია დაბადებული და ქართულსაც კარგად ფლობს). მაღალი შეფასება მისცა რა ამ ტომს, თავისიანებს მიმართა — აი, ვის უნდა მივბაძოთ, თანაც ხუმრობით დასძინა:" ქსე-ს I ტომი იმიტომაცაა კარგი, რომ სტატია „ამბარცუმიანი" სწორედ აქ არისო (სომხურში ეს გვარი გამოითქმის „ჰამბარცუმიანად" და შესაბამისად სხვა ტომშია მოთავსებული).

პირველი ეროვნული უნივერსალური ენციკლოპედიის გამოცემისას პირველ ენციკლოპედისტებს დიდ დახმარებას უწევდა დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცდილი კოლექტივი. ენციკლოპედიაში ფართოდ აისახა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" რვატომიანი ფუნდამენტური გამოცემის სამეცნიერო-მეთოდური მონაპოვარი. რედაქცია, ბუნებრივია, ხშირად მიმართავდა სხვადასხვა საბჭოურ და უცხოურ ენციკლოპედიებსაც, აფასებდა და აჯერებდა მათთან სათანადო მასალას. რედაქციის კოლექტივს გარკვეული მოცულობით მოუხდა გაუთვალისწინებელი სამუშაოს შესრულება. ვფიქრობთ, ამგვარი სამუშაო აუცილებელია, როცა პირველად მზადდება უნიკალური ეროვნული უნივერსალური ენციკლოპედია. აქ რედაქციის კოლექტივის გამოუცდელობა არაფერ შუაშია. უფრო მეტად მეცნიერების ზოგიერთი დარგის მოუმზადებლობა იჩენდა თავს, ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე პასუხის გაცემისას. ამ მხრივ ენციკლოპედიამ კეთილისმყოფელი გავლენა იქონია ცალკეული მეცნიერული საკითხების წამოწევისა და გაშუქების დაჩქარების თვალსაზრისით. (ქსე, ისე როგორც თითქმის ყველა ენციკლოპედია, ვერ ასცდა ზოგიერთ ხარვეზს, რაზედაც შეჩერება არ მიგვაჩნია ახლა საჭიროდ).

ინფორმაციულობის თვალსაწიერი განსაკუთრებულად დიდია ქსე-ში. არც ერთ სხვა გამოცემაში, მათ შორის დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში, ერთ ტომში 4000 ტერმინზე მეტი არ მოიპოვება. ქსე-ს თითოეულ ტომში საშუალოდ 6000 ტერმინია, 6 მილიონი სასტამბო ნიშანი, დაახლოებით 1300-1400 შიდა სატექსტო ილუსტრაცია, აგრეთვე შავ-თეთრი ღრმა ბეჭდვის და ფერადი ოფსეტური და მაღალი ბეჭდვის ილუსტრაციები. ერთი სიტყვით ქსე თანამედროვე ტიპის მაღალი კლასის ენციკლოპედიაა.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ფართოდ გაშუქდა ხალხთა ისტორიული წარსული და აწმყო. საბჭოთა კავშირისა და სხვა სო-

ციალისტური ქვეყნების მსოფლიო-ისტორიული მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში; საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის განვითარების ისტორიული გამოცდილება; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მარქსისტული პარტიების მიერ რევოლუციურ თეორიაში შეტანილი წვლილი; სსრკ ხალხთა ძმობა და მეგობრობა, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება.

განსაკუთრებით ფართოდ აისახა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღწევები ეკონომიკისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ყოველივე ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ აწმყო, ჩვენი თანამედროვეობა საკმაოდ ფართოდ არის ენციკლოპედიაში ასახული. ამასთან ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ქსე-მ დიდი ადგილი დაუთმო წმინდა ქართულ, ეროვნულ მასალას, რომელსაც დაახლოებით მესამედი უკავია გამოცემაში. ჩვენი ენციკლოპედიის დამსახურებაა, რომ მრავალი სტატია საერთაშორისო თუ საკავშირო სასიათისა შეხამებულია ქართულ მოვლენებთან, გაქართულებულია. აი, სწორედ აქაა ეროვნულობაცა და უნივერსალურობაც. ასე მაგალითად, პუშკინის შესახებ სტატიაში, გარდა დიდი რუსი პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა მოცემულია მისი კავშირი საქართველოსთან, ქართული თარგმანები და სხვ; სტატიაში „ფეოდალიზმი“ ამ სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის საერთო დახასიათებასთან ერთად, მოცემულია ფეოდალიზმი რუსეთში, განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ქართულ ფეოდალიზმს.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას ამშვენებს საქართველოს ისტორიის ფართოდ წარმოჩენა. ქსე-ში გვხვდება მთელი რიგი ისეთი მასალისა, რომელსაც სხვაგან მკითხველი ვერ მოიპოვებს. მრავალი სტატია საგანგებოდ დაიწერა ქსე-სთვის.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიისათვის დამახასიათებელია თანამიმდევრული ობიექტურობა, მეცნიერულობა და კლასობრივ-პროლეტარული პარტიულობის პრინციპების განუხრელი დაცვა. ობიექტურობა მიღწეულია მოვლენების ისტორიული პროცესის მარქსისტულ-ლენინური გაგების კონტექსტით გადმოცემის გზით, ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის სულისკვეთების თვალსაზრისით. ყოველივე ამაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ ჩვენმა ენციკლოპედიამ უცხოელ მკითხველსაც უნდა გასცეს პასუ-

ხი მთელ რიგ საკითხებზე. სამწუხაროდ ისეთი სოლიდური და ტრადიციული გამოცემები, როგორცაა „ბრიტანიკა“, „ამერიკანა“, „ლა რუსი“, „ბროკჰაუზი“, „იტალიანა“ და „ისლამის“ ენციკლოპედიები, რომელთაც ინფორმაციის მოწოდების ობიექტურობის დიდი პრეტენზიები აქვთ, საბჭოთა სინამდვილესთან დაკავშირებულ ბევრ მოვლენას საკმაოდ დამასინჯებულად გადმოგვცემენ. განსაკუთრებულად მიჩქმალულია ის მიღწევები და წარმატებები, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ მოუტანა ჩვენს სალხს, არასწორადაა შეფასებული სხვადასხვა მოვლენები. სამაგალითოდ შეიძლება გავისსენოთ საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის შესახებ ინფორმაციის მკითხველისადმი მიწოდება, მისი ისტორიული წარსულისა და აწყმოს ამსახველი სტატიები. აქ მოტანილი მასალა ფაქტობრივად, თუ კონცეფტუალურად არ შეესაბამება რეალურ სინამდვილეს.

ყოველივე ეს ზრდის „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მნიშვნელობას. გამოცემაე პრინციპულად სწორი, იდეურად გამართული, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიური პრინციპებიდან გამომდინარე მეცნიერული პასუხი გასცა მრავალ საკითხზე.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ჩვენი კულტურის დიდი განძია. ქსე ჩამდგარია ფართო თეორიულ-მეცნიერული ცოდნის ამაღლების სამსახურში; თავისი განუზომელი პრაქტიკული დანიშნულებით კეთილ და ჭკვიან მრჩევლად მოევლინა ჩვენს სალხს; ნათლად დაამტკიცა, რომ იგი საბჭოთა საქართველოს, ქართველი სალხის გონების, გულისა და მარჯვენის ნაწელავია, მისი შემოქმედებითი ენერგიისა და ნიჭის უტყუარი საბუთია.



ძველი ცივილიზაცია და ახალი შუქჩრდილები

მექსიკის ხსენებაზე გეოგრაფიასა და ისტორიაში მეტ-ნაკლებად ჩახედული კაცის თვალსაწიერში მოექცევა უძველესი ცივილიზაციისა და თვითმყოფი კულტურის ქვეყანა, მთელი თავისი ეგზოტიკით, მდიდარი წარსულით და რამდენადმე რთული აწმყოთი, ქვეყანა, რომელიც დღეს-დღეობით ლათინური ამერიკის ერთ-ერთი მსხვილი და განვითარებული სახელმწიფოა.

აცტეკები, ტოლტეკები, მაია... აი ტომები, რომლებითაც დასახლებულმა მექსიკის მიწამ ჯერ კიდევ პოლომდე ამოუხსნელი საოცრებები შემოგვინახა გარდასული საუკუნეებისა... მექსიკელებმა შემოინახეს თავის მეხსიერებაში გმირული ბრძოლის უბადლო მაგალითები; ბრძოლისა, რომელსაც ოკეანისგაღმელი ესპანელი დამპყრობლების წინააღმდეგ აწარმოებდნენ ათეული წლების მანძილზე და დიდად შეიტკბეს თავისუფლების ფასი დამპყრობლის უღლის გადაგდების შემდეგ.

მექსიკის წარმოდგენა შეუძლებელია საქვეყნოდ სახელგანთქმული მონუმენტური ფერწერის გარეშე. ეს უკვე მეოცე საუკუნის მიღწევაა მსოფლიო სახვით ხელოვნებაში. ხოსე კლემენტე ოროსკო, დიეგო რიბერა, დავით ალფარო სიკეიროსი... აი სახელები, რომლებმაც ახალი დიდი სიტყვა თქვეს მხატვრობაში და სრულიადაც არ არის შემთხვევითი, როცა დღეს ხმამაღლა აცხადებენ, რომ მონუმენტური ხელოვნება მექსიკისათვის ისტორიაც არის და ფილოსოფიაც, პოლიტიკაც და სოციოლოგიაც, ესაა მექსიკელი ხალხის სულიერი განცდების მტკიცედ შეკრული გვირგვინი.

პირველი, რაც მექსიკოში ჩასულ კაცს ეცემა თვალში, ესაა დიდი ხმაური თანაც არა მხოლოდ ტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეული; ქალაქში (განსაკუთრებით საღამო ხანს) უხვად იფრქვევა მექსიკის ჰანვები და თვით მექსიკელები ძალიან მხიარული ხალხის შთაბეჭდილებას ტოვებენ: დასლიდარები თუ ბარმენები ცეკვით ეგებებიან მუშტარს (იქნებ ამით იზიდავენ კიდეც ამ უკანასკნელს), ქუჩაშიც ბევრს შესვდებით ხმამაღლა მომღერალს, მთელი გულით რომ მისცემია დროსტარებას. იქნებ რაიმე დღესასწაული იყო მექიკოში 14 მარტს, როცა საბჭოთა მეცნიერთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში ამ სტრიქონების ავტორიც იყო, ოცსაათიანი ფრენის შემდეგ (კანადისა და კუბის გავლით) მექსიკის დედაქალაქში ჩავიდა. წარმოიდგინეთ, რომ არა. პირიქით, სწორედ 1979 წლის 14 მარტს დიდი სტიქიური უბედურება დაატყდა მეხიკოს, გამთენიისას რვაბალიანი მიწისძვრა ყოფილა, თანაც საკმაოდ ხანგრძლივად — 58 წამი გაგრძელებულა, მოსახლეობა შეუძრწუნებია და ბევრი სახლიც დაუზიანებია (შემდეგ ჩვენ ვიხილეთ ბევრი დაზარალებული სახლი მეხიკოში). მაშ რა ემღერებათ მეხიკოს მცხოვრებლებს? (როგორც გვითხრეს მიწისძვრა კიდევ განმეორებულა, მართალია არა პირვანდელი მასშტაბით, მაგრამ 5 ბალის სიძლიერისა კი ოთხი ბიძგი კიდევ ყოფილა). ეს მხიარულება ტრადიციულია მექსიკელთათვის. მრავალჭირნახული ქვეყნის გმირმა ხალხმა სიმღერებში ჩააქსოვა თავისი ვარამი და ვაჟკაცობით დღემდე მოიტანა სიცოცხლის დიდი სიყვარული. დიახ, სიცოცხლის დიდი სიყვარული შეიძლება ეწოდოს მექსიკელთა შრომას და ბრძოლას... ბრძოლას სამართლიანი საზოგადოების შექმნისათვის.

მექსიკური გიტარის ჰანგების მიღმა არ შეიძლება ხალხის წუხილიც არ დაინახო, არ შეიცნო ქვეყნის მშრომელი ხალხის ჯერ კიდევ აუხსნელი ოცნებები. ეს ჩასულ კაცსაც ხვდება თვალში. მხოლოდ გულისტკივილით შეიძლება ლაპარაკი ჩამოძონძილ ბავშვებზე, რომელთაც მათი ასაკის სიმცირის მიუხედავად მძიმე შრომისათვის მოუკიდიათ ხელი, ზოგი ფეხსაცმლის მწმენდავად მუშაობს, გამვლელ-გამომვლელს შესთხოვს ფეხსაცმელები გააწმენდინონ, რომ მიღებული ორიოდე პესო ოჯახს შემატოს, ზოგიერთი ტვირთს ზიდავს. აკაპულკოში (ეს მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

საზღვაო კურორტია წყნარი ოკეანის სანაპიროზე) ასეთ სანახაობას წავაწყდით: გემი (სახელად „ფიესტა“), რომლითაც ჩვენ და ჩვენთან ერთად სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ სტუმარს უნდა ემოგზაურა წყნარი ოკეანის ყურეში, სანაპიროდან საკმაოდ მოცილებით იდგა... ჩვენი ყურადღება მიიპყრო რამდენიმე ბიჭუნამ, რომლებიც ცურვით გემს უასლოვდებოდნენ, დაღლილები სულს ძლივს ითქვამდნენ... როგორც კი გემს მოუახლოვდნენ ხელები მაღლა ამოიშვირეს და... აქა-იქ გემიდან მონეტები (თითო პესოიანი) გადაუგდეს ბავშვებს. ისინიც ყურყუმალაობდნენ და ოკეანის სიღრმიდან დიდი დაძაბვის შემდეგ იღებდნენ. ეს მეტად გულსატკენი სანახაობა იყო, რადგან წყლიდან ამოღებული პესოს „მწარე“ გემო ჰქონდა, იგი თავის დამცირებისა და წარმოიდგინეთ გარკვეული რისკის ფასად იყო მოპოვებული... გემი დაიძრა... დაქანცული ბიჭები ნაპირისკენ მძიმედ გაემართნენ, თვალში საცემი იყო ორი ბიჭუნა უკან ჩამორჩენილი ზლაზვნით რომ მიცურავდნენ ხელმოცარულები. როგორც ჩანდა, მათ პესო არ ერგოთ.

აკაპულკოში კიდევ ერთი სანახაობაა, ფულის შოვნის მიზნით დიდ რისკს რომ მოითხოვს. და აქ თუმცა შემოსავალი დიდია, პესოს „სიმწარეც“ არაა ნაკლები. ერთ ადგილას წყნარი ოკეანის ყურეში აკაპულკოს განაპირას ორი კლდოვანი ქიმია აღმართული. მათ შორის ხუთიოდე მეტრია მანძილი და აქ ოკეანის ტალღები მალიმალ შემოდიან და შემდეგ... მიიქცევიან. ყოველი ასეთი მიქცევის დროს წყლის დონე 5 მეტრით იკლებს და თითქმის ფსკერი ჩნდება. ამოცანა იმაშია, რომ ერთ-ერთი კლდის ქიმიდან, რომლის სიმაღლე 36 მეტრია, სწორედ ოკეანის მოქცევის (ე. ი. წყლის დონის მომატების) დროს ასრულებს ხტომას ახალგაზრდა ყმაწვილი. ამ სანახაობას უამრავი მაყურებელი ესწრება. ბილეთებიც ძვირად ფასობს. მნიშვნელოვანი რეკლამის სამსახურს წევს ის ამბავი, რომ თურმე აქ გადახტომა არაერთ ძლიერ მხტომელს უცდია და მარცხით დამთავრებულა. მხოლოდ მექსიკელი ბიჭები ახერხებენ წყლის მოქცევის ზუსტად გამოთვლას და ლამაზად ხტებიან. თანაც გადახტომის წინ მეტად საინტერესო რიტუალს ასრულებენ, ლოცულობენ, იღებენ ორ ჩირაღდანს, ანთებენ. შემდეგ ირგვლივ ბნელდება („სანახაობა“ ღამით მიმდინარეობს) და ანთებული ჩირაღდნებით ხელში 3რ მეტრის სიმაღლიდან ე. წ. „მერცხალა“ ხტომას ასრულებს ეე-

ქსიკელი ბიჭი. დიას, რისკი ძალზე დიდია, ალბათ მას გადასტომით მიღებული საფასური ვერ აანაზღაურებს.

აი ერთი ამბავიც. მექსიკაში კათოლიკური ეკლესიის ცენტრია წმინდა ღვაძელუპას სახელობის კათედრალური ტაძარი მეხიკოში, რომელიც თანამედროვე არქიტექტურის შედევრია. ტაძარს უზარმაზარი დარბაზი აქვს, სადაც ერთდროულად ხუთი ათასამდე კაცს შეუძლია გასწიოს ღვთისმსახურება. და აი აქ დარბაზის ერთ ნაწილში რამდენიმე ორიგინალური სავარძელი დგას, რომელთაც მაღალი საზურგეები აქვთ, გვერდებზე შავი არშიებია ჩამოშვებული. სწორედ შავარშიანამოფარებულ მხარეებზე რიგები დგას... აღსარების სათქმელად. ხუცესი სახეზე ვერ ხედავს აღსარების მთქმელს, მას მხოლოდ ყურში ეჩურჩულებიან და ისიც მოსმენის შემდეგ ალბათ დასამშვიდებელ სიტყვებს ეუბნება თავის კლიენტს და საზღაურსაც გვარიანად იღებს. და აი აქ, ამ რიგებში ნახავთ ბევრ ახალგაზრდას, თვრამეტი-ოცი წლის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, შესაბრალისი გამომეტყველებით, ვინ იცის რა ჩაიდინეს მათ ისეთი, რომ ეკლესიას მოაშურეს; იქნებ არაფერი, მაგრამ კათოლიციზმის მარწუხები იზიდავს მათ სულს და ისინიც მოდიან. მოდიან და ზემოხსენებული რიტუალის შესრულების შემდეგ თითქოს განწმენდილები ბრუნდებიან უკან. ვითომ ასეა? „ნეტარ არიან მორწმუნენი, რამეთუ სჯერათ“.

ოცი ვიზიტი

მექსიკა ბევრი რამით იზიდავს მაღალი რანგის გავლენიან სტუმრებს. მისი მდებარეობა, თუ ზეაღმავალი ეკონომიკური პოტენციალი (განსაკუთრებით, უკანასკნელ ხანს, ნავთობის უდიდესი საბადოს აღმოჩენის შემდეგ), სწრაფად მზარდი მოსახლეობა და პოლიტიკური აქტივობა გულგრილს ვერ სტოვებს ძლიერთა ამა ქვეყნისათა.

1979 წელი დაიწყო იმით, რომ მექსიკას ეწვია ჯერ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯიმი კარტერი, სოლო შემდეგ რომის პაპი პავლე იოანე მეორე. ჩვენ სწორედ ამ ვიზიტების ჯერ კიდევ ცხელ კვალზე მოვგვიხდა მექსიკაში ჩასვლა. ვიდრე ამ ვიზიტებს შევეხებოდეთ, ორიოდე სიტყვა კვლავ მექსიკაზე...

მექსიკა ფედერაციული რესპუბლიკაა, რომელიც შედგება

შტატის, ერთი ფეოდალური ოკრუგისა და 2 ტერიტორიისაგან. მისი ფარიობი 1972 547 კვაღრატული კილოძეტრია. მოსახლეობა სწრაფად იზრდება. 1960 წლის აღწერით შეადგენდა 34 923 129 კაცს, 1967 წლის შეფასებით — 45 670 000 კაცს, 1972 შეფასებით — 52 500 000 კაცს.1979 წლისათვის, მექსიკის ოფიციალური ორგანიზაციების განცხადებით მოსახლეობამ 60 მილიონს გადააჭარბა. ამას თან მეტად გაიზარდა დედაქალაქიც. თუ 1970 წლისათვის მეხიკოში 9 მილიონი მცხოვრები იყო, 1979 წლისათვის თითქმის 15 მილიონს მოაღწია და ამევარად იგი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი გახდა.

მექსიკა გამოირჩევა თავისი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკით. მექსიკელები დიდი სითბოთი და სიყვარულით ეპყრობიან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს, ისინი ღირსეულად აფასებენ ჩვენს ქვეყანასთან კეთილ ღამოკიდებულებას. ეს აშკარად გამოჩნდა გასულ წელს, მექსიკის პრეზიდენტის პორტილოს საბჭოთა კავშირში ვიზიტის დროს.

მექსიკელები სტუმართმოყვარენი არიან, მაგრამ სტუმარიც არის და სტუმარიც.

გარეგნულად თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო, როცა ჯიმი კარტერი ეწვია მექსიკას. მას, მართალია, თავდაჭერილი, მაგრამ მაინც ღიმილით შეხვდა მექსიკის პრეზიდენტი. შეხვედრის გარეგნული პომპეზურობა უძლური იყო დაეფარა ნამდვილი დამოკიდებულება მექსიკის მშრომელებისა ამერიკის პრეზიდენტისადმი; დამოკიდებულება, რომლის ზოგი ნაყოფი ჩვენც საკუთარი თვალით ვიხილეთ. აი მეხიკოს ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე წარწერა: „Carter es otro Hitler“ („კარტერი ახალი ჰიტლერია“). თანაც ეს წარწერა არ იყო ანონიმური. მას ხელს აწერდა „თავისუფლების პარტია“. საგულისხმოა, რომ ეს წარწერები ჩვენ კარტერის მექსიკაში ვიზიტის შემდგომ თითქმის ერთი თვის მერე ვნახეთ. როგორც ჩანს, მათ წაშლას არავინ ცდილა და ვიდრე წვიმა არ ჩამორეცხს, ასეც დარჩება. აქ ჩვენ მექსიკის დედაქალაქის სანიტარული მდგომარეობა კი არ გვაინტერესებს, არამედ ზემომოტანილი ფაქტისადმი მექსიკელების დამოკიდებულებაზე მივუთითებთ. დასკვნა ერთია: კარტერის ვიზიტმა ვერ მოახდინა შთაბეჭდილება მექსიკასა და მის მოსახლეობაზე, ვერც რაიმე კვალი დატოვა. კვალზე იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ამერიკის პრეზიდენტის შესვედრის საპირისპირო იყო რომის

პაპის პავლე იოანე მეორის ვიზიტი, რომელსაც მექსიკა დიდი აღფრთოვანებით შესვდა. რასაკვირველია, არც ახლადინტრონიზებული რომის პაპის ვიზიტი იყო შემთხვევითი. პავლე იოანე მეორემ თავის ერთ-ერთ პირველ სავიზიტო ადგილად სწორედ კათოლიციზმის ენიშვნელოვანი ცენტრი — მექსიკა აირჩია. „გაუმარჯოს რომის პაპს", „გაუმარჯოს პავლე იოანე მეორეს", „კეთილი იყოს პაპის ჩამობრძანება მექსიკაში" — თითქმის ყოველ ფესის ნაბიჯზე მეხიკოსა თუ გვადალახარაში ამგვარი წარწერებია. მასობრივად გამოვიდა ფირფიტები პაპის ეამოსვლებით, სხვადასხვა სუვენირები, რომლებზეც პავლე იოანე მეორეა გამოსახული. ჩვენი მასპინძლები დიდი სიამაყით გვეუბნებიან, რომ პაპმა ათი წირვა ჩაატარა წმინდა გვადელუპას ტაძარში (ჩვენ ზემოთ უკვე ვახსენეთ ეს ტაძარი), მთელს მექსიკაში გადაიცემოდა წირვის ცერემონიალი... დღეს აქ პაპის ნატერფალებსაც კი უფრთხილდებიან. ასევე გულღიად და დიდი პატივით მიიღეს რომის პაპი გვადალახარაში (ეს მექსიკის მეორე ქალაქია 2 მილიონამდე მცხოვრებით). თვით მექსიკელებიც ვერ ფარავენ გაკვირვებას მათივე გადაჭარბებული აღფრთოვანებისგან: „თითქოს მექსიკელები არა ვართ ფანატიურად რელიგიურები, მაგრამ პავლე იოანე მეორემ მოგვნუსხა და მისდა თაყვანისცემად განგვაწყოო". ასეა, როცა იდეოლოგიურ სიმყარეს ვერ ხვდება, იქ კათოლიციზმი ნოყიერ ნიადაგს პოულობს თავისი თესლის გაღვივება-აყვავებისათვის. ჭკვიანმა პაპმა, რასაკვირველია, მიზანში მოარტყა.

ფაქტი ერთია: ორი ვიზიტი — ორი სხვადასხვა მიღება იყო. ეტყობა ასე სცოდნიათ მექსიკელებს. არასასურველ სტუმარს გულს არ უჩვენებენ, მრავალტანჯვანახულ ხალხს ზედმეტი ცერემონიისათვის დროს დაკარგვა არად ეპიტნავებათ. მექსიკელთა სული და ხასიათი ხომ რევოლუციურ ბრძოლებშია ჩამოყალიბებული, გამობრძმედილი და მოტანილია საუკუნოვან ქარტეხილებში.

რევოლუციური ადგი

უძველესი ცივილიზაციის შემოქმედი ტომების აცტეკების, ტოლტეკებისა და მაიას მიწა-წყალი — მექსიკა მეთექვსმეტე საუკუნეში (1519-1521 წწ.) ესპანელებმა დაიპყრეს და თავის კოლონიად აქციეს. კოლონია მეტროპოლიას (ესპანეთს) ძირითადად ძვირფას ლითონებს აწოდებდა. ქვეყანაში ფართოდ ვითარდებოდა საპლანტაციო

მეურნეობა. გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება შეგნებულად ფერხდებოდა, რადგან იგი შორს იყო დამპყრობლის ინტერესებისაგან. მხოლოდ წვრილი საწარმოები თუ აღმოცენდებოდნენ აქა-იქ და ადგილობრივ მოთხოვნილებებსაც კი ძლივსძლივობით აკმაყოფილებდნენ. მეთექვსმეტე საუკუნიდან მექსიკა „ახალ ესპანეთად“ იქცა.

მექსიკა დასავლეთი ნახევარსფეროს ყველაზე რევოლუციური ქვეყანაა (შემდეგომში კუბამ გადააჭარბა მას რევოლუციითა და გამოსვლებით). ლათინური ამერიკის კონტინენტის ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური ძვრების ცენტრში ყოველთვის იგი იყო...

...1810 წელს დაბა დოლორესის ეკლესიის სამოცი წლის მღვდელმა დემოკრატიის მომხრე პატრიოტმა მიგელ იდალგომ ესპანელთაგან ჩაგრულ თანამემამულეებს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდა. დაიწყო ანტიესპანური ეროვნულ-გამათავისუფლებელი რევოლუცია, რომელიც 10 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა და დამთავრდა მექსიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებით. კოლონიალური უღლისგან წელში გადაწყვეტილი, გაღატაკებული და ჩამორჩენილი მექსიკა მეცხრამეტე საუკუნის მთელ სიგრძეზე არაერთგზის გახდა უცხოელთა გამანადგურებელი თავდასხმების სარბიელი. ამ თავდასხმების დროს „თავი გამოიჩინეს“ ჩრდილოამერიკელებმა.. მექსიკელი ხალხი ვაჟკაცურად უმკლავდებოდა ამგვარ აგრესიას.. „პორფირიზმის“ ტირანიის (ასე უწოდებდნენ ამ რეჟიმს პრეზიდენტ პორფირიო დიასის სახელის მიხედვით) დროს ქვეყანა ოცდაათ წელზე მეტ ხანს (1877-1911 წწ.) უცხოელი მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელთ იყო მთლიანად, რამაც მექსიკა სრულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისამდე მიიყვანა. ამ კრიზისიდან გამოსვლის ცდა იყო 1910-17 წწ. მექსიკის რევოლუცია. ეს იყო ლათინურ ამერიკაში პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური რევოლუცია; დიდი სახალხო გამოსვლა. აღსდგა მექსიკის მთელი მოსახლეობა, რომელსაც გლეხობა მიუძღოდა წინ. ლოზუნგი ერთი იყო „მიწა და თავისუფლება“. აჯანყებულთა დიდი ნაწილი მექსიკის მკვიდრი მოსახლეობა — ინდიელები იყვნენ, ინდიელები, რომლებსაც ჯერ კიდევ ჰქონდათ შემორჩენილი ტომობრივ-თემური წყობილების გადმონაშთები და მეტად მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ.

მექსიკის რევოლუცია დროის თვალსაზრისით დაემთხვა დიდი

ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. მექსიკის რევოლუციური გლეხობის ბელადი ემილიანო საპატა 1918 წელს მგზნებარებით ამბობდა: „საქმე, რომლისთვისაც იბრძვიან ასლა რევოლუციური მექსიკა და ასლასან განთავისუფლებული რუსეთი, ეს მთელი კაცობრიობის საერთო საქმეა, რომელშიც სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული ყველა ჩაგრული სალხები". სოციალისტური რევოლუციის ლოზუნგებმა, საბჭოთა მოსავრობის პირველმა დეკრეტებმა გლეხებისათვის მიწის, ხოლო მუშებისათვის ფაბრიკების გადაცემის შესახებ დიდი პოპულარობა ჰპოვეს მექსიკის სალხთა მასებში. მექსიკაში მაშინ არ იყო პირობები სრული გამარჯვებისათვის, მაგრამ მნიშვნელობა აჯანყებისა განუზომელია; ამიერიდან დიდმა რევოლუციურმა სულმა დაიბუდა მექსიკელებში, რომელმაც გამოიარა სირთულეთა სამოცწლეული (რევოლუციის მოთხოვნათა განხორციელებისათვის ბრძოლის მაგალითებით განსაკუთრებით აღსავსეა 20-30-იანი წლების მექსიკის ისტორია) და რომელიც დღემდე ცოცხლობს და ჰყვავის.

1917 წელს მიღებული იქნა კონსტიტუცია, რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია ყველაზე დემოკრატიულად მანამდე ცნობილ ყველა ბურჟუაზიულ კონსტიტუციათა შორის. ეს კონსტიტუცია გახდა დემოკრატიისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მექსიკელი ხალხის ბრძოლის პროგრამად.

მექსიკის ხალხთა ეროვნულ და ანტიიმპერიალისტურ მისწრაფებებში მხარდაჭერა და სოლიდაროპა საბჭოთა კავშირისა იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი ამ ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში. მექსიკა ხომ პირველი სახელმწიფო იყო ლათინური ამერიკისა, რომელმაც დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ამის შემდეგ ყველაზე რთულ ვითარებებშიც კი საბჭოთა კავშირსა და მექსიკას შორის კეთილი მეგობრული ურთიერთობაა.

ატრაქტები, ტოლტეკები, მაია.....

ორიოდე სიტყვა მექსიკის უძველეს მკვიდრთა შესახებ.

მექსიკის ისტორიული ძეგლები დიდი ხანია იპყრობენ მკვლევართა ყურადღებას. ეს არცაა გასაკვირი და აიხსნება იმ ცივილიზაციის თავისე-

ბურებით, რომელიც შექმნეს ევროპელთა მიერ მათ მიწაზე ფეხის დადგმამდე. ყურადღება ისტორიელთა შესწავლისადმი იმითაცაა განპირობებული, რომ მათ დიდი როლი ითამაშეს მექსიკის სოციალურ მოძრაობაში, ამასთან დიდი წვლილი შეიტანეს ქვეყნის კულტურაშიც.

თანამედროვე მექსიკის ტერიტორიაზე უძველესი და მნიშვნელოვანი ცივილიზაციები შექმნეს ტიტონაკებმა, ოლმეკებმა, საპოტეკებმა, ტოლტეკებმა, მაიამ, აცტეკებმა. აქედან ჩვენ საშუალება მოგვეცა უშუალოდ გვესწავლა ტოლტეკების, მაიასა და აცტეკების კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები.

უდაოდ დიდი ადგილი უჭირავს ძველ მექსიკურ ცივილიზაციათა შორის ტ ო ლ ტ ე კ ე ბ ი ს კულტურას. ამ სახელწოდებით ცნობილია სხვადასხვა ტომები, რომლებიც ზოგჯერ შორიახლოს იყვნენ ეთნობრივადაც და წარმომავლობითაც. ტოლტეკების ცივილიზაცია ორ პერიოდად იყოფა. პირველი პერიოდის ანუ კლასიკური ტოლტეკები, რომლებმაც შექმნეს ტეოტიუაკანას კულტურა და ე. წ. დინასტიური ტოლტეკები, რომლებიც ქ. ტოლანაში ცხოვრობდნენ.

კლასიკურმა ტოლტეკებმა დაგვიტოვეს ისეთი ღირსშესანიშნავი ძეგლები, როგორიცაა პირამიდებისა და მათთან მიმდებარე ნაგებობების კომპლექსი მეხიკოს ველზე (ტეოტიუაკანაში) და გიგანტური პირამიდა ჩოლულში. ეს პირამიდები საკულტო დანიშნულებისაა. ისინი ძირითადად ღვთისმსახურებისა და მსხვერპლშეწირვისათვის იყო განკუთვნილი. ტოლტეკა საცხოვრებელი კომპლექსი (ერთმანეთში გამავალი 150 ოთახი) მიგვანიშნებს, რომ ძირითადი უჯრედი ტოლტეკთა საზოგადოებისა თემი იყო (ზოგი მეცნიერი, არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით, თვლის, რომ აქ სახელმწიფოს კვალი ჩანს).

X ს. ტოლტეკთა რაზმები სამხრეთში მაიას ქვეყანაში გამოსცდნენ და დაიპყრეს ეს ტომები. XI საუკუნიდან „კლასიკური" ტოლტეკების კულტურა დაცემის გზაზეა. მათ ადგილს იკავებს „დინასტიური" ტოლტეკები, რომელთა ცენტრი იყო ქ. ტოლანი (ტულა).

მ ა ი ა ს პირველი დასახლება-ქალაქები ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში გვხვდება. დაახლოებით V საუკუნეში აღმოცენდა ქალაქები: პალენკე, კოპანი, იაშჩილანი, რომლებიც რელიგიურ და პოლიტიკურ ცენტრებს წარმოადგენდნენ. მაიას ტომები ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდნენ, ეწეოდნენ შემგროვებლობას,

მეფუტკრეობასა და თევზჭერას. მაიას ძველი ქალაქები IX-X სს. ამთავრებენ არსებობას. მოსული ტოლტეკები სწრაფად შეეთვისნენ და შეერწყნენ ადგილობრივ მოსახლეობას და ხელი შეუწყეს იუკატანის ნახევარკუნძულზე მაიას ახალი სამეფოს შექმნას. ორი საუკუნის მანძილზე ქ. ჩიჩენ-იცა მეთაუეობდა. XII საუკუნეში ივი დაანგრიეს. ჩიჩენ-იცას ისტორიული ძეგლებიდან გამოირჩევა იაგუარის ტაძარი, რომელიც პირამიდის ტიპისაა. ოთხივე მხარეს აქვს საფეხურები (94-94 საფეხური თითოეულ მხარეს), ადგილობრივი მცხოვრებნი (მათთან ერთად ჩვენი მასპინძელი სინიორ ანტონიოც) გვარწმუნებენ, რომ ყოველ 52 წელიწადში ერთხელ (ეს დრო ადგილობრივ მცხოვრებლებს წინასწარ აქვთ გამოთვლილი) ყოველკვარ ამინდში 12 საათზე მზის სხივი ეცემა ბურჯად აღმართულ გველის თავს.

მთელი XIII საუკუნე იუკატანში აღინიშნა არეულობით, ტომობრივი ომებით, ვიდრე კოკომების დინასტიამ არ დაამყარა ჰეგემონობა ტერიტორიის დიდ ნაწილზე (ჩიჩენ-იცას დაცემის შემდეგ ცენტრია ქ. მაიაპანი). 1441 წელს აჯანყებებისა და სამოქალაქო ომის შედეგად მაიაპანი დაინგრა და ახალი სამეფო დაიშალა რამდენიმე ქალაქ-სახელმწიფოდ, რომელთა შორის მუდმივი ქიშპი იყო, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ესპანელებს მაიას ქვეყნის დაპყრობაში. მაიას ყოველი ქალაქი-სახელმწიფო წარმოადგენდა პატარა მონათმფლობელურ დესპოტიას, რომლის სათავეში იდგა მმართველი — ხალაჩ ვინიკი („დიდი კაცი"). ეს თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან უფროს შვილზე. სალაჩ ვინიკის ხელში მოქცეული, იყო განუსაზღვრელი ხელისუფლება (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო, რელიგიური).

მაიას ქვეყნის პოლიტიკურმა დაქუცმაცებულობამ ხელი შეუშალა ერთლმერთიანობას (მონოთეიზმს). მიუხედავად ამისა ცის ღმერთი ი ც ა მ ნ ა ითვლებოდა ყველა ქალაქ-სახელმწიფოს უმაღლეს ღვთაებად. სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვარია იეროგლიფური დამწერლობა. შემორჩენილია ეპიგრაფიკული ძეგლები (წარწერები ტაძრის კედლებზე, სტელებზე და სხვ.), რომლებიც დღემდე არ არის საბოლოოდ გაშიფრული.

მაიას ხალხებში განვითარების მაღალ საფეხურზე ჩანს ასტრონომიის რადგი. ჰქონდათ მზის კალენდარი, რომელიც ზედმიწევნით ზუსტი იყო. ასტრონომიული დაკვირვებისათვის აშენებდნენ სპეციალურ ობსერვატორიებს. ასტრონომი-ქურუმები წინასწარ საზღვრა-

ულნენ მზისა და მთვარის დაბნელების დროს და ზოგი პლანეტის მოძრაობას.

მაიას ცივილიზაციამ დიდი გავლენა მოახდინა ამერიკის ყველა ხალხების კულტურაზე, თუმცა თვითონაც განიცადა საპოტეკებისა და ტოლტეკების გავლენა. უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ მექსიკის ყველა ძველი ცივილიზაცია, რომელიც ერთ კულტურულ-ისტორიულ ოლქს შეადგენდა, ვითარდებოდა ურთიერთკავშირში და ერთმანეთზე გარკვეულ გავლენას ახდენდა.

კოლუმბამდელი მექსიკის ისტორიაში სრულიად ახალი, განვითარების მაღალ საფეხურს წარმოადგენდა ა ც ტ ე კ ე ბ ი ს საზოგადოება. აცტეკები შედარებით გვიან მოვიდნენ მექიკოს ველზე; მოვიდნენ შორეული მითიური ქვეყნიდან, რომელსაც ა ს ტ ლ ა ნ ი ერქვა. 1168 წელს აცტეკები დამაგრდნენ ტესკოკოს ტბის კუნძულებზე და 1325 წელს დააარსეს ქ. ტენოჩტიტლანი. ფორმალურად აცტეკების საზოგადოება წარმოადგენდა ტომობრივ კავშირს, რომელიც ჩამოყალიბდა ტეპანეკების წინააღმდეგ ომის დროს. რეალურად აცტეკების (ტენოჩტიტლანის) ხელმძღვანელი როლი გადაიზარდა ჰეგემონიაში, ჰეგემონია კი — დიქტატურაში, აცტეკების მმართველის ხელში მოიყარა თავი საკანონმდებლო და აღმასრულებელმა უფლებებმა. როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, აცტეკები მართალია იდგნენ კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების გზაზე, მაგრამ ამ პროცესის დასრულებამდე ჯერ შორი გზა იყო.

კულტურულად აცტეკებმა შეისისხლხორცეს ბევრი ის ელემენტი, რაც მექსიკის სხვა ხალხებმა შექმნეს: თავის მხრივ აცტეკებმა ბევრი სიახლე შემოიტანეს ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. მათ დიდი მიღწევები ჰქონდათ მიწათმოქმედების განვითარებაში. აცტეკებს ეკუთვნით ჩინამპების აგების პრიორიტეტი. ჩინამპი ხელოვნური კუნძულია, რომელიც ძირითადად იგებოდა ჭაობიან ადგილებში. აცტეკები ამით ერთგვარ სადრენაჟო სამუშაოსაც ატარებდნენ და ზრდიდნენ ფართობებს. ჩინამპების კულტურა დღემდე შემორჩა მექსიკის ველს.

აცტეკებში შორსაა წასული მიწათმოქმედებიდან ხელოსნობის გამოყოფის პროცესი. ხელოსნობის რიგი დარგებისა იმდენად ვითარდება, რომ აღწევს ხელოვნების დონეს. ასეთ დარგებს შეიძლება მივაკუთვნოთ მაგალითად: არქიტექტურა, ქანდაკება, ოქრომჭედლობა. სრულებითაც არ იყო შემთხვევითი, რომ ტენოჩტიტლანისა და

სხვა ქალაქების ტაძრებსა და სასახლეებს განცვიფრებაში მოჰყავთ ესპანელი კონკისტადორები. ყურადღებას იქცევს აცტეკების სულიერი კულტურა. მათში რელიგიურ-იდეალისტური შეხედულებების გვერდით ვხვდებით სტიქიური მატერიალიზმის ტენდენციებსა და ბევრი მოვლენისადმი რაციონალისტურ მიდგომას. საინტერესოა აცტეკური მითები, რომლებშიც ალეგორიული ფორმით გადმოცემულია ოთხი სტიქიის (წყლის, მიწის, ჰაერისა და ცეცხლის) ბრძოლა. მაღალი დონისათვის მიუღწევია კოეზიას, რომელიც გარკვეულად ფილოსოფიურ ხასიათს ატარებდა. ცალკე უნდა აღინიშნოს აცტეკების მზის კალენდარი, რომელიც მეტად ზუსტია. დღესდღეობით ეს კალენდარი შემორჩენილია და მეხიკოს ანთროპოლოგიის მუზეუმში იწახება.

ერთი სიტყვით, მექსიკის უძველესმა მოსახლეობამ შექმნა მეტად საინტერესო, ჯერ კიდევ ბოლომდე შეუცნობელი ცივილიზაცია, ცივილიზაცია, რომელიც მსოფლიოს მეცნიერთა ყურადღების სფეროშია მოქცეული; გავა ხანი და ყოველივე ის, რასაც დღეს კითხვის ნიშანი აქვს დასმული ახალი სიცხადით წარმოსდგება ჩვენს წინაშე.

ოროსკო, რიბერა, სიკეიროსი

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მექსიკაში განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა მონუმენტურმა ხელოვნებამ. აქვე შევნიშნავთ, რომ მექსიკის მონუმენტური ხელოვნების იდეური პრინციპების ფორმირება ხდება 900-იანი წლების დასაწყისიდან, ჩამოყალიბება კი რევოლუციის წლებში. ამ პერიოდში მიიჩნევდნენ, რომ ხელოვნების მიზანი იგივე იყო, რაც სოციალური ბრძოლის იარაღისა. არ იყო შემთხვევითი, რომ იმდროინდელი მხატვრები აქტიურად დაინტერესდნენ სოციოლოგიის, ისტორიის, პოლიტეკონომიისა და ფილოსოფიის საკითხებით.

ხოსეკლემენტო ოროსკო (1883-1949 წწ.) ორმოცი წლის ასაკში იწყებს დიდი კედლების მოხატვას. დაახლოებით ამავე ასაკში დაიწყო თავისი მოღვაწეობა დიეგო რიბერამ. და მხოლოდ გაოცება შეიძლება იმდენი ბრწყინვალე ფერწერული მონუმენტური ძეგლები შექმნეს ორთავე შემოქმედმა შემდგომ წლებში. ამის საწინდარი

იყო ხელოვნების ფანტასტიკური სიყვარული. ოროსკო ხომ ცალი ხელით ჰქმნიდა თავის შედევრებს (მან ბავშვობაში მარცხენა ხელი დაკარგა).

ოროსკო პუბლიცისტი-გრაფიკოსია. იგი პოლიტიკურ კარიკატურისტადაც გვევლინება. შემოქმედმა განიცადა აღორძინების სანის მხატვრების — ჯოტოს, მაზაჩოს, მაღალი რენესანსის წარმომადგენლების — მიქელანჯელოსა და ლეონარდო და ვინჩის გავლენა, მაგრამ ოროსკო მაინც ოროსკოდ დარჩა.

მეტად საინტერესოა მოხატული გვადალახარის უნივერსიტეტის კედლები. აქ 1935 წელს მიუწვევიათ დიდი ხელოვანი. განსაკუთრებით გაბოირჩევა საუნივერსიტეტო საქტო დარბაზში სამი დიდი ფრესკა. აქ თაღზე ოროსკომ „ადამიანის აზროვნების კანონები" მოგვცა. მეტად თამამი და მაღალმხატვრულია თემის გადაწყვეტა. ნინა კედელზე კი „ყალბი ხელმძღვანელები და ხალხი". პოლიტიკურად მძაფრია მხატვრის თემატიკა და იგი სავსებით შეესაბამება სტუდენტურ მშფოთვარე სულს. არ არის შემთხვევითი, რომ გვადალახარის უნივერსიტეტში ამაყობენ დიდი მხატვრის მიერ მოხატული ფრესკებით, ასე უხვად რომ მოეპოვებათ და ეგრერიგად რომ ამშვენებს შენობას. გვადალახარაში მოხატა ოროსკომ მთავრობის სასახლე (1937 წ.) და ბავშვთა თავშესაფარი (1938-39 წწ.); დიდი მწუხარება და ტკივილია ჩაქსოვილი ამ ქმნილებებში, ადამიანის პატივისცემა კი უკანა პლანზეა გადაწეული.

ოროსკო თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დარჩა დიდი შემოქმედებითი კეთილსინდისიერებისა და ტალანტის ნიმუშად. კაცობრიობის ბედისადმი უდიდესი პასუხისმგებლობა იყო მისი თანამგზავრი. მექსიკის რევოლუციის ამსახველი ოროსკოს ფრესკები, მისი ეროფიკა რევოლუციის თემებზე, თანამედროვე რეალისტური ხელოვნების მწვერვალს წარმოადგენს.

„ნეშმარიტი მხატვარი სოციალური ბრძოლის ცენტრში უნდა იყოს" — ამ სიტყვების ავტორმა დიეგო რიბერამ, პირველმა მექსიკელ მხატვართა შორის მოიპოვა მსოფლიო აღიარება და დიდება.

რიბერა თავისი მხატვრული შემოქმედების პირველივე ნაბიჯებიდან გამოირჩევა არაჩვეულებრივი შემოქმედებითი ენერგიით და დიდი სიჭით. ჯერ კიდევ დამწყებ ოსტატს უკვე ორი პერსონალური გაეოფენა მოუწყვია მექსიკოში 1906 და 1910 წლებში. მექსიკოს სატი-

ჟი ხელოვნების სასახლეში რიბერას ბევრი ადრინდელი ტილოა. 1913 წელს იგი შესვდა პიკასოს და დაუმეგობრდა მას. დიდ ფრანგ ესატვარს მაღალი შეფასება მიუცია რიბერას კუბისტური ტილოებისათვის. ფრანგი კრიტიკოსები მექსიკელ კუბისტზე წერდნენ, როგორც პარიზის ცაზე გამოჩენილ ახალ ვარსკვლავზე.

დიეგო რიბერამ თავისი თავი ფრესკებში იპოვა. „მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში მონუმენტურ ფერწერაშიც გვხვდებოდნენ ღმერთები და ნახევრადღმერთები, წმინდანები, მასები კი მსოლოდ ფონი იყო, ქორო იყო ამ გმირი ღმერთებისათვის. დაჩაგრული მასა, ბრბო, მუშა და გლესი, ხალხი, ქუჩის ადამიანები, ფაბრიკები, მასა მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში პირველად გამოჩნდნენ და ეს არის ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ და ჩვენამდე არავის გაუკეთებია“ — წერდა თვით დიეგო რიბერა, ანიჭებდა რა რადიკალურ მნიშვნელობას მონუმენტური ხელოვნების ახალ გმირს. იგი მოითხოვდა რევოლუციურ ხელოვნებას არა თემით, არამედ ემოციებითა და ღრმა გამომსახველობით.

დიეგო რიბერას შემოქმედების მწვერვალია მეხიკოში ეროვნული სასახლის მთავარი კიბის ფრესკები. თვით სასახლე XVII საუკუნეშია აგებული ქალაქის ცენტრალურ მოედანზე. ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის სიმბოლოს — ეროვნული სასახლის კედლებზე რიბერამ ისტორიის სცენები მოხატა. და ეს შენობაც მექსიკის ეროვნული თავისუფლების თავისებურ მონუმენტად იქცა.

როცა ეროვნული სასახლის ცენტრალური შესასვლელის თაღში შედიხართ, უკვე თვალწინ იშლება ფრესკები, რომლებიც გაშლილ, ჭრელ ნოხს მოგაგონებთ. შემდეგ თანდათან გამოირჩევა ურთულესი კომპოზიცია, მრავალფიგურიანი და მრავალიარუსიანი. ფრესკაზე ნახავთ ისტორიულ პირებს და სხვადასხვა სცენებს, სიმბოლურ გამოსახულებებს. ყველაფერი ეს დამორჩილებულია მოვლენათა განვითარების სიუჟეტურ-ქრონოლოგიურ გამოსახულებებს: მარჯვნიდან მარცხნივ მოცემულია ესპანელთა დაპყრობამდელი მექსიკის ისტორია, სწრაფვა მშვიდობიანი მომავლისადმი; ქვემოდან ზემოთ გამოსახულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე პრიმიტული ფორმებიდან დაწყებული ყველაზე სრულქმნილამდე. ფრესკის ღირსეულია, რომ მასში წარმოჩენილია ისტორიულ პერსონაჟთა დოკუმენტურად ზუსტი გამოსახულებები. მათ შორის არიან თავისუფლებისათვის მებრძოლნი: იდალგო, მორელოსი, ხუარესი; რევოლუციო-

ნეირები: საპატა, კარილიო პუერტო, როდრიგესი. აქვეა იმპერატორ მაქსიმილიანისა და დიქტატორ დიასის სახეები.

შეტად საინტერესოა მარცხენა კედლის ფრესკა, რომელიც ინტერნაციონალურ თემაზეა შექმნილი. ფრესკის ფონზე კრემლის გუმბათების სილუეტები ჩანს. ამ ნაწილს ჰქვია „სიმღერა მომავალზე". მაღლა კარლ მარქსის ფიგურაა გამოხატული. აქ ჩვენ ვხვდებით რევოლუციურ ლოზუნგებსა და გამონათქვამებს. ფრესკა მეტად საინტერესო და მიმზიდველია.

საგულისხმოა, რომ ოროსკოს ბოლო ნამუშევრები საბჭოთა სახელმწიფოს ეძღვნება. მისი ტილოების ციკლი „საბჭოთა კავშირში" დიდი წარმატებით იქნა გამოფენილი 1957 წელს მეხიკოში.

დავით ალვარო სიკეიროსი ჩვენი ეპოქის ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელია. ესაა შემოქმედი, რომლის ჩამოყალიბება კაპიტალისტურ სამყაროში მოხდა და მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება მასთან ბრძოლას მოანდომა. სიკეიროსის შემოქმედებითი და ცხოვრებისეული პოზიცია — ესაა პოზიცია მხატვარი-კომუნისტისა. იგი ახალი ტიპის მხატვარია. საზოგადოებრივი მოღვაწეობა და შემოქმედება განუყოფელია მისთვის. ხელოვნება სიკეიროსისათვის იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც იგი ემსახურება იდეოლოგიური პროპაგანდის, სოციალური ბრძოლისა და მსოფლიოს სამართლიანად გარდაქმნის მიზნებს. სიკეიროსი მებრძოლია. მან გაიარა საბრძოლო გზა მექსიკის რევოლუციურ არმიაში — დაიწყო რიგითმა ჯარისკაცმა და დაამთავრა ოფიცერმა. 20-იან წლებში კომპარტიის წევრი გახდა და შემდგომში რევოლუციური პროფკავშირული მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ლიდერი იყო. აქტიურად მონაწილეობდა გაფიცვებში, მუშათა კონგრესებსა და პროფკავშირული ყრილობების მუშაობაში.

სიკეიროსის ნამოღვაწარი ამშვენებს მეხიკოს და გვადალახარის პევრ შენობას. მათგან აღსანიშნავია ფრესკა „მექსიკის რევოლუცია პორფირისტული დიქტატურის წინააღმდეგ". ესაა მძაფრი, ღრმა ისტორიზმით აღსავსე სურათი, რომელშიც აშკარად ჩანს რევოლუციური მოძრაობის პათოსი და ჰეროიკა.

მეხიკოში საგანგებოდ აუშენებიათ კულტურული ცენტრი ე. წ. „პოლიფორუმი", რომელშიც ერთი დიდი დარბაზი მთლიანად სიკეიროსს „გაუკეთებია" — ესაა „ადამიანის სწრაფვა კოსმოსისაკენ". თანაც ისეა ყველაფერი შესრულებული (ფართოდაა გამოყენებული

კონსტრუქციები), რომ წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. მნახველი დარბაზში შედის, ჯდება სკამზე და... დარბაზი ტრიალებს,.. ტრიალებს და მნახველს საშუალება აქვს სრულიად მშვიდად დააკვირდეს თითოეულ დეტალს ტიტანური შრომა რომ ჩაუქცევია მასში დიდ მხატვარს. სიკეიროსი მხატვარი რეალისტია და იგი ბოლომდე ერთგულია თავისი პოზიციისა. მექსიკოში დღესაც სიამოვნებით იგონებენ, რომ დიდმა მექსიკელმა მხატვარმა ერთობლივად მუშაობისთვის მიიწვია ქართველი შემოქმედი ზურაბ წერეთელი... სამწუხაროდ ერთობლივი მუშაობის გეგმა ბოლომდე ვერ განხორციელდა... სიკეიროსი გარდაიცვალა.

მეხიკოსა და გვადალახარაში

საბჭოთა მეცნიერთა ჯგუფი მეხიკოში ჩასვლის უმალ მიწვეული იქნა საბჭოთა კავშირ-მექსიკის მეგობრობის საზოგადოებაში (მას მექსიკელები ინსტიტუტს ეძახიან). აქ შევხვდით საბჭოთა კავშირის ელჩს მექსიკაში იური ივანეს ძე ვოლსკის. მეტად სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ ჩვენი ჩასვლა დაემთხვა ჟურნალ „Советский Союз"-ის (მას საბჭოთა საელჩო სცემს მექსიკაში) გამოცემის 35-ე წლისთავს. ეს ჟურნალი მეტად დიდ როლს ასრულებს საბჭოთა კავშირის ცხოვრების სხვადასხვა მხარეების პროპაგანდის საქმეში. დავესწარით საიუბილეო სხდომას. ამ დღისათვის გამოვიდა ჟურნალის სპეციალური ნომერი. აქაც სასიამოვნო სიურპრიზი დაგვხვდა. საიუბილეო ნომრის ოთხი გვერდი საქართველოსადმი მიძღვნილ მასალასა აქვს დათმობილი. ეს გვერდები უხვადაა ილუსტრირებული. მკითხველს თვალში სცდება თბილისის ხედი, საქართველოს რუკა, ქართველი მევენახეებისა და მეჩაიეების შრომის პროცესები, პეიზაჟები. ერთი სიტყვით საქართველო მთელი თავისი სილამაზითაა მოცემული. აქვეა მოთსრობილი რესპუბლიკის ცხოვრებაზე, მის წარმატებებზე, რელიეფურადაა მოცემული საქართველოს ისტორიის ეპიზოდებიც.

მეხიკოში მიგვიღო მექსიკის მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ალფრედო არიაზამ. მეტად საინტერესო საუბარი გაიმართა მექსიკის განვითარების პერსპექტივებზე. ჩვენ ვიგებთ, რომ მექსიკაში ინერგება გრძელვადიანი პერსპექტიული და-

გეცმვა, რომ 1978 წლიღან დადგინდა ქვეყნის ეკონომიური განვითარების პირველი სუთწლედი, რომ ასლო ურთიერთობას ამყარებეს ეკონომიური ურთიერთობის საბჭოსთან. მექსიკელი მეცნიერები დიდ მუშაობას ეწევიან მზისა და ქარის ენერგიის გამოსაყენებლად; ბოლო დროს დიდი ყურადღება ეთმობა ჯანმრთელობის დაცვას, კერძოდ ბრძოლას ენდემურ დაავადებებთან.

მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტს ჰყავს თავისი სტიპენდიატები. ღღეისათვის თურმე ასეთი 5 ათასია (3 ათასი მექსიკაშია, 2 ათასი საზღვარგარეთ). კომიტეტი გასცემს გარკვეულ თანხას იმ მიზნით, რომ სტუდენტმა ისწავლოს, თუმცა ეს თანხა შემდეგ მან უნდა აანაზღაუროს, დააბრუნოს მასზე გაღებული თანხა. ამისათვის მას სწავლის ხანგრძლივობაზე სამჯერ მეტი დრო ეძლევა. ამასთან არის გარკვეული შეღავათები. კერძოდ ის კურსდამთავრებულები, რომლებიც საზოგადოებრივ სექტორში იმუშავებენ მათზე დანახარჯის მხოლოდ 50% ისდიან. თუ მეცნიერად რჩებიან და კვლევას აწარმოებენ, ისინი საერთოდ არაფერს არ ისდიან. ასევე სტიმულირება ხდება იმ პირებისა, რომლებიც პერიფერიაში მიდიან სამუშაოდ (როგორც ჩანს ურბანიზაციის პრობლემა მწვავედ დგას მექსიკაში, თვით მეხიკო ერთგვარ თავკომბალადაა ქცეული ქვეყანაში, ბასში მთელი მოსახლეობის თითქმის მეოთხედი ცხოვრობს).

ჩვენი მკითხველი განებივრებულია უხვი ინფორმაციით და ამღენად თვით მექსიკის დედაქალაქზე ჩვენ არ შევჩერდებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ მეხიკო ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. იგი 1521 წელს დამპყრობლებისაგან დანგრეული ქ. ტენოჩტიტლანის ადგილზე აღმოცენდა. 1821 წლის 18 სექტემბრიდან დამოუკიდებელი მექსიკის დედაქალაქი გახდა.

ძალზე მიმზიდველია მექსიკის მეორე ქალაქი გვადალახარა. ქალაქის შესასვლელში თვალს მოგტაცებთ წარწერა: „ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ო ბ ა, ს ი ბ რ ძ ნ ე დ ა ძ ა ლ ა ი ც ა ვ ს ა მ ქ ა ლ ა ქ ს“. მრავლისმეტყველი წარწერაა. გვადალახარელები გამოირჩევიან სიმკვირცხლით, საერთოდ ზრდილნი და მომღიმარნი მუდამ მოძრაობენ, რაღაც თავისებურად ამაყები არიან. ამჯერად გვადალახარაში 2 მილიონამდე მცხოვრებია. ქალაქის კულტურულ ცენტრებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უნივერსიტეტს. სწორედ გვადალახარის უნივერსიტეტის სტუმრები ვიყავით ჩვენ. აქ მოგვიხდა გარკვეული ურთიერთობა პროფესორ-მასწავლებლებთან. მიუხედავად

იმისა, რომ უნივერსიტეტი ახალგაზრდაა (ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნისა), იგი თავისი მასშტაბებით ძალზედ დიდია. 146 ათასი ახალგაზრდა სწავლობს აქ (ასპირანტებისა და ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტთა ჩათვლით). უნივერსიტეტს ურთიერთობა აქვს მსოფლიოს ყველა დიდ უმაღლეს სასწავლებლებთან. 1979 წელს 200 ასპირანტი საზღვარგარეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის ასპირანტურაში აგრძელებენ მუშაობას. გვადალახარის უნივერსიტეტში ფართოდ აქვს ფესვი გადგმული სტუდენტთა თვითმმართველობას. სტუდენტები შედიან საერთო საუნივერსიტეტო საბჭოში, რომელსაც სექტორი თავმჯდომარეობს. ეს საბჭო ფაქტიურად ყველა საკითხს წყვეტს. სტუდენტების 80% ერთდროულად მუშაობენ (ეს საღამოს სწავლება არ არის, დღისით სწავლობენ, საღამოს მუშაობენ).

უმუშევრობის დიდი პრობლემაა ჩვენში — გვეუბნება რექტორი (ორმოცდახუთიოდე წლის კაცი, პროფესიით არქიტექტორი, შემდეგ გაგვანდო რომ ჩვენი შესვედრის დღეს 3 წელი და 4 თვე შეუსრულდა რექტორობისა) — უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების ერთი ნაწილი ვერ შეულობს სამუშაოს. განსაკუთრებით რთულადა აქვს საქმე ექიმებს (უნივერსიტეტშია სამედიცინო ფაკულტეტი), ექიმთა რაოდენობამ გაუსწრო ბაზების მშენებლობას; ჩვენი ქვეყანა შერეული ეკონომიკური სისტემისაა და უნივერსიტეტს არ შეუძლია განსაზღვროს მოთხოვნილება კადრებზე. ეს დიდი გულისტკივილი იყო რექტორისა.

კონკურსი დიდი ყოფილა უნივერსიტეტში (როგორც რექტორი გვეუბნება). გამოცდას კომპიუტერი იბარებს. თითოეულ აბიტურიენტს 100 კითხვა ეძლევა თურმე. ჩვენ იმთავითვე შევიცსადეთ ასეთი დიდი ციფრის დასახელება, მაგრამ გაირკვა, რომ კითხვები მარტივია და ზოგ მათგანს უნდა გაეცეს პასუხი მხოლოდ „კი" ან „არა". აქ სტიპენდიების სისტემა არ არსებობს. გვადალასარის უნივერსიტეტში, როგორც გვეუბნებიან, ყველაზე ცოტა იხარჯება წლიურად საშუალოდ 1 სტუდენტზე.

უნივერსიტეტს 34 ფაკულტეტი აქვს, ამზადებს ფართო პროფილის სპეციალისტებს. მეტად თვალში საცემია უამრავი სხვადასხვა ტიპის სპორტული ბაზები (სხვათა შორის ასეა მთელს მექსიკაში), სადაც ყოველთვის ხალხმრავლობაა. პრობლემები? პრობლემები ბევრია ასალგაზრდობის აღზრდის საქმეში... როცა გვადალასარიდან აკაპულკოში მივფრინავდით, ერთი ყმაწვილი გვიამბობდა თვითმფ-

რისავში, მარიხუანამ და სხვადასხვა ნარკოტიკებმა წალეკაო ჩვენი მხარე; იუკატანიდან იყო იგი. ამერიკელ კონტრაბანდისტებს შემოაქვთ ნარკოტიკები მექსიკაში. ჩვენ, როცა იუკატანის დედაქალაქში — მერიდაში ჩავედით, უნებურად გაგვახსენდა ამ ახალგაზრდის გულისტკივილი. უცხო კაცის თვალით ძნელია ამ მძიმე სენის შემჩნევა, მაგრამ ის ხომ ფაქტია, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მექსიკის პრეზიდენტების მოლაპარაკების დროს ეს საკითხიც იდგა დღის წესრიგში.

ერთი სიტყვით, მექსიკა დიდი კონტრასტების ქვეყანაა. თავისი მდიდარი წარსულითა და ჯერ კიდევ რთული აწმყოთი, პირამიდებით, მონუმენტური ხელოვნებით; ერთი ნათელია — მექსიკელი ხალხი საპართლიანობისათვის, ნათელი მომავლისათვის, უკეთესი მერმისისათვის ზრუნავს. რაკი ასეა, ჩვენც უნდა ვირწმუნოთ — დადგება დრო და მექსიკელები საბოლოოდ გაიმარჯვებენ.

1979 წ.



საქართველოს ისტორიის კარდინალური საკითხები

ფეოდალური საქართველოს ისტორიაში XII საუკუნე მეტად საინტერესო პერიოდია და, ბუნებრივია, განსაკუთრებული ადგილიც უჭირავს. ამდენად ამ პერიოდის კვლევას არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ისტორიის სრულყოფილი და სრულფასოვანი შესწავლისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანამდე არ ყოფილა მონოგრაფიულად შესწავლილი ცალკეული კარდინალური საკითხები ამ ეპოქისა, რომ არაფერი ვთქვათ გლობალური ხასიათის გამოკვლევის არარსებობაზე. ერთგვარად მივიწყებული იყო ქვეყნის პოლიტიკური ისტორია, სახელმწიფოებრივი წყობა და საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ივ. ჯავახიშვილის შემდგომ XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესწავლას შესამჩნევი წინსვლა არ ჰქონია სანგრძლივი დროის მანძილზე. ქართველი მეღიევისტები ძირითადად იკვლევდნენ ფეოდალური საქართველოს სოციალური და ეკონომიური ისტორიის პრობლემებს, რამაც თავის მხრივ ბევრი დადებითი შედეგი მოგვცა. პოლიტიკური ისტორიის კვლევისადმი ინტერესის ეროგვარმა შენელებამ თავისი უარყოფითი ნაყოფი გამოიღო — საშუალება მისცა ყოველგვარი შესაძლო, დაუსაბუთებელი ვარაუდების ჭეშმარიტებად გამოცხადებას და ზოგჯერ საქართველოს ისტორიის გაყალბების ცდასაც.

უკანასკნელ პერიოდში (განსაკუთრებით 60-იანი წლების მიწურულიდან მოკიდებული) ბევრი გაკეთდა XII ს. პოლიტიკური ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, რაშიც სხვა მეცნიერებთან ერთად თავისი დიდი წვლილი შეიტანა აწ განსვენებულმა შოთა მესხიამ.

შოთა მესხია ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ფეოდალური საქართველოს კარდინალური პრობლემების: ქალაქებისა და

საქალაქო წყობილების, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის, საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის და სხვ. შესწავლის საქმეს. მეცნიერს XII ს. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის კვლევის ფართო გეგმა ჰქონდა დასახული. სხვადასხვა სამეცნიერო სტატიებთან ერთად 1972 წ. გამოქვეყნდა მესხიას მონოგრაფია დიდგორის ბრძოლის შესახებ „ძლევაი საკვირველი“, რომელშიც გაშუქებულია XII ს. პირველი მეოთხედის საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური (საშინაო და საგარეო) ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხები. სამწუხაროდ მეცნიერს დასტამბული სახით ეს წიგნი არ უხილავს, ვერც თავისი დიდი გეგმის, XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ყოველმხრივი და სრული შესწავლის განსორციელება შესძლო. დარჩა მის მიერ ჩაფიქრებული მონოგრაფიის უკვე შესრულებული ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი „საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში“. მადლობით გვინდა მოვიხსენიოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წ. კ. პროფესორი ა. სურგულაძე და დოცენტი ნ. შოშიაშვილი, რომელთა ყურადღებითა და რედაქტორობით 1979 წელს ამ წიგნმა დღის სინათლე იხილა.

ამთავითვე ვიტყვით, რომ შოთა მესხიას მონოგრაფია „საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII ს. საქართველოში“ ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია. მეცნიერმა გამოიკვლია და ასლებურად გადაჭრა XII-ს-ის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი, რასაც საფუძვლად უდევს საკვლევი საკითხების წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოება, წყაროების ასლებური კვლევა და ინტერპრეტაცია, ისტორიოგრაფიის უახლოეს მიღწევათა გამოყენება, ტრადიციულ თვალსაზრისთა კრიტიკული შემოწმება და გადასინჯვა.

შოთა მესხია გამოცდილი, მაღალკვალიფიცირებული ისტორიკოსი იყო და კვლევაც მეტად სოლიდური აქვს ჩატარებული. მის ნაშრომს შეიძლება შეემაჯამებელი ვუწოდოთ XII ს. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ისეთ საკვანძო პრობლემებზე, როგორიცაა: საქართველოს ფეოდალური მონარქიის ცენტრალური გამგებლობის სისტემის შექმნა; სავაზიროს წარმოქმნა; მეფის თვითმპყ-

რიაბელობის საკითხი XII-XIII სს-ის მიჯნაზე („ერთნებაობისა და თანადგომის“ პრობლემა); დარბაზის რიგის მოხელეთა ვინაობა და ფუნქციები; XII ს-ის საქართველოს ფეოდალურ საგვარეულოთა (კერძოდ მსარგრძელთა გვარის ისტორიასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები) ისტორია და სხვ.

საქართველოს ფეოდალური მონარქიის შექმნის შემდეგ იქმნება ცენტრალური მმართველობის აპარატი — „დარბაზის რიგის“ მოხელეთა სისტემა, რომელიც დაუპირისპირდა მანამდე არსებულ ადგილობრივი გამგებლობის სისტემას (XII ს-მდე ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებში სახელმწიფო მმართველობა დამყარებული იყო ერისთავებზე, სპასალარებზე, სევისუფლებზე, ციხისთავებზე და სხვ.). ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საკითხი, თუ როდის წარმოიქმნა ამირსპასალარის, მანდატურთუხუცესის, მსახურთუხუცესის სახელოები (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობის წარმოქმნა გარკვეულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში). ეს საკითხი აქამდე გაურკვეველი იყო ჩვენს ისტორიოგრაფიაში. შოთა მესხიამ ქართული და სომხური ეპიგრაფიკული მასალის კრიტიკული კვლევისა და ქართულ ნარატიულ წყაროებთან მათი შეჯერების საფუძველზე დოკუმენტურად, სრულიად დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის სახელოები წარმოიქმნა XII ს-ის პირველ მეოთხედში. ამავე პერიოდში ვარაუდობს მეცნიერი მეჭურჭლეთუხუცესის სახელოს წარმოშობასაც. ახალი საბუთების საფუძველზე შოთა მესხიამ გაარკვია ტერმინ „ამირსპასალარის“ ქართულში შემოსვლის წყაროც, დაასაბუთა, რომ იგი ვადმოღებულია თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოდან, ხაზი გაუსვა რა იმასაც, რომ ნასესხებია მხოლოდ ტერმინი და არა თვით ინსტიტუტი (ქართული ამირსპასალარის ინსტიტუტი არსებითად განსხვავდება შესაბამისი თურქული ინსტიტუტისაგან). წყაროების ღრმა ანალიზის საფუძველზე, შოთა მესხიამ არა მარტო აღნიშნულ ცენტრალურ უწყებათა წარმოქმნის დრო დაადგინა, არამედ დიდი შრომის ფასად გაარკვია ამირსპასალართა, მანდატურთუხუცესთა, მსახურთუხუცესთა ვინაობა და ქრონოლოგიური რიგი XI ს-ში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ზემოხსენებული ინსტიტუტების შესწავლისათვის.

იკვლევს რა საქართველოს ფეოდალური მონარქიის სამოხელეო წყობის ისტორიას, შოთა მესხია საგანგებოდ ჩერდება სავაზიროს

წარმოქმნის საკითხზე. საქართველოს ისტორიის მკვლევართა უმეტესობა სავაზიროს, როგორც საგანგებო დაწესებულებას, ვაზირთა (მინისტრთა) სათათბირო ორგანოს არსებობას გიორგი III-ის მეფობის (1156-1184 წწ.) დროიდან მაინც ვარაუდობს. ეს თვალსაზრისი მეცნიერმა არ მიიჩნია მართებულად. მან ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ ცნობები აღნიშნულ საკითხზე სრულიად განსხვავდება XII ს-ისა და XIII საუკუნის დასაწყისის წყაროთა მონაცემებისაგან. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს, ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულების, XIII ს-ის ქართული საბუთებისა და ეპიგრაფიკული მასალის ღრმა შესწავლა-ანალიზის შედეგად შოთა მესხია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ XII ს-ში და XIII ს-ის პირველ ათეულში საქართველოს სამეფო კარზე მხოლოდ ერთი ვაზირი იყო — მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი და ამდენად, ამ პერიოდში სავაზიროც არ არსებობდა. „ხელმწიფის კარის გარიგება“, სადაც ვაზირებად, ჭყონდიდლის გარდა, მოხსენებული არიან აგრეთვე: ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და ათაბაგი, ასახავს თამარ მეფის შემდგომდროინდელ ვითარებას, როცა ვაზირთა რაოდენობა ექვსამდეა მიღწეული.

შ. მესხიას ეს დასაბუთებული დასკვნა დამაჯერებლად უარყოფს ტრადიციულ თვალსაზრისს XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობის ერთ-ერთ ძირითად საკითხზე და ასლებურ გეზს აძლევს აღნიშნული პერიოდის საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების შესწავლას.

სარეცენზიო მონოგრაფიის მეტად მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ისეთი პრობლემების გაშუქება, როგორიცაა მეფის თვითმპყრობელობის საკითხი XII-XIII სს-ის მიჯნაზე („ერთნებობისა და თანადგომის“ პრობლემა). ეს პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული ფეოდალურ ქვეყანაში მიმდინარე კლასობრივ და შინაკლასობრივ ბრძოლებთან. საქართველოს ფეოდალური მონარქიის სათავეში დგას თვითმპყრობელი მეფე. მას იმთავითვე, ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის უმალ, ჰყავს თავისი ოპოზიცია, სეპარატისტულად განწყობილ ფეოდალთა დაჯგუფება, რომელიც იბრძვის მეფის ცენტრალური სულისუფლების წინააღმდეგ. მიზანია მეფის უფლებათა შეზღუდვა და ფეოდალთა დამოუკიდებლობის მოპოვება. მიუხედავად მეტად მწვავე და მძაფრი ბრძოლისა, საქართველოში მეფის თვითმპყრობელობა არ შეზღუდულა, არ შექმნილა ისეთი წარმო-

მადგენლობითი ორგანო, რომელიც შესძლებდა ამ თვითმპყრობელობის შეზღუდვას. შოთა მესხია საგანგებოდ ჩერდება მეფის თვითმპყრობელობის შეზღუდვის წინააღმდეგ მიმართულ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლაზე, რომელმაც ვერ მოახერხა მეფის უფლებათა შეზღუდვა. აკად. ივ. ჯავახიშვილმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ ნახმარ გამოთქმას — „ერთნებობითა და თანადგომითა“ და მიიჩნია, რომ ეს ფორმულა მიუთითებდა თამარის ხელისუფლების შეზღუდვას დიდგვაროვან ფეოდალთა სასარგებლოდ, რომ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შემდგომ მეფეს უცვნია დიდებულთა უფლება მეფესთან ერთად განეგოთ სახელმწიფო, ყოფილიყვნენ „თანაზიარ მეფობისა“, მეფე ამიერიდან სახელმწიფოს განაგებდა დიდებულთა „ერთნებობითა და თანადგომითა“. ეს თვალსაზრისი უკანასკნელ პერიოდამდე გაზიარებული იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში.

შოთა მესხიამ დაწვრილებით ეანიხილა თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობები ამ საკითხზე და დაასაბუთა, რომ ფორმულა „ერთნებობითა და თანადგომითა“ არ დამკვიდრებულა თამარის მეფობის .სანაში, რომ იგი არსებობდა გიორგი მესამის დროსაც და ალბათ უფრო ადრეც და სრულიადაც არ ნიშნავდა მეფის უფლებების შეზღუდვას. ეს გამოთქმა მხოლოდ თამარის პირველ ისტორიკოსთან გვხვდება და თანაც სულ ორჯერ: აქედან ერთი გიორგი მესამის მოღვაწეობის ბოლო წლის მოვლენასთან დაკავშირებით, ხოლო მეორედ თამარის მეფობის დასაწყისში, პირველივე წელს. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ საზვასმით მიგვანიშნებს, რომ გადაწყვიტა რა გიორგი III-მ თამარის თავის სიცოცხლეშივე სამეფო ტახტზე დასმა „განრჩევითა და გამორჩევითა, განგებითა და გაგონებათა ზენისა მის ხუედრისა შარავანდედთა მნებებელისათა მეფე იყო თამარ, თ ა ნ ა დ გ ო მ ი თ ა ყოველთა პატრიარქთა და ეპისკოპოსთა, დიდებულთა იმიერთა და ამიერთა ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 21). ამდენად, გიორგი III-მ თამარი გაამეფა დიდებულებთან გარკვეული მოთათბირების შემდეგ საერო და სასულიერო ფეოდალების „თანადგომით“. ასე რომ „თანადგომის“ ფორმულა, როგორც მართებულად შენიშნავს შ. მესხია, თამარის დროს სამეფო ხელისუფლებაში მომხდარი ცვლილებების დასახასიათებლად არ გამოდგება, რადგან ის ჯერ კი-

დევ გიორგი III-ის დროსაც ყოფილა მოქმედებაში. ამასთანავე არ არის გამორიცხული, რომ „გარჩევასა და გამორჩევას", „თანადგომას" არსებითად ადგილი არ ჰქონია. თუნდაც ის ფაქტი, რომ ასეთი „გარჩევითა და გამორჩევით", „დიდებულთა თანადგომით" გაღაწყვეტილი თამარის გამეფება გიორგი III-ის გარდაცვალებისთანავე დიდგვარიანმა ფეოდალებმა საცილობელი გახადეს და ხელახლა მეფედ კურთხევა მოინდომეს, ნათლად მიგვითითებს ამ ტერმინთა ნამდვილ შინაარსზე. როგორც ვხედავთ, „თანადგომა" არსებითად ზოგადი ფრაზაა და მის მიხედვით რაიმე დასკვნის გაკეთება გიორგი III-ის დროს სამეფო ხელისუფლების რაიმე შეზღუდვის შესახებ, უმართებულოა. საქმე ისაა, რომ ამ ფორმულის შინაარსი არც თამარის დროს შეცვლილა, ყოველი შემთხვევისათვის ამის სავარაუდებლად საფუძველი არ გაგვაჩნია. როცა თამარის ისტორიკოსი მიმოიხილავს მოსელეთა დანიშვნის საკითხს, თამარის გამეფების პირველსავე წელს, აღნიშნავს: „გამორჩევასა შინა ორთა ვაზირთა და სპასპეტთასა, — თანადგომითა და ერთნებობითა შვიდთავე სამეფოთა დიდებულთათა ბრძანა დამტკიცებად ჭყონდიდლად და მწიგნობართუხუცესად და ვაზირად ანტონი..." და ა.შ. აი, მეორე შემთხვევა, როცა „თანადგომისა და ერთნებობის" პრინციპია ნახსენები.

ამგვარად, მართებული ჩანს შ. მესხიას მოსაზრება, რომ მეცნიერთა მიერ სამეფო ხელისუფლების დასუსტება-შეზღუდვად მიჩნეული ფორმულა არის ზოგადი ფრაზა, რომელიც სამეფო ხელისუფლების ბრძანებათა ერთსულოვნად, უყოყმანოდ მიღებას, სამეფო ხელისუფლებასთან მათი „თანადგომისა" და მეფეთა ბრძანებისადმი ერთი ნების გამოხატვას ემსახურებოდა.

შ. მესხიამ განიხილა ქართული და სომხური ეპიგრაფიკული მასალა, დიდი ყურადღება დაუთმო გუნია-ყალის წარწერას („ხელი") და გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ ეპიგრაფიკულ წარწერებში მოხსენებული არიან არა ვაზირები, არამედ დგილობრივი მოხელეები, თანაც დაასაბუთა (ძირითადად სომხური ეპიგრაფიკული ძეგლებით), რომ მეფესთან ერთად საბუთებში სხვადასხვა დიდებულთა (ადგილობრივ გამგებელთა) მოხსენიების ფაქტები გვხვდება არა მარტო თამარის ხანაში, არამედ უფრო ადრეც. ამდენად ის თვალსაზრისი, რომ გუნია-ყალის წარწერა ადასტურებს სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას, არასწორია.

მეფის თვითმპყრობელობის საკითხთან დაკავშირებით შ. მესხიას

დასკვნა ასეთია: მიუხედავად დიდგვარიანთა არაერთი გამოსვლისა, თამარმა თავისი მეფობის მანძილზე შეძლო ძირითადად შეენარჩუნებინა თვითმპყრობელური მეფის ხელისუფლების სამოხელეო წყობა და ამ მხრივ თავისი მამის გიორგი III-ის საშინაო პოლიტიკური კურსი გაეგრძელებინა (გვ. 78).

შ. მესხიას დიდი დამსახურებაა, რომ სარეცენზიო ნაშრომში დაადგინა XII ს-ის საქართველოს მაღალი რანგის ე. წ. „დარბაზის რიგის" მოხელეთა: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის, მანდატურთუხუცესის, მეჭურჭლეთუხუცესის, მსახურთუხუცესის, ჩუხჩარხისა და ამირახორის ვინაობა, შეავსო ივ. ჯავახიშვილის კვლევის შედეგები ამ სამოხელეო ინსტიტუტების შინაარსზე. უმაღლეს მოხელეთა ცვლაზე დაკვირვებით მეცნიერმა მოგვცა შინაკლასობრივი ბრძოლის მიმართულების განსაზღვრის ცდა. განსაკუთრებულად აღსანიშნავია, რომ შოთა მესხიამ ყურადღება მიაქცია მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სამხედრო ფუნქციებზე და დაასაბუთა, რომ XII საუკუნეში ამირსპასალარის ხელისუფლებასა და მის გავლენას ზღუდავდა არა მარტო მეფე-სარდალი, არამედ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელიც — ვაზირი სამეფო ხელისუფლებისა, რომლის სავამგეობაში სამხედრო უწყებაც ივარაუდებოდა (გვ. 80).

შოთა მესხია თავის მონოგრაფიაში ყოველმხრივ შეისწავლის რა მეჭურჭლეთუხუცესის სახელოს, ჩერდება ყუთლუ-არსლანის წარმომავლობის საკითხზე, მიმოიხილავს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ საკმაოდ მდიდარ ლიტერატურას და სათანადო საბუთების შეჯერებით განამტკიცებს ტრადიციულ მოსაზრებას (ივ. ჯავახიშვილი, ნ. მარი, ს. ჯანაშია, აბ. კიკვიძე, ს. მაკალათია, ი. პეტრუშევსკი, გ. მელიქიშვილი, ფ. ჰოლდაკი, შ. მესხია და სხვ.) ყუთლუ-არსლანის უცვაროთა, „სიმდიდრით აღზევებულთა" წრიდან გამოსულობის შესახებ და დამაჯერებელი მტკიცებითვე უარყოფს საწინააღმდეგო მოსაზრების (ყუთლუ-არსლანის დიდგვარიანთა წრიდან წარმომავლობის) დაუსაბუთებლობას. მეცნიერმა მკაცრად გააკრიტიკა მოსაზრება ყუთლუ-არსლანის ყივჩაყად და ყივჩაყთა სამხედრო ზედაფენის წარმომადგენლად მიჩნევის შესახებ და თვალნათლივ აჩვენა მისი უსაფუძვლობა.

შოთა მესხიამ საგანგებოდ გამოიკვლია უმაღლესი სამოხელეო

წყობის მდგომარეობა-ვითარება XII საუკუნის ბოლო მეოთხედში და დასაბუთებულად უარყო ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმული თვალსაზრისი თითქოს ამ დროს ადგილი ჰქონდა რაღაც ტენილს სამოხელეო წყობაში, დიდგვაროვანთა რესტავრაციას, დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის პოლიტიკის მარცხს, მეფის მიერ უკვაროთა დაწინაურებაზე ხელის აღებას.

საერთოდ თამარის მეფობის დროს ვაზირის, მანდატურთუხუცესის, მეჭურჭლეთუხუცესის, მსახურთუხუცესის და სხვა თანამდებობის მქონე პირთა ვინაობის მეტ-ნაკლები სისრულით შესწავლამ, მეცნიერს გააკეთებინა არსებითი ხასიათის დასკვნები: გიორგი III-ის საშინაო პოლიტიკური გეზის შესაცვლელად თამარის მეფობის პირველ წელსავე დიდგვარიანთა გამოსვლის და ამის შედეგად შექმნილი მძიმე პოლიტიკური კრიზისის მიუხედავად, თამარის სამეფო ხელისუფლების ძირითადი მიმართულება არსებითად არ შეცვლილა; დიდგვარიანთა მოთხოვნით გადაყენებულ „უგვაროთა და უხმართა“ (ყუბასარი, აფრიდონი) ადგილები ძირითადად ისევ გიორგი III-ის „გაზრდილებმა“, მის მიერ და მის დროს დაწინაურებულმა პირებმა და აღზევებულ საგვარეულოთა წარმომადგენლებმა დაიკავეს; თამარის მეფობის დროს არ მომხდარა გიორგი III-ის მიერ დამხობილ საგვარეულოთა თუ „ორბელთა აჯანყებამდე არსებული მდგომარეობის რესტავრაცია; თამარის თვითმპყრობელური ხელისუფლების სიძლიერისა და ოპოზიციურ ძალებზე გამარჯვების ძირითადი მოწმობა იყო, მისი გამეფების პირველ წელსავე, გიორგი III-ის „გაზრდილისა“ და უერთგულესი ვაზირის, ანტონის აღდგენა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის თანამდებობაზე; თამარის მეფობის ბოლო წლებამდე არ შეცვლილა სამეფო კარის მოხელეობის ძირითადი პრინციპები — „დარბაზის რიგის“ მოხელეებს საათავეში სამეფოს ვაზირი ედგა; ყოველივეს კი

იქაზე მიგვითითებს, რომ თამარს თავისი სამეფო ხელისუფლება არც დიდგვარიანებისათვის გაუნაწილებია და არც „დიდებულთა თანადგომითა და ერთნებობით“ შეუზღუდავს.

XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის კვლევის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ მსხვილ ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორიის შესწავლას, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ მაშინდელი საშინაო და საგარეო პოლიტიკური ცხოვრების ცალკეული უბანი, რომელნიც სათავეში ედგნენ ამა თუ იმ სამეფო (სახელმწიფოებრივ) უწყებას და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. საქართველოს ფეოდალური საგვარეულოების ისტორიის კვლევა დაიწყო XIX საუკუნეში ცნობილმა ქართველოლოგმა ე. ბროსემ, რომელმაც შეკრიბა და სათანადო კომენტარებით გამოაქვეყნა იმ დროისათვის არსებული ყველა მასალა მსარგრძელების, ორბელებისა და სხვა საგვარეულოთა ისტორიისათვის. XIX ს. მეორე ნახევრის ქართულმა ისტორიოგრაფიამ გამოავლინა მასალა, რომელიც ახალ შუქს ფენს საქართველოს პოლიტიკური ისტორიისა და ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორიის საკითხებს. აღსანიშნავია თ. უორდანიას, ე. თაყაიშვილისა და სხვათა ღვაწლი სხვადასხვა სახის მასალების გამოვლინებისა და კომენტირების თვალსაზრისით. ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ფეოდალურ საგვარეულოთა შესწავლას მიუძღვნეს წერილები ს. კაკაბაძემ, პ. ინუოროყვამ, ნ. ბერძენიშვილმა, ლ. მუსხელიშვილმა, ნ. შოშიაშვილმა და სხვებმა, მაგრამ ამ მიმართულებით უკანასკნელ დრომდე ცოტაა გაკეთებული.

შ. მესხიამ სარეცენზიო ნაშრომში, ქართული და სომხური საისტორიო წყაროების, აგრეთვე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ღაწვრილებით განხილვის საფუძველზე დაადგინა მხარგრძელთა გვარის ისტორიასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი საკითხი: მხარგრძელთა წინაპრების წარმომავლობა; მხარგრძელთა წინაპრების საქართველოში გადმოსახლების დრო და მიზეზები; მხარგრძელთა კონფესიური კუთვნილება და რელიგიური პოლიტიკა; საქართველოში მხარგრძელთა დაწინაურების პირობები, მხარგრძელთა გენეალოგია.

მხარგრძელებს XII ს. მეორე ნახევარსა და XIII ს. პირველი ნახევრის საქართველოში ამირსპასალარის სასელო ეკავათ. მათ დიდი

როლი შეასრულეს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათ შესახებ ცნობები უხვად მოიპოვება ფეოდალური ხანის ქართულ და სომხურ ისტორიოგრაფიაში.

მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლების დროის დასადგენად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მათი ვინაობისა და მხარგრძელთა თანდათან დაწინაურების პირობების შესწავლას. ამ საკითხზე, ისე როგორც ზოგ საკითხზე, არ არსებობს თანხმობა არც ძველ სომხურ წყაროებსა და თვით ისტორიკოს მკვლევართა შორისაც, მაგრამ მასალების ანალიზი მაინც იძლევა საშუალებას მეტ-ნაკლები სიზუსტით განისაზღვროს მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლების დრო. შ. მესხია ასაბუთებს რომ მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლება ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს ტერიტორიაზე შეიძლება მე-11 ს. 50-60-იანი წლებით დათარიღდეს. მათი საცხოვრებელი ადგილი იყო ხოჟორნი, სადაც ციხე აუგიათ. ხოჟორნის ციხე არ წარმოადგენდა დიდ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრს (ეს როლი წოფს ჰქონდა) და სავსებით შეესაბამებოდა მის იმდროინდელ მოკრძალებულ ადგილს ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

შ. მესხია ფართოდ განიხილავს XII-XIII სს. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილე მხარგრძელთა სხვა (მეორე) შტოს წარმომადგენლებს, რომელნიც სამოღვაწეო ასპარეზზე ჩნდებიან გიორგი III-ის მეფობის ბოლო და თამარის მეფობის პირველ წლებში (მათი დაწინაურება, სამეფო კარზე შედარებით გვიან, XII ს. 90-იანი წლებიდან იწყება), დაასაბუთა, რომ ისინი ქართულ-სომხური წყაროების მიხედვით, როგორც რელიგიური, ისე ენობრივ-კულტურული თვალსაზრისით თავიდანვე ქართველები იყვნენ. მეცნიერმა მიმოიხილა „მხარგრძელის“ მნიშვნელობის საკითხი, გაარკვია საგვარეულო სახელია იგი თუ ზედწოდება. თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ „მხარგრძელი“ მხოლოდ თამარის ამირსპასალარის სარგისის პირადი ზედწოდება იყო. შ. მესხია სრულიად დამაჯერებლად, მრავალი წყაროს მოშველიებით, სრულიად ნათელს ხდის, რომ „მხარგრძელი“ გვარსახელია და ამ საგვარეულოსათვის „ზაქარიანების“ წოდება (როგორც ამას ზოგი ისტორიკოსი აკეთებს) უსაფუძვლოა.

ზაქარიანთა საგვარეულოს არსებობა სომხური და ქართული წყაროებით არ დასტურდება.

გვარსახელი ჩვეულებრივ არ ითარგმნება და ამიტომაც არ თარგმნეს „მხარგრძელი“ ფრანგულად მ. ბროსემ, რუსულად ნ. მარმა, ინგლისურად უ. ალენმა და ვ. მინორსკიმ, გერმანულად ფ. იუსტმა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა აქ დასახელებულ ენაზე მოიპოვება „მხარგრძელის“ შესატყვისი. ამიტომაც სავსებით სამართლიანად, შ. მესხიას სრულ გაუგებრობად მიაჩნია ზოგი მკვლევარის მიერ „მხარგრძელის“ თარგმნა „ერკაინაბაზუკად“ და „დოლგორუკად“. როგორც თავის დროზე ს. ჯანაშიამ სავსებით მართებულად შენიშნა, „ეს წმინდა ქართული სახელი, რუსულ ენაზე თარგმნილი, ნამდვილად „დოლგორუკს“ ნიშნავს, მაგრამ არ შეიძლება მისი თარგმნა, სწორედ ისევე, როგორც არ შეიძლება ვთარგმნოთ, ვთქვათ, რუსული საგვარეულო სახელები დოლგორუკებისა და ტოლსტოებისა...“ ამიტომაც ს. ჯანაშიას ქართული მხარგრძელის შესატყვისად რუსული „დოლგორუკი“ გამოგონილ ფორმად, ხოლო „ზაქარიანი“ უბრალო კურიოზად მიაჩნდა.

შ. მესხიას დასკვნა ასეთია: „მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი“ ე რ თ ა დ ე რ თ ი გ ვ ა რ ს ა ხ ე ლ ი ა, რ ო მ ლ ი თ ა ც ა ღ ი ნ ი შ ნ ე ბ ო დ ა XII-XIII სს. მ ი ჯ ნ ი ს ც ნ ო ბ ი ლ მ ო ღ ვ ა წ ე თ ა — ზ ა ქ ა რ ი ა ს დ ა ი ვ ა ნ ე ს ა რ ა მ ა რ ტ ო მ ა მ ი ს — ს ა რ გ ი ს ი ს, ა რ ა მ ე დ ა გ რ ე თ ვ ე პ ა პ ი ს—ზ ა ქ ა რ ი ა ს ა დ ა მ ა თ შ თ ა მ ო მ ა ვ ა ლ თ ა ო რ ი ვ ე შ ტ ო ს ა გ ვ ა რ ე უ ლ ო. გ ვ ა რ ს ა ხ ე ლ ი ს ა ს ე თ ი წ მ ი ნ დ ა ქ ა რ თ უ ლ ი ფ ო რ მ ა — მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ მ ი უ თ ი თ ე ბ ს ქ უ რ თ უ ლ ი წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს ა მ ს ა გ ვ ა რ ე უ ლ ო ს ა დ რ ე ვ ე გ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ა ზ ე, ქ ა რ თ უ ლ ფ ე ო დ ა ლ ურ ს ა გ ვ ა რ ე უ ლ ო დ გ ა დ ა ქ ც ე ვ ა ზ ე.

შ. მესხია დეტალურად გადმოსცემს მხარგრძელთა აღზევების ფაქტს ფეოდალურ საქართველოში, სათანადო ახსნას აძლევს მას. მხარგრძელთა მოხელეობამ საქართველოს სამეფო კარზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი თამარის მეფობის ხანაში შეასრულა. ამ მხრივ უნდა გამოიყოს სარგისისა და მისი უფროსი ძის ზაქარიას თავდადებული მოღვაწეობა საქართველოს სამეფო ხელისუფლების შემდგომი გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის. თამარის მეფობის უკანასკნელი წლიდან შექმნილმა ვითარებამ საფუძველი დაუდო

ცვლილებებს სამოხელეო წყობილებაში საერთოდ და მხარგრძელთა შესახებ განდიდებას კერძოდ, მაგრამ, მეორე მხრივ, სამეფო ხელისუფლების დასუსტებამ თავისთავად განაპირობა ცენტრალური ხელისუფლების აპარატის მოხელეთა მნიშვნელობის შემცირება და ზოგი სამოხელეო ინსტიტუტის გადაგვარება. ასე მოუვიდათ მხარგრძელებსაც, როცა XIII ს. 80-იანი წლებიდან მათი მოხელეობა საქართველოს სამეფო კარზე არსებითად მხოლოდ ამ საგვარეულოს სამკაულად იქცა.

შოთა მესხიას მონოგრაფიას „საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში“ პრობლემის აქტუალობით, კვლევის სიღრმით, და ამ კვლევის შედეგების სიახლით, XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ბევრი საკვანძო საკითხის ახლებურად გადაწყვეტით დიდი წვლილი შეაქვს ფეოდალური საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში და ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად გვევლინება.



„კიდევაც დაიზრდებიან...“

ეს წერილი არ არის რეცენზია ჩვეულებრივ წიგნზე, რადგან ამ ტიპის მასალას თავისი განსაკუთრებული ფორმის მიცემა სჭირდება და პრეტენზიაც დიდი აქვს. ჩვენ მხოლოდ უბრალო მადლობა გვინდა ვთქვათ მეტად საჭირო და საინტერესო წიგნის გამოცემისათვის.

არიან ადამიანები, რომელთაც დავაჟკაცების უმალ დაებედებათ (ეს ამ ადამიანთა მაღალი თვისებებითაა განპირობებული) მშრომელი ხალხის უანგარო სამსახური, ზრუნვა მისი კეთილი მერმისისათვის, იმთავითვე ჩადგებიან ხოლმე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, შეიყვარებენ მეცნიერების ამა თუ იმ დარგს და შემდეგ მის სიყვარულში იფერფლებიან, განუსაზღვრელად უყვართ თავიანთი სამშობლო და ამ დიდ გრძნობას თანამოძმეებს უნაწილებენ და თან დიდ სითბოს ატანენ; სითბოს, რომელიც თაობებს საზრდოდ ეყოფა.

„ჩვენი სამშობლო“ — ასე უწოდა ნიკო კეცხოველმა ციკლს, რომლის ერთ-ერთი წიგნი „კიდევაც დაიზრდებიან“ სულ ახლახან გამოსცა „ნაკადულმა“. რა ტიპისაა ეს წიგნი? და საერთოდ რა მიზანი აქვს ამ სერიის წიგნებს (რამდენიმე წიგნი ავტორმა ადრე დასტამბა)? ზოგადი პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: „კიდევაც დაიზრდებიან“ მოწოდებულია გააცნოს ფართო მკითხველ საზოგადოებას საქართველოს უმშვენიერესი კუთხეები: ქვემო ქართლი, სომხითი, თრიალეთი და ჯავახეთი თავისი წარსულით, მდიდარი ისტორიული ძეგლებით, ლამაზი ბუნებით. სიტყვა „გააცნოს“ ალბათ არ გამოხატავს მთელი სისრულით იმ შინაარსს რა ზემოქმედებასაც წიგნი ახდენს მკითხველზე. აქ უფრო უპრიანი იქნებოდა გვეთქვა „შეაყვაროს“. დიახ, თითოეული დეტალი ისეთი გულისმიერი სიღრმითაა აღწერილი, რომ არც კი შეიძლება დაგეუფლოს სხვა გრძნობა, გარდა სიყ-

ვარულისა, დიდი სიყვარულისა საკუთარი მიწა-წყლისადმი, მისი მდიდარი წარსულისა თუ ნათელი მომავლისადმი.

გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და მწერალს ნიკო კეცხოველს თვითონ არაერთგზის დაუვლია ფეხით საქართველოს ყოველი კუთხე-კუნჭული, შეუსწავლია ბუნება, დამტკბარა მატერიალური კულტურის ძეგლების ცქერით, გასცნობია ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა მხარის მცხოვრებთა ადათ-წესებსა და ზნე-ჩვეულებებს, მდიდარ ფოლკლორს და აბა რა გასაკვირია, რომ მისი ყოველი სტრიქონი მწერლობის მადლთან შესისხლხორცებულ ხალხურ სიბრძნეს გადმოგვცემს. რამდენ საინტერესოს ნახავს მკითხველი წიგნში, რამდენ ახალს გაიგებს. ხალხური ანდაზებია ეს თუ სხვადასხვა ძცენარეთა სახელები, ძველი ლეგენდა-თქმულებები თუ სხვადასხვა მხარეთა აღწერანი, ხალხის ჩვეულებები, თუ დღევანდელი ბეჯითი შრომა. შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ წიგნი მრავალკუთხოვანია, ბევრისმომცველია, არ შეიძლება მათი კითხვისას არ მოგაგონდეთ იოანე ბატონიშვილის „ქალმასობა"; ეს დიდებული წიგნი, რომელიც თავისი შინაარსით ენციკლოპედიურადაა შედგენილი. ამ ორ წიგნს შორის ფორმის მხრივაც იგრძნობა გარკვეული ნათესაობა. დადიან ნიკო კეცხოველის გმირები საქართველოს სხვადასხვა მხარეში და ხატოვნად გვიზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს. სწორედ ნანახი და განცდილი წარმოათქმევინებს მათ ხმამაღლა საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე ხალხური ლექსის სიტყვებს: „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი"-ო.

მშობლიური მიწის, მშობელი ხალხის დიდი სიყვარულია წიგნის მთავარი ძარღვი.

ისმება კითხვა: რა ძალა იყო ის ძალა, რომელიც უკანასკნელ არაგველს უკან არ ახევინებდა, ან რა ძალა იყო ის, რაც კამეჩის მეხრეს აიძულებდა, დიდად არაფრად ჩაეგდო ორასზე მეტი მტრის მოკვლა („ორასზე მეტი მოეკლა, უვაჟკაცობას სჩიოდა...").

პასუხი ასეთია:

— რა და — თავმდაბლობა, სამშობლოს სიყვარული; ის თავის შრომას არავის აყვედრიდა, თავს ვალდებულად თვლიდა ქვეყნისათვის სარგებლობა მოეტანა.

სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცი — კაი ყმა ყოველთვის იდეალი იყო ხალხისა:

„სოფელს სტირიან ქალები,
სოფელს კაი ყმა კვდებაო,
ღმებთო, ნუ მოჰკლავ კაი ყმას ...
სოფელი წაგვისდებაო“.

ავტორი წარსულის მონათხრობით არ კმაყოფილდება და თანამედროვე ახალგაზდებს მოუწოდებს სიკეთისაკენ „თანამედროვე კაი ყმა უნდა იყოს მშრომელი, ალალმართალი, პირდაპირი (ვაჟკაცი წყნარი სჯობიან, რომ გაჭირდება — მჭეხარი“), არ უნდა შეუშინდეს სოფლის ავყიობას... ბევრი გვყავს კაი ყმა, მაგრამ გული კაცისა მაინც ხარბია კაიკაცობაშიც, და ამიტომ მინდა, რომ ჩვენს ქვეყანას ასეთნი უფრო ბევრი ჰყავდეს“.

ქვემო ქართლისა და ჯავახეთის ყველა სოფელია აღწერილი წიგნში. აღწერილია ბუნება... დასმულია ბევრი საჭირბოროტო საკითხი. ავტორი აღწერს ჯავახეთის დიდ ზეგანს, თრიალეთისა და ზურტაკეტის ზეგნებს. სამივე ეს ზეგანი ვულკანური წარმოშობისაა. სამხრეთ საქართველოს ვულკანებიდან. (აბული, თავკვეთილი, შავნაბადა, გოდორები, შამბიანი, ემლიკლი და სხვ.) წამოსულ გაშლილ ლავაზე თანდათან წარმოშობილა ნიადაგი და შემდეგ ტყეც. ამ ზეგანთა დიდი ნაწილი ისტორიულ წარსულში ტყით იყო დაფარული.

ისმება კითხვა:

— რამ მოსპო ტყე?

პასუხი ასეთია:

— გაუფრთხილებლობამ, უდიერმა მოპყრობამ, გადაჭარბებულმა ძოვებამ, მრავალ მტერთა შემოსევამ.

წიგნის ერთი გმირის თქმით იქვე ამოზრდილი ბალახეული: ტილჭირი, ლაშქარა, მთის სოსანი, მზიურა, დიყი, ძირხვენა ამ მხარეს ვერ აძლევენ იერს და ვერც „რქიანი ირემი დაიმალება“.

წიგნის ყოველი გვერდი მსუყე ინფორმაციას შეიცავს ამა თუ იმ მოვლენაზე. აი ერთი ადგილი:

„ოციოდე წუთში დაადგნენ საფიქლის ხევს, თხელი მუხიანით იყო დაფარული.

— ბიჭოს! მუხა! რომელია?

— აღმოსავლეთისა. აქ ათას ხუთასი მეტრია ზღვის დონიდან. „ხევთა არყნარიო“, — ვახუშტი რომ წერს, იმის ნაშთია; არყი ვერ გადარჩენილა, მაგრამ მუხა კი კარგადაა; ეს მუხა სიმშრალეს კარ-

გად უძლებს...“ რამდენი ცნობაა ამ ორიოდე წინადადებაში, ასე მიმზიდველად და დასამახსოვრებლად მოწოდებული.

აი მეორე მაგალითიც:

„ — დღეს სალაპარაკო ენაშიც და, სამწუხაროდ, ლიტერატურაშიც „წალკად“ გულისხმობენ მთელ ზეგანს... წალკა ერთი სოფელი ყოფილა. აკი ვახუშტიც წერს... „მდინარე მოერთვის ჩრდილოდამ, საბატეს, ქციას. მას ზეით ქციის კიდეზე არს ეკლესია გუნბათიანი წალკას“ და „წალკას ზის ეპისკოპოზი თრიალეთისაო“. მაშასადამე, წალკა სოფელი ჩანს, თვითონ ზეგანი თრიალეთია, ჩრდილოეთით გასდევს თრიალეთის ქედი, დასავლეთით კი კეჩუთის ქედი“.

წიგნი მკითხველს აცნობს, რომ წალკის რაიონის სოფლებში უმეტესობა არიან ბერძნები, რომლებიც ერეკლე მეორემ მადნების დასამუშავებლად ჩამოიყვანა და დაასახლა ფინეზაურის ხეობაში.

დიდი სიყვარულითა და ღრმა ცოდნითაა აღწერილი სხვადასხვა სოფლები. აი თუნდაც ერთი მათგანი—აიაზმა. იგი მთის ფერდზეა. საყდრის ბალავრის ძირიდან გადმოსჩქეფს ანკარა, ფრიად გემრიელი წყარო და, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი ამბობს, ამ წყარომ მისცა სოფელს სახელი აიაზმა (ბერძნულია, ქართულად წმინდა წყალი). ტაძრის წარწერებში ხშირად იხსენიებიან ბაღვაშთა საგვარეულოს წარმომადგენელი კლდეკარის ერისთავები: ლიპარიტ I, ლიპარიტ II, რატი, იოანე. აქ ავტორი სარგებლობს შემთხვევით და ბაღვაშებს აცნობს მკითხველს. ბაღვაშები ძველი ქართველი ფეოდალები არიან. მათი მამულობითი სამფლობელო ზემო იმერეთში იყო—არგვეთა. IX საუკუნის 70-იან წლებში ლიპარიტ I ბაღვაში ეყმო დავით I კუროპალატს. მისგან მიიღო თრიალეთის მიწა-წყალი, სადაც კლდეკარის საერისთავო შეიქმნა. ამ საგვარეულოს ისტორია შფოთიანია, ყოველთვის სამეფო ხელისუფლებას ეწინააღმდეგებოდნენ და დიდ ზიანსაც აყენებდნენ. თვითონ კი საკუთარი უფლებების გაზრდასა და მამულების გაფართოებაზე ფიქრობდნენ. წარუმატებლად ებრძოდნენ მათ ქართველი მეფეები ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი II... მხოლოდ დავით აღმაშენებელმა შესძლო ბაღვაშთა ალაგმვა, როცა საერთოდ გააუქმა კლდეკარის საერისთავო და მისი მიწები სამეფოს შეუერთა. ბაღვაშთა მიწების ერთი ნაწილი (არგვეთა) გელათს შესწირა და ამით „უზრუნველი ტრაპეზი“ გაუჩინა მას.

ნიკო კეცხოველი ჩვენს თვალწინ ორიოდე გაელვებით აცოცხლებს დავით აღმაშენებელს. ესება მის უბრალოებით აღვსილ საფ-

ლავს და ანა კალანდაძის ლექსიდან რამოდენიმე სტრიქონიც მოაქვს:

„ფესი დამადგით,
გუღზე დამადგით ფეხი ყოველმან,
წყაღობა პყავით...
საქართველოს ყოველის მპყრობელმან
ვისურვე, დავით..."

ამას მოსდევს ავტორი შეგონება: უბრალოება, ყოველ საქმეში, ლხინშიც და ჭირშიც, ხომ უდიდესი სილამაზეა, სიწმინდე გულის და სიმაღლე სულისა.

წიგნში მოყვანილია გომარეთის ტაძრის წარწერები (ე. თაყაიშვილისეული წაკითხვით). ერთი მათგანი გვაუწყებს:

„სახელითა ღმრთისაითა მას ჟამსა ოდეს ძრიელმან და უძლეველმან გიორგი აფსაზთა მეფემან შეიპყრა ზვიად მარუშიანი, მაშინ ესე ბალავარი დვა სელითა ცოდვილითა მიქელ სუცეს-გალატოზისათა". მეორე წარწერა კი ასეთია: მე მზისთვალმან თანამეცხედრემ ლიპარიტისამ ავაგე ტაძარი ესე საოხრად სულისა ჩემისა". ავტორი თავისი გმირებით დიალოგში გადმოსცემს მეფესა და დიდგვაროვნებს შორის არსებული შინაკლასობრივი ბრძოლებისადმი დამოკიდებულებას:

„ — არ მიყვარს ლიპარიტები...
— არც რატი, — გაეხუმრა ლელა, — დავითს ებრძოდნენ."

პოზიცია მწერლისა სწორია, რადგან დავითი ძლიერი სახელმწიფოს შექმნისთვის იბრძოდა და მის წინააღმდეგ ფეოდალთა გამოსვლა, რასაკვირველია, რეაქციული იყო.

ღრმა ისტორიზმი ახასიათებს წიგნს ამბების გადმოცემის მთელ სიგრძეზე. ყოველი ფაქტი ესა თუ ის მოვლენა მწერლის მიერ სხვადასხვა წყაროებითაა შეჯერებული და ისეა მკითხველამდე მოტანილი.


ნიკო კეცხოველმა წიგნს შემთხვევით არ უწოდა „კიდევაც დაიზრდებიან". ეს მომავლის დიდი პათოსითაა დაწერილი. არა ერთგან მიანიშნებს მწერალი ადამიანის მოვალეობაზე თანამედროვე ეტაპზე. დღეს ცხოვრება ფრიად მრავალფეროვანია, ყველაფერს ვერ მოასწრებს კაცი, მაგრამ მწერლის აზრით ერთი ადამიანური თვისება

მაინც ყველასათვის სავალდებულოა. ესაა ადამიანის გულის სიკეთე, გულისსმიერება. თუ კაცს უჭირს, მყისვე მის გვერდით უნდა გაჩნდე, მხარში ამოუდგე, თუ საქმით არა, ტკბილი სიტყვით გული უნდა გაუმხნევო. ღობე ქაცვითა, კაცი კაცითაო — ეს არც დღეს უნდა დავივიწყოთ. არც ერთი კარგი საქმე უბრალოდ და ადვილად არ მოდის, ყოველ პროფესიას სჭირდება შრომა, არა მარტო დიდი შრომა, არამედ გონიერი, ყოველმხრივ გეგმაშეწონილი, გაანგარიშებული.

ხალხის გარეშე სამშობლო არ არსებობს.

სამშობლო დამშვენებული უნდა იყოს, პირველ რიგში, ხალხით...

დახურავ ნიკო კეცხოველის ამ მშვენიერ წიგნს და უნებლიედ აკეთებ დასკვნას, რომ დღეს თაობებს დიდი საქმეები უძევთ წინ, წინაპართა ესტაფეტა ღირსეულებმა უნდა აიღონ და ღირსეულად გადასცენ შთამომავლობას. შთამომავლობა კი... იმაზე თუ როგორი იქნება შთამომავლობა ბევრია დღევანდელზე დამოკიდებული... და ბუნებრივად ვიმეორებთ წიგნის სათაურს „კიდევაც დაიზრდებიან“.



„ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლის ნუსხის ე. თაყაიშვილისეული მარგინალიები

ექვთიმე თაყაიშვილის მრავალმხრივი მამულიშვილური ღვაწლი დღესდღეობით საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია. ამ დიდი მამულიშვილის მეცნიერულ მოღვაწეობაში გარკვეული ადგილი უჭირავს წყაროთმცოდნეობის პრობლემებს. ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდაა შესწავლილი და მასზედ არ შევჩერდებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ ექვთიმე თაყაიშვილის წყაროთმცოდნეობითი მოღვაწეობის მეცნიერულ თვალსაწიერში მოექცა მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“. თავის მხრივ „ქართლის ცხოვრებას“ მეტად საინტერესო თავგადასავალი აქვს. იგი საუკუნეთა განმავლობაში სწორდებოდა, ახლდებოდა, ივსებოდა, ერთი სიტყვით, მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა. „ქართლის ცხოვრება“ სრული სახით 1849 წელს გამოსცა აკადემიკოსმა მარი ბროსემ (რუსეთის სამეცნიერო აკადემიის გამოცემა). ამასთან პირველი წიგნი (პირველი ტომი ორ წიგნად იქნა გამოცემული) ქართული ტექსტი იყო, მეორე კი ფრანგული თარგმანი. ამ უკანასკნელის დიდ მნიშვნელობაზე ლაპარაკი (შემდგომში ბროსემ კიდევ ორი ტომი გამოსცა ფრანგულად) ჩვენი ისტორიის შესწავლა-პოპულარიზაციის საქმეში, ალბათ ზედმეტია. „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომში მ. ბროსემ და დ. ჩუბინაშვილმა შეიტანეს XVIII საუკუნის ისტორიკოსთა თხზულებები (ისინი მართალია „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში არ შესულა, მაგრამ XIX საუკუნის ქართულმა ისტორიოგრაფიამ მაინც მის შემადგენელ ნაწილად მიიჩნია). ამ გამოცემათა ბიბლიოგრაფიული იშვიათობად გადაქცევის გამო ზაქარია ჭიჭინაძემ ხელახლა დაბეჭდა პირველი ტომი 1897 წელს, მეორე 1913 წელს.

მ. ბროსესეული გამოცემიდან 100 წელზე მეტი ხნის შემდეგ აკადემიურად გამოიცა ქართლის ცხოვრება“ (ტ. 1-1955 წ. ტ. II 1959 წ. ტ. IV-1973 წ.), რომლის ტექსტი დაადგინა აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. მ. ბროსეს განკარგულებაში რედაქტორთა მიერ გადამუშავებული და შევსებული მეთვრამეტე საუკუნის სამი ხელნაწერი იყო. შემდგომ პერიოდში მეთვრამეტე საუკუნის ათიოდე ნუსხა გახდა ცნობილი და, რაც მთავარია, აღმოჩნდა მეთხუთმეტე, — მეჩვიდმეტე საუკუნეთა ტექსტის შემცველი ოთახი ხელნაწერი.

„ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერთა შორის ერთ-ერთი უძვირფასესია მარიამ დედოფლისეული ნუსხა (მეჩვიდმეტე საუკუნის ხელნაწერი), რომელიც 1884 წელს აღმოაჩინა დიმიტრი ბაქრაძემ, ხოლო 1906 წელს გამოიცა ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით. მარიამისეული, ნუსხა არსებითად განსხვავდება მ. ბროსესეული „ქართლის ცხოვრებისაგან“. მეთვრამეტე საუკუნის ნუსხებისაგან (თეიმურაზისეული, რუმიანცევისეული და ე. წ. ბროსესეული ეს ფაქტობრივად ფალავანდიშვილისეული ნუსხის პირია) განსხვავებით „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეული ნუსხა შეიცავს:

სუმბატ დავითის ძის თხზულებას („ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“). იგი არც ერთ მანამდე ცნობილ ხელნაწერში არ მოიპოვება.

თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებას „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. მ. ბროსესეული გამოცემაში თამარ მეფის ისტორია განსხვავებულადაა წარმოდგენილი, რაც მკვლევართა აზრით, ვახტანგის სწავლულ კაცთა ნახელავი უნდა იყოს.

ნიშანდობლივია, რომ მარიამ დედოფლისეული ნუსხა შეიცავდა ისტორიას მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნემდე, რაც მიანიშნებს, რომ 1633-1646 წლებში, როდესაც ეს ნუსხაა გადაწერილი „ქართლის ცხოვრებაში“ მეთოთხმეტე საუკუნის შემდეგდროინდელი ისტორია არ მოიპოვებოდა (ს. ყაუხჩიშვილი).

ერთი სიტყვით, 1906 წელს ექვთიმე თაყაიშვილის წყალობით „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეული ნუსხა ფართო საზოგადოებისათვის გახდა ხელმისაწვდომი. წიგნი მეცნიერის მიერ სათანადოდაა კომენტირებული და ძვირფასი მასალაა როგორც ისტორიკოსების, ისე საკითხით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

ამ წიგნის გამოცემიდან თითქმის ოთხმოცი წლის შემდეგ ჩვენს

ხელთ აღმოჩნდა ეგზემპლარი, რომელშიც, როგორც ჩანს, წლების მანძილზე გარკვეული კომენტარი (ჩასწორება, დამატება, ზოგიერთ საკითხზე საგანგებოდ ყურადღების გამახვილება და სხვ.) თვით დიდ მეცნიერს ექვთიმე თაყაიშვილს უკეთებია. ეს მეტად საინტერესო და განსაკუთრებულად ფასეული წიგნი ჩვენ გადმოგვცა გამოჩენილმა ქართველმა ენათმეცნიერმა პროფესორმა ალექსანდრე ღლონტმა. თან სათანადო ბარათით გვაცნობა: „ეს უნიკალური წიგნი („ქართლის ცხოვრების" მარიამ დედოფლის ვარიანტის ე. თაყაიშვილისეული გამოცემა) ნახევარი საუკუნის წინათ მაქვს შეძენილი (მართლაც წიგნის სუბკონტრტიტულზე ძველი წარწერაა „ალ. ღლონტი, 16. XI. 36 წ. ტფილისი, შევიძინე სალდათის ბაზარზე — რ. მ.) საჭიროების შემთხვევაში ვიყენებდი (ახლაც ვიყენებ!). გვიან მივაქციე ყურადღება, რომ წიგნის გვერდებზე ფანქრით გაკეთებული იყო მარგინალიები. თავდაპირველად არ დავინტერესებულვარ მარგინალიების ავტორის ვინაობის გაგებით. მე მხოლოდ ტექსტის ენობრივი მხარე მაინტერესებდა, როცა რამდენიმე მინაწერი ახლოს გავიცანი, თვალში მომხვდა ექვთიმე თაყაიშვილის ხელი.. გადავწყვიტე ტექსტი ვარლამ დონდუასათვის მეჩვენებინა... გაიხარა, დიდხანს ფურცლა. დავუტოვე. ერთი კვირის შემდეგ მითხრა ძვირფასი მინაწერია, ამაზე სტატიას მოვამზადებ, ექვთიმეს რუდუნება არ დავუკარგოთო..." ვარლამი მაშინ სხვა უფრო სასწრაფო საქმეებით ყოფილა დაკავებული და ჩაჯდომა ვერ მოუხერხებია. შემდეგ ავად გახდა და გარდაიცვალა კიდეც. წიგნი კი მის ბიბლიოთეკაში დარჩენილა. როცა ბიბლიოთეკა ისტორიის ინსტიტუტს გადაეცა, აღწერისას ეს წიგნი უნახავთ და პატრონისათვის დაუბრუნებიათ.

პროფ. ალ. ღლონტი გულწრფელად წერს: „მჯერა, ამ მასალას რაღაც მნიშვნელობა ექნება. მერე-და ის ექვთიმეს ხელიდანაა გამოსული. ექვთიმე ხომ ექვთიმე იყო. არც ერთი მისი სტრიქონი არ უნდა დაიკარგოს, საყოველთაოდ უნდა გამოჩნდეს". რასაკვირველია, სწორი შენიშვნაა. ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველა დეტალი, თუ კი ეს შესაძლებელია, სათანადო შესწავლის შემდეგ, უნდა გამომზეურდეს.

წინამდებარე წიგნის მრავალი გვერდი (იგი საერთოდ 994 გვერდს შეიცავს) (ექვთიმე თაყაიშვილის კომენტარებითაა დაფარული. მხედველობაში გვაქვს არა თავდაპირველი წიგნისმიერი ბეჭდური კომენტარები, არამედ შემდეგ დროთა განმავლობაში ძირითა-

დად ფანქრით გაკეთებული მინაწერები. ეს მინაწერები სხვადასხვა ხასიათისაა. მათი დიდი ნაწილი კორექტურულ შეცდომებს აფიქსირებს და ასწორებს, ზოგი კი ტექსტს, ზოგიც მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ვარიანტებთან შეჯერების შედეგად მიღებულ დასკვნებს გვაცნობს. არის მინაწერები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს ტექსტში მოცემულ ცალკეული ტერმინებისა თუ მოთხრობილი მოვლენების მნიშვნელობაზე. ყველა მათგანის მოტანა ან განხილვა, ვფიქრობ, არ არის აუცილებელი. მით უმეტეს, რომ ბევრი მინიშნება, რასაკვირველია სრულიად დამოუკიდებლად, უკვე გათვალისწინებულია ს. ყაუხჩიშვილისეულ გამოცემაში.

ამ წერილის მიზანია მხოლოდ ზოგიერთ შენიშვნაზე გაამახვილოს ყურადღება. ფრიად ყურადსაღები დაკვირვებაა წიგნის მე-6 გვერდზე: აქ ფანქრითაა გახაზული ტექსტში „ტფილისითგან“ და არეზე არის წარწერა „მოხსენიება თბილისისა ასე ადრე“. ესაა ლეონტი მროველის თხზულების („ცხოვრება ქართველთა მეფეთა“) ის ნაწილი სადაც ქართლის ამბებია მოთხრობილი... „ამბავი ქართლისა და ნათესავის მათისა ვიდრე დღეთა ჩუენთამდე... „ამ თავში ტფილისი ნასხენებია შემდეგ კონტექსტში: „სოლო მცხეთოს, რომელი: უგმირე: იყო: ძმათა: ესე: დარჩა: საყოფელთა: მამისა მათისათა: ქართლოსისათა: რომელსა: აწ ჰქვიან: არმაზი: და: მანვე: აღაშენა: ქალაქი: შესაკრებელსა: შორის: მტკურისა: და: არაგვისათა: და: უწოდა: სახელი: თვსი: მცხეთა: და: დაიპყრა: ქუეყანა: ტფილისითგან: და: არაგვითგან: და: სავლით: ვიდრე: ზღუამდე: სპერისა“.[1]

ტფილისი სხვა კონტექსტშიაც მოიხსენიება: „...და: ეპყრა: ქუეყანა: არაგვითგან: და: ტფილისითგან: ვიდრე: ტასის: კარამდე:“[2] ან „... განვიდა: (ფარნავაზ — რ. მ. და: ნადირობდა: მარტო და: დევნა: უყო: ირემთა: ველსა: დიღომისასა: და ივლტოდეს: ირემნი, ღრღალთა: შინა: ტფილისისათა“:[3] ან „ერთი: გაგზავნა: ხუნანისა:

[1] შდრ. ქართლის ცხოვრება, I, თბ. 1955, გვ. 9: „ხოლო მცხეთოს, რომელი უგმირე იყო ძმათა მისთა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა, რომელსა აწ ჰქვიან არმაზი. და მანვე აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკურისა და არაგვსასა, და უწოდა სახელი თვსი მცხეთა . და დაიპყრა ქუეყანა ტფილისითგან და არაგვთაგან დასავლით, ვიდრე ზღუადმდე სპერისა“.

[2] შდრ. ქართლის ცხოვრება, I. გვ. 10.

[3] შდრ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 21: „განვიდა ფარნავაზ და ნადირობდა მარტო, და დევნა უყო ირემთა ველთა დიღომისასა, და ივლტოდეს ირემნი ღირღალთა (ნაპრალი — რ. მ.) შინა ტფილისისათა“.

ევად: და მისცა: ბურდუჯის: მდინარითგან: ვიდრე ტფილისამდე"...[1] და ა. შ.

როგორც ვხედავთ, „თბილისი" მოხსენიებულია ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ტრადიცია და შესაბამისად ჩვენი ისტორიოგრაფიაც თბილისის გადედაქალაქებასა და თვით სახელწოდებასაც ვახტანგ გორგასალს უკავშირებს. ამას მიუთითებს თბილისის დაარსების შესახებ ცნობილი ლეგენდაც (აქ არსებული თბილი წყლების გამო), სადაც სახელის დარქმევის ამბავიცაა მოთხრობილი, საქართველოს დედაქალაქის სახელწოდების წარმოშობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ერთ დროს ფიქრობდნენ, რომ ტოპონიმი თბილისი წარმოდგა ადამიანის საკუთარი სახელისაგან „თობელ" (თუბალ, თობალ — ასე ერქვა „ბიბლიის" გენეალოგიის თანახმად ნოეს უმცროსი ვაჟის იაფეტის შვილს). ეს აზრი გატარებულია ქართველი კათოლიკების მიერ შედგენილ „საყოველთაო ისტორიაში", რომლის მიხედვით „ქართველები იაფეტის მეხუთე შვილის თობალისაგან მომდინარეობდნენ. სადაც თობალი დადგა ეწოდა თობალისი, ან თბილისი". ამგვარ ახსნას მხარს უჭერდა პროფ. ლ. მელიქსეთბეგი. პროფესორებმა შ. მესხიამ და დ. გვრიტიშვილმა ეს მოსაზრება საეჭვოდ მიიჩნიეს. ეს ეჭვი საფუძვლიანი იყო. ტოპონიმი თბილისი ტფილისის სახით დამოწმებულია ევსტათი მცხეთელისა (VI ს.) და აბო თბილელის (VIII ს.) წამების წიგნებში. „ქართლის მოქცევის" წიგნში, რომლის უძველესი ტექსტი ცნობილ შატბერდის კრებულშია დაცული (გადაწერილია X ს-ში), სადაც ტფილისი დაპირისპირებულია ძველ დედაქალაქ მცხეთასთან.

მკვლევართა უმრავლესობის აზრით, სახელწოდება თბილისი იმ თბილი წყაროებიდან მომდინარეობს, რომლებიც უხვადაა ქალაქში და რომლებზედაც აბანოები იყო გამართული. ასე მიაჩნდა ჯერ კიდევ ამ საუკუნენახევრის წინათ უ. კლაპროთს. ამავე აზრს ეთანხმებოდნენ პ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, ნ. ბერძენიშვილი, ნ. გორიაევი, ი. ჯავახიშვილი, კ. ჰანი, ს. კაკაბაძე და სხვ. ა. შანიძე მტკიცედ ასაბუთებს, რომ სიტყვა ტფილ-ი, რომელიც საფუძვლად უდევს საქართველოს დედაქალაქის სახელს, ძირეული სიტყვაა, რომელსაც შესატყვისი მოეპოვება ჭანურ-მეგრულსა და სვანურში. აქედან გავრცე-

[1] შდრ. „ქართლის ცხოვრება" I, გვ. 24: „მესამე გაგზავნა სუნანისა ერისთავი და მისცა ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე..."

ლდა თბილისის სახელწოდება-მთელ დედამიწაზე (მაგ. ბერძნული ტიფილის, რუსული Тифлис, ევროპულ ენებში Tiflis).[1]

დღესდღეობით სადაო არ არის, რომ თბილისის ტერიტორია გადედაქალაქებამდე საკმაოდ დიდი ხნით ადრე იყო დასახლებული. ამის ნათელი დადასტურებაა არქეოლოგიური მასალა, რომელიც თვალსათლივ უჩვენებს, რომ აქ ჩვენს წელთაღრიცხვამდეც იყო მოსახლეობა, საკმაოდ განვითარებული ხელოსნური წარმოებითა და ვაჭრობით. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ თვით სახელიც გადედაქალაქებამდე იყო დარქმეული. ე. თაყაიშვილის მითითებაც თვით წყაროზე ხაზგასმით („მოხსენიება თბილისისა ასე ადრე") არ არის შემთხვევითი და საკითხის შესახებ არსებული მოსაზრების ვანხილვა-გადახედვას მოითხოვს. ფაქტია, რომ სახელწოდება „თბილისი" ბევრად უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე აქ დედაქალაქი დაარსდებოდა.

ჩვენთვის საინტერესო გამოცემის 50-ე გვერდზე მოთხრობილია: „... მირიან: მეფემან: უფროსადღა: ჰმატა: კეთილის ყოფა: ს ა ქ ა რ თ უ ე ლ ო ს ა: და: მოიყვანა: ცოლი: საბერძნეთითა: პონტოთ: ასული: ოლიღოტოსისი: სახელით: ნანა". აქ, როგორც ვხედავთ, საუბარია ქართლის მეფის მირიანის (IVს.) მიერ ცოლად ნანას შერთვის შესახებ. ამ სტრიქონების გასწვრივ ე. თაყაიშვილს არეზე წაუწერია — „საქართველო". მართლაც ამ ტერმინის ხმარება IV საუკუნეში რამდენადმე უჩვეულოა და მეცნიერის მიერ მასზე ყურადღების გამახვილება სრულიად კანონზომიერია. სხვა ნუსხებში იგი არ გვხვდება. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით გამოსულ „ქართლის ცხოვრებაში" ვკითხულობთ: „ხოლო მირიან მეფემან ჰმატა კეთილსა ქართველთასა, და მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, პონტოით, ასული ოლიღოტოსისა სახელით ნანა".[2] ე. ი. აქ ჩვენ „საქართველოს" სსენებას ვერ ვხვდებით. ბროსესეული ნუსხას (ეს ნუსხა გადაწერილია ფალავანდიშვილისეულიდან 1839 წელს და წარმოადგენს მ. ბროსეს სამუშაო ეგზემპლარს.),[3] თეიმურაზისეულსა-

---

[1] შდრ. ვ. ივანოვის სტატიას («След светоносных», жур. «Техника-молодежи» № 8, 1977). იხ. აგრეთვე, ნ. მეტრეველი, თბილისის ეტიმოლოგიის საკითხები, მეცნიერება და ტექნიკა, თბ. 1978, № 7.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 66.

[3] იხ. იქვე, გვ. 051—052 (ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა).

და ბარათიშვილისეულ ნუსხებში არის მოცემული ქრისტეს კვართის მცხეთაში მოტანის ვრცელი ისტორია. ეს ნაკვეთი „სწავლულ კაცებს“ მთლიანად ჩაურთავთ „ქართლის ცხოვრებაში“. სწორედ ამ ჩანართში ვკითხულობთ: „და შემდგომად ამაღლებისა უფლისა, რაჟამს წილ-იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლად წმიდასა ღმრთის მშობელსა წილად ხუდა მოქცევად ქუეყანა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა (ხაზგასმა ჩემია — რ. მ.).[1] როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ტერმინი „საქართველო“ არ გამოხატავს მის სრულ შინაარსს. .საქართველო ფეოდალური ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ წარმოიქმნა (X ს. II ნახევარი — XI ს. დასაწყისი) და მისი სრულყოფილი მნიშვნელობაც აქედან მოდის. ესაა პერიოდი, როცა ქვეყნის ყველა პოლიტიკური ერთეული (ქართლი, კახეთი, ჰერეთი, ტაო-კლარჯეთი, დასავლეთი საქართველო) ერთ მთლიან ორგანიზმად გაერთიანდა, ერთი სამეფო ხელისუფლებისა და მეფის (ბაგრატ III) მეთაურობით თვით სრულად საქართველოს მეფე გახდა „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა“. რაც შეეხება ტერმინ საქართველოს ადრე მოხსენიებას, მის ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული მნიშვნელობა აქვს, მირიანი ქართლის მეფეა. ქართლი ქართების ქვეყანაა და გასაკვირი არაფერია, რომ მას საქართველო უწოდონ. ისტორიულ საქართველოში გარკვეულ პერიოდში ქართები დომინირებენ და ამ სახელის გავრცელებაც არ არის შემთხვევითი (გავიხსენოთ, რომ IX ს. დასაწყისში აშოტ I-ის მიერ საფუძველჩაყრილი ქართული ფეოდალური სახელმწიფო, რომელიც აერთიანებდა შავშეთ-კლარჯეთს, აჭარას, ნიგალს, სამცხეს, ჯავახეთსა და არტაანს ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ს ა მ ე ფ ო ს სახელწოდებას ატარებდა).

ამგვარად, აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ არეზე წაწერილი „საქართველო“ მიგვანიშნებს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში მოცემული ეს ტერმინი თავისი კონკრეტული შინაარსისაა და განსხვავდება შემდგომდროინდელი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მნიშვნელობისაგან.

30-ე გვერდი: „... მოვიდეს: მოციქულნი: ურიათა: იელუსალემს: ურიათა: თანა: მცხეთელთა: ვითარმედ: იგი: რომლისათჳს: მოვიდეს მოგუნი: და შეწირეს: ძღვენი: აღზრდილარს: და: იტყვს: იგი თავ-

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 38.

სა: თჳსსა: ძედ: ღუთისა: აწ: წარგვივლენია: ჩუენ: ყოველთა: ურიათა: თანა: რათა: მოვიდენ: მეცნიერნი: სჯულისანი: და: განვიკითხოთ: და განვპრჭოთ: მის: ზედა: და: აწ: თქუენისა: სჯულისა: მეცნიერნი: წარმოვიდენ: და: წარვიდეს: მანდით: ელიომ: მცხეთელი: და: ლონგინოზ: კარსნელი“: ქვემოთ სქოლიოში ე. თაყაიშვილი მიანაშნებს, რომ ელიომ-ის ნაცვლად ტექსტში უნდა იყოს ელიოზი, ლონგინოზის ნაცვლად — ლონგინოზი; რომ „ქართლის ცხოვრების“ რუმიანცევისეული ნუსხაში წერია „ქალაქსა ნიკოფსისასა“) ეს შენიშვნა იმის გამოა, რომ მის მიერ გამოცემული მარიამისეული ნუსხაში წერია „ქართლისა ნიკოფისსა“). ამის შემდეგ კი ფანქრითაა მინაწერი“ 1. აქ ნახე დამატება ვახტანგისი — ქ. ც. გვ. 39 „რათა სჯული მამათა ჩვენთა. . . 41 გვერდამდის“. მართლაც ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ვრცლადაა მოთხრობილი ელიოზ მცხეთელისა და ლონგინოზ კარსელის მიერ მცხეთაში ქრისტეს კვართის მოტანის ამბავი. აქ დამატებითი შენიშვნის არსი ისაა, რომ სამომავლოდ გამოცემის დონე უფრო მაღალი ყ ო ფ ი ლ იყ ო. მასში ყველა საჭირო დეტალის გათვალისწინებისა გზით. საერთოდ, ფანქრით დამატებით მიწერილი შენიშვნები რომ დროულად გაკეთებულიყო და ასე გამოქვეყნებულიყო წიგნი, იგი უფრო სრული იქნებოდა და ბევრად მოიგებდა.

ე. თაყაიშვილი მეტად საგულისხმო შენიშვნას აკეთებს 190-ე გვერდზე. სადაც ლაპარაკია, რომ „კეისარმან: აღასრულა: თხოვა: მათი: და: მოსცა: მეფედ: დისწული: მარდატისი: ვახტანგის-ძისა: ბერძნისა: ცოლისა: რომელსა: ერქუა გუარამ: რომელი: მთავრობდა: კლარჯეთს: ამას: გუარამს: მისცა: კეისარმან: კურატ: პალატობა: და: წარგზავნა: მცხეთას“. . . აქ არეზე ფანქრითაა ე. თაყაიშვილს მინაწერი: „არ არის ბაგრატიონად ნასსენები“. ეს არსებითი ხასიათის შენიშვნაა, რადგან გურამი მართლაც ბაგრატიონია და მისი მოუხსენებლობა „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ ნუსხაში აღნიშვნას იმსახურებს. ვნახოთ იგივე მონაკვეთი ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში“: „მაშინ კეისარმა აღასრულა თხოვა მათი და მოსცა მეფედ დისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძნის ცოლისაგან, რომელსა ერქუა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს. ხოლო ესე გურამ იყო დედით ხოსროიანი და მამით ბაგრატიონი. და ესე ბაგრატოანნი შვილისშვილნი და ნათესავნი არიან ამა გუარამისნი. ამას გუარამს მოსცა კეისარმან კუ-

რაპალატობა და წარმოგზავნა მცსეთას".[1] გუარამის ბაგრატიონობის შესახებ ცნობა ჩანართია და ყველა ნუსხაში მოიპოვება, გარდა ანასეული, ჭალაშვილისეული და მაჩაბლისეული (მარიამისეულზე ზემოთ უკვე ვთქვით) ნუსხებისა: ბუნებრივია, ეს ფაქტი საჭირო იყო აღნუსხულიყო და ე. თაყაიშვილის ფანქრით მინაწერიც მას ემსახურება.

197-ე გვერდის არეზე მეცნიერს ფანქრით გამოუტანია თეიმურაზისეულ ნუსხასთან შედარებული ვარიანტები: მაგ: „არა[1]: ისმინა: კეისარმან: ვედრება[2] მისი: და: წარიხუნა[3] ხოლო: ამის: ადარნასეს: ზე: გარდაიცუალნეს[4]: სამნი: ქათალიკოზნი:[4] იოვანე:[5] ბაბილა: და: თაბორნ:[6] მოკუდა: ადარნასე:და: დადგა: ძე: მისი: სტეფანოზ:. ინდექსები ე. თაყაიშვილის ხელით ფანქრითაა დასმული და თითოეულ ამ სიტყვაზე აკეთებს განმარტებებს: 1. თეიმურაზისეული „ქართლის ცხოვრებაშია", „არათ", 2. „ვედრება „(ესეც თეიმურაზისეულ ნუსხიდან); 3. „თეიმურაზისეული უმატებს თანა(თა")ე..ი წარიხუნა თანა" და ა. შ.); 4. თეიმურაზისეული უმატებს მეთოთხმეტე კათალიკოზი, 5. თეიმურაზისეულში-იე, 6. თეიმურაზისეულში ამ ორი სიტყვის მაგიერ არის „დაბორი".

ე. თაყაიშვილი გარკვეულ კომენტარს აკეთებს გიორგი 1-ის შვილის მცირეწლოვანი ბაგრატის ბიზანტიიდან დაბრუნებასთან დაკავშირებით („ვითრ: უკუე: მოიწია: წინაშე: მამისა: თჳსისა: გ ი მეფისა: სახლად: მათდა? იხილეს მშობელთა: მისთა: შვილთა: მსგავსი: განუცდელისა: და: მიუთხრობელისა: სიკეთისა: მისსათჳს: შეუძლებელ: არს: კაცთაგან: მითხრობა: იხილეს: რა განიხარეს: სიხარულითა: მიუთხრობელითა: შეწირეს მადლობა: ღთისა: მიმართ: იყო: ქორანიკონი: მას: ჟამსა ს-მ-ე"), აღნიშნავს, რომ ამ ადგილას ბროსეულ „ქართლის ცხოვრებაში" შემოტანილია თეიმურაზისეული ნუსხიდან ცნობები მელქისედეკ კათალიკოზის საბერძნეთში, კონსტანტინე მეფესთან გამგზავრების შესახებ, სადაც, მელქისედეკი უხვად დაუსაჩუქრებიათ. მელქისედეკს შეუძენია სვეტიცხოვლისათვის სოფლები. ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ ეს ცნობები ამოღებულია მცსეთის სიგელიდან. მეცნიერი არ დაუკმაყოფილებია ამ მცირე განმარტებას და შემდეგ ფანქრით აგრძელებს: „ტექსტის სელი ამ შემატებისა სრულიად იგივეა, რაც მთელი წიგნისა და მერმე არ

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 218.

არის მიმატებული. და არც დატოვებულ ადგილზეა მერმე დაწერილი". ეს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო მინაწერი, ნათელს ჰფენს ბროსესეულ ნუსხაში (ეს ნუსხა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ 1839 წელსაა გადაწერილი. „ცხოვრება საქართველოჲსა ვახტანგის მიერ. სვიმონ ტაბიძისაგან გადაწერილი კნიაზ ფალავანდოვისა დედაენით გამო 1839") ზოგიერთი ფაქტის მოტანის გზებსა და ასაბუთებს მათი ამ ნუსხისათვის ორგანულობას.

257-ე გვერდზე № 9 შენიშვნაში (სქოლიო) ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ „აქ დაბეჭდილს „ქართლის ცხოვრებაში" შემოტანილია ვრცელი ტექსტი მელქისედეკ კათალიკოზის მიერ მოპოვებული სოფლების შესახებ სვეტიცხოვლისათვის, რომელნიც ბაგრატ მეფეს დაუმტკიცებია. ცნობები ეკუთვნის მცხეთის გუჯარს, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ". შემდეგ მეცნიერი ფანქრის მინაწერით აზუსტებს: „ეს ნაწილი გუჯარისა დაწერილია ტექსტისავე ხელით და ახალი სტრიქონითაც არ იწყება თ-ში (ე. ი. თეიმურაზისეულ ნუსხაში — რ. მ.)". როგორც ვხედავთ, ეს ზემო შენიშვნის ანალოგიურია და განმარტებაც შესაბამისია.

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ხელით მიწერილი, შენიშვნებიდან მოვიტანთ კიდევ რამოდენიმეს. მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში" იქ, სადაც ლაპარაკია დავით IV აღმაშენებლის გარდაცვალებაზე (გვ. 334): „...და მადლითა: ღ͡თივ: ქმნულთა: ზედა: მუნღა: ყუნა: მისთანა: მეუფებდა: უხრწნელითა: და ბრწყინვალითა: გვირგვინითა: და: პორფირითა: შემკული: სადა: იგი: აწ: მკუიდრ: არს: და: იქცევის: ნათელსა: შინა: ღ͡თისასა: რამეთუ: იყო: მაშინ: თუე: იანვარი — კ͡ დ: — და: დღე: შაბათი: ოდეს: ქორანიკონი: იყო: ტ͡ მ ე͡, ხოლო: წელიწადნი: მისნი: შობითგანნი მ͡: ხოლო მეფობდა: ოცდა თოთხმეტ: წელ:" ე. თაყაიშვილი სქოლიოში განმარტავს, რომ ქორარიკონი ტ͡ მ ე͡ მარიამისეულის გარდა დამოწმებულია ჯანაშვილისეულ ნუსხაში. თუ ძირითად ნუსხებში დავითის ასაკი ორმოცდა ცამეტი წლით განისაზღვრება („ხოლო წელიწადნი მისნი შობითგანი ორმოცდაცამეტნი").[1] ჯანაშვილის ვარიანტში მითითებული „სამეოც და ერთი" (ესეც ხელით აქვს მიწერილი ე. თაყაიშვილს). უფრო არსებითია მეცნიერის მიერ სქოლიოში ხელით

[1] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I. გვ. 362.

მიწერილი განმარტება დავით IV აღმაშენებლის მეფობის წლების რაოდენობასთან დაკავშირებით. ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემულ მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“. როგორც ზემოთაც მოვიტანეთ სწერია: „ხოლო მეფობდა ოცდა ოთხმეტ წელ“. მეცნიერს აქ ინდექსი გაუკეთებია და სქოლიოშიც დაუმატებია:“ ჯან. ვარ: ოცდა ათექვსმეტ წელ“. მართლაც, დავით IV აღმაშენებელი გამეფდა 1089 წელს, გარდაიცვალა 1125 წელს. ე. ი. იმეფა 1125-1089 — 36 წელი. ს. ყაუხჩიშვილისეული ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი სწორედ ამას ადასტურებს: „რამეთუ იყო მაშინ თუე იანვარი ოცდაოთხი და დღე შაბათი, ოდეს ქრონიკონი იყო სამას ორმოცდახუთი, ხოლო წელიწადნი მისნი შობითგანნი ორმოცდაცამეტნი. ხოლო მეფობდა ოცდათექუსმეტ წელ“.[1]

განსაკუთრებულად უხვადაა შენიშვნები წიგნის იმ ნაწილის მიმართ, სადაც დაბეჭდილია სუმბატ დავითის ძის თხზულება: „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“. სათაურის გასწვრივ არეზე ე. თაყაიშვილს მიუწერია „იხ. ღ. კარიჭაშვილი, ვინ უნდა იყოს „სუმბატის ქრონიკის“ ავტორი? „ძვ. საქ“. ტ. I, გვ. 36-41“. ამ ნაშრომის პირველივე გვერდიდანვე მეცნიერი არსებითი ხასიათის შენიშვნებსა და განმარტებებს აკეთებს, ამასთან ასწორებს დაშვებულ შეცდომებსაც, საქმე ისაა, რომ თხზულების სათაური მოცემულია ვთლიანად, სრულად: „ცხოვრება: და უწყება: ბაგრატონიანთა: ჩუენ: ქართველთა: მეფეთასა: თუ: სადათ: მოიწიენეს: ამას ქუეყანასა: იგინი: ანუ: რომლითა: ჟამითგან: უპყრიეს: მათ: მეფობა: ქართლისა: რომელი: აღწერა: სუმბატ: ძემან: დავითისმან:? ექვთიმე თაყაიშვილი მიმოიხილავს რა ამ სათაურს მის ცალკეულ ნაწილებზე აკეთებს შესაბამის ინდექსებს და განმარტავს. ასე მაგალითად: „ცხოვრება და უწყება“. პირველი ინდექსით სქოლიოში მითითებულია, რომ თეიმურაზის ვარიანტში არის „ცხოვრება და უწყებაჲ“. „ბაგრატონიანთა“-ს შესახებ გამომცემელი გვამცნობს, რომ „თეიმურაზის ვარიანტში:“ „ბაგრატიონთა“ წერია. საქმე ისაა, რომ შემდეგი დაკვირვების შედეგად არ აღმოჩნდა განმარტება სწორი და ე. თაყაიშვილის „სიტყვა“ „თეიმურაზის“ ფანქრით გადაუშლია და დაუტოვებია: „ვარიანტში“ — ბაგრატიონთა როგორც ჩანს, მეცნიერს აშკარა უზუსტობა

[1] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 362—363.

შეუმჩნევია თავის გამოცემულ წიგნის ამ გვერდზე № 3 ინდექსის ქვეშ განმარტებაში. აქ განმარტებულია სათაურში მოცემულნი „თუ სადათ მოიწივნეს" — „თეიმურაზის ვარიანტში: თუ სადით მიეწივნეს". ე. თაყაიშვილს ეს სტრიქონი მთლიანად გადაუშლია ფანქრით და ფანქრითვე გვერდით მიუწერია: „ესეა, როგორც მარიამისაში".

როგორც ვხედავთ, დიდი მეცნიერის შემოქმედებითი პროცესი არ სრულდება წიგნის გამოცემაზე. იგი გამოცემულზეც თავაუღებლად, ძალზედ, სკურპულოზურად მუშაობს, გამოწვლილვით კითხულობს. ადარებს და ასწორებს, ტექსტებს. ე. თაყაიშვილის მინაწერები მეცნიერის სამუშაო პროცესის ნათელი მაჩვენებელია და მიუთითებს მის მაძიებელ ბუნებაზე, მეცნიერულ კეთილსინდისიერებასა და მის მიღწეულით დაუკმაყოფილებელ ხასიათზე.

ნიშანდობლივია, რომ წიგნის 338-ე გვერდზე სქოლიოში წაშლილია ფანქრით ოთხი განმარტება და იქვე აქვს მიწერილი სწორი შეფასებები. კერძოდ ორგან შეცდომით, უზუსტოდაა მოტანილი განმარტება და მეცნიერი ასწორებს მას. აქვე მიუთითებს, რომ თეიმურაზის ვარიანტში ორი სიტყვის მაგიერ: სივნიეთს: ასპურაგანს, მერმე ჱიმატებულია: მოკუდა კათალიკოზი სვიმონ და დაჯდა კათალიკოზად სამოელ. შემდეგ მეცნიერს ფანქრით მიუწერია: ეს სიტყვები სტრიქონ ზევიდამ არის ჩამატებული. არშიაზე ამ სტრიქონს უწერია ბუცურად: კ̃ზი მეცსრე" (კათალიკოსი ჱეცხე-რ. მ.).

339-ე გვერდზე, სადაც გადმოცემულია გუარამის ქართლის ერისთავად დანიშვნა, საგანგებო ნიშანი აქვს გაკეთებული და მეცნიერი განმარტავს (ზედა არშიაზე არის მინაწერი ფანქრით): „თავიდან დაწყებული აქამდის ტექსტი თეიმურაზის ვარიანტში შეწყვეტილია. თეიმურაზი აქ უმატებს სათაურს: მეოცდაათცხრამეტე გურამ კურატპალატი ქართლისა ბაგრატიონი: ეს გუარამ იყო დედით ხოსროიანი და მამით ბაგრატოანი. და ესე ბაგრატონიანი შვილისშვილნი და ნათესავნი არიან ამა გურამ კურაპალატისანი".[1]

ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ ე. თაყაიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მარიამისეული „ქართლის ცხოვრებაში" ჯუანშერის თხზულების ტექსტში გუარამი ბაგრატიონის გვარის მოუხსენიებლად იყო დასახელებული და ამის თაობაზე არეზე გააკეთა მინაწერი. ამჯერად ასევე საგანგებოდ გაამახვილა ყურადღე-

---

1 შდრ. სუმბატ დავითის ძე, ქართლის ცხოვრება, I. გვ. 374.

ბა მეცნიერმა ამ პიროვნებისა და მისი მეფობის გადმოცემასთან. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ე. თაყაიშვილი უპირატესად თეიმურაზისეული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტთან შედარების შედეგებს მიაწერს ფანქრით სხვამხრივ, შედარება-ანალიზისა და სხვადასხვა ვარიანტებთან საფუძვლიანი შეჯერების დიდი კვალი აშკარად აჩნია გამოცემას. და სწორედ ამითაა ღირებული იგი.

ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურებაა ისიც, რომ მან ვრცლად მიმოიხილა „ქართლის ცხოვრების“ ის ნუსხები, რომლებიც „მეცნიერ კაცთა“ კომისიის მუშაობის შედეგად იქნა მიღებული, ე. წ. ვახტანგისეული ნუსხები და დაადგინა:

მოცემულ ნუსხებს ახასიათებთ: ტექსტის დაყოფა თავებად: ძველი ტექსტის დამახინჯებული ადგილების შესწორება-შევსება; დემეტრე I-ისა და დავით V დემეტრეს ძირს ისტორიის ჩართვა, ვახტანგის სახელით გადმოცემული წინასიტყვაობა; „ქართლის ცხოვრების“ შევსება XIV-XVII საუკუნეთა ისტორიით.

გამოკვლევა, რომელშიც ზემოხსენებული საკითხებია მოცემული ე. თაყაიშვილმა 1906 წ. დაწერა (описание II, გვ. 34-114). იმ დროს ვახტანგ VI-ის წინადროინდელი რედაქციის მხოლოდ ერთი ნუსხა მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“ იყო ცნობილი და ამდენად „მეცნიერ კაცთა“ მუშაობის შედეგების შეფასება ამ ნუსხასთან შედარებით ხდებოდა. ამასთან, რაც „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგის შემდეგდროინდელი ნუსხებში მოიპოვებოდა და მარიამისეულ ნუსხებში არ იყო, ის მიჩნეული იყო „მეცნიერ კაცთა“ მიერ შეტანილ დამატებად და შესწორებად.[1] როგორც ცნობილია, შემდეგ კიდევ სამი ნუსხა აღმოჩნდა, რომლებშიაც „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი ვახტანგ VI-ის წინადროინდელი რედაქციითაა წარმოდგენილი. ესენია ანასეული (1913 წ.) ჭალაშვილისეული (1923 წ.) და მაჩაბლისეული (1942 წ.) ნუსხები, რომელთა გამომზეურებამ ნათელი გახადა, რომ შესწორებათა და დამატებათა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე „ძველი ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში მოიპოვებოდა და „მეცნიერი კაცების“ ხელი მათ არ შეხებიათ.

დავუბრუნდეთ ექვთიმე თაყაიშვილის მარგინალიებს. 339-340-ე გვერდებზე არსებული ტექსტის („და: იყო: მას: ჟამსა; მცხეთის: კ̃ ზი: სამოელ: და: ამის: ზე: ტფილისისა: მკჳდრთა: ეკლესიისა:

[1] ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა, ქართლის ცხოვრება, I. გვ. 025.

გებად: იწყეს: რომლისა: ნასევარსა: ყოველი ერი: აშენებდა: და: ნახევარსა: ერთი: ვინმე: დედაკაცი:“ (გასწვრივ ფანქრითაა მინაწერი: თ. (თეიმურაზი-რ. მ.) უმატებს: და ამანვე კურატპალატმანცა გაეაახლა საფუძველი ტფილისის სიონისა: რ. ნთესვნი მირიან მეფისა მორწმუნისაი. ყ ნივე ეკლესიათა მაშენებელნი იყნეს“. რა თქმა უნდა, ამ დამატებით „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის მოცემული მონაკვეთი უფრო სრულყოფილად წარმოდგება. 340-ე გვერდზე სადაც სწერია „და: ჰქუა: ჰერეკლე: მეფესა“: ე. თაყაიშვილს საჭიროდ მიაჩნია თეიმურაზის ტექსტის მოტანაც: და იქვე ფანქრით სქოლიოს ქვემოთ მიაწერს: „თ-ში (თეიმურაზისეულში — რ. მ.) ამ ოთხი სიტყვის მაგიერ: „აგინა ერეკლე მეფესა და ჰრქვა“. იქვე, სადაც ვარაზ გაგელზეა ლაპარაკი, ე. თაყაიშვილი, ფანქრით სვამს ინდექსს და სქოლიოში მოაქვს ადგილი თეიმურაზისეული ნუსხის ტექსტიდან: „წნელ სცა ჰერაკლემ ერისთავსა ვარაზს გაგელს“. ეს ამბავი მარიამისეულ ნუსხაში არაა შეტანილი. მეტად საგულისხმო მინაწერია 342 გვერდის არეზე: „სიტყვებიდან: და კათალიკოზი იყო მცხეთის ბართლომე (გ. 340) აქამდე ცალკე ტექსტი არ არის თეიმურაზისეულში მსგავსი სუმბატისა, არამედ შესულია სუმბატის და ქარ. ცხ-ბის ტექსტი ერთმანეთში, როგორც სხვა ვარიანტებში“. აქ კომენტარი ზედმეტია. იმავე გვერდზე, არეზე ვკითხულობთ: „სიტყვებიდან: და დაჯდა ტფილის ცხოვრებად, აქამდე არის ჩაკერებული თეიმურაზისეულში“. ამავე არეზე კიდევაა კონკრეტული მითითებები სხვადასხვა ნუსხათა ტექსტებში არსებული სხვაობის შესახებ.

344-ე გვერდზე იქ, სადაც არაბთა შემოსევაზეა ლაპარაკი. ე. თაყაიშვილი საჭიროდ თვლის დაამატოს ტექსტი თეიმურაზისეული ვარიანტიდან „თ. (თეიმურაზი-რ. მ.) უმატებს: და მისსა შ დ მოვიდა სალილ იზიდის ძე არაბით და დაიპყრა სომხეთი, ქართლი და ჰერეთი“.) 346-ე გვერდის არეზე ე. თაყაიშვილი სხვადასხვა ტექსტების შეჯერების შედეგად მიღებული დასკვნას გვაცნობს: „სიტყვებიდან: და იწყებს ძიებად (გვ. 242) აქამდე (ე. ი. 346-ე გვერდამდე არსებული ტექსტი-რ. მ.) შეტანილია ყველა ქარ. ც-ბის ვარიანტებში და თ-ში (თეიმურაზისეულში — რ. მ.).“ მეცნიერი იქვე მიუთითებს, რომ მოყოლებული ტექსტიდან: „და: იყუნეს: ძენი: უხუცესისა: მის: ძმისა: მათისა: აშოტის: ძისა: ადარნასესნი“: არსებული ცნობები მარტო თეიმურაზის ვარიანტშია. ამას თეიმურაზისეულ

ნუსხაში წინ მიუძღვის ადარნასეს ისტორია, თუმცა სათაური ადარნასეს მეფობისა არ არის თეიმურაზისეულში. აქ. როგორც ე. თაყაიშვილი წერს, ტექსტი იწყება ფრაზის შემდეგ: „და მოკლა ადარნასე ძე იოანესი და დაიპყრა აფხაზეთი. სოლო ჩვენ პირველსავე სიტყვასა ზედა მოვედით ღმერთმა ოდეს წარუმართა ბაგრატს აშოტ კურაპალატის ძესა ხელმწიფება მათი“ (ბრჭყალები ჩვენ შემოგვაქვს, იგი ე. თაყაიშვილს არ უწერია — რ. მ.) იქვე (346-ე გვერდის სქოლიოს ქვემოთ) ე. თაყაიშვილი აღნიშნავს: სიტყვებიდან „სოლო რაჟამს სრულ ასაკ“ აქამდე არის თ-ს (თეიმურაზის — რ. მ.) ვარიანტში, მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ჩამატებითა და აღგილების შეცვლით (გ. 125 recto). ვფიქრობთ ამ მინაწერების მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტია. მეცნიერი თავისი დაკვირვება-შემეცნების შემდეგ გვერდებზედაც უსვად გვაწვდის თავისუფალ არეებზე მინაწერების სასით. 352-ე გვერდზე, სადაც მოცემულია ფრაზა, „ესე: ბაგრატ: მეფე: იქმნა: აფხაზეთს: და: მისთჳს: გურგენს მეფეთ მეფობა“. აქ ინდექსია გაკეთებული და ე. თაყაიშვილი სქოლიოში განმარტავს: „თეიმურაზისეულ ვარიანტში უმატებს: „ეწოდა.“ მართლაც ამ სიტყვის გარეშე დაუმთავრებელია აზრი. ამ სიტყვით კი გურგენს მეფედ-მეფობა ე წ ო დ ა“ იგი ნათელია. უკვე მოგვიანებით ე. თაყაიშვილს „ეწოდოს“ წინ სქოლიოში ფანქრით ჩაუმატებია „მეფობაჲ“, ხოლო „ეწოდოს“ შემდეგ „(137 verso).“ ამასთან „მეფედ-მეფობა“-სთვის ინდექსი (ჯვარი) დაუსვამს ფანქრით და სქოლიოშიც მიუწერია „აქ თ-ს ვარ. (თეიმურაზის ვარიანტი — რ. მ.) მიმატებულ ფურცელზე სწერს: ს ჩნ პლსვე სიტყსა ზა მოვიდეთ. ხ ბაგრტ ძე დემეტრესი და სხვა“.

ე. თაყაიშვილი 353-ე გვერდზე ფრაზასთან: „მოისრნეს: ყოველნი: სიკუდილითა: პატიმრობასა: შინა“: ფანქრით ჯვარსა სვამსა და სქოლიოს ქვემოთ ფანქრითვე აკეთებს წარწერას „თ. (თეიმურაზისეული) აქ უმატებს: ხ. ჩნ პლსავე სიტყვასა ზა მოვიდეთ რ. ჟს კდ გმოვიდა ყითა სპითა და თსითა.“ . .“მეცნიერის ყველა შენიშვნა არსებითი სასიათისაა და მათი ეათვალისწინების საჭიროება უდავოა. ჩვენ უკვე ზემოთაც აღენიშნეთ, რომ ბევრი რამ ე. თაყაიშვილისაგან დამოუკიდებლად შესწავლილ-შეჯერებული აქვს ს. ყაუჩიშვილს და „ქართლის ცხოვრების“ აკადემიურ გამოცემაში გათვალისწინებულია, ამასთან მიგვაჩნია, რომ ე. თაყაიშვილის მარ-

განსაკუთრებით დეტალურადაა შესასწავლი. ეს კიდევ ბევრ სიახლეს შეიტანს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ცოდნაში. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მეცნიერის მიერ წერები მნიშვნელოვანწილად ამდიდრებენ მისსავე გამოცემულ მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებას“.

ბოვიტანთ კიდევ ე. თაყაიშვილისეულ ორიოდე მარგინალიას. 356-ე გვერდზე, ფრაზის „სოლო: ღმერთმან: ბასილის: დიდად: შეშინებულსავე: პატივ: სცა:“ შემდეგ მეცნიერი სათანადო ნიშანს სვამს და არეზე ფანქრით მინაწერში გვაუწყებს, რომ აქ თეიმურაზისეულ ნუსხაში ჩამატებულია: „და მოკლა წარვიზი ქსიფე და გადგეს რნი მირთულ იყნეს. ხ. ქსიფეს მიეგო ცრუობა წარვაზისა რ შეიტყუეს ციხესა ყნივე ერთნი მისად მომდგომელნი შეიცვეს ციხესა შა და ილასანოსთა სისხლისთს ფოკას ძისა“. ამავე გვერდზე გიორგი I -ისა და ბასილი კეისრის კონფლიქტის ამბავია მოთხრობილი და კერძოდ აღნიშნულია „. . .ხოლო: თვით: გიორგი: მეფე: უკანა: ისრე: განვიდა: ზავად: წადური: ლაშქრითა: დიდითა: და ძლიერითა: გარნა: ორკერძოვე: აშაკუარნი: იგი: აზნაურნი: არა: მიეშურნეს: გიორგის: ყოვად: ზვისა:“ სიტყვა „ძლიერითა“-სთან ე. თაყაიშვილს ფანქრით ინდექსი აქვს დანიშნული, არეზე კი წერს: „უმ. (თეიმურაზისეული უმატებს — რ. მ.): და განიზრახვიდა ესრეთ უკთუ ინებოს ზავი ბასილი მეფეთან იქმნას ასრეთ. და უკეთუ ინებოს ომი გნვემზადნეთ მისთს. ს რ მელთა არაჲ უნდა ყოფად მშვიდობისა იწყეს განმზადებად ბრძოლად“.

ე. თაყაიშვილს მეტად საინტერესო დაკვირვებები აქვს მარიამ ქედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ტექსტზეც. იგი აჯერებს მას ვახტანგისეულ ნუსხასთან, წარმოაჩენს დამთხვევებს თუ განსხვავებებს.

469-ე გვერდზე შამქორის ბრძოლის შეფასებაა მოთხრობილი. ფრაზასთან „მოვიდეს: შარქურელნი: და: მოართვეს: კლიტენი“: ე. თაყაიშვილი შენიშნავს, რომ აქ თეიმურაზის ვარიანტი უმატებს: „აღება შანქურისა და წინა მოგებებს ვედრებით განსჯილთა“. მეცნიერს მიაჩნია (ეს მსჯელობა ფანქრითაა დაწერილი), რომ ეს ან სათაურად ყოფილა, ან არშიაზე წერებულა შენიშვნად და გადამწერს ტექსტში შეუტანია. ანალოგიური შენიშვნაა გაკეთებული 481-ე გვერდზე. აქ ზაქარია და ივანე მხარგრძელთა შესახებაა მო-

თხრობილი. ე. თაყაიშვილი შენიშნავს, რომ აქ თეიმურაზის ვარიანტში მიმატებულია: ამირ სპასალარისა და იე მსახურთუხუცესი და იე კახის შესარჩლება (ფ. 232) და ფიქრობს, რომ ეს ან სათაური ყოფილა, ან არშიაზე იქნებოდა შენიშვნა და გადამწერს ტექსტში შემოუტანია. იოანე კახელი ყოფილა.

ექვთიმე თაყაიშვილის ხელი ნაკლებად ატყვია უამთააღმწერელის თხზულებას. მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილია დამატებები დამატება I-აპოკრითიული მოთხრობანი, რომელნიც წინ მიუძღვიან მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრების ხელნაწერს; დამატება II-გაგრძელებანი ქართლის ცხოვრებისა; დამატება III-ვარიანტები თეიმურაზის ქართლის ცხოვრების ტექსტისა მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრების ტექსტიდან). აქედან მარგინალიების თვალსაზრისით გამორჩეულია მეორე დამატება: ქართლის ცხოვრების გაგრძელებანი. ეს გაგრძელებები, როგორც ე. თაყაიშვილი გვაუწყებს: „იბეჭდება მეგრელიის ვარიანტის მიხედვით. უმეტეს შემთხვევაში თავისივე ნიშნებით. რაც მეგრელიის ვარიანტს აკლია ბოლოში, ვავსებთ ბარათაშვილის ვარიანტიდან“ (გვ. 850). ამასთან სქოლიოებში ნაჩვენებია ის სხვაობანი, რაც ბარათაშვილისეულ ხელნაწერსა და ბროსეს გამოცემაშია. წარწერები ე. თაყაიშვილის ხელით მელნითაა შესრულებული. 855-ე გვერდზე იქ, სადაც ნათქვამია: „აღესრულა დავით და დაჯდა მის წილ ძე მისი გიორგი“ მეცნიერს ნიშანი დაუსვამს ქვემოთ და მიუწერია „თავიდან აქამდე სრულებით არ არის ჯანაშვილის ხელნაწერში“. იმავე გვერდზე, სადაც წერია „დღესა ერთსა შეკრბეს ვანად მისსა, მიუვლინდეს და ეტყოდეს,“ ე. თაყაიშვილი აკეთებს შენიშვნას, რომ აქედან აკლია ჯანაშვილის ხელნაწერს. აქ შემდგომაცაა მითითებული ტექსტები, რომლებიც აკლია ჯანაშვილისეულ ნუსხას (გვ. 857). 887-ე გვერდზე აღნიშნულია: „ოდეს ლანგთემური მოვიდა, და მაშინ შეინახეს დიდოეთს ძე ბაგრატისა და ძმა გიორგისა დავით, (ლაპარაკია XIV საუკუნის მიწურულში თემურლენგის შემოსევების დროს ბაგრატ მეფის ძის დავითის შესახებ. — რ. მ.)“ ე. თაყაიშვილს მელნით გაუკეთებია ჩამატების ნიშანი და სქოლიოს ქვემოთ მიუწერია: „ჯან ვარ-ში (ჯანაშვილისეულ ვარიანტში — რ. მ.): და ხანსა რაოდენსამე მოკუდა მეფე გიორგი და დაჯდა მის წილ ძე მისი დავით ქრისტეს აქეთ: ჩტნე:“

ე. თაყაიშვილს არც „ქართლის ცხოვრების“ მეორე გაგრძელება

(„სახელითა ღ ისათა: აწ ვიწყოთ ცხოვრება ბაგრატიონთა მეფობისა:“) დაუტოვებია უყურადღებოდ. ეს ტექსტიც შეუდარებია მეცნიერს ჯანაშვილისეული ნუსხისათვის ძირითადად და შემჩნეული სხვაობანი, რაც მიზანშეწონილად მიუჩნევია, მელნით მიუწერია. ის ჩამატებები, რასაც ე. თაყაიშვილი აკეთებს არსებითია და ავსებს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს. 895-ე გვერდზე მოთხრობილია: „და მოვიდა კონსტანტინე თათართათ ყაენისაგან შეწყალებული: მას უკანის მძლეექმნა სულთანსა იაღუბს, დაიპყრა პატრონობა“. ე. თაყაიშვილი მიაწერს რომ ეს ამბავი არ არის ჯანაშვილისეულ ნუსხაში. ამ უკანასკნელში ასეა: „ხოლო შემდგომად გარდაცვალებისა ბაგრატისა: დაჯდა მის წილ ძე მისი კონსტანტინე ქრისტეს აქეთ ჩყთა: ამას ჟამში იყო კათალიკოზი დავით“. 903-ე გვერდზე ისევ ჯანაშვილისეული ნუსხიდან მოაქვს მეცნიერს ტექსტი: „ესე მეფე კონსტანტინე იყო ძე ბაგრატისი; და იმეფა ამანცა კეთილად, ვა ცხოვრება მისი მოგვითხრობს და მოკუდა კონსტანტინე მეფე ქრისტეს აქეთ: ჩყდ: და დაჯდა ძმა მისი ალექსანდრე: ქრისტეს აქეთ ჩყ: და მას ჟამსა იყო კ ზი დავით და მოკუდა: და დაჯდა ნიკოლოზ:“

ერთი ფრიად საგულისხმო მარგინალია გაუკეთებია მეცნიერს 962-ე გვერდზე. იქ სადაც მოთხრობილია მანუჩარ დადიანისა და მისი ძის ლეონის შესახებ, ფრაზის „ამას ჟამსა შინა მოკუდა ცოლი დადიანისა ნესტან დარეჯან. და შეირთო ასული ათაბაგისა თამარ“. შემდეგ, როგორც ე. თაყაიშვილი სქოლიოში მიუთითებს, ბარათაშვილის ვარიანტში ცარიელი ადგილია დატოვებული. არეზე კი მეცნიერი მიაწერს:“ აქ უნდა თავდებოდეს დედანი მესხური დავითნისა“.

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაკვირვება-შენიშვნების მეტ მაგალითს აღარ მოვიტანთ. ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული საკმარისია იმისათვის, რომ სრულად წარმოვიდგინოთ დიდი მეცნიერის მუშაობის ფართო მასშტაბები წყაროთმცოდნეობაში, მისი ფართო ერუდიცია, სიღრმე, სიფრთხილე აზრის გამოთქმისას. მის მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლის ვარიანტის ჩვენს ხელთ არსებული ეგზემპლარი გამომცემლის მიერ წაკითხულია უდიდესი გულისყურით, კრიტიკულად. ჩანს, რომ მეცნიერი მასზე მუშაობას კვლავ აგრძელებდა. ე. თაყაიშვილის მარგინალიები მრავალმხრივია: ეხებიან წიგნის შინაარსობრივ მხარეს,

ამდიდრებენ მასალებით სხვადასხვა ნუსხებიდან, ზოგ შენიშვნას უარყოფენ (უზუსტობა გამოვლენილია შემდგომი შესწავლა-დაკვირვებისა და სხვა ტექსტებთან შეჯერების შედეგად). ზოგს აზუსტებენ, აქცენტს აკეთებენ სხვადასხვა მოვლენებზე. ერთი სიტყვით ე. თაყაიშვილის ამ მინაწერებს არსებითი მნიშვნელობა აქვს და დიდი მეცნიერის შემოქმედებით ცხოვრებაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ, წარმოაჩენენ მას, როგორც დიდ პიროვნებას, საკუთარი თავისადმი კრიტიკულსა და მეტის მომთხოვნს.

ექვთიმე თაყაიშვილის მოწამეობრივი ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი მოქალაქეობრივი გმირობა, საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია. დღესდღეობით სათანადოდაა დაფასებული დიდი მეცნიერის ღვაწლი. მის მეცნიერულ ნაშრომებს თუ საზოგადოებრივ საქმიანობას ფართოდ ეცნობა ჩვენი სალხი. წინამდებარე ნარკვევში მოტანილი მასალა ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს ექვთიმე თაყაიშვილის დიდ მეცნიერულ ღირსება-თვისებებს და მიგვაჩნია, რომ მის შესახებ არც ერთი უმნიშვნელო ფაქტი თუ მოვლენა შეუსწავლელ-გამოუმზეურებელი არ უნდა დარჩეს. მარგინალიები, შეიძლება ითქვას, წიგნის არეებზე გაკეთებული უბრალო წარწერებია, მაგრამ როცა დიდი მეცნიერისა და მოღვაწის ხელიდანაა გამოსული მას განუზომელი მნიშვნელობა აქვს.



საქართველოს ისტორიის ერთი ფურცელი

(ბიზანტია-ბულგარეთის 1014-18 წწ. ომი და საქართველო)*

საკითხი, რომელსაც ჩვენ ვეხებით XI საუკუნის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ერთი მნიშვნელოვანი მომენტია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ორი ქვეყნის შემდგომი ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრაში. ამასთან აქ კონკრეტულ ვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ბულგარეთის სახელმწიფომ შეასრულა. უფრო ზუსტად, საკითხი ეხება ბიზანტია-ბულგარეთის 1014-1018 წწ. ომსა და მის მნიშვნელობას საქართველოსთვის.

X საუკუნის მეორე ნახევარში ფეოდალური საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა და ერთიანი მონარქია შეიქმნა ცენტრალური სამმართველო აპარატით. ამას თან დაემთხვა სოციალური გარდაქმნაც — ქვეყანა განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების სტადიაში შევიდა. მეფის ხელისუფლებამ საშუალო და წვრილ აზნაურობაზე დაყრდნობით და მსხვილ ფეოდალთა სხვადასხვა დაჯგუფების ინტერესთა ერთმანეთისადმი დაპირისპირებით (ზოგიერთი საგვარეულოს წინააღმდეგ აშკარა ბრძოლით) შესძლო ფართო გზა მიეცა ქვეყნის გამაერთიანებელი ძალებისა და ტენდენციებისათვის. ფეოდალურ საქართველოს შეექმნა მტკიცე ბაზისი ეკონომიკური და კულტურული აღმავლობისათვის. ამასთან ქვეყანა პოლიტიკურადაც მძლავრ და ანგარიშვასაწევ ძალას წარმოადგენდა.[1]

---

* სტატია დაწერილია იენის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების პერიოდული კრებულისათვის „ეფორგია".

1 იხ. ელიქიშვილი ვ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ვაერთიანება და ფეოდალური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი, თბ. 1973; ლორთქიფანიძე მ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ. 1964.

XI საუკუნის ფეოდალური საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის კარდინალური საკითხები ერთმანეთთან უშუალოდ იყო დაკავშირებული. კერძოდ ქვეყანაში მიმდინარე კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლები თავის გამოხატულებას პოულობდნენ საგარეო პოლიტიკაში. მნიშვნელოვანი პრობლემა XI საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტიასთან ურთიერთობა იყო. ამიერკავკასიის საკითხი ბიზანტიის საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის წინა რიგში იდგა. იყო დრო, როცა საქართველოსა და სომხეთს ბიზანტია მხარს უჭერდა და მათ გაძლიერებაზე ფიქრობდა, რადგან ეს უკანასკნელნი არაბთა სახალიფოსთან დასაპირისპირებლად ესაჭიროებოდა მას. XI საუკუნისათვის, როცა ბიზანტიის იმპერიისთვის არაბთა სახალიფოს საკითხი პრაქტიკულად არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგან მის ნანგრევებზე აღმოცენებული მაჰმადიანური საამიროები სერიოზულ მეტოქეობას ვეღარ გაუწევდნენ, უკვე საქართველოსა და სომხეთის გაერთიანებაში დაინახა საფრთხე. აქედან გამომდინარე ბიზანტიის დამოკიდებულება ამიერკავკასიის ქვეყნებისადმი რამდენადმე შეიცვალა. ბუნებრივია, ბიზანტიის იმპერია ცდილობდა ამიერკავკასიაში თავისი გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებას. მით უმეტეს, რომ უკვე იგრძნობოდა ბიზანტიის იმპერიის დასუსტების დასაწყისი. საიმპერიო კარი დიდი დაძაბულობის შედეგად ახერხებს თავისი სამფლობელოების დაცვას და ქვეყნის შიგნით ცენტრალური ხელისუფლების სიმტკიცის შენარჩუნებას.[1]

ბიზანტის იმპერიას არ აკმაყოფილებდა საქართველოსგან მხოლოდ ფორმალური აღიარება ბიზანტიის სუვერენობისა და იგი რეალურად ცდილობდა თავისი მდგომარეობის განმტკიცებას. ამ მისწრაფების აშკარა განხორციელების მაგალითი იყო XI ს. დასაწყისში სამხრეთი ტაოს ტერიტორიაზე (დავით კურაპალატის[2] ყოფილი სამფლობელოებიდან) იბერიის თემის შექმნა.[3] ბიზანტია ყველა საშუალებით ცდილობდა საქართველოს გაერთიანებისა და ზრდა-გაძლიერების პროცესის შეჩერებას, მის დასუსტებასა და

---

[1] Левченко М. В., История Византии, М., 1949, стр. 137—154.

[2] მთელი XI საუკუნის განმავლობაში იღებდნენ ქართველი მეფეები ბიზანტიის იმპერიის საკარისკაცო ტიტულებს (მაგისტროსი, სევასტოსი, კესაროსი, კუროპალატი და სხვ.).

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979, გვ. 171.

მოსაზღვრე სამფლობელოების ხელში ჩაგდებას[1] ბიზანტიის საიმპერიო კარი დიდი სურვილით უჭერდა მხარს სეპარატიზმის მოსურვე და ცენტრალური სამეფო ხელისუფლების გაძლიერების მოწინააღმდეგე დიდგვაროვან ფეოდალებს.

დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ იმპერატორმა ბასილი II-ემ დაიპყრო სამხრეთი ტაო. მასთან იხმო საქართველოს მეფე ბაგრატ III, უბოძა მას კუროპალატობა, ხოლო მამამისს გურგენს უფრო დაბალი, მაგისტროსის თანამდებობა. ამით, იმპერატორს, როგორც ქართველი მემატიანე შენიშნავს,[2] მამაშვილს შორის შუღლის ჩამოგდება უნდოდა, მაგრამ ვერ მიუღწევია. ბიზანტიის იმპერატორისგან სამხრეთი ტაოს დაკავება დავით კურაპალატის სამემკვიდრეოს ჩამორთმევას ნიშნავდა. ამ სამფლობელოზე საქართველოს მეფეს ბაგრატ III-ს იურიდიული უფლება აღარ ჰქონდა, რადგან დავით კუროპალატს ბასილისათვის პირობა ჰქონდა მიცემული, რომ სიკვდილის შემდეგ თავის სამფლობელოს მას დაუტოვებდა. ამასთან ტაოელმა აზნაურებმაც ფიცით მისცეს პირობა, რომ დავითის გარდაცვალების შემდეგ თავის ციხეებს ბასილს გადასცემდნენ..[3] მართლაც ბასილმა სამხრეთ ტაოსაგან შექმნა იბერიის თემი — საკატაბანო და იქ მმართველად ბიზანტიელი მოხელე დანიშნა.

ამრიგად, X-XI საუკუნეების მიჯნაზე, როცა ქართული მიწების გაერთიანება და ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნა სდებოდა, ბიზანტიის იმპერიამ პრეტენზია განაცხადა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ პროვინციებზე და შექმნა ადმინისტრაციული ერთეული — იბერიის საკატაბანო, რომელიც ფაქტობრივად მოშავალი საყრდენი იყო საქართველოს საქმეებში ჩასარევად. ბიზანტია ყოველგვარად უშლიდა ხელს საქართველოში ხელისუფლების ცენტრალიზაციას. დავით კურაპალატის მემკვიდრეობისათვის ბრძოლამ ერთგვარად შეაფერხა ქართული მიწების საბოლოო გაერთიანება.

---

[1] Очерки истории, III, стр. 559.

[2] სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 382.

[3] Розен В. Р., Император Василий Болгаробойца, Петр., 1883 стр. 27. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე Лордкипанидзе М. Д., Из Истории грузино-византийских взаимоотношений на грани X-XI вв., Сб., Вопросы истории Грузии феодальной эпохи, Тб., 1972, стр. 31-42.

სამხრეთ ტაოს სომხეთისთვისაც ჰქონდა მნიშვნელობა და შემთხვევითი არ იყო, რომ როდესაც საქართველო ცდილობდა თავისი ტერიტორიის დაბრუნებას, მას მხარში სომხური სამეფო-სამთავროები ედგნენ.

სამხრეთი ტაოს დაბრუნებისათვის ბრძოლის გზაზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო ბულგარეთის ომი (1014-1018 წწ.) ბიზანტიელთა აგრესიის წინააღმდეგ.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ბულგარეთის ურთიერთობა ბიზანტიასთან საქართველოს მსგავსად დაძაბული იყო. ბიზანტიას თავისი გარკვეული ინტერესები ჰქონდა ბულგარეთთან. აღსანიშნავია, რომ სწორედ 1001 წელს დაიწყეს ბიზანტიელებმა ბულგარეთის გეგმაზომიერი დაპყრობა. ბასილ II წამოვიდა პლოვდივისრედეცის მიმართულებით, რათა სამუილის სამფლობელო ორად გაეყო. სრედეციდან ჩრდილოეთისაკენ გაემართა და ხელთ იყდო მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები. ნიკიფორე ქსიფე აღმოსავლეთ ბულგარეთში შეიჭრა და დაიკავა პრერდავი და დუნაის სამხრეთი ქალაქები. ბიზანტიელებმა სათანადო მომზადების შემდეგ თესალიასაც შეუტიეს.[1]

მიუხედავად იმისა, რომ ბულგარეთი ხანგრძლივი ომებით დასუსტებული იყო, იგი მაინც ადვილად არ დანებდა ბიზანტიას.[2] ბულგარელი ხალხი თავგანწირვით იბრძოდა დამპყრობლის წინააღმდეგ. ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყო 1014 წლიდან.

საერთოდ ბულგარელი ხალხის ხანგრძლივმა და ძლიერმა წინააღმდეგობამ წაახალისა აღმოსავლეთი ქვეყნები. საქართველოს სამეფო კარმა ისარგებლა იმით, რომ ბიზანტია ბულგარეთის პრობლემით იყო დაკავებული განსაკუთრებით (1014 წლიდან) და ბრძოლა დაიწყო სამხრეთ ტაოს მიწა-წყლის გასათავისუფლებლად და შემოსაერთებლად. ქართველებს მხარში ამოუდგნენ სომხებიც, რადგან, როგორც ზემოთაც აღინიშნა სომეხთა სამეფო-სამთავროების ინტერესებშიც შედიოდა ტაოს მიწა-წყლიდან ბიზანტიელთა განდევნა. არაბი ისტორიკოსი იაჰია ანტიოქელი გვაუწყებს, რომ როცა ბასილი ბულგარელებს ეომებოდა გიორგი I-მა ენერგიულად შეუტია და დაიკავა ყველა ის ციხე, რომელიც დავით კურაპალატ-

---

[1] История Болгарии, М., 1954, т. I, стр. 96.
[2] Всемирная история, М., 1957, т. II, стр. 227.

მა კეისარს გადასცა.[1] ასე, რომ ბულგარელების ბრძოლამ ბიზანტიასთან საქართველოს პოლიტიკაში არსებითი როლი ითამაშა.

როგორც ცნობილია, ბიზანტიელებისა და ბულგარელების გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1014 წ. ბელასეცის მასლობლად. აქ სამუილის ჯარი დამარცხდა. მიუხედავად დამპყრობელთა მხრიდან მკაცრი დამოკიდებულებისა ბულგარელი ხალხი განაგრძობდა ბრძოლას მტრის წინააღმდეგ. ბასილ II-ს კიდევ 4 წელი დასჭირდა იმისათვის, რომ ქვეყანა დაეპყრო. 1018 წელს ბულგარეთი საბოლოოდ დაიმორჩილეს და ბიზანტიის პროვინციად აქციეს.[2]

ბულგარეთის მარცხმა შეცვალა საქართველოს მდგომარეობაც. ბასილმა ტაოს მიწა-წყალი მოიკითხა და სასწრაფოდ მოსთხოვა გიორგი I-ს დაკავებული ციხე-სიმაგრეების დაცლა.

სომეხი ისტორიკოსი არისტაკეს ლასტივერტეცი გადმოგვცემს, რომ გიორგი I-ს არ შეუსრულებია იმპერატორის მოთხოვნა, რასაც ეს უკანასკნელი გაურისხებია და ლაშქარი გაუგზავნია ქართველთა წინააღმდეგ, თანაც დაუვალებია, რომ ძალით დაეპყროთ საღვთო ქვეყანა. ბიზანტიელებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და უნტიგის (ოლთისის) ახლოს მათი ლაშქარი გააქციეს.[3]

არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობით, ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლება უფრო მეტს ითხოვდა გიორგი I-სგან, ვიდრე ბიზანტიამ 1001 წელს მიიტაცა, კონკრეტულად კი არაფერს გვეუბნება, რომელი მიწების მიტაცების სურვილი ჰქონდა ბიზანტიას. ფაქტია, ის, რომ ბიზანტიას საქართველოს სამეფოს სიღრმეში შეჭრა განუზრახავს.

რა ძალებს ეყრდნობოდა გიორგი I, როცა მრისხანე მბრძანებელს ქედი არ მოუხარა და მტკიცედ შეებრძოლა. ქართველი მემატიანეების ცნობით[4] კახეთ-ჰერეთი აღარ ემორჩილება საქართველოს მეფეს. „მატიანე ქართლისა“ კახეთ-ჰერეთის გამაერთიანე-

---

[1] Розен В. Р., Император Василий Болгаробойца, стр. 51. იხ. აგრეთვე, ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, გვ. 89-99.

[2] История Болгарии, I, М., 1954, стр. 96.

[3] არისტაკეს დასტოვერცი, ისტორია, თბ., 1977, ე. ცაგარეიშვილის რედაქციით, გვ. 40-50.

[4] სუმბატ დავითის ძე, ცხოვება და უწყება ბაგრატიონიანთა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 383.

ბელ მეფეს კვირიკეს უწოდებს რანთა და კახთა მეფეს[1]. ამის გამო ზოგი ისტორიკოსი გამორიცხავს ჰერ-კახთა მონაწილეობას გიორგი I-ის მსარეზე. ეს კი არასწორია. ქართული წყაროები თვალნათლივ მიუთითებენ,რომ ჰერეთი და კახეთი ბიზანტიის წინააღმდეგ საქართველოს სამეფოს გვერდითაა[2] გიორგი I-ს უდგას მსარში ანისის სამეფო, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც ჩანს, საქართველოს სამეფო კარს წინასწარ ჰქონდა განსაზღვრული, თუ როგორ უნდა გამოეყენებინა ბიზანტიის საგარეო პოლიტიკური ვითარება, კერძოდ, თვლიდა, რომ ბიზანტიისადმი მტრულად განწყობილი აღმოსავლეთის მაჰმადიანური პოლიტიკური ერთეულები მხარს საქართველოს დაუჭერდნენ. იაპია ანტიოქელის ცნობით, გიორგი I-მა საიდუმლო მოლაპარაკება დაიწყო ეგვიპტის ხალიფასთან ალ-ჰაქიმთან. საქართველოს სამეფო კარის წინადადება ითვალისწინებდა ბიზანტიისათვის თავდასხმას ერთდროულად ეგვიპტისა და საქართველოს მხრიდან, ე. ი. სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან[3] ამ ტაქტიკური გეგმის განხორციელებას შეეძლო ბიზანტიის იმპერია დიდ საფრთხეში ჩაეგდო. თავის მხრივ ალ-ჰაქიმი ბიზანტიასთან მტრულ დამოკიდებულებაში იყო.[4] ბიზანტიის იმპერიის მესვეურებს, როგორც ჩანს, სიფრთხილე არ მოუდუნებიათ და საქართველოს სამეფოს ურთიერთობა სომხეთთან და საიდუმლო მოლაპარაკება ეგვიპტესთან ცნობილი გახდა მათთვის. ბიზანტიის იმპერია დაუყოვნებლივ შეუდგა გადამწყვეტი ომისათვის სამზადისს. თანაც ეს მზადება დიდი კონსპირაციის დაცვით მიმდინარეობდა. ბასილ II-მ თვალის ასასვევად სირიაში ომი გამოაცხადა, ანტიოქიაში სურსათისა და იარაღის გაგზავნა დაიწყო. უკანასკნელ დროს კი პირი საქართველოსკენ იბრუნა და გიორგი I-ის წინააღმდეგ გაილაშქრა.[5]

ბიზანტიის დიპლომატიურ მოქმედებას საქართველოზე თავისი გავლენა ჰქონდა — სამეფო კარის ყურადღება შეუნელებია და კარზე მომდგარ მტერს ქართველები სათანადოდ მომზადებული ვერ დახვდნენ. საქართველოსა და ეგვიპტის მოლაპარაკებასაც პრაქტი-

---

1 მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 296.

2 მატიანე ქართლისა, გვ. 285.

3 История Византий, II, 1967, ст. 225.

4 История Византий, II, стр. 225.

5 Розен В. Р.. დასახ. ნაშრ., გვ. 61.

კული შედეგი არ მოჰყოლია (იქნებ იმიტომაც,რომ სწორედ 1021 წელს ალ-ჰაქიმი გარდაიცვალა).[1]

ქართველი მემატიანე მოგვითხრობს, რომ „გამოვიდა ბასილი, მეფე ბერძენთა... ყოვლითა სპითა საბერძნეთისათა და უცხოთესლითა ურიცხვითა".[2] გიორგი I-მა როგორც კი შეიტყო ბასილის საქართველოსკენ გამოლაშქრება, სასწრაფოდ შეკრიბა ლაშქარი და მოიშველია ვისი მხარდაჭერაც კი შესაძლებელი იყო და ასე შეეგება მტერს.[3]

საქართველოს ლაშქრის სარდლობას ბიზანტიის ჯარის რაოდენობის შემოწმების შემდეგ, შებმა მიზანშეუწონლად ჩაუთვლია და უკან დახევა გადაუწყვეტია. მოწინააღმდეგის ბანაკში პირიქით გააქტივება სუფევდა და ისე მოსდა, რომ უკან მიმავალ ქართულ ლაშქარს ბიზანტიელები დაედევნენ. გიორგი პირველმა მტრის მოძრაობის სელის შეშლის მიზნით გადასწვა ქ. ოლთისი. ლაშქრის სარდლობა არ ჩქარობდა ბრძოლის დაწყებას, მაგრამ ბიზანტიელებმა იაქტიურეს, თვითონ შეებნენ საქართველოს ლაშქრის არიერგარდს შირიმნთან 1021 წელს. არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობით ეს ბრძოლა პალაკაციოს (ჩილდირის) ტბის მახლობლად მომხდარა.[4] მისივე ცნობით, ქართველებმა მედგარი ბრძოლით უკუაქციეს ბიზანტიელთა ჯარები.[5] მაგრამ ბრძოლაში მოპოვებული უპირატესობა ქართველებმა ვერ შეინარჩუნეს და უკან დაიხიეს.[6] ამან კიდევ უფრო გააქტიურა მტერი, ქართველებს უკან დაედევნენ და შეებრძოლნენ. ბიზანტიის ლაშქარმა შეტევა კოლა-არტაან-ჯავახეთზე გამოვლით განავითარა და გაანადგურა ეს მხარე. შემდეგ თრიალეთში შემოიჭრა. გიორგი I-მა მოიშველია კახეთისა და ჰერეთის ძალები და ბრძოლის განახლება გადაწყვიტა. ზამთრის მოახლოებისა და, როგორც ჩანს, ქართველების მომაგრების ანგარიშის გაწევით, ბიზანტიის მბრძანებელმა ბრძოლის გაგრძელება

---

1 იქვე, გვ. 62. საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა აღნიშნულ პერიოდში დაწვრილებით აქვს განხილული ივ. ჯავახიშვილს; იხ. მისი, ქართული ერის ისტორია, თბ. II, 1965.

2 მატიანე ქართლისა, გვ. 284.

3 Розен В. Р., დასახ. ნაშრ., გვ. 62; მატიანე ქართლისა, გვ. 284.

4 არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, გვ. 46.

5 იქვე.

6 მატიანე ქართლისა, გვ. 295.

მიზანშეუწონლად ჩათვალა და უკან დაბრუნდა. თანაც, როგორც ქართველი მემატიანე გადმოგვცემს, უკან დაბრუნებისას კეისარმა „კუალად უბოროტესადრე შურის-გებით მოაოხრნა ქვეყანანი იგი!,[1] ტრაპიზონში მივიდა და იქ დაიზამთრა.


ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ ბიზანტიასთან ბრძოლისას საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები ერთმანეთთან მჭიდროდ შეკავშირებული გამოვიდნენ, ამასთან ქართველმა ფეოდალებმა დაივიწყეს შუღლი, თავიანთი სეპარატისტული განწყობილებები და მტრობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან და გიორგი I-ს ამოუდგნენ მხარში. ამ ბრძოლაში დაიღუპნენ მსხვილი ფეოდალები კლდეკარის ერისთავი რატი ლიპარიტის ძე და სურსი.[2]

ბასილ I-ის ტრაპიზონში მოსვლის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკება მოწინააღმდეგეთა შორის ზავის დადების თაობაზე. ორივე მხარეს თავისი ინტერესები ჰქონდა. მთელი მე-XI საუკუნის მანძილზე საქართველო ბიზანტიის ურთიერთობა გარკვეული სიმწვავით ხასიათდებოდა, მათი დამოკიდებულებაც მეტ-ნაკლებად მშვიდობიანი იყო. მე-XI საუკუნის მიწურულს საქართველო მძლავრი ფეოდალური მონარქიაა და ბიზანტიის გავლენაც ნულამდეა დაყვანილი.

დასასრულ, ერთხელ კიდევ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ბიზანტია-საქართველოს დაძაბული ურთიერთობის ერთ ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბულგარეთმა, კერძოდ იმ ბრძოლამ რომელსაც საერთოდ და კერძოდ, 1014-18 წწ. აწარმოებდა ბულგარელი ხალხი ბიზანტიელთა წინააღმდეგ. სწორედ ამ დროს მოხდა საქართველოს წინააღმდეგობის გამძაფრება და ბიზანტიისგან მიტაცებული მიწების დაბრუნება. ბიზანტია-ბულგარეთის 1014-18 წწ. ბრძოლის შედეგებმა თავისი გავლენა იქონია საქართველოზეც. ბულგარეთის დამარცხების შემდეგ ბიზანტიამ საქართველოსთვის მოიცალა და შეებრძოლა მას. აქაც, ისე როგორც წინა შემთხვევაში, გამარჯვებული ბიზანტია გამოვიდა. მაგრამ ისე როგორც ბულგარელების, ქართველი ხალხის ბრძოლა არ ცხრებოდა და სხვადასხვა გზით იმავე XI ს. ბოლოს საქართველომ სრულ დამოუკიდებლობას მიაღწია.

[1] მატიანე ქართლისა, გვ. 285.

[2] იქვე, გვ. 284.



„დიდოსტატის“ ისტორიული ფონი

ისტორიული პრობლემები ყოველთვის იპყრობდა მხატვრული ლიტერატურის განსაკუთრებულ ყურადღებას. მსოფლიოს სხვადასხვა დროის ლიტერატურა იცნობს არაერთ ქმნილებას, რომელიც ერთდროულად ისტორიულიც არის და ლიტერატურულიც. ყველა ეპოქის ჭეშმარიტ მწერალს ნათლად ესმოდა ისტორიის დიდი მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. ალექსანდრე პუშკინმა ხმამაღლა განაცხადა, რომ „გარდასულის პატივისცემა ეს განასხვავებს განათლებულს ველურისაგან“. მსოფლიო კლასიკა წარმოუდგენელია თვინიერ ისტორიისა. ისტორია, ერთის მხრივ, იყო ის ცხოველი სული, რომელიც კეთილად ანაყოფიერებდა კლასიკოსთა შემოქმედებას და უყალიბებდა მსოფლმხედველობას; მეორე მხრივ, თვით დიდი მწერლები გვევლინებიან ჭეშმარიტ ისტორიკოსებად, რომლებმაც ხელოვნების ენაზე აამეტყველეს გარდასული ჟამის ცალკეული ფურცლები. ბუნებრივია, ისტორიის პრობლემებისადმი გულგრილნი არც ქართული ლიტერატურის კლასიკოსები დარჩენილან. სწრაფვა საქართველოს წარსულის შესწავლისა, ამასთან, ისტორიული სინამდვილის მხატვრული ფერებით გადმოცემა ყოველთვის იყო ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თემა. თავიანთ შემოქმედებაში ისტორიის ღრმა ცოდნა და მისდამი დიდი პატივისცემა გამოამჟღავნეს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა.

წარსულის ამსახველი ნაწარმოებების საჭიროება და მნიშვნელობა ჩვენს დროშიც დიდია. საერთო სახალხო აღმშენებლობაში მოპოვებულმა დიდმნიშვნელოვანმა წარმატებებმა განუზომლად გაგვიცხოველა ინტერესი ჩვენი სამშობლოს გმირული ისტორიული წარსულისადმი. ამის კვალობაზე უანვითარდა ისტორიული

სინამდვილის მხატვრულად ასახვის უმაღლესი ჟანრი — ისტორიული რომანი.

ქართული საბჭოთა ისტორიული რომანისტიკა დიდად არის დავალებული გამოჩენილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიასაგან. „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“ აღიარებული ისტორიული რომანებია.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კონსტანტინე გამსახურდია თავის ისტორიულ რომანებში ფართოდ უხსნის კარს მწერლური ფანტაზიის ნაყოფს, გამონაგონ სიტუაციებს. ეს სავსებით სწორი მინიშნებაა, ოღონდ საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ნაწარმოებში შეტანილი მწერლისეული ელემენტი ხელს უწყობს ეპოქის სულის მთელი სიგრძე-სიგანით გადმოცემას, ისტორიული სიმართლის ღრმად გახსნა-წარმოსახვას. ამ მხრივ მეტად საგულისხმო ნაწარმოებია „დიდოსტატის მარჯვენა“. რომანში მეთერთმეტე საუკუნის პირველი ოცდაათწლეულის საქართველოა აღწერილი. ეს ეპოქა მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიაში. ფეოდალური საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა მეათე საუკუნის ბოლო მეოთხედიდან ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის დროშის ქვეშ. საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების მთელმა სიმძიმემ „ქართველთა მეფის“ ღავით კურაპალატის მხრებზე გადაიარა. მას მტკიცედ ედგა მხარში ქართლის ერისთავი იოანე მარუშისძე და მისი მძლავრი დასი.

მეათე საუკუნის 80-90-იან წლებში ფაქტობრივად ხდება ქვეყნის პოლიტიკური ცენტრალიზაცია და მმართველობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება. ქვეყნის გაერთიანება მეცხრეულად როდი მომხდარა, ეს პროცესი თანდათანობით მიმდინარეობდა: ჯერ დასავლეთი საქართველო („აფხაზთა სამეფო“) შიდა ქართლთან ერთად გაერთიანდა, ხოლო მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში მას შეუერთდა ტაო-კლარჯეთის სამეფოს უდიდესი ნაწილი. ეს გაერთიანება რიგი ქართული სამთავროების პოლიტიკური დამოუკიდებლობის ლიკვიდაციის შედეგად აღმოცენდა და ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ახალ ეტაპს მოასწავებდა — ფაქტობრივად ეს იყო გზა ცენტრალიზებული ტიპის მონარქიის შექმნისაკენ.

სოციალური თვალსაზრისით ეს ეტაპი დაემთხვა საქართველოში ადრინდელ ფეოდალურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დამთავრებას და ქვეყანა განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე შედგა. ამრიგად, განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისი საქართველოში თან დაემთხვა ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას.

ამ პროცესს, ბუნებრივია, თავისი მოწინააღმდეგენიც ჰყავდა. ესენი იყვნენ დიდაზნაურთა ერთი ნაწილი და საქართველოს ეკლესიის რეაქციული ფრთა, რომელთაც ზურგს უმაგრებდნენ და აქეზებდნენ უცხოელი დამპყრობლები (ბიზანტია, თურქ-სელჩუკები). პირველთ (დიდგვაროვან აზნაურებს, სამღვდელოების ერთ ნაწილს) თავიანთი მდგომარეობისა და გავლენის დაკარგვა-შეზღუდვა აწუხებდათ, ხოლო მეორეთ (ბიზანტია, თურქ-სელჩუკები) საქართველოს გაერთიანება-გაძლიერება.

მეფესა და დიდგვაროვნებს შორის უთანხმოებამ ჯერ კიდევ ბაგრატ III-ის (975-1014 წწ.) დროს იჩინა თავი და შემდგომ პერიოდში გიორგი I-ის მეფობის (1014-1027 წწ.) ხანაში უფრო გაძლიერდა, ამასთან, ბიზანტიასთან ურთიერთობაც გამწვავდა. ეს უკანასკნელი არავითარ ხერხსა და ღონეს არ იშურებდა თავისი უფლებების შესანარჩუნებლად (ერთი მხრივ, გიორგი მეფეს ეცილებოდა ოდინდელ ქართულ მიწებს, ცდილობდა დიდაზნაურთა მოსყიდვასა და გადაბირებას, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს მეფეს „პატივსა“ და „წყალობას“ არ აკლებდა).

ყველა ეს მოვლენა მეტად საინტერესოდ აისახა „დიდოსტატის მარჯვენაში.“ ზედმიწევნით მცოდნე ამ ეპოქისა, კონსტანტინე გამსახურდია მთელი სიღრმით ჩასწვდა მეთერთმეტე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში მიმდინარე პროცესებს და არაჩვეულებრივი სიზუსტით გადმოსცა ეპოქის სული. ეს ეპოქა კი ეტაპობრივად დავით აღმაშენებლის მოღვაწეობამდე სწვდება და ამიტომ მწერალი სრულიად ბუნებრივად იყენებს XI-XII საუკუნის წყაროთა (მატიანე ქართლისა, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი და სხვ.) მონაცემებს მის მიერ აღებული ეპოქის ყველა მხარის გამოსახატავად.

პირველი, რასაც კონსტანტინე გამსახურდიამ თავის რომანში მიაქცია ყურადღება, შინაკლასობრივი ბრძოლებია, მწვავე შეხლა-შემოხლა მეფესა და დიდგვაროვნებს შორის, მეფესა და ეკლესიას

შორის. პირისპირ დგანან, ერთი მხრივ, ქვეყნის გაერთიანებისა და ძლიერებისათვის მებრძოლი ჭაბუკი მეფე გიორგი პირველი, ხოლო, მეორე მხრივ, სეპარატიზმის მოსურნე დიდგვაროვანი ფეოდალები (თალაგვა კოლონკელისძე, მამამზე ერისთავი, ტოხაისძე და სხვ.) ზოგჯერ „ცალ კერძ“ რომ მეფე დგას, მოწინააღმდეგე მხარეს — მელქისედეკ კათალიკოსი.

აი, როგორ გადმოგვცემს კონსტანტინე გამსახურდია დიდ შინაურ წინააღმდეგობებს გიორგი პირველის სიტყვებით:

„...დამანელა აზნაურებისა და სარდლების კინკლაობამ... ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას სარდლობა...

ოდითვანვე ასე მოგვდგამს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“. ეს სინამდვილის ჭეშმარიტი მხატვრული ასახვაა. მოვიგონოთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვები:“... ვინაითგან ნათესავი ქართველთა ორგულ-ბუნება არს პირველითგანვე თჳსთა უფალთა. რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქდნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე და საქმენი აწ ხილულნი“ (ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება I, თბ. 1955, გვ. 359).

შინაური აშლილობა მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს და ეს უკანასკნელიც მარჯვედ ითპობდა ხელს ქართველთა შუღლზე. ვერ შეჰგუებია ამას მეფის ამბოხი სული და ბრაზით ამბობს იგი: „მუდამ ბიზანტიელებს ეგებოდნენ ფეხქვეშ ჩვენი სულელი აზნაურები და ღორმუცელა ეპისკოპოზები, მეფეები მწვანე ეტლებს მიეტრფოდნენ და ბიზანტიურ ხარისხებს, ამიტომაც არ მიყვარდა პაპანემი, გურგენ მაგისტროსი, მამაჩემი ბაგრატ კურაპალატი, და მცხეთიდას გაქცევის წინაღამეს ჩემს ვაჟს წავეკიდე ბაგრატს.

ჩვენი უბედურება ეგაა: სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარს, ამიტომაც მუსრს ავლებდა საქართველოს სხვის ქვეყნებში ატეხილი ჭირი“.

მწერალმა შესანიშნავად წარმოაჩინა, რომ ცალკეულ ფეოდალთა წინააღმდეგობების მოსპობა მეტად რთული საქმეა. თვით ფეოდალიზმის ბუნებაა წინააღმდეგობრივი. ამის ნათელი მაგალითია სა-

ქართველოს ისტორია. კონსტანტინე გამსახურდია თალაგვა კოლონკელიძის სახის დასატვისას კვლავ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსებს იშველიებს. კერძოდ, მემატიანე მეფის ორგული და მოღალატე ლიპარიტ ბაღვაშის დასასიათებისას აღნიშნავს, რომ იგი ისევე გამოუსწორებელია, როგორც „კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“ (ქართლის ცხოვრება I, გვ. 325) გავისსენოთ „დიდოსტატის მარჯვენის“ ის ადგილი, სადაც კოლონკელიძის შეპყრობის ცდაა გადმოცემული:“. ზვიად სპასალარს გაუხარდა, მისი წინათქმა რომ აუსდა. როგორც გიორგის, ისე მელქისეღეკს, სჯეროდათ: არ გასწორდებაო კუდი ძაღლისა, არც კირჩხიბი იწყებსო მართლად სვლას“.

ამრიგად, კონსტანტინე გამსახურდიას მიერ „დიდოსტატის მარჯვენაში“ დახატული შინაკლასობრივი ბრძოლების სურათი არა მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნის პირველი ოცდაათწლეულის მოვლენებს აირეკლავს, არამედ დამახასიათებელია მთელი მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებისათვისაც: ვფიქრობთ, მეთორმეტე საუკუნის ისტორიული წყაროების მოსმობით მწერალმა (თუმცა იგი გასცდა აღებული პერიოდის ჩარჩოებს) სრულყოფილად მოახერხა ეპოქის სულის, იმ დროის სოციალური ვითარების გადმოცემა.

აქ ერთ საინტერესო მომენტსაც უნდა გაესვას ხაზი, მწერალმა მკითხველის თვალსაწიერზე გამოიტანა მთისა და ბარის ურთიერთობის პრობლემა. მთიელთა მოძრაობა მოცემულ პერიოდში მიმართული იყო ქვეყნის ინტენსიური ფეოდალიზაციის და ქრისტიანიზაციის (რაც თავისი გავლენის სფეროში მთასაც ითრევდა და თავისი არსით კლასობრივი ბრძოლის ხასიათს ატარებდა) წინააღმდეგ გამსახურდიასეული თალაგვა კოლონკელიძე თუ მამამზე ერისთავი საქართველოს მთის წარმომადგენლები არიან. ფორმალურად აღიარებენ რა სიუზერენის (მეფის) უზენაესობას, ისინი მზად არიან შესაძლებლობა არ გაუშვან და დაუპირისპირდნენ მას.

საქართველოს ისტორიამ იცის მეცამეტე საუკუნის ათიან წლებში ფხოველებისა და დიდოელების გამოსვლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს დიდი აჯანყება იყო, რომელიც სამი თვე გაგრძელდა და სამეფო ხელისუფლების ძალების აქტიური ჩარევით იქნა ძლეული.

ჩავხედოთ ნაწარმოებებს: „კვეტარის ერისთავს თალაგვა კო-

ლონკელიძეს ძალით უთაყვანებია ფხოველნი და დიდონი, მათ აჰყოლიან ძურძუკნი და ღალღაი და ის თემები, რომელნიც ტილიჭამიათა მეზობლად ბინადრობდნენ მაშინ“.

რომანისეული თალაგვა და მამამზე, მათთან ერთად მთელი მოჯანყე მთა, რეალურად წარმოდგენილი სურათია იმდროინდელი სოციალური სინამდვილისა.

ასე რომ, ფონი, რომელზეც რომანი იშლება, ისტორიული ვითარების მართებული ასახვაა, წარსულის სწორი ინტერპრეტაცია და ჭეშმარიტი ისტორიზმის ნათელი გამოვლინებაა.

საგულისხმოა თვით მწერლის აზრი იმის შესახებ, თუ რატომ გაამახვილა მან ყურადღება ქვეყანაში მიმდინარე შინაკლასობრივ, შინაპოლიტიკურ ბრძოლებზე. კონსტანტინე გამსახურდია თავისი რომანის ბოლოთქმაში აღნიშნავს:

„ზოგს ეგ უკვირდა: რად არ ავსახე გარეპოლიტიკური ომები „დიდოსტატის მარჯვენაში“, ან რად დავუთმე მომეტებული ყურადღება შინაურ ამბოხებათა ჩაქრობის მომენტებს?

უნდა ვაღიარო, ეგ შეგნებულად მაქვს ჩადენილი. შინაპოლიტიკური ვითარებანი სწყვეტენ ყოველი ნაციის, ყოველი სახელმწიფოს ბედს. მსოფლიოს ისტორია ამის მოწმეა თავად.

არც ერთი ნაციონალური გაერთიანება, არც ერთი სახელმწიფო მარტოოდენ გარეპოლიტიკური ინვაზიების შედეგად არ დარღვეულა.

შინაური გათიშვისა და ზნეობრივი დეგრადაციის მეოხებით დაიღუპა ძველი საბერძნეთი, ძველი რომი, საკეისრო ბიზანტიისა, რუსუდანისა და ლაშა გიორგის სახელმწიფოცა.“

მწერლის პოზიცია სრულიად ნათელია. კონცეფციურად იგი ისტორიზმის მტკიცე მიმდევარია. და ამ არსებითად სწორ ისტორიულ ფონზე კონსტანტინე გამსახურდია წარმატებით ახერხებს გადმოსცეს მეტად ამაღელვებელი ტრაგიკული თავგადასავალი სვეტიცხოვლის ტაძრის ამგები კონსტანტინე არსაკიძისა.

იმისათვის, რომ მთელი სიდიადით ეჩვენებინა კონსტანტინე არსაკიძის შემოქმედებითი გმირობა, მწერალმა მას დაუპირისპირა ფარსმან სპარსი. ეს მწერლის ფანტაზიით შექმნილი გმირია და, როგორც ავტორი თავად ამბობს, „წინაპარია საქართველოს ისტორიის მანძილზე წარმოშობილი უსამშობლო კონდოტიერებისა... დიდად ტალანტიანი ფარსმანი, უპრინციპო და გაყიდული, უსამშო-

ბლო კაცია.“ („დიდოსტატის მარჯვენა“, ბოლოთქმა). ვარსკვლავთმრიცხველი და ალქიმიკოსი, მკურნალი და იარაღ-საჭურვლის ოსტატი, ხუროთმოძღვარი და ჯადოქარი ფარსმანი დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონეა, მაგრამ ყოველივე ეს სრულიად უშედეგოა იმ კაცის ხელში, რომელსაც მამულის გრძნობა არ გააჩნია და რომლისთვისაც არც იმასა აქვს მნიშვნელობა, თუ ვის და რას ემსახურება. მისმა ბოროტებითა და მზაკვრობით დამახინჯებულმა სულმა ვერაფერი შექმნა საშვილიშვილო. მწერალმა ფარსმანს მიანიშნებინა არსაკიძისათვის: „ბრძენკაცი უნდა იყვეო და შლეგად მოაჩვენოო ადამიანებს თავი, გმირი უნდა იყვე და ჯაბანივით დადიოდე, ოსტატი უნდა იყვე და ხელმოცარულად მოგქონდეს თავი, რადგან არავის იმდენი მტერი არა ჰყავსო ამქვეყნად, როგორც ბრძენკაცს, გმირსა და ოსტატს“.

კონსტანტინე გამსახურდიამ თამარის პირველი ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის სიტყვები მოიშველია ფარსმან სპარსის „შესამკობად“ და „სახითა ბარბაროსი და სჯულითა ტარტაროზი“ უწოდა მას („სჯულითა ბარბაროზს და ქცევითა ტარტაროზს“ უწოდებს მემატიანე მოღალატე მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალს).

ფარსმანი ხელმოცარული გადეგო ამ ქვეყნიდან, ხოლო არსაკიძის შემოქმედების ნაყოფი სვეტიცხოველი დარჩა როგორც წარმავლობასთან მებრძოლი უკვდავი ქმნილება ხელოვნებისა.

ამგვარად, ფარსმანის სახემ (როგორც ანტითეზამ) დიდი როლი შეასრულა კონსტანტინე არსაკიძის (თეზა) ბუნების, მისი შემოქმედებისა თუ ბედის სრულყოფილ წარმოჩენაში.

კონსტანტინე გამსახურდია მეტად საინტერესოდ მოგვითხრობს გიორგი პირველის შესახებ. ეს ისტორიული პიროვნება მას ოსტატურად ჰყავს დახატული ეპოქის სირთულე-წინააღმდეგობათა განმასახიერებელ ხორცშესხმულ მხატვრულ სახედ. „დიდოსტატის მარჯვენაში“ პირუთვნელი მემატიანის სიზუსტითაა მოთხრობილი გიორგის თავდადებული ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის. „მატიანე ქართლისა“ საქართველოს მეფეს ასე ახასიათებს: „...ახოვან იყო და უშიში ყოვლითურთ ვითარცა უხორცო“. გიორგი პირველი თავგამოდებით ებრძოდა მომსდურ მტერს, ყოველმხრივ ცდილობდა წინ აღსდგომოდა ბიზანტიის აგრესიულ ზრახვებს: „ბასილ კეისარს ეს უნდა ერთმორწმუნე საქართველოც სომხეთის დარად გადასანს-

ლოს როგორმე. სანამდი პირში სული მიდგას, ვერ მოესწრება ამ დღეს ძაღლთპირი ბასილი კეისარი".

საგულისხმოა მომაკვდავი მეფის ბოლო სიტყვები: „მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, როგორც მეფეს, ისე როგორც კაცს, თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია. ვაჭკაციც ვიყავი და მშიშარაც. კეისარს ვებრძოდი და მეშინოდა ხვიარის ფესვებისა; გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისათვის არასოდეს მიღალატნია".

რომანში განსაკუთრებული ადგილი უკავია ზვიად ერისთავს, რომელიც საქართველოს მეფის უერთგულესი პირია და მისი თანამდგომია მოღალატეთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მწერალი დიდი სიმპატიით ევიხატავს მას. აი, მისი სახე მეფესთან ერთ-ერთი დარბაზობის დროს: „თავმოდრეკილი იდგა ზვიად სპასალარი, წარბშეუხრელად ისმენდა მამამზის სიტყვებს და აგურის იატაკს დასჩერებოდა რაღაც უცნაურ ფიქრში წასული. უზარმაზარი ხმლის ვადას მოსჭიდებოდა მისი ფაჩუნიერი მარჯვენა (ყველანი უხმლოდ იდგნენ გარშემო, მხოლოდ მას ერტყა დარბაზობის დროს ფოლადის ჯავარდენი)."

ზვიად ერისთავი ცნობილი ისტორიული პირია, გიორგი I-ის თანამებრძოლი. მას იხსენიებს „მატიანე ქართლისა" და უსმბატ დავითის ძე. ზვიადმა წაიოასვენა ტაოში გარდაცვლილი ბაგრატ III-ის (გიორგი I-ის მამის) ცხედარი და ბედიას დაკრძალა: „... და წარმოიღო გუამი მისი ზჯადმან ერისთავთერისთავმან, და დამარხა ბედიას" (ქართლის ცხოვრება, I. გვ. 283). გიორგი I-მა სწორედ ზვიადი გააგზავნა ბასიანს ჩასილ კეისართან მოსალაპარაკებლად, „მატიანე ქართლისა" გვამცნობს „...გიორგი მეფემან წარავლინა ზვიად ერისთავი სპითა მისითა და უბრძანა, რაჲთამცა ზავის მოპყრობითა მცირედ-ხანს დაიმჭირვა ადგილსა" (ქართლის ცხოვრება, I გვ. 287). სუმბატ დავითის ძე ამატებს: „და დაილაშქრა ზჯიადმანცა ამიერ კიდესა ბასიანისასა" (ქართლის ცხოვრება, I, 384).

ზვიადი ბოლომდე ერთგული და მტკიცედ დასაყრდენი ძალაა სამეფო ხელისუფლებისათვის. ასეთია იგი ისტორიულად, ასე დახატა მწერალმაც.

დიდი სიყვარულითაა გამოხატული შორენას სახე. კდემამოსილება, დამატყვევებელი სილამაზე, ზნეობრივი სისპეტაკე, რაინდული სული — აი, თვისებები, რომლითაც შორენა შეამკო მწერალმა.

ეს სასე კონსტანტინე გამსასურდიას პოეტური ფანტაზიის შესანიშნავი ნაყოფია. თვით სახელი შორენა აქამდე სხვაგან არსად გვხვდება (მაგრამ როგორ ჰგავს იგი ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულ ბორენას).

თალაგვა და მამამზეც არ იცის ჩვენმა ისტორიულმა წყაროებმა, თუმცა უამრავი ისტორიულ-ცხოვრებისეული პროტოტიპი მოეძებნება მათ. ბაღვაშები, ტბელები, ძამელები, აბულეთისძეები ყველა მოღალატე ფეოდალის თვისებები გააერთიანეს ამ პერსონაჟებმა.

თვით კოლონკელიძეთა ფეოდალური საგვარეულო გიორგი პირველის შემდეგდროინდელია. იგი მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩანს. ამ გვარიდან ორი პიროვნებაა ცნობილი. ესენია ჰერეთის ერისთავები ვარდანი (გიორგი III-ის დროს) და საღირი (თამარის დროს). გამოთქმულია მოსაზრება კოლონკელიძეთა გვარის სოფ. კოლონკეთის (ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით მდ. მეჯუდას ხეობაში იყო) სახელწოდებიდან მომდინარეობის შესახებ (დ. მუსხელიშვილი, კოლონკელიძენი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. V, გვ. 589).

კვეტერის ციხე-ქალაქი (და არა საერისთავო) წყაროებში XI ს. შუაწლებიდან (ე. ი. რომანში აღწერილი ამბების შემდეგ) იხსენიება. იგი კახეთის ერთ-ერთი ცენტრი იყო. ვახუშტი ბაგრატიონი მიიჩნევს, რომ კვეტერა VIII საუკუნეშიც უნდა არსებულიყო (ამ მოსაზრებას არქეოლოგიური გათხრებიც ადასტურებენ).

კონსტანტინე გამსახურდია საინტერესოდ გადმოგვცემს პურობისა და ნადიმის რიტუალს სამეფო კარზე. ეს რიტუალი ისეა აღწერილ-დახატული, როგორც „სელმწიფის კარის გარიგებაში" (ქართული სამართლის ისტორიის მნიშვნელოვანი ძეგლი, XIV საუკუნე).

მწერალს სწორად აქვს მინიშნებული, რომ მეფესთან დიდებულთა დარბაზობის დროს მხოლოდ სპასალარს არტყია წელზე ხმალი. იგი, როგორც სამხედრო პირი, ამ უფლებით სარგებლობდა, ვიდრე ფეხზე იდგა.

ნაწარმოები გვამცნობს:

„ღამემ შემოუსწრო ნადიმს. მემაშხალეთ მაშხლები აანთეს. მეჭურჭლეთ სამაშხლე ქონი და ალყა შემოზიდეს დარბაზში".

ახლა ვნახოთ, რას გვაუწყებს „ხელმწიფის კარის გარიგების" მე-17 მუხლი:

„თუ პურობას ღამე შემოესწრას, სანთელი სასანთლითა და მი-

სითა ნატითა თავ-თავის საფარეშოთა არის და ფარეშთა უხუცესი მიიღებს, წამოაყენებს და თავ-თავის ადგილს ჩასდებს თაზირთა წინა. და სუფრასა ზედა მაშხალის ასანთები ალყა ქონითა ანუ სელითა იქნებისა.." და ა. შ.

ეს შედარებით ვრცელი ციტატი იმისთვის მოგვაქვს, რომ მკითხველს ვაჩვენოთ, თუ რაოდენ ჩაღრმავებულია მწერალი ისტორიულ წყაროებში, რათა ეპოქისათვის დამახასიათებელი სურათი ეჩვენებინა.

მთელი სისრულით არის გადმოცემული რომანში გიორგი პირველის ტრაგიკული ბედი. მწერალი დაწვრილებით არ განიხილავს, მაგრამ მაინც ვგრძნობთ მეფის პედუკულმართობას, ეროგვარ შებოჭილობას (ეს, თავის მხრივ, ისტორიულად განპირობებული იყო ჰერეთ-კახეთის გამოყოფით. შირიმნის ბრძოლაში დამარცხებით; სამხრეთის პროვინციების დაკარგვით და ბაგრატ უფლისწულის მძევლად გაგზავნით).

არც ის არის შემთხვევითი, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ მძაფრი ექსპრესიით დახატა მეფის დაკრძალვა:

„როცა ქუთაისში ასაფლავებდნენ მის ცხედარს, საშინელი წვიმა იყო და ქარი ჰქროდა.

პირველად ერთ მესაფლავეს წამოსცდა სიმართლე მისი უთავჟამო და ბობოქარი ცხოვრების გამო.

როცა მოტირალები, დიდებულები და მოსეირენი წავიდ-წამოვიდნენ, მოსუცმა მესაფლავემ ეს უთხრა ახალგაზრდას:

„არც სიკვდილში ჰქონიაო გიორგი მეფეს ბედი".

ტრაგიკულად დასრულდა რომანის მთავარი გმირების ცხოვრება. კონსტანტინე გამსახურდიამ ბრწყინვალედ დახატა ღრმა წინააღმდეგობებითა და ცხოვრებისეული სირთულეებით აღსავსე ეპოქა, მისი სულისშემხუთველი სოციალური გარემო; ამ ფონზე კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა დიდი რაინდობა, თავგანწირულება, ზნეობრივი სისპეტაკე და შემოქმედებითი წვა ისტორიული რომანის გმირებისა, რომელთა ამბოხი სულისა და შემართების, სიყვარულისა და სიძულვილის, შემოქმედებისა და ბრძოლის მტკიცე საფანელი ჭეშმარიტი ისტორიული სინამდვილეა.

ისტორია სისხლხორცეულია კონსტანტინე გამსასურდიას შემოქმედებისათვის. იგი მისი აღიარებისა და წარმატების უდიდესი საწინდარიც არის.

შინაარსი

აკაკი წერეთელი და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება 3
„დამმარხეთ საქართველოში“ (მასალები მიხეილ საბინინის ცხოვრებიდან) . . 27
„...და მოვიდეს ვარასკვნი“ (მასალები ბუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან) 72
ქართული საბჭოთა ენციკლოპედია 87
ძველი ცივილიზაცია და ახალი შეკრებები 101
საქართველოს ისტორიის კარდინალური საკითხები 120
„კიდევაც დაიზრებიან“ 132
„ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლის ნუსხის ე. თაყაიშვილისეული მარგინალიები 138
საქართველოს ისტორიის ერთი ფურცელი (ბიზანტია-ბულგარეთის 1014-18 წ.წ. ომი და საქართველო) 157
„დიდოსტატის“ ისტორიული ფონი 165

МЕТРЕВЕЛИ РОИН ВИКТОРОВИЧ

«...И ПРИШЛИ ВАРАНГИ»

(Очерки)

(На грузинском языке)
Издательство «Мерани», пр. Руставели 42
Тбилиси 1988

რედაქტორი ი. ჯაღაღონია
მხატვარი ე. თოდრია
მხატვრული რედაქტორი თ. კოსრაძე
ტექნიკური რედაქტორი დ. რაზმაძე
კორექტორები: რ. გოცირიძე, ნ. ლომაძე
გამომშვები ნ. სავთასი

სბ — 4232

ჩაბარდა წარმოებას 5.01.88 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 14.07.88 წ. უე 06798 ფორმატი 60×84 1/16. საბეჭდი ქაღალდი № 1. გარნიტურა ივერია. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 10,23. საღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 9,02 პირობითი საღებავგატარება 10,23. ტირაჟი 20. 000 შეკვეთა № 45

ფასი 90 კაპ.

გამომცემლობა „მერანი" რუსთაველის პრ. 42. თბილისი 1988.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.